



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

გვანცა მალრაძე

**ხელმძღვანელისა და აქციონერი/პარტნიორის პირადი
პასუხისმგებლობის ფორმები საკორპორაციო სამართალში**

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ირაკლი ბურდული

თბილისი

2024

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომში, თემაზე - „*ხელმძღვანელისა და აქციონერი/პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის ფორმები საკორპორაციო სამართალში*“, განხილულია პირადი პასუხისმგებლობის ფორმები და მათი გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები პარტნიორისა და ხელმძღვანელ პირთა მიმართებით. საკითხი აქტუალურობა განპირობებულია კაპიტალურად მოწყობილი სუბიექტის მზარდი ეკონომიკური მნიშვნელობით მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სწორედ „იურიდიული ფიქციის“ ასეთი განუსაზღვრელი ღირებულებიდან გამომდინარე უპირობოდ საჭიროა მენეჯერთა და თანაბარ მნიშვნელოვნად, პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის ფორმათა განსაზღვრა კონკურენტული, სამართლიანი და ჯანსაღი ბიზნესგარემოს, ამასთან საზოგადოებრივი ინტერესისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რაც წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, უპირატესად შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით არის წარმოდგენილი. შეუძლებელი იქნებოდა ისეთ სამართლებრივ მექანიზმებზე სრული წარმოდგენის შექმნა სხვადასხვა ქვეყნის მიდგომებისა და გამოცდილების გათვალისწინების გარეშე, როგორც ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პირობებში პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა.

კვლევა მოიცავს ძირითადად ამერიკის, გერმანიისა და მცირედ ინგლისის მიდგომებს, ამ ქვეყნებში ჩამოყალიბებული და განვითარებული სხვადასხვა თეორიების მიმოხილვას გამჭოლი პასუხისმგებლობის მიმართულებით. ამ თვალსაზრისით გამოყენებულია როგორც შედარებითი, ასევე ისტორიულ-სამართლებრივი და ემპირიული კვლევის მეთოდი და წარმოჩენილია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნელ-ნელა ჩამოყალიბებადი დოქტრინების არსი და სხვადასხვა პერიოდში, აქტუალური სამართლებრივი საფუძვლები პირადი პასუხისმგებლობის, როგორც სამართლიანობის შექურის გამოყენების ბაზისი.

სადისერტაციო თემა ემსახურება იმ ზოგადი სამართლებრივი საფუძვლების კვლევას, რასაც შეზღუდული პასუხისმგებლობის, საკორპორაციო სამართლის ცენტრალური ინსტიტუტის რღვევა მოჰყვება. ამ მიზნით ნაშრომი სტრუქტურირებულია შვიდ თავად, სადაც მიმოხილულია უპირველესად შეზღუდული პასუხისმგებლობის - განცალკევებული პიროვნულობის საწყისები, ჩამოყალიბება და განვითარება დღემდე, რასაც ლოგიკური გაგრძელება მოჰყვება ამ პრივილეგიისა და მნიშვნელოვანი ფენომენის იგნორირების მექანიზმის საგამონაკლისო ღონისძიების სახით გამოყენების საფუძვლები იმ დამატებითი ელემენტების ანალიზით, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით, მაგალითად როგორც არის სახელშეკრულებო და დელიქტური ურთიერთობები.

დისერტაციის ფარგლებში განხილულია პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები კორპორაციულ ჯგუფებში დამახასიათებელი განსხვავებებით. ვინაიდან მშობელ-შვილობილ კომპანიათა შორის კონტროლის, მფლობელობის და სხვა სახის მჭიდრო კავშირი ბუნებრივია ყველა შემთხვევაში სახეზეა, ამიტომ სამართლებრივი საფუძვლები იმგვარად არის პრაქტიკაში ჩამოყალიბებული, რომ არ მოხდეს ყოველი მშობელ-შვილობილი კომპანიის საქმეზე ამ ინსტიტუტის გამოყენება. გარდა ამისა, გამჭლი პასუხისმგებლობის გაგება აქ მნიშვნელოვნად განსხვავებულია. კერძოდ, როდესაც საქმე ეხება ერთი დამოუკიდებელი კომპანიის ფარგლებში პარტნიორსა და გარე კრედიტორს, აქ წმიდად „გაჭოლვაზე“ საუბარი, ვინაიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის უპირატესობის იგნორირების საშუალებით, კრედიტორს პირდაპირი წვდომა აქვს პარტნიორის პირად აქტივზე. რაც შეეხება კორპორაციულ ჯგუფებს, აქ პირადი პასუხისმგებლობა დგება მშობელი კომპანიისა, რომელიც თავისი პირადი, კომპანიის აქტივით აგებს პასუხს, ე.ი. რეალურად პარტნიორის, როგორც ფიზიკური პირის პირადი პასუხისმგებლობის შემთხვევა აქ არ არის, ვინაიდან თავად პარტნიორი წარმოდგენილია მშობელი კორპორაციის სახით, რომელიც თავისთავად, პირადად - მთელი თავისი აქტივით აგებს პასუხს.

ნაშრომის მეხუთე თავი ეთმობა ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის ისეთ მექანიზმებს, როგორიც არის ე.წ. „მკაცრი პასუხისმგებლობის“ მიდგომის ფარგლებში

გაერთიანებული მეორადი დელიქტური პასუხისმგებლობა, კორპორაციისა და მისი მენეჯერების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და პასუხისმგებელი ხელმძღვანელის დოქტრინა. მათი განხილვის მთავარი მიზანია, არგუმენტირებულად იქნეს შემოთავაზებული ისეთი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომელიც ადეკვატურად უპასუხებს შიდა-ორგანიზაციულ გადაცდომებს, პირველ რიგში პერვენციის მოხდენის იდეით, შემდგომ კი სამართლიანობის აღდგენისა და შენარჩუნების მოტივით. ამგვარად, მეექვსე თავის სახით შემოთავაზებულია ახალი კანონის მიმოხილვა დესკრიფციულ დონეზე, რასაც მოჰყვება რეკომენდაციის სახით ეროვნულ კანონმდებლობაში მკაცრი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ინსტიტუტის იმპლემენტაციის იდეა, რაც მოემსახურება რეფორმისა და კანონის შექმნის მიზანთაგან ერთ-ერთს - კრედიტორთა დაცვის მექანიზმის გაძლიერებას.

Abstract

In the presented PhD thesis, on the topic - "Forms of Personal Liability of the Manager and Shareholder/Partner in Corporate Law", are discussed the forms of personal responsibility and the legal basis of their use in relation to the partner and managerial persons. The relevance of the issue is due to the growing economic importance of capital-organized entities in the world, including in Georgia, which in turn is one of the important prerequisites for the development and strengthening of the economy in the country. Based on such an undefined value of "legal fiction", it is absolutely necessary to determine the forms of personal liability of managers and equally importantly, of partners, to ensure a competitive, fair and healthy business environment, as well as public interest and well-being, which is presented within the scope of this paper, predominantly using the comparative-legal research method. It would be impossible to create a complete picture of such legal mechanisms without taking into account the approaches and experiences of different countries, such as the liability of managers and the personal liability of partners under limited liability.

The research includes mainly American, German, and to a lesser extent UK approaches, a review of different theories of interpretation formed and developed in these countries in the direction of veil piercing. From this point of view, both comparative, historical-legal and

empirical research methods are used, and the essence of doctrines that have been slowly formed over a long period of time, including current legal foundations, the basis of using personal liability as a beacon of justice, have been presented.

Dissertation topic serves the research of the general legal bases, which will result in the dissolution of the central institution of corporate law – the limited liability. For this purpose, the paper is structured in seven chapters, where the beginnings, formation and development of the limited liability - separate personality are reviewed to date, followed by a logical continuation of the foundations of using this privilege and the mechanism of ignoring the important phenomenon as an exceptional measure by analyzing the additional elements that may play an important role in personal liability, for example such as contractual and tort relations.

Within the framework of the thesis, the legal bases of personal responsibility with characteristic differences in corporate groups are discussed. Since the control, ownership and other kind of close connection between parent-subsidiary companies is naturally present in all cases, therefore the legal bases are formed in practice in such a way that this institution is not used in the case of every parent-subsidiary company. In addition, the understanding of „veil piercing“ is significantly different here. In particular, when it comes to a partner and an external creditor within the framework of one independent company, we are talking about "piercing" here, since by ignoring the advantage of limited liability, the creditor has direct access to the partner's personal assets. As for corporate groups, here the personal liability of the parent company arises, which is liable with its personal, company assets, i.e. basically, the case of personal liability of the partner as a natural person is not present, since the partner himself is represented in the form of a parent corporation, which is responsible directly, personally - with all its assets.

The fifth chapter of the work is devoted to such mechanisms of liability of the managerial persons as is the so-called "strict liability" approach which combines vicarious liability, criminal liability of the corporation and its managers, and the doctrine of responsible corporate officer. The main goal of the discussion is to propose a legislative change that will adequately respond to internal organizational misconduct, firstly with the idea of prevention, and then

with the motive of restoring and maintaining justice. Thus, in the sixth chapter, a descriptive review of the new law is proposed, followed by the idea of implementing one of the institutions of strict liability in the national legislation in the form of a recommendation, which will serve one of the purposes of the reform and creation of the law - to strengthen the creditor protection mechanism.

აბრევიატურა და შემოკლებანი	xi
I. შესავალი.....	1
ა) კვლევის საგანი.....	1
ბ) კვლევის აქტუალობა.....	2
გ) კვლევის მეთოდოლოგია.....	4
დ) კვლევის მიზანი.....	5
II. შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი	6
1. შეზღუდული პასუხისმგებლობა: ისტორიული საწყისი და ეკონომიკური მნიშვნელობა.....	6
1.1. თანამედროვე ისტორია	9
1.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზღვრები.....	11
1.3. შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის უპირატესობები	13
1.4. პასუხისმგებლობის შეზღუდვა, როგორც საგამონაკლისო ღონისძიება?!.....	17
III. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა შედარებით-სამართლებრივ პერსპექტივაში	18
2. პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის ზოგადი საკითხები შედარებით სამართლებრივ პერსპექტივაში	18
2.1. ქართული სამართლის მიხედვით	19
2.1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება.....	19
2.1.2. პარტნიორის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.....	21
2.2. გერმანული კანონმდებლობა	23
2.2.1. სახელშეკრულებო ურთიერთობა	23
2.2.2. საკმარისი კაპიტალის ცნება და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობის საკითხი	24

2.2.3. სხვა საფუძვლები და სასამართლო პრაქტიკის მიდგომა	26
2.3. ამერიკის შეერთებული შტატები - დელავერის შტატი	30
ა) რატომ დელავერის შტატი?	30
ბ) გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის შესავალი	32
2.3.1. გამჭოლი პასუხისმგებლობა (Forward Piercing = Standard Piercing)	37
2.3.2. გაჭოლვა vs ვუალის ახდა (Piercing vs lifting)	46
2.4. შუალედური დასკვნა	61
IV. გამჭოლი პასუხისმგებლობის აქტუალური საკითხები, მათ შორის კორპორაციულ ჯგუფებში	63
3. გამჭოლი პასუხისმგებლობა დღეს	63
3.1. გამჭოლი პასუხისმგებლობის აქტუალური საფუძვლები გერმანულ საკორპორაციო სამართალში	63
3.1.1. ქვეკაპიტალიზაცია	65
3.1.2. აქტივთა აღრევა	70
3.2. დელავერის საკორპორაციო სამართლის მიხედვით	72
3.3. ქართულ სამეწარმეო სამართალში არსებული რეალობა	74
3.3.1. მეწარმეთა შესახებ საქართველოს ახალი კანონის მოწესრიგება	77
3.3.2. კაპიტალის შენარჩუნება და ქვეკაპიტალიზაცია	78
3.3.3. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება	82
3.3.4. კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება	83
3.3.5. აქტივთა აღრევა	84
3.4. კორპორაციული ჯგუფები	85
3.4.1. გერმანია	88
3.4.2. კორპორაციული ჯგუფები ა.შ.შ.-ში და საკანონმდებლო ბაზის დეფიციტი	93
3.4.3. საქართველო და კორპორაციული ჯგუფები	107

3.5.	ალტერ ეგოსა და ინსტრუმენტალობის თეორია.....	109
3.6.	შუალედური დასკვნა	116
V.	ხელმძღვანელი ორგანოს პირადი პასუხისმგებლობა	118
4.	ხელმძღვანელ პირთა პირადი პასუხისმგებლობა კორპორაციული საფარველის გაჭოლვის/ვუალის ახდის კონტექსტში	118
4.1.1.	კეთილსინდისიერების მოვალეობა.....	118
4.1.2.	გულმოდგინეობის მოვალეობა	122
4.1.3.	დუმილის მოვალეობა - საქმიანი შესაძლებლობების მითვისების აკრძალვა	124
4.1.4.	კონკურენციის აკრძალვა	125
4.1.5.	ინტერესთა კონფლიქტი.....	126
4.2.	მეორადი დელიქტური პასუხისმგებლობა, იგივე „Vicarious Liability“ (Strict Liability).....	126
4.2.1.	არსი და მოკლე ისტორიული მიმოხილვა.....	126
4.2.2.	მდპ შედარებით პერსპექტივაში	129
4.3.	კორპორაციული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (Corporate Criminal Responsibility)	140
4.3.1.	პასუხისმგებელი კორპორაციული ოფიცრის დოქტრინა : არსი და მიზანი	145
4.3.2.	სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც პირადი პასუხისმგებლობის დაშვების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო წარმოებაში.....	148
4.4.	შუალედური დასკვნა	150
VI.	Lex lata და ახალი ჩანაწერი კანონში.....	151
5.	რეფორმის პერსპექტივა - დესკრიფციულ დონეზე.....	151
5.1.	ცვლილების არსი და შედეგი - ემპირიული მოსაზრება.....	152

5.2.	de lege, ახალი რედაქცია და მისი ხარვეზები.....	156
5.3.	რეკომენდაციები	157
VII.	დასკვნა.....	159
	ბიბლიოგრაფია.....	163

აბრევიატურა და შემოკლებანი

AG - AktienGesellschaft

GmbH – Gesellschaft mit beschränkter Haftung

GmbHG - Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung

BGB – Bürgerliches Gesetzbuch

BGH – Bundesgerichtshof

WiStG - Gesetz zur Vereinfachung des Wirtschaftsstrafrechts

VerSanG - Verbandssanktionengesetz

UK – United Kingdom

US – United States

FVP – Forward Veil Piercing

RVP – Reverse Veil Piercing

HGB – Handelsgesetzbuch

StGB – Strafgesetzbuch

ECGI – European Corporate Governance Institute

DGCL – Delaware General Corporate Law

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სს - სააქციო საზოგადოება

მაგ. - მაგალითად

სხვ. - სხვა

ე.წ. - ეგრედ წოდებული

ე.ი. - ესე იგი

იხ. - იხილეთ

მომდ. - მომდევნო

შეა. - შეადარეთ

მშკ - მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სსსკ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მადლიერების გვერდი

წინამდებარე ნაშრომის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა იმ მრავალმხრივი დახმარების გარეშე, რაც გაწეულ იქნა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის პროფესორი ირაკლი ბურდულის მხრიდან. მისი ინიციატივითა და დახმარებით მონაწილე გავხდი არა ერთი სამეცნიერო პროექტის საკორპორაციო სამართლის მიმართულებით, რამაც კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მომცა ძირფესვიანად გავრკვეულიყავი ნაშრომში დასმულ სამართლებრივ საკითხებში და ეს ინფორმაცია გამომეყენებინა დისერტაციის შექმნისათვის.

განუზომელია ჩემი მასპინძელი ხელმძღვანელის - პროფესორ ანდრეას კნორის (გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, შპაიერი) წვლილი ნაშრომის შექმნაში. არა ერთი საკონსულტაციო შეხვედრის, მათ შორის დარგში მომუშავე დოქტორანტებთან დისკუსიის უზრუნველყოფა, სამეცნიერო კვლევითი სტიპენდიის მისი რეკომენდაციით მოპოვება და გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით ხანგრძლივი პერიოდით სარგებლობა მისი დამსახურებით გახდა შესაძლებელი, რამაც შესაძლებელი გახდა დისერტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი დამეწერა სწორედ გერმანიაში, შპაიერის უნივერსიტეტში და საბოლოო ჯამში მზა სახით წარმედგინა დაცვის მიზნით.

მინდა ღრმა პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო პროფესორების ირაკლი ბურდულისა და ანდრეას კნორის მიმართ, რომელთაც არ დაიშურეს დრო და ენერგია და მაქსიმალური მხარდაჭერა გამომიცხდეს სადოქტორო პროგრამის განმავლობაში.

Gratitude page

The creation of the present paper would not have been possible without the multifaceted help provided by my scientific advisor, Professor Irakli Burduli. With his initiative and support, I was engaged in more than one scientific project in the direction of corporate law, which gave me even more opportunities to fundamentally understand the legal issues raised in the thesis and use this information to create present paper.

The contribution of my host supervisor - Professor Andreas Knorr (German University of Administrative Sciences, Speyer) to the creation of the thesis is immeasurable. More than one consultation meeting, including discussion with doctoral students working in the field, obtaining a scientific research scholarship on his recommendation and using the library of the German University of Administrative Sciences for a long period of time were only possible thanks to him, which made it possible to write an important part of the thesis in Germany, at the University of Speyer, and finally in a ready submitted for the defence.

I would like to express my deep respect and immense gratitude to professors Irakli Burduli and Andreas Knorr, who spared no time and energy and gave me maximum support during the doctoral program.

I. შესავალი

ა) კვლევის საგანი¹

სამეწარმეო საქმიანობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა, რაც განპირობებულია მისი პირდაპირი კავშირით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესთან, ვინაიდან მეწარმე სუბიექტების სიძლიერე სახელმწიფო ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარანტიაა. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკონომიკის მდგრადობის უზრუნველსაყოფად თავისთავად მნიშვნელოვანია სამართლიანი და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის შენარჩუნება მეწარმეთა შორის, რაც, ამასთანავე, საჭიროებს პასუხისმგებლობის საკითხების განსაზღვრას. დღეს მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის პასუხისმგებლობის კრიტერიუმებს, თუმცა ყველაზე სენსიტიური ნაწილი პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხთან მიმართებით მმართველი პირებისა და პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობაა.

„ზოგადად, კაპიტალური ტიპის საზოგადოება, კანონის განმარტებიდან გამომდინარე, მხოლოდ საკუთარი ქონებით აგებს პასუხს“².³ მისი პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე შემოფარგლულია კაპიტალის⁴ ოდენობით, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც კრედიტორთა მოთხოვნა შესაძლებელია წაყენებულ იქნეს პირადად პარტნიორთა მიმართ. ამ ინსტიტუტს „piercing the corporate veil“⁵ ანუ „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ ეწოდება, რაც კორპორაციის საფარველის გაჭოლვას ნიშნავს, როდესაც სასამართლო კრედიტორს აძლევს შესაძლებლობას, შეაღწიოს

¹ მაღრაძე, გ., მეწარმე სუბიექტის დირექტორის/ხელმძღვანელისა და პარტნიორის/აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხისათვის, თსუ სამართლის ჟურნალი N1, რედ. . ბურდული, 2017, 144-166.

² იქვე, 144-166.

³ ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2009, 268-269; ბურდული, ი., ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში), ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე, (დისერტაცია), 2008, 20-41.

⁴ კაპიტალში იგულისხმება როგორც მინიმალური საწესდებო კაპიტალი, ასევე საწარმოს მთლიანი ქონება, რაც მის ბალანსზეა რიცხული.

⁵ Bainbridge S.M., Abolishing LLC Veil Piercing, University of Illinois Law Review, University Press, Illinois, 2005, 79-80.

კორპორაციულ მოსახლარში, რათა იურიდიული პირის წევრებმა (პარტნიორი/აქციონერი) დააკმაყოფილონ კრედიტორთა მოთხოვნები.⁶

ხელმძღვანელ პირთა და ორგანოთა როლი კაპიტალური ტიპი საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი დიდი კაპიტალის მოზიდვის უნარის მქონე სააქციო საზოგადოებაში, განუზომელია. მათი შესაძლებლობები საზოგადოების ფარგლებში თითქმის შეუზღუდავია და სწორედ ეს განაპირობებს სამართლებრივ სივრცეში ხელმძღვანელ პირთა პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის რეგულირების საჭიროებას. მიუხედავად იმისა, რომ სამართალში იურიდიული პირი ნატურალურ ე.ი. ფიზიკურ პირთან არის გაიგივებული და მათ იდენტური უფლებები აქვთ მინიჭებული (გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, რაც უშალოდ ფიზიკური პირის ბუნებიდან გამომდინარეობს), ის (იურიდიული პირი) მაინც განსხვავებული წარმონაქმნია, ფიქციაა, რომელიც ისევ და ისევ ფიზიკურ პირთა გაერთიანებით იქმნება და ფუნქციონირებს, ეს უკანასკნელი კი სწორედ ხელმძღვანელი ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენს. შესაბამისად, ხელმძღვანელი პირის, როგორც ფიზიკური პირის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იურიდიულ პირთა და განსაკუთრებით კორპორაციათა მნიშვნელობა ქვეყნის, მსოფლიოს ეკონომიკაზე, მათ შორის მათი სოციალური დატვირთვიდან გამომდინარე.

ამგვარად, წინამდებარე კვლევის მიზანია ნათელი მოჰფინოს პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ ფორმებს როგორც წევრების მიმართ - გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის გამოყენების ჭრილში, ასევე ხელმძღვანელთა მიმართ პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების სხვადასხვა ინსტიტუტის მიმოხილვით, შედარებით-სამართლებრივი კვლევის საფუძველზე.

ბ) კვლევის აქტუალობა

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი პირადი პასუხისმგებლობის საკითხთან მიმართებით მოკრძალებულია. ეს ნორმები აშკარა დისპოზიციურობით ხასიათდება და ფართო დისკრეციას ანიჭებს სასამართლოს: ერთი მხრივ, „მეწარმეთა შესახებ“

6 ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2009, 236-247.

საქართველოს კანონი განამტკიცებს „პასუხისმგებლობის შეზღუდვის“ ინსტიტუტს და მიზნად ისახავს საკუთრების უფლებისა და კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველყოფას,⁷ პარტნიორთა ქონებისა და საწარმოს ქონებისაგან განცალკევების გზით; მეორე მხრივ, პირად პასუხისმგებლობას აკისრებს პარტნიორებს არაკეთილსინდისიერი ან დაუდევარი მოქმედების საფუძველზე, რითაც უბიძგებს პარტნიორს (რომელიც, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, საერთოდ არ მონაწილეობდეს საწარმოს ფუნქციონირებასა და ხელმძღვანელობაში) საწარმოს საქმიანობის მუდმივი კონტროლისა და მასში ჩართულობისაკენ, რაც უზრუნველყოფს მეწარმე სუბიექტის სიცოცხლისუნარიანობას⁸.

ზოგადად, პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საშიშროება არის პრევენციის მექანიზმი, საწარმომ ფუნქციონირების საკითხში არ გადაუხვიოს კეთილსინდისიერების პრინციპს და, ამასთან, არ იქნეს საწარმო გამოყენებული როგორც რაიმე ინსტრუმენტი მხოლოდ და მხოლოდ პირადი სარგებლის მისაღებად, ვინაიდან მეწარმე სუბიექტის მიზანი, როგორც ამას კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განმარტავს, არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, რაც თავისთავად გულისხმობს მოგების მიღებას, მართლზომიერების ფარგლებში მისივე არაერთჯერადობის, დამოუკიდებლობისა და ორგანიზებულობის გათვალისწინებით. მოგება არ უნდა იქნეს გაგებული კონკრეტული ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან პარტნიორის პირად სარგებლად, არამედ ეს არის უშუალოდ საწარმოს საქმიანობის შედეგი, რომელიც უნდა მოხმარდეს ისევ საწარმოს. მოგება განსხვავდება დივიდენდისაგან, რომელსაც პარტნიორები იღებენ პასივებისა და აქტივების შეჯერების საფუძველზე სუფთა მოგების სახით. როდესაც საზოგადოების „წმინდა ქონების“ ღირებულება - აქტივს გამოკლებული საზოგადოების ვალეები, კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ მინიმალურ საწესდებო კაპიტალს⁹ გადააჭარბებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება საზოგადოებაში

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/543, 4.

⁸ იქვე, 4.

⁹ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-6 პუნქტი განმარტავს საწესდებო კაპიტალის განსაზღვრებას: „საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „საწესდებო კაპიტალი“ შეიძლება გამოყენებული იყოს საზოგადოების დაფუძნებისას მისი კაპიტალის (შენატანების ჯამი), საზოგადოების საკუთარი კაპიტალის, საზოგადოების აქციების ნომინალური ღირებულების აქციების რაოდენობაზე ნამრავლის, საწარმოს პარტნიორთა ხმების სრული რაოდენობის მნიშვნელობით“.

შემოსული ქონება მოგების სახით უკვე წევრებზე გადანაწილდეს.¹⁰ მაშასადამე, პასუხისმგებლობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი არის მეწარმე სუბიექტის საქმიანობის ლეგიტიმური მიზანი და ხელმძღვანელი პირის მოტივი.

საკითხის აქტუალობაც განპირობებულია სწორედ იურიდიული პირის, როგორც ფენომენის სირთულით და მისი ფიზიკურ პირთან გათანაბრების პრინციპით, ვინაიდან ის ძლიან რთული სტრუქტურის მქონე წარმონაქმნია, რომელიც მართალია ემანსიპირებულია ფიზიკურ პირთან, თუმცა არა სრულიად. შეუძლებელია იურიდიული პირის მიმართ სამართლებრივ სივრცეში იმგვარი რეგულირების შემუშავება, რომელიც ზედმიწევნით დააკოპირებს ნატურალურ პირთა მიმართ მოქმედ დანაწესებს, რადგან მას არ აქვს უფლება-მოვალეობათა დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, ის მხოლოდ მასში არსებულ წევრთა მიერ იმართება (ხელმძღვანელობითი ორგანო, საერთო კრება). სწორედ იურიდიული პირის ასეთი კომპლექსური დიქტომია არის მიზეზი, განსაკუთრებით პარტნიორთა პირადი, გამჭოლი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლების ერთიანი, უნივერსალური მიდგომის ჩამოყალიბების სირთულისა, თუმცა რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი წილი სირთულისა სწორედ კაპიტალური ტიპის საზოგადოების მთავარი განმსაზღვრელი არსის - შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტზე მოდის.

გ) კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის ფარგლებში დასახული საკვლევი მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა ძირითადად შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა კვლევის საგანზე სწორი წარმოდგენის შექმნა მკითხველისათვის, ვინაიდან გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ინგლისის სამოსამართლო პრაქტიკის ქნმილებაა, რასაც მისი დახვეწა და განვითარება მოჰყვა აშშ-სა და გერმანიაში. აქედან გამომდინარე, ხსენებული ქვეყნების სამართლებრივი სისტემის მიმოხილვა, მათ შორის დოქტრინალური და ემპირიული კვლევის მეთოდები გამოყენებით, მნიშვნელოვნად ამდიდრებს ნაშრომს და ნათელს ჰფენს მის ფარგლებში განხილულ პრობლემებს.

¹⁰ ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, თბ., ტომი I, 2010, 152.

თუმცა შეუძლებელი იქნებოდა, ისეთი მნიშვნელოვანი დოქტრინების ძირეული გაანალიზება, როგორცაა გამჭოლი პასუხისმგებლობა და მმართველ პირთა პირადი პასუხისმგებლობის ინსტიტუტები, იურიდიული პირის, როგორც წარმონაქმნის არსის, მისი ჩამოყალიბებისა და დახვეწის, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ისტორიულ ჭრილში განხილვის გარეშე, რაც შესაძლებელი გახდა იურიდიული ისტორიის კვლევის მეთოდის გამოყენებით. ხოლო ამ პრობლემათა კრიტიკული და მათ შორის სოციალურ კონტექსტში გასააზრებლად, ნაშრომი დიდ წილად მოიცავს კრიტიკულ-სამართლებრივი და სოციო-სამართლებრივი კვლევის მეთოდების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, რამაც გამოჰყო საკვლევი საგნის არამხოლოდ დადებითი და უარყოფითი ასპექტები წმიდა სამართლებრივ ჭრილში, არამედ განხილულ დოქტრინათა იმპლემენტაციის შედეგები საზოგადოებაზე არსებული რეალობის უპირატესი გათვალისწინებით.

დ) კვლევის მიზანი

ნაშრომის მიზანი ხელმძღვანელისა და პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის ფორმების შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით თეორიული შესწავლა გახლავთ. საკითხი საკმაოდ პრობლემური და მნიშვნელოვანია მისი აქტუალურობიდან გამომდინარე. მსოფლიოს ეკონომიკა დღითიდღე განიცდის პროგრესს და გართულებული ეკონომიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე კანონმდებლის მხრიდან აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციის ჩამოყალიბება, რომელიც ადეკვატურად მოერგება ამ გართულებულ საერთაშორისო ტრანზაქციებს. მითუმეტეს, რომ პირადი პასუხისმგებლობის ფორმათა ტიპები სხვადასხვა ქვეყნის სამართალში დღითიდღე განიცდის დახვეწასა და ფორმირებას, შესაბამისად ამ მხრივ ნაციონალური კანონმდებლობის გამდიდრება, ფეხის აწყობა სწრაფად მიმდინარე პროცესებისათვის, საკანონმდებლო რეგულაციისა და სამართლო პრაქტიკის სიმწირის ფონზე, იქნებოდა ღირსეული შენატანი სამეწარმეო სამართალში. ამგავარად, ნაშრომის მიზანია იმ სამართლებრივი საფუძვლების თეორიულ-პრაქტიკული შესწავლა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს კაპიტალურ საზოგადოებათა უმნიშვნელოვანესი ელემენტის - შეზღუდული პასუხისმგებლობის მოშლა, ამავე მიზნით სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში ჩამოყალიბებული დოქტრინებისა და მათი იმპლემენტირების ადეკვატურობის დადგენა ეროვნულ პრაქტიკასა თუ

კანონმდებლობაში. ამასთან, კვლევა არ შემოიფარგლება მხოლოდ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინით და ნაწილობრივ მოიცავს ხელმძღვანელ პირთა პირადი პასუხისმგებლობის საფუძვლების შესაწავლასაც, ამ პირთა მნიშვნელოვანი გავლენის გამო საზოგადოებათა ცხოვრებასა და ფუნქციონირებაზე, მათ შორის კი მოიაზრება ის ხშირი შემთხვევა, როდესაც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმახორციელებელი და პარტნიორი/აქციონერი ერთიდაიგივე პირია.

ნაშრომი მოიცავს შვიდ დამოუკიდებელ თავს, სადაც შესავალის შემდგომ, მეორე თავში განხილულია შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება ისტორიულ პერსპექტივაში და მისი „აბსოლუტურობის“ საკითხი. მესამე თავში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის არსი, დოქტრინის ჩამოყალიბებიდან მოყოლებული გავრცელებული სამართლებრივი საფუძვლები იქნება განხილული გერმანიის, აშშ-სა და ქართული სამართლის ჭრილში. მეოთხე თავი კი გამჭოლი პასუხისმგებლობის აქტუალურ, თანამედროვე სამართლებრივ საფუძვლების განსაზღვრასა და გამოყოფას შეეცდება, მათ შორის კორპორაციულ ჯგუფებში. ხელმძღვანელ პირთა პირადი პასუხისმგებლობის სხვადასხვა გავრცელებული ფორმები და ინსტიტუტები თავმოყრილი იქნება მეხუთე თავში. მეექვსე თავი კი საქართველოში გატარებულ თუ მიმდინარე რეფორმის პერპექტივასა და ახალი მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში გასატარებელ ცვლილებებს შეეხება, ძირითადად ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის ნაწილში. ბოლოს კი მოცემული იქნება კვლევის შემაჯამებელი დასკვნა მეშვიდე თავის სახით.

II. შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი

1. შეზღუდული პასუხისმგებლობა: ისტორიული საწყისი და ეკონომიკური მნიშვნელობა

მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციულ სამართალს ხანგრძლივი ისტორია აქვს, შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი შედარებით ახალი მიღწევაა, რომელსაც დღეისობით მრავალი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს. ზოგადად კომერციულ ურთიერთობათა მოწესრიგება ჯერ კიდევ ჰამურაბის კოდექსით იწყება ჩვ.წ. მე-18 საუკუნეში. თუმცა ყველაზე დეტალური მოწესრიგებით გამოირჩეოდა და შემდეგ უკვე გახდა ბაზისი ევროპული სამართლისა - რომაული კანონი,

გაერთიანებებზე (*societas, ius societas*). გაიუსისა და იუსტინიანეს ინსტიტუტები, ისევე როგორც დიგესტები და იუსტინიანეს კოდექსი განსაზღვრულ თავებს უთმობდა გაერთიანებებს.¹¹ თანამედროვე საკოპორაციო სამართლის მეორე საფუძვლად მოიზრება გერმანიკული წესები და შუა საუკუნის ტრადიციები, რომელიც სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ უკვე განიცდიდა რომაულ გავლენას. ზოგადად, რომაული სამართლის რეცეფციამ გამოიწვია გერმანიკული და რომაული წესების აღრევა და შედეგად მიღებულია დღევანდელი თანამედროვე საკოპორაციო სამართალი, რომელიც რა თქმა უნდა კიდევ უფრო დაიხვეწა წლების განმავლობაში.¹²

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ისტორიული ანალოგი რომაულ სამართალში მოიპოვება. კერძოდ, *societas*¹³ და *societas publicanorum*, ორივე მათგანი წარმოადგენდა გაერთიანებას, რომელსაც შეეძლო ნებისმიერ სფეროში მოღვაწეობა და ამავედროულად, მისი ინვესტორები (დამფუძნებლები) სარგებლობდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტით. უფრო ზუსტად, *societas publicanorum*-ის წარმომადგენელი და აღმასრულებელი პირადად მთელი მისი ქონებით იყო პასუხისმგებელი, თუმცა იმდროინდელი ინვესტორი, ესეიგი ფულის გადამხდელი, რომელიც ფინანსებს დებდა საქმიანობაში პარალელურად უარს ამბობდა წევრობაზე სამართლებრივი თვალსზრისით. შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობა იზღუდებოდა მხოლოდ მის მიერ განხორციელებული „ინვესტიციის“ ფარგლებში. შეზღუდული პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობდა მფლობელობისა და კონტროლის განცალკევებადობაში. მართალია ეს არ არის ზუსტი გაგებით ის „შეზღუდული პასუხისმგებლობა“ რასაც დღეს საკოპორაციო სამართალი იცნობს, თუმცა გარკვეული ნაკვთების ჩამოყალიბების მცდელობა ნამდვილად იყო.¹⁴ სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ *societas publicanorum*-ს სახელმწიფო მნიშვნელობაც ჰქონდა¹⁵, რადგან ეს გაერთიანება გადასახადების აკრეფით იყო

¹¹ Zimmermann, R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996, 452.

¹² Fleckner, A., Company Law, online resources, 2009, <https://max-eup2012.mpipriv.de/index.php/Company_Law#2_Terminology>.

¹³ Zimmermann, R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996, 451-454.

¹⁴ Kuntz, T., Asset Partitioning, Limited Liability and Veil Piercing: Review Essay on Bainbridge/Henderson, Limited Liability, T.M.C. Asser Press, 2018, 441-443. (<https://link.springer.com/article/10.1007/s40804-018-0108-4>).

¹⁵ Malmendier, U., „Societas“, University of California, Berkeley, 2012.

დაკავებული, ის პრინციპში საჯარო ან კვაზი-საჯარო წარმონაქმნად შესაძლოა ჩაითვალოს, შესაბამისად მეტი ხელშეწყობა და „წახალისება“ ჰქონდა მმართველობისაგან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იმდროინდელი გაერთიანებები ძირეულად იყო დაკავშირებული კეთილსინდისიერების პრინციპის წინამორბედთანაც.¹⁶

ამავდროულად არსებობდა სხვა ფორმა, სადაც დაშვებული იყო პასუხისმგებლობის იზოლირება, აქ უფრო მეტი საერთო მოიძებნება თანამედროვე შეზღუდულ პასუხისმგებლობასთან. რომელ მოქალაქეს შეეძლო გადაეცა მონისათვის ან ოჯახის წევრისათვის მმართველობა გარკვეული მოცულობის ინვესტიციაზე. ამ წარმონაქმნს ერქვა *peculium*, რომელიც განცალკევებული იყო იმ პირის ქონებისაგან ვინც დააფუძნა ის და მისი პასუხისმგებლობა შეზღუდული იყო მხოლოდ იმ ინვესტიციის მოცულობით, რაც მოქალაქემ გადასცა ‘მმართველს’, ხოლო ე.წ. ინვესტიციის მმართველი თავისუფლად იღებდა გადაწყვეტილებას გაერთიანების მართვის პროცესში.

რომაული სამართლის პირშუა შედარებით დიდი ბიზნესს საქმიანობისათვის გათვლილი *nauticum fenus*, რომელიც სარისკო მოგზაურობებისთვის კაპიტალის მოზიდვას ემსახურებოდა.¹⁷ მას ასევე უწოდებდნენ “ზღვის სესხს”, ვინაიდან საქმე ეხებოდა გემზე ხანგრძლივ მოგზაურობას. კაპიტალის მომმარაგებელი მხარე პასუხისმგებელი იყო მხოლოდ დანაკარგებზე ზღვაში და იღებდა წინასწარ გაწერილ თანხას კაპიტალური ინვესტიციისთვის, ვიდრე წილიდან გამომდინარე მოგებას.

საერთაშორისო ნაოსნობის განვითარებამ შუა საუკუნეებიდან ბიძგი მისცა ახალი ფორმის ჩამოყალიბებას - *commenda*, რომელიც არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ ინოვაციას, არამედ იყო სხვადასხვა სოციალური სისტემისათვის განკუთვნილი ხელშეკრულების საერთო ფორმა, რომელიც ხელშეკრულებისვე შინაარსში განსაზღვრავდა ერთ-ერთი ინვესტორის შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმას. თუმცა უდავოდ უნდა აღინიშნოს მისი კავშირი და ლოგიკური გაგრძელება რომაული

¹⁶ Zimmermann, R., *The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition*, Oxford University Press, 1996, 454.

¹⁷ Bainbridge, S., Henderson, T. M., *Limited Liability, A Legal and Economic Analysis*, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 22.

nauticum fenus-სა და *peculium*-თან.¹⁸ Commenda ძალიან ჰგავდა დღევანდელ ამერიკულ შეზღუდულ ამხანაგობას (limited partmership) და ქართულ კომანდიტურ საზოგადოებას, ვინაიდან აქ სახეზე იყო ორი სახის პარტნიორი, ერთი - პასიური ინვესტორი, რომელიც ახდენდა კონტრიბუციას კაპიტალში, და ხელმძღვანელი პირი რომელიც შესაძლო კაპიტალში კონტრიბუციასთან ერთად, ასევე ახორციელებდა შენატანს პირადი შრომისა და გაერთიანების მართვის სახით,¹⁹ რაც როგორც წესი გულისმობდა მოგზაურობას ზღვაში. მოგების არსებობის შემთხვევაში კი ხდებოდა მისი განაწილება საკონტრაქტო პირობების შესაბამისად.²⁰

1.1. თანამედროვე ისტორია

შეზღუდული პასუხისმგებლობის არსი ოდითგანვე²¹ და ახლაც მდგომარეობს ინვესტორთა დაცვაში, მაშასადამე ინვესტორთა პირადი აქტივის იზოლირებაში მესამე, გარეშე პირთაგან.²² ინსტიტუტის ჩამოყალიბებამ, მრავალ ინვესტორს გაუჩინა სურვილი საქმიანობა ისეთ სფეროებში განეხორციელებინათ, რომელზეც მანამდე ისინი უარს იტყოდნენ ვინაიდან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, და სწორედ ამ უპირატესობამ ძალიან დიდი გასაქანი მისცა კაპიტალურის ბაზრისა და მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას.²³ თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში, პასუხისმგებლობის შეზღუდვა კორპორაციული პიროვნულობის განცალკევებიდან იწყება.²⁴ დღევანდელი დოქტრინალური რეალობა იძლევა მოცემულობას, როდესაც სახელმწიფო ლეგიტიმაციის, ე.ი. თანხმობის/ნებართვის შედეგად შეიქმნას სამართალსუბიექტი, იურიდიული ფიქცია,²⁵ რომელსაც კანონი ანიჭებს ხელოვნურ

¹⁸ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 23.

¹⁹ Pryor, J.H., The Origins of the Commenda Contract, The University of Chicago Press on behalf of the Medieval Academy of America, Vol. 52, No. 1, 1977, 5.

²⁰ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 24.

²¹ იქვე, 28.

²² Dignam, A., Canruh, D., Into Reverse: Redesigning Veil Piercing, Queen Mary Law Research, Paper No. 401, 2023, 23.

²³ Wormser, I.M., Disregard of the Corporate Fiction and Allied Corporation Problems, Baker, Voorhis and Company, New York, 1929, 3; Davies, P.L., Worthington, S., Principles of Modern Company Law, Thomson Reuters (Professionals) UK Limited, 2016, 191-192.

²⁴ Balouziyeh, J. M.B., A Legal Guide to United States Business Organizations, The Law of Partnerships, Corporations and Limited Liability Companies, Springer, Heidelberg, second edition, 2013, 100-101.

²⁵ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 5.

პიროვნულობას,²⁶ რაც თავის თავში მოიცავს სრულფასოვანი პირის²⁷ არსებობას ნებისმიერ სამართალ-ურთიერთობაში.²⁸ მას შეუძლია დადოს გარიგებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე, პასუხი აგოს დამოუკიდებლად, ფლობდეს ქონებას²⁹ და სხვა. ამ განცალკევებულობის გაცხადების ერთ-ერთი საწყისი და საფუძველი, და მასთან ერთად პირადი პასუხისმგებლობის ინტიტუტის - გამჭოლი პასუხისმგებლობის, თანამედროვეობაში ინგლისის სასამართლო გადაწყვეტილებაა, რომელიც 1897 წლით თარიღდება საქმეზე *Salomon v Salomon*³⁰, ხოლო მას შემდეგ დამატებით განმტკიცდა საქმეზე *Prest v Petrodel*³¹. განცალკევებული პიროვნულობა არ გულისმობს მხოლოდ გაერთიანების ხელოვნურ პიროვნულობასა და მაშასადამე განცალკევებულ სამართალსუბიექტად ყოფნას, აქ მთავარი მომენტი მდგომარეობს საზოგადოების განცალკევებაში მისივე წევრების, დამფუძნებლების, პარტნიორებისაგან და სხვა. ზემოთხსენებულ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ „კორპორაცია ეს არის განცალკევებული პიროვნულობის მქონე³² ხელოვნური წარმონაქმნი³³, დამოუკიდებელი მისი წევრებისაგან, რომელიც არ აგებს პასუხს მის წევრთა ვალეზზე და პირიქით, წევრები არ აგებენ პასუხს კომპანიის ვალდებულებებისათვის“.³⁴ განცალკევებული სამართლებრივი პიროვნულობის ზუსტ ბუნებაზე შეთანხმება მაინც ილუზიურია. იმისთვის რომ არსებობდეს კორპორაცია კანონი ითხოვს წესდების არსებობას, წესდება კი თავისთავად წარმოადგენს შეთანხმებას ერთი მხრივ სახელმწიფოს მხრიდან ნებართვის გაცემას არსებობისთვის და მეორე მხრივ, წარმონაქმნის თანხმობის გაცხადებას მოემსახუროს

²⁶ დეტალურად კორპორაციის პიროვნულობასა და ხელოვნურ წარმონაქმნს შორის დეფინიციაზე და მათ შორის განსხვავებაზე, იხ. Wormser, I.M., *Disregard of the Corporate Fiction and Allied Corporation Problems*, Baker, Voorhis and Company, New York, 1929, 6 და მომდ..

²⁷ თუმცა, რა თქმა უნდა, ის ვერასოდეს შეიძენს ბუნებითი, ფიზიკური პირის სრულფასოვან უფლებაუნარიანობას, მაგალითად, ისე ვერ შევა საქორწინო ურთიერთობაში, ვერ მისცემს ხმას არჩევნებზე და სხვა.

²⁸ Austin, R.P., Ramsey, I.M., *Ford's Principles of Corporations Law*, Butterworths, Australia, 2010, 115-116.

²⁹ Davies, P.L., Worthington, S., *Principles of Modern Company Law*, Thomson Reuters (Professionals) UK Limited, 2016, 35.

³⁰ საქმე სალომონი სალომონის წინააღმდეგ (*Salomon v Salomon* [1897], A.C. 22 HL.); ხელმისაწვდომია: <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/1896/1.html>, [12.07.2024].

³¹ საქმე პრესტი პეტროდელის წინააღმდეგ (*Prest v Petrodel* [2013], UKSC 34); ხელმისაწვდომია: <https://www.bailii.org/uk/cases/UKSC/2013/34.html>, [12.7.2024].

³² Wormser, I.M., *Private Corporations*, St. Paul, West Publishing Co., 1916, 26.

³³ Allen, W.T., Kraakman, R., *Commentaries and Cases on the Law of Business Organization*, Wolters Kluwer, USA, 2016, 77-78.

³⁴ Davies, P.L., Worthington, S., *Principles of Modern Company Law*, Thomson Reuters (Professionals) UK Limited, 2016, 29-32.

საჯარო ინტერესს.³⁵ მაშასადამე, იურიდიული პირი ეს არის “nexus of contracts”, შეთანხმებათა ქსელი, რომელიც ქმნის ერთიანობას, შესაბამისად სახეზეა პირთა და ქონების გაერთიანება.³⁶ აქედან უკვე გზა მიეცა შეზღუდული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებასაც,³⁷ ესეიგი როცა წევრთა პასუხისმგებლობა შეზღუდულია მათ მიერ განხორციელებული შენატანით. თუმცაღა ამ უკანავენელ მოსაზრებას მოწინააღმდეგენიც ჰყავს. კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას არა განცალკევებულ პიროვნულობას უკავშირებენ, არამედ სამეფო კარისა და სახელმწიფოთა პოლიტიკურ სურვილს.³⁸ როგორც ინვესტორის დაცვის მექანიზმი, შეზღუდული პასუხისმგებლობა გახდა საკორპორაციო სამართლის ქვაკუთხედი და დღეს კორპორაციათა, მათ შორის დახურული თუ საჯარო კორპორაციების რიცხვი ყველაზე მაღალია და ქვეყნის ეკონომიკურ დოვლათს ქმნის. ამერიკაში საწარმოთა 1/5 კორპორაციული ფორმითაა შექმნილი და მათი წვლილი მოგებაში მთლიანი ბიზნეს საქმიანობის 90%-ს წარმოადგენს.³⁹ სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი გახდა კორპორაციულ ფორმათა პოპულარულობის მიზეზი.

1.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზღვრები

მართალია შეზღუდული პასუხისმგებლობა გამორჩეული მიღწევაა,⁴⁰ რაც კაპიტალური ბაზრის ფუნდამენტადაც იქცა, თუმცა ის როდია შეუზღუდავი.⁴¹ ისევე როგორც ყველაფერს, ამ ინსტიტუტსაც ჰქონდა ფარგლები. ეს იყო კიდევაც თავის დროზე ზოგიერთი მეცნიერის საფიქრალი და შესაბამისად ისინი ეწინააღმდეგებოდნენ⁴² შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას, ვინაიდან შეზღუდულ პასუხისმგებლობაში

³⁵ Backer, L. C., *Comparative Corporate Law, Cases and Materials*, Carolina Academic Press, Durham, North Carolina, 2002, 324.

³⁶ იქვე, 384-386.

³⁷ Bainbridge, S. M., Henderson, M.T., *Limited Liability: A Legal and Economic Analysis*, Edward Edgar Publishing, Cheltenham, UK / Northampton, MA, USA, 2016, 9.

³⁸ Kuntz, T., *Asset Partitioning, Limited Liability and Veil Piercing: Review Essay on Bainbridge/Henderson, Limited Liability*, 2018, 445.

³⁹ Bainbridge, S., Henderson, T. M., *Limited Liability, A Legal and Economic Analysis*, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 13.

⁴⁰ Wormser, I.M., *Disregard of the Corporate Fiction and Allied Corporation Problems*, Baker, Voorhis and Company, New York, 1929, 2.

⁴¹ Bainbridge, S., Henderson, T. M., *Limited Liability, A Legal and Economic Analysis*, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 16.

⁴² Hansmann, H., Kraakman, R., *Toward Unlimited Shareholder Liability in Corporate Torts*, *The Yale Law Journal Company, Inc.*, vol. 100, N7, 1991, 1879-1934.

არის რიგი საფრთხეები რომელთა გათვალისწინება წინაწარ კანონმდებლის მიერ უბრალოდ წარმოუდგენელია, მითუმეტეს სწრაფად მზარდი ეკონომიკის პირობებში, სადაც დღითიდღე რთულდება ტრანზაქციათა ხასიათი. მათი ღელვა არ ყოფილა უსაფუძვლო, რადგან დროთა განმავლობაში პასუხისმგებლობის შეზღუდვამ მოიტანა მისი ბოროტად გამოყენების შემთხვევები. რა თქმა უნდა ინტიტუტის უპირატესობები ცალსახაა, სერიოზულად და კეთილსინდისიერად განწყობილი ინვესტორისათვის და ბიზნეს საქმიანობის განმახორციელებლისთვის, რომელიც კონკრეტულ მომსახურებას თუ პროდუქტს აწოდებს საზოგადოებას და ამასთან, აზღვევს პირად აქტივებს, მაშასადამე ამით სარგებლობს არა მხოლოდ ინვესტორი, არამედ ზოგადად საზოგადოების თითოეული წევრი, ვინაიდან როგორც უკვე აღინიშნა, რომ არა პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობა, შესაძლოა ის კონკრეტული საქმიანობა რომელიც დღეს მილიონობით ადამიანისთვის მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ყოველდღიურ კეთილდღეობასა თუ კომფორტს, არ შემდგარიყო, პერსონალური აქტივების დაკარგვის რისკის შიშით. მაგალითად, შესაძლოა განხილულ იქნეს ისეთი დიდი მოცულობის კორპორაციები, როგორიც არის რკინიგზის, მათ შორის ტრანსკონტინენტური სარკინიგზო ორგანიზაცია, რამდენიმე ათასი პარტნიორით, კრედიტორით და სხვა სტეიქჰოლდერებით.⁴³ მხოლოდ კორპორაციული ფორმის საშუალებით არის შესაძლებელი დამფუძნებლებისთვის წარმოუდგენელი მოცულობის კაპიტალი შექმნან, რათა დააფინანსონ მეორე ინდუსტრიული რევოლუციის წარმონაქმნები აქციათა, წილების გაყიდვით ფართო საზოგადოებისათვის შეთავაზებით, მოიზიდონ ინვესტორები, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი წვლილი კონტრიბუცია განახორციელონ კაპიტალში, ისე რომ არ დააყენონ პირადი აქტივები საფრთხის ქვეშ.⁴⁴ თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს, სადაც ე.წ. „ინვესტორთა“, დამფუძნებელთა გულწრფელი განზრახვა არ არის კონკრეტული საქმიანობის წარმართვა მოსახლეობისა და კომპანიის ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, არამედ აქ ის პირადი ინტერესის მატარებელია. პირადი ინტერესის არსებობა არ არის დანაშაული და კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში თუ ზოგადად კომერციული საზოგადოების წევრთა მიზანი მოგების მიღება და

⁴³ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 15.

⁴⁴ იქვე, 13.

შესაბამისად დივიდენდის განაწილება, თუმცა ეს პირადი ინტერესი არ უნდა იქცეს მიზნად დააზარალო საზოგადოება, კომპანია და მისი წევრები. სწორედ ამიტომ, შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტსაც ესაჭიროება გარკვეულ საზღვრებში მოქცევა და სწორედ ამ „წითელ ხაზს“ იქით არის გამჭოლი პასუხისმგებლობა.⁴⁵ თუ კი კორპორაციის წევრი გადაკვეთს ამ უჩინარ „წითელ ხაზს“, მას გააზრებული უნდა ჰქონდეს რომ მიყენებული ზიანისთვის ის პირადად, მთელი მისი ქონებით იქნება პასუხისმგებელი და რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა მას ვეღარ დაიცავს.⁴⁶ კორპორაციის განცალკევებული პიროვნულობის შექმნის მიზანი თავიდანვე ხომ სამართლიანობის⁴⁷ წახალისება იყო და არა მისი დამხობა.⁴⁸

1.3. შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის უპირატესობები

მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდულ პასუხისმგებლობას ჰყავს კრიტიკოსებიც, უნდა აღინიშნოს ამ ინსტიტუტიდან მომდინარე უპირატესობები კაპიტალურად მოწყობილი საზოგადოებისათვის. შეზღუდული პასუხისმგებლობა გულისხმობს პარტნიორთა/წევრთა პირადი ქონების, იქნება ეს სახლი საკუთრებაში, საპენსიო ფონდი, საყოფაცხოვრებო ნივთები თუ სხვა, ხელშეუხებლობას მესამე პირთათვის. ერთადერთი რაც შესაძლოა პარტნიორმა დაკარგოს ეს არის მის მიერ განხორციელებული კონტრიბუცია. თუმცაღა, აღნიშვნის ღირსია პროფესორ კრააკმანისა და ჰანსმანის⁴⁹ კრიტიკული მოსაზრება ინტიტუტთან დაკავშირებით. მათი აზრით, შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი უფრო აზარალებს საზოგადოებას და უკეთესი მექანიზმი შეუზღუდავი პასუხისმგებლობის დანერგვაა, მაშასადამე შეზღუდული პასუხისმგებლობის გაუქმებით. პასუხისმგებლობის შეზღუდვას თან სდევს პარტნიორთა მხრიდან ცალსახად რისკიან საქმიანობებში ინვესტირება, მაგალითად ისეთ ინდუსტრიებში როგორიც არის ნავთობი, საშიშ

⁴⁵ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 302-303.

⁴⁶ იქვე, 16-17.

⁴⁷ სამართლიანობის ცნება კორპორაციულ სამართალში იხ.: Anderson, H., Creditors Rights of Recovery: Economic Theory, Corporate Jurisprudence and the Role of Fairness, 2007, 3-6.

⁴⁸ Allen, N. B., Reverse Piercing of Corporate Veil: The Straightforward Path to Justice, St. Jones Law Review, Volume 85, Number 3, 2011, 1159.

⁴⁹ Hansmann, H., Kraakman, R., Toward Unlimited Shareholder Liability in Corporate Torts, The Yale Law Journal Company, Inc., vol. 100, N7, 1991, 1884-1892.

ქიმიურ ნივთიერებათა წარმოება,⁵⁰ რასაც არა ერთი სავალალო შედეგი გამოუწვევია საშიში ნარჩენების თავისუფალ სივრცეში გაფანტვის სახით. ასეთი სამქიანობის მონაწილენი, პირადი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად გადაზიდვის ხელშეკრულებას სხვა კომპანიასთან აფორმებდნენ, რაც მეტად იაფია და პასუხისმგებლობაც დაზღვეულია, ვინაიდან საშიშ ნივთიერებათა ღია სივრცეში გაფანტვისას პასუხისმგებლობა გადამზიდს ეკისრებოდა. აქედან გამომდინარე, პარტნიორები არც უსაფრთხო პირობების შექმნაში ხარჯავდნენ ფულს, არც პასუხისმგებლობის დაზღვევაში. არადა დელიქტით გამოწვეული ზიანი შესაძლოა ბევრად აღემატებოდეს კომპანიის საერთო აქტივს, რაც არ არის სამართლიანი დაზარალებულის მიმართ. ამ დროს, თუ ისინი აზღვევდნენ პასუხისმგებლობას, აზღვევდნენ მინიმალური პირობებით, რომელიც არ ფარავს გამოწვეული ზიანის ისეთ მასშტაბებს, როგორც კონკრეტულ საქმიანობას მოჰყვება შედეგად.⁵¹ ამგვარად, დელიქტით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში ზოგიერთი მეცნიერი ულიმიტო, შეუზღუდავ პასუხისმგებლობას ემხრობიან, განსაკუთრებით ისეთ დახურულ საზოგადოებაში, რომელსაც მხოლოდ ერთი წევრი ჰყავს, თუმცაღა ამავე წესს ავრცელებენ, როგორც მრავალწევრიან დახურულ კორპორაციაზე, ასევე ღია კორპორაციაზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი ამ მოსაზრებისა, არის გადახდისუუნარობის კანონის ჩანაწერი კრედიტორთა პრიორიტეტულობის წესის შესახებ, სადაც პირველ რიგში გარანტირებული კრედიტორების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს და მხოლოდ შემდგომ დელიქტით გამოწვეული ვალდებულების. ასეთ შემთხვევაში საზოგადოების აქტივი შესაძლოა არ იყოს საკმარისი უნებლიე კრედიტორთა დაკმაყოფილებისათვის, მართალია კანონის მიხედვით კორპორაციის ვალდებულება პირობითი დელიქტური ვალდებულებების მიმართ მისი ლიკვიდაციის შემდეგ ძალაში რჩება გარკვეული პერიოდით, თუმცა როდესაც საუბარია მომწამვლელ ნივთიერებათა ინდუსტრიაზე, მათი გაჟონვის შემდეგ რეალური ზიანის ფაქტი შესაძლოა წლების ან დეკადის შემდგომ დადგეს, როდესაც

⁵⁰ აქ მოიაზრება, როგორც აზბესტოსის მოპოვებითა და გადამუშავებით გამოწვეული ზიანი, ასევე ფარმაცევტული ინდუსტრიის, ქიმიური ქარხნების აფეთქებით ან ნავთობის ინსტალაციიდან გამოწვეული დელიქტები.

⁵¹ Witting, Ch. A., *Liability of Corporate Groups and Networks*, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 94-100, 103 და მომდ.

ხანდაზმულობის ვადა უკვე გასულია.⁵² ამ მხრივ სხვადასხვა ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ აზბესტოსის⁵³ დაავადებებზე, ვინაიდან აზბესტოსის მტკერით გამოწვეული დაავადებების დიაგნოზირება საკმაოდ რთულია, რადგან სიმპტომები თავს იჩენს საშუალოდ 20-დან 40 წლის პერიოდში.⁵⁴

შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პრინციპიც არ არის გარანტია, რომ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შეზღუდვა მოხდება, მითუმეტეს როდესაც საქმე ერთკაცა საზოგადოებას ეხება, მას მარტივად შეუძლია თავი გადახდისუუნაროდ გამოაცხადოს, გაასხვისოს ან გადააფორმოს პირადი აქტივები მოთხოვნის დადგომამდე. ანალოგიურად, მშობელ-შვილობილ კომპანიათა შემთხვევაში, მშობელ საზოგადოებას შეუძლია სხვა პატარა კომპანიაზე გადააფორმოს აქტივები. გარდა ამისა, შეუზღუდავი პასუხისმგებლობა შეამცირებს ინვესტიციათა განხორციელებას, განუსაზღვრელი რისკის სანაცვლოდ, მაშინ როდესაც შეზღუდული პასუხისმგებლობა მეტ სითამამეს აძლევს ინვესტორს რისკიანი ნაბიჯები გადადგას. ყველაფრის მიუხედავად, კომერციული საქმიანობა წარმოდგენილია რისკის გარეშე, თუმცა რისკი უნდა იყოს მაქსიმალურად წინასწარ დაანგარიშებული და გათვლილი.⁵⁵

საინტერესოა შეზღუდული პასუხისმგებლობა კრედიტორის პერსპექტივიდან. მაშინ როდესაც ინსტიტუტი პასუხისმგებლობას უზღუდავს პარტნიორს, ამავედროულად ინსტიტუტი ზღუდავს კრედიტორთა მოთხოვნასაც საზოგადოების აქტივების ფარგლებში. თუმცა თუ საზოგადოება წარმატებული აღმოჩნდა და განვითარდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა არ გაიზრდება, ის იმავე მოცულობის იქნება როგორც მანამდე იყო, მაგრამ იზრდება

⁵² Hansmann, H., Kraakman, R., Toward Unlimited Shareholder Liability in Corporate Torts, The Yale Law Journal Company, Inc., vol. 100, N7, 1991, 1884-1892.

⁵³ Asbestos - სითბოსადმი მდგრადი ბოჭკოვანი სილიკატური მინერალი, რომელიც შეიძლება ინტეგრირებულ იქნეს ქსოვილებში და გამოიყენება ცეცხლგამძლე და საიზოლაციო მასალებში, როგორიცაა სამუხრუჭე საყრდენები. მისი პუპულარულობა განპირობებულია მასალის სიმსუბუქით, გამძლეობით, მათ შორის ცეცხლგამძლეობით და მოქნილობით. მასალა გამოიყენება მრავალ კომერციულ სფეროში, როგორიც არის მშენებლობა (შენობები, სახურავები), საიზოლაციო პროდუქტებში, მანქანებსა და გემების მშენებლობაში და სხვ.. <[asbestos noun - Definition, pictures, pronunciation and usage notes | Oxford Advanced Learner's Dictionary at OxfordLearnersDictionaries.com](#)>, [12.07.2024].

⁵⁴ Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 104-105.

⁵⁵ Hansmann, H., Kraakman, R., Toward Unlimited Shareholder Liability in Corporate Torts, The Yale Law Journal Company, Inc., vol. 100, N7, 1991, 1886-1887.

უსაფრთხოება სამომავლო მოთხოვნის დაკმაყოფილების თვალსაზრისით. პარალელურად, ამავე სცენარის შემთხვევაში პარტნიორის დოვლათი იზრდება და ის მიიღებს ყველა იმ უპირატესობას რაც ბიზნეს საქმიანობის წარმატებულ განხორციელებას მოჰყვება, იქნება ეს დივიდენდი თუ კაპიტალში მისი წილის ფასის ზრდა.⁵⁶

შეზღუდული პასუხისმგებლობის თანმდევი მიღწევაა ინვესტიციათა ინიციატივის გაძლიერება საზოგადოების წევრების მხრიდან,⁵⁷ რომელთაც არ ჰქონიათ რაიმე სპეციალური ცოდნა ამა თუ იმ კონკრეტულ საქმიანობაში. ინსტიტუტი აძლიერებს წილთა თავისუფალ გასხვისებას ბაზარზე, მოკრძალებული ინვესტიციის განხორციელებასა და მრავალფეროვან კაპიტალს, აძლიერებს საჯარო უსაფრთხოების ბაზარს ივენსტორის თვალსაზრისით, რომელიც არ არის ვალდებული შეამოწმოს მისი თანაინვესტორის აქტივები (პერსონალიზირებული საზოგადოების შემთხვევაში საყურადღებოა), რაც თავისთავად ამცირებს მონიტორინგის ხარჯებსაც. შეზღუდული პასუხისმგებლობა და კორპორაციის განცალკევებული პიროვნულობა ერთად, საშუალებას იძლევა აქტივთა დაყოფა და განცალკევება მოხდეს ინვესტორსა და კომპანიას შორის.⁵⁸

თუმცა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გაჟღერებული, „შეზღუდული პასუხისმგებლობა“ ეს არ არის იმპერატივა, ეს კანონის დისპოზიციური ჩანაწერია, იმ გაგებით, რომ მას, ვისაც არ სურს ამ უპირატესობით სარგებლობა უბრალოდ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევა შეუძლია. თუმცა, დასათანხმებელი არ არის ზემოხსენებულ პროფესორთა მოსაზრება შეზღუდული პასუხისმგებლობის გაუქმებაზე და სანაცვლოდ, შეუზღუდავი პასუხისმგებლობის დანერგვა კომპანიათა სამართალში, რადგან ეს პირველ რიგში დამღუპველი იქნება არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ მსოფლიო ეკონომიკისა. არაერთხელ გაესვა ხაზი, დიდი კორპორაციების მნიშვნელობას ქვეყნის დოვლათის შექმნაში, სწორედ იმ კომპანიებისა, რომელთა პარტნიორები/აქციონერები სარგებლობენ შეზღუდული

⁵⁶ Davies, P.L., Worthington, S., Principles of Modern Company Law, Thomson Reuters (Professionals) UK Limited, 2016, 191.

⁵⁷ Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 74.

⁵⁸ Davies, P.L., Worthington, S., Principles of Modern Company Law, Thomson Reuters (Professionals) UK Limited, 2016, 194.

პასუხისმგებლობის უპირატესობით და ამ უკანასკნელის გარეშე ამ კომპანიათა უდიდესი ნაწილი არ იარსებებდა. შესაბამისად, არც მომავალში არ მოინდომებს ინვესტორი გაუთვალისწინებელ რისკზე, აქ საუბარია დიდი მოცულობის ინვესტიციებაზე რომელთაც ცალსახად ესაჭიროებათ რაიმე სახის გარანტია, რასაც სწორედ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა წარმოადგენს. 1911 წელს მის საჯარო გამოსვლაში კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ნიკოლას მურეიმ განაცხადა: „მე პასუხისმგებელი ვარ ჩემ სიტყვებზე, როდესაც ვამბობ, რომ ჩემი შეფასებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის ერთადერთი უდიდესი აღმოჩენა თანამედროვე დროებისა... ელექტროენერგია და ორთქლის მანქანა ბევრად ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მეტიც, ისინი კიდევ მეტად დაკარგავენ მნიშვნელობას მის გარეშე“⁵⁹.⁶⁰ ამგვარად, დაუშვებელი და გაუმართლებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის აკრძალვა კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში. თუმცა ეს არ ნიშნავს, პარტნიორთა მხრიდან ამ უპირატესობის ბოროტად გამოყენების გამართლებას და სწორედ ამ ბალანსის შესანარჩუნებლად, სასამართლო პრაქტიკაში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა მუშაობს.

1.4. პასუხისმგებლობის შეზღუდვა, როგორც საგამონაკლისო ღონისძიება?!

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა და თავისთავად კორპორაციული საფარველის ჩამოხსნა, საგამონაკლისო მექანიზმია⁶¹ და ის არ უნდა იქნეს გამოყენებული ნებისმიერი გადაცდომის შემთხვევაში, ვინაიდან ეს დააზიანებს საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ მასშტაბურ და გენიალურ მიგნებას - შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის სრულ არსს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღიკვეთოს ამ უპირატესობით ბოროტად სარგებლობაც. აქედან გამომდინარე, გადაცდომა უნდა იყოს ფუნდამენტური ხასიათის, რათა სასამართლომ

⁵⁹ Hackney, P. W., Benson, G.T., Shareholder Liability for Inadequate Capital, University of Pittsburg Law Review, 1982, 837, 841; Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 19; Wormser, I.M., Disregard of the Corporate Fiction and Allied Corporation Problems, Baker, Voorhis and Company, New York, 1929, 2.

⁶⁰ Wormser, I.M., Disregard of the Corporate Fiction and Allied Corporation Problems, Baker, Voorhis and Company, New York, 1929, 2; Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 2.

⁶¹ Allen, W.T., Kraakman, R., Commentaries and Cases on the Law of Business Organization, Wolters Kluwer, USA, 2016, 122.

მართებულად ჩათვალოს შეზღუდული პასუხისმგებლობის გვერძე გაწევა და პარტნიორთა „გაშიშვლება“ მესამე პირთა წინაშე. თანამედროვე სამართალშემოქმედება თუ პრაქტიკა, დღეს ვერ თანხმდება ასეთი მექანიზმის გამოყენების საერთო საფუძვლებზე, არ არსებობს ერთი უნიფიცირებული სტანდარტი, ისინი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თუმცა მათ შორის სხვაობები ასევე ქვეყნის შიგნითაც შეიძლება აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ, გამჭოლ პასუხისმგებლობას უწოდებენ ყველაზე ბუნდოვან, წინასწარ განუსაზღვრავ, სადავო⁶² და გარკვეულ წილად არასასურველ ინტიტუტს თითქმის ყველა ქვეყანაში.⁶³ მომდევნო თავები შეეცდება ჩამოაყალიბოს მიდგომები, სამართლებრივი საფუძვლები და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის დახმარებით გამოკვეთოს მთავარი ასპექტები გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრონისა.

III. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა შედარებით-სამართლებრივ პერსპექტივაში

2. პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის ზოგადი საკითხები შედარებით სამართლებრივ პერსპექტივაში

ნაშრომის მიზნებისთვის, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნების პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება, განსაკუთრებით ისეთი რთული ინსტიტუტის შესასწავლად, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის რღვევა, ან პარტნიორთა/აქციონერთა გამჭოლი პასუხისმგებლობა. წინამდებარე თავი მოიცავს შედარებითსამართლებრივ კვლევას ქართული, გერმანული და ამერიკული სისტემისა, რაც განპირობებულია არა მხოლოდ მათი მდიდარი გამოცდილების გასაზიარებლად, არამედ საქართველოს სახელმწიფოს მყარი სურვილით, გახდეს ევროატლანტიკური ოჯახის წევრი, რისთვისაც ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველოს მიერ მნიშვნელოვანი ვალდებულება იქნა აღებული - მოახდინოს

⁶² Richardson, M., The Helter Skelter Application of the Reverse Piercing Doctrine, 79 University of Cincinnati Law Review, 2011, 1607.

⁶³ Ventrone, M., Conac, P.H., Goto, G., Mock, S., Notari, M., Reisberg, A., Comparative Company Law, American Casebook Series, West Academic Publishing, 2015, 151. ასევე იხ.: Robert B. Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, Cornell Law Review, 1991, Peter B. Oh, Veil Piercing, Legal Studies Research Paper Series, Working Paper No. 2010-06, Pittsburgh, Pennsylvania, 2010, 85.

სამართლებრივი ბაზის დაახლოება ევროკავშირის რეგულაციებთან. ამ მიზნით, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გერმანული სამართლის მიდგომების შესწავლა განსახილველ საკითხთან მიმართებით, ხოლო ამერიკული “სკოლა”, რომელიც გამჭოლი პასუხისმგებლობის, და არა მხოლოდ, კუთხით იმაზე მეტად დაიხვეწა, ვიდრე იგივე ინგლისი, სადაც პირველად გაჟღერდა პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა, ღირებულ წვლილს შეიტანს ამ საკითხის ძირეულ კვლევაში.

იმის გამო, რომ წევრთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხი სადავო მოვლენაა მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს შორის, როგორც აღინიშნა, საერთო სტანდარტულ საფუძვლებზე შეთანხმება ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. რიგ შემთხვევაში სამართლებრივი საფუძველი შესაძლებელია უშუალოდ სამართლებრივ აქტში, უფრო ხშირ შემთხვევაში კი პრეცედენტულ სამართალში იქნეს მოძიებული.

2.1. ქართული სამართლის მიხედვით⁶⁴

პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, რომელსაც კანონი პირდაპირ ითვალისწინებს, – ეს არის შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენება, კეთილსინდისიერებისა და ერთგულების პრინციპის დარღვევა, რასაც ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 148-ე და 176-ე მუხლები. ამ მუხლებში ნათლად ჩანს მათი აბსტრაქტული ხასიათიც, ვინაიდან უფლების ბოროტად გამოყენება როგორც კეთილსინდისიერება, ასევე ერთგულება აბსტრაქტული ცნებებია და მათ სამართლებრივ დეფინიციას, რა თქმა უნდა, კანონი არ მოიცავს. შესაბამისად, მტკიცება იმის შესახებ, იყო თუ არა ესა თუ ის ქმედება კეთილსინდისიერების პრინციპის ან ერთგულების პრინციპის ფარგლებში მხარეთა შეჯიბრებითობა, მათი პოზიციების დასაბუთება, საბოლოო ჯამში, სასამართლოს პრეროგატივა ხდება, რამაც, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, განსხვავებული და ურთიერთსასაპირისპირო შედეგებიც კი მოიტანოს.

2.1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება

ზოგადად, უფლების ბოროტად გამოყენებას სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, უპირველეს ყოვლისა, კრძალავს საქართველოს სამოქალაქო

⁶⁴ წინამდებარე თავი გამოქვეყნებულია თსუ-ს სამართლის ჟურნალში: მაღრაძე, გ., მეწარმე სუბიექტის დირექტორის/ხელმძღვანელისა და პარტნიორის/აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხისათვის, თსუ სამართლის ჟურნალი N1, რედ. . ბურდული, 2017, 144-166.

კოდექსის 115-ე მუხლი⁶⁵ და აწესებს სამოქალაქო უფლების მართლზომიერი გამოყენების ვალდებულებას. ნორმის განმარტებიდან ნათლად ირკვევა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს უფლების „ბოროტად გამოყენებად“. აქ საუბარია უფლების ისეთ განხორციელებაზე, რომლის მიზანია მარტოოდენ სხვისთვის ზიანის მიყენება. მაშასადამე, პირმა (ფიზიკური, იურიდიული) კანონით მინიჭებული უფლება უნდა განახორციელოს ისე, რომ ამით ზიანი არ მიაღგეს სხვას. მათ გააზრებული უნდა ჰქონდეთ, რომ, როგორც სამართალურთიერთობის უფლებაუნარიან და ქმედუნარიან სუბიექტებს აქვთ უფლებები, ასევე აკისრიათ გარკვეული კანონით განსაზღვრული მოვალეობები, რაც, პირველ რიგში, სხვისი უფლებებისადმი პატივისცემასა და განსაკუთრებულ გულისხმიერებას გულისხმობს.

მეწარმეთა კანონი კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს ანიჭებს უფლებას, მეწარმე სუბიექტის დაარსების შემთხვევაში, ისარგებლონ შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიით, თუმცა ეს არ გულისხმობს მათი მხრიდან თვითნებური და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებას. მითუმეტეს, როდესაც ეს მოქმედებები მიმართულია უშუალოდ საწარმოსათვის ზიანის მოტანისაკენ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი პირად პასუხისმგებლობას აკისრებს პარტნიორებს, თუ ისინი ბოროტად ისარგებლებენ იმ პრივილეგიით, რომელიც კანონის თანახმად აქვთ მათ მინიჭებული, როგორც იურიდიულ პირს. შეზღუდული პასუხისმგებლობა თავისი არსით მიმართულია ბიზნესის განვითარებისაკენ, ინვესტორთა წახალისებისაკენ, რათა მათ ჰქონდეთ მოტივაცია, დააბანდონ ფინანსური სახსრები გარკვეულ საქმიანობაში და შესაძლო არარენტაბელური საქმიანობის შემთხვევაში დაზღვეულნი იყვნენ პირადი ქონებით პასუხისმგებლობისაგან. თუმცა, მოგეხსენებათ, იმ პირობებში, როდესაც ბიზნესი და, ზოგადად, ეკონომიკური ურთიერთობები რთულდება, პრობლემების წინაშე მდგარი საწარმოს პარტნიორმა შესაძლოა, საუკეთესო ვარიანტად ჩათვალოს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ისეთი გამოყენება, რომ თავიდან აიცილოს პერსონალური პასუხისმგებლობა და ამგვარად დაიცვას პირადი ქონება. კანონი ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, იმისთვის, რომ შენარჩუნებული

⁶⁵ სსკ-ის 115-ე მუხლი: „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს სხვას“.

იყოს სამართლიანი ბიზნესგარემო და ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე პირთა შორის ბალანსი, დაცულ იქნეს კეთილსინდისიერი კრედიტორის უფლებები, უკრძალავს პარტნიორს უფლების ბოროტად გამოყენებას.

იმისთვის, რომ პარტნიორის მიერ განხორციელებული მოქმედება ჩაითვალოს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებად, მნიშვნელოვანია, სახეზე იყოს ა) ფაქტი, რომ პარტნიორმა ისარგებლა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიით – მაშასადამე, მან განახორციელა მოქმედება „პრივილეგიის“ არსებობის პირობებში და წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამ მოქმედებას არ განახორციელებდა, ბ) საწარმოსათვის ზიანის მიყენების ფაქტი და გ) მიზეზშედეგობრივი კავშირი – რომ, სწორედ პარტნიორის მოქმედებამ მიაყენა საწარმოს ზიანი. ვინაიდან ბოროტად გამოყენება თავის თავში ნეგატიურ შედეგს გულისხმობს, აშკარაა, რომ სახეზე უნდა იყოს ზიანი, ხოლო ამ ზიანის გამომწვევი უშუალოდ პარტნიორის მოქმედება უნდა იყოს, რომელიც მან ჩაიდინა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მას მინიჭებული ჰქონდა შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგია.

რაც შეეხება ზიანის არსებობას, საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტავს ზიანის ცნებას და მისი არსებობის მნიშვნელობას⁶⁶ პერსონალური გადაწყვეტილების დაკისრებისათვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზიანის ფაქტი უნდა იყოს ცალსახა და სასამართლო, სამოქალაქო კოდექსის დანაწესიდან გამომდინარე, აუცილებლად მიიჩნევს ოთხი წინაპირობის არსებობას: ა) ზიანი, ბ) მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელმაც გამოიწვია ეს ზიანი, გ) ბრალი და დ) მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის. ამ ოთხი პირობიდან ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს პასუხისმგებლობის დაკისრებას.

2.1.2. პარტნიორის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

პარტნიორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებით არ გამოიხატება. კანონი ითვალისწინებს ასევე, პარტნიორის, როგორც პარტნიორთა

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-899-1185-09.

კრებაზე დომინანტური მდგომარეობის მქონე აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის, მათივე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

პარტნიორის დომინანტური მდგომარეობა დაკავშირებულია პარტნიორის ხმის უფლებასთან, რომელიც ცალსახად პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მქონეა. მაშასადამე, უმრავლესობაში მყოფი პარტნიორ(ებ)ი/აქციონერ(ებ)ი, რომელ(ებ)იც თავისი ხმის უფლებას გამოიყენებს მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ამით ზიანი მიაღდგეს საწარმოს, პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრების მხრივ აქ მნიშვნელობა არ აქვს, განზრახ ჩაიდინა თუ გაუფრთხილებლობით, მთავარი ზიანის ფაქტია. ამასთანავე, ბოროტად გამოყენება უშუალო კავშირშია ერთგულების მოვალეობასთან საზოგადოებისა და თანაპარტნიორების მიმართ.⁶⁷ აქ საუბარია აქციონერის ისეთ ქმედებაზე, რომელიც ზიანს აყენებს საწარმოს და მის პარტნიორებს, რასაც ერთგული და კეთილსინდისიერი პარტნიორი, მიუხედავად მისი წილობრივი მონაწილეობისა, არ განახორციელებს. გერმანული სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფი სწორედ ამ საკითხს ეხება, რომელიც ადგენს: თუკი პარტნიორი იმგვარად იმოქმედებს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებზე, რომ ამით ზიანი მიაღგება საზოგადოებას, მაშინ დანარჩენ პარტნიორებს აქვთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ამოსავალი წერტილი ამ შემთხვევაში არის ფაქტი, რომ პარტნიორის ქმედება, როგორც წესი, გამოიწვევს უნდა იყოს პირადი სარგებლის მიღებისაკენ, რითიც იგი ზიანს აყენებს საზოგადოებას.^{68,69}

ზემოხსენებული საფუძვლით გამჭოლ პასუხისმგებლობაზე საუბარი რთულია. მაშასადამე, საუბარია მესამე პირის მიერ წაყენებულ მოთხოვნაზე უშუალოდ პარტნიორის მიმართ, რომელმაც ზიანი მიაყენა საზოგადოებას, თუმცა არაპირდაპირი ზიანი მიაღგა მესამე პირსაც. სამეწარმეო კანონი არ ითვალისწინებს ასეთ შემთხვევაში მესამე პირის უფლებას, მოთხოვნა წაუყენოს პარტნიორს, თუმცა მესამე პირის მიერ საზოგადოების მიმართ წაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილების

⁶⁷ ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2009, 266-267.

⁶⁸ მაღრაძე, გ., მეწარმე სუბიექტის დირექტორის/ხელმძღვანელისა და პარტნიორის/აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხისათვის, თსუ სამართლის ჟურნალი N1, რედ. . ბურდული, 2017, 144-166.

⁶⁹ ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2009, 268-269.

საშუალება, რეგრესიის წესით, მაინც გახდება პარტნიორის პირადი ქონება. შესაბამისად, ნორმათა ზოგადი განმარტების საფუძველზე სამართლიანობის დასადგენად შესაძლოა, სასამართლომ მაინც გამოიყენოს „veil piercing“-ის⁷⁰ ინსტიტუტი ასეთ დავაში.

2.2. გერმანული კანონმდებლობა

ზოგადად, მსგავსება კორპორაციული მოწყობისა გერმანულ სააქციო საზოგადოებისა (AG) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში (GmbH) ძალიან მკაფიოა ქართულ მოწესრიგებასთან მიმართებით, რაც არ არის გასაკვირი, ნაციონალურ კანონმდებლობაზე გერმანული გავლენის პირობებში.⁷¹ რა თქმა უნდა არის მრავლად განსხვავებები, მაგალითად კორპორაციული მართვის ჭრილში, მინიმალური საწესდებო კაპიტალი,⁷² და სხვა, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს ნაშრომის შესწავლის საგანს. რაც უდავოდ მნიშვნელოვანია საკითხისთვის, ეს არის კორპორაციული ფორმა, განცალკევებული პიროვნულობა, შეზღუდული პასუხისმგებლობა და სხვა, მათ შორის პარტნიორთა პასუხისმგებლობის ფორმა და მოცულობა. როგორც წესი პარტნიორები (აქციონერები) არ აგებენ პასუხს კომპანიის ვალდებულებებისათვის, ცალსახად, თუმცა ეს არ წარმოადგენს აბსოლუტურ რეალობას და არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც.⁷³

2.2.1. სახელშეკრულებო ურთიერთობა

მაგალითად, პარტნიორთა პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებებისათვის შესაძლოა დადგეს სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე. ეს უკანაკნელი მართალია ნაკლებად აქტუალურია საქართველოს რეალობისთვის, თუმცა გერმანულ კორპორაციულ სამართალსა და სასამართლო პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათი. წევრის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა მოიცავს ისეთ სიტუაციას, როდესაც პარტნიორი სახელშეკრულებო-სამართლებრივ ურთიერთობაში შევიდა კომპანიის კრედიტორთან ან თავად კომპანიასთან და იკისრა ვალდებულება შეასრულოს

⁷⁰ იქვე, 254.

⁷¹ Thomas, R.S., Giudici, P., Varottil, U., Research Handbook on Shareholder Inspection Rights, A comparative Perspective, Edward Edgar Publishing, Cheltenham, UK, 2023, 121-122, 130-131.

⁷² Gesellschaft mit beschränkter Haftung (GmbH), 20.04.1892, §5 (1); AG §7, < https://www.gesetze-im-internet.de/englisch_gmbhg/, [12.07.2024].

⁷³ Rosengarten, J., Burmeister, F., Klein, M., Mergers and Acquisitions in Germany, C.H. BECK, München, 2016, 20.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედება. ასეთია, გარანტიის გაცემა კრედიტორზე, ან კომპანიისათვის „hard” comfort letter“-ის⁷⁴ გაცემა, რომლითაც კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს კონკრეტული ვალი.⁷⁵ ასეთ შემთხვევაში პარტნიორის ვალდებულებაა დაფაროს ვალი თუ დადგა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოება და პარტნიორის ვალდებულება წარმოიშობა როგორც კომპანიის ასევე კრედიტორის მიმართ, თუმცა არა ერთდროულად, აქ გადამწყვეტი ფაქტორია კონტრაქტორის იდენტიფიცირება, თუ ვინ წარმოადგენს ხელშეკრულების მეორე მხარეს, მასვე ექნება მოთხოვნის უფლება პარტნიორის მიმართ.⁷⁶

2.2.2. საკმარისი კაპიტალის ცნება და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობის საკითხი

კაპიტალის შენარჩუნების პრინციპი⁷⁷ კიდევ ერთი სამართლებრივი საფუძველია პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებისა. გერმანული კანონი შპს-ს შესახებ განსაზღვრავს შესაბამის პარაგრაფებში კაპიტალის შენარჩუნების პრინციპს⁷⁸. ზემოთხსენებული პრინციპის დარღვევას აქვს ადგილი თუ კომპანიის აქტივი იმაზე ნაკლებია ვიდრე რეგისტრირებული იყო. აქ არ არის მნიშვნელოვანი კანონით გათვალისწინებული მინიმალური კაპიტალი, არამედ უშუალოდ რეგისტრირებულ კაპიტალზეა საუბარი, რომელიც რა თქმა უნდა ვერ იქნება საკონმდებლო მინიმუმზე ნაკლები. პარტნიორთა პასუხისმგებლობის საკითხი დგება, როდესაც ტრანზქციათა მოცულობა, არ არის აქტივთა შესაბამისი, ესეიგი, არ შეესაბამება „arms’s length“-ს⁷⁹, არ არის შესაბამისი კომპანიის უნარისა შესარულოს ვალდებულება.⁸⁰ მაგალითად, თუ კომპანიისგან გარკვეული ფინანსური სარგებლის მიღება განხორციელდა პარტნიორთა სასარგებლოდ, და პარტნიორს არ აქვს საშუალება გადაუხადოს

⁷⁴ ტერმინი გერმანული საკორპორაციო სამართლის ნაყოფია და გულისხმობს, კონკრეტული, გამორჩეული, წინასწარ შეთანხმებული ვალის გადახდას პარტნიორის მიერ.

⁷⁵ Rosengarten, J., Burmeister, F., Klein, M., Mergers and Acquisitions in Germany, C.H. BECK, München, 2016, 21.

⁷⁶ Wirth, G, Arnorl, M., Morshauser, R., Car, S., Greene, M., “Corporate Law in Germany”, C.H. BECK, München, 2017, 23.

⁷⁷ Roth, G. H, Kindler, P., The Spirit of Corporate Law, Core Principles of Corporate Law in Continental Europe, C.H. Beck, Munich, 2013, 32-33.

⁷⁸ გერმანიის კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ, Gesellschaft mit beschränkter Haftung (GmbH) §30-31.

⁷⁹ როდესაც აღებულ ვალდებულებათა მოცულობა აჭარბებს აქტივს და პარტნიორმა იცის ან უნდა სცოდნოდა, რომ კომპანია ვერ გაუმკლავდებოდა მსგავსი ვალდებულების აღებას.

⁸⁰ Roth, G. H, Kindler, P., The Spirit of Corporate Law, Core Principles of Corporate Law in Continental Europe, C.H. Beck, Munich, 2013, 34-35.

კომპანიას, მაშინ ყველა დანარჩენი პარტნიორია პასუხისმგებელი დააბრუნოს იმდენი რამდენიც გაიცა, რათა კომპანიამ შეძლოს ვალების გასტუმრება კრედიტორთა წინაშე. სს-ის მომწესრიგებელი კანონის 60-ე პარაგრაფის⁸¹ მიხედვით, ზოგადად აქციონერზე შესაძლოა მხოლოდ საბალანსო მოგების გაცემა, რაც იმთავითვე კაპიტალის შენარჩუნებისა და დაცვისკენ არის მიმართული.⁸² თუმცა, თუ სარგებელი მაინც გაიცა ამ წესის საწინააღმდეგოდ, ასეთ შემთხვევაში აქციონერები ვალდებული არიან უკან დააბრუნონ მიღებული კაპიტალის შენარჩუნებისათვის. მაშასადამე, პასუხისმგებლობის პერსონალური ხასიათია სახეზე, თუმცა კომპანიის მიმართ. ასეთ შემთხვევაში კომპანიაზე უფლება მოთხოვნისა, ხოლო მესამე პირის ერთადერთი შესაძლებლობაა, მოსთხოვოს კომპანიას შესაბამისი ფინანსური რესურსის პარტნიორებისაგან ამოღება.⁸³

ქვეკაპიტალიზაცია ზოგადად გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლად წლების განმავლობაში განიხილებოდა. როდესაც პარტნიორის მხრიდან კაპიტალის შენარჩუნების ვალდებულება ირღვევა და ამ უკანაკნელმა გამოიწვია საზოგადოების აქტივთა ვარდნა რეგისტრირებულ კაპიტალზე ქვემოთ. კაპიტალის შენარჩუნების ორი სახის დარღვევა შესაზლოა გამოიყოს, ერთი ეს არის „ნომინალური“ ქვეკაპიტალიზაცია, რაც გულისხმობს კაპიტალის საკანონმდებლო მინიმუმზე შენარჩუნების შეუძლებლობას, და მეორე, „მატერიალური“ ქვეკაპიტალიზაცია (*materielle Interkapitalisierung*), როდესაც საზოგადოების კაპიტალი იმაზე ნაკლებია ვიდრე მის მიერ აღებულ ვალდებულებათა ჯამური მოცულობა.⁸⁴ თუმცა რაც არ უნდა საინტერესო იყოს, ბოლო დორინდელი სასამართლო პრაქტიკა არ თვლის ქვეკაპიტალიზაციას გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოსაყენებლად საკმარის საფუძვლად, რადგან კაპიტალის შენარჩუნების ვალდებულება პარტნიორებს აქვთ ერთმანეთის და კომპანიის მიმართ, ამგვარად შეუძლებელია დაირღვას კრედიტორთა მიმართ ვალდებულება, რომელიც არ არსებობს. მოკლედ, პარტნიორთა პირადი

⁸¹ AktienGesellschaft (AktG), 06.09.1965, §60, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_aktg/>, [12.07.2024].

⁸² ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ., სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალიზაციის სამართლებრივი რეგულირება, მერიდიანი, თბილისი, 2023, 123-124.

⁸³ Wirth, G, Arnorl, M., Morshauser, R., Car, S., Greene, M., „Corporate Law in Germany”, C.H. BECK, München, 2017, 24.

⁸⁴ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 262.

პასუხისმგებლობა დგება, მაგრამ დგება კომპანიის მიმართ, საზოგადოებას წარმოეშობა მოთხოვნა ზიანის ანაზღურების უშუალოდ პარტნიორის პერსონალური ქონებიდან. გარდა ამისა, თუ სასამართლოს მიზანი უშუალოდ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებაა, აუცილებლად ხდება ქვეკაპიტალიზაციის სხვა სამართლებრივ მიზანთან კომბინირება. ამგვარად, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, სადაც გამჭოლი პასუხისმგებლობა დაეკისრა პარტნიორს AG-სა თუ GmbH-ში მხოლოდ ქვეკაპიტალიზაციის საფუძველით.

კიდევ ერთი, ე.წ. კვაზი-გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგომა შესაძლოა მოხდეს, როდესაც მაკონტროლებელი პარტნიორის მიერ განზრაც არის გამოწვეული ქვეკაპიტალიზაცია რისკების ექტერნალიზაციისა და კრედიტორტა საზიანოდ. ასეთ შემთხვევაში, იურისტები იყენებენ დელიქტის ნორმებს, კერძოდ 826-ე პარაგრაფს⁸⁵, რათა შეძლონ გამჭოლი პასუხისმგებლობის გავრცელება მსგავს საქმეებზე.⁸⁶

2.2.3. სხვა საფუძველები და სასამართლო პრაქტიკის მიდგომა

პასუხისმგებლობის დაკისრების მრავალფეროვანი საფუძველების მოძიება შეიძლება გერმანულ საკორპორაციო პრაქტიკასა თუ საკანონმდებლო სივრცეში. შესაძლოა ეს იყოს კანონისმიერი საფუძველი ან მოსამართლის შექმნილი წესი. საყურადღებო მაინც პრაქტიკოსთა მიდგომები და განმარტებანია, რადგან სწორედ პრეცედენტული სამართლის შედეგია ისეთ საფუძველთა არსებობა, როგორიც არის მაგალითად, აქტივთა აღრევა ან „გამანადგურებელი ჩარევა“ და სხვა⁸⁷. აქედან გამონაკლის წარმოადგენს შემდეგი განსახილველი საფუძველი, რომელიც ასევე სცდება კორპორაციულ ფორმათა სპეციალურ კანონთა სივრცეს და გადახდისუუნარობის სამართალში გადადის. ასეთია, პარტნიორთა პასუხისმგებლობის საკითხი გადახდისუუნარობის სამართლის მიხედვით.

⁸⁵ Bürgerliches Gesetzbuch (BGB), §826, < https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p4233>, [12.07.2024].

⁸⁶ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 263.

⁸⁷ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 260.

გადახდისუუნარობის დადგომის თავიდან ასაცილებლად, პარტნიორებს შესაძლებლობა აქვთ სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი: 1. მათ შეუძლიათ შეიტანონ დამატებითი/ახალი აქტივები, 2. მოახდინონ კომპანიის ლიკვიდაცია ან 3. მიმართონ კომპანიის მენეჯმენტს გადახდისუუნარობის საქმის დაწყების მოთხოვნით. გარდა ბოლო ორი შესაძლებლობისა, სადაც ფაქტიურად ფარხმალს ყრის პარტნიორთა კრება, ერთადერთი იმედი კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის გასაგრძელებლად ეს არის ახალი აქტივების შეტანა. იშვიათი არაა, როდესაც ამას დამატებით აღებული სესხების მეშვეობით უზრუნველყოფენ პარტნიორები, თუმცა უნდა აღინიშნოს ბანკების თავშეკავებულობა გასცენ სესხი ისეთ კომპანიებზე, რომელთაც სუსტი კაპიტალიზირება, მაშასადამე მცირე აქტივი აქვთ, განსაკუთრებით ეს ეხება იმ კომპანიებს, რომელთაც არ აქვთ დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალი დაფუძნებისთვის.⁸⁸ ასეთ შემთხვევაში ბანკები ძირითადად პერსონალურ გარანტიას⁸⁹ ითხოვენ პარტნიორებისგან,⁹⁰ ანდა ფორმდება სინდიკატურული ხელშეკრულება, რომლის მხარეც ერთდროულად რამდენიმე ბანკია და ისინი შეთანხმების საფუძველზე სესხის კატეგორიებად დანაწილებას ახდენენ („Senior“ „Junior“).⁹¹ მსგავსი შეთანხმება ფაქტობრივად აუქმებს შეზღუდული პასუხისმგებლობის უპირატესობას კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, თუმცა ნების ავტონომიიდან გამომდინარე მხარეებს შეუძლია შეთანხმდნენ მსგავს შინაარსზე. მეტიც, შეზღუდული პასუხისმგებლობა არ არის კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნა, მხარეებს შეუძლიათ უბრალოდ არ აირჩიონ მსგავსი უპირატესობის მქონე ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა.⁹² აქვე გასათვალისწინებელია გერმანიის გადახდისუუნარობის კოდექსის მიდგომა ასეთი პარტნიორების მიმართ. კერძოდ, კოდექსის 39-ე პარაფრაფი განსაზღვრავს კრედიტორთა რიგითობას, და მოიაზრებს პარტნიორს, რომელიც თავისივე კომპანიის კრედიტორია სხვა კრედიტორების

⁸⁸ Roth, G. H, Kindler, P., The Spirit of Corporate Law, Core Principles of Corporate Law in Continental Europe, C.H. Beck, Munich, 2013, 40.

⁸⁹ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 14.

⁹⁰ ერთ-ერთი გამორჩეული სასამართლო პრაქტიკა დირექტორის ფიდუციურ მოვლებებზე გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატისგან, თუმცა ამასთანავე მოიცავს ზუსტ ფაქტებს კრედიტორის მხრიდან პარტნიორისაგან გარანტიის მოთხოვნის თაობაზე. საქმე შპს რეგალ ჰასტიנגსი გულივერის წინააღმდეგ (Regal Hastings Ltd v Gulliver [1942] 1 All E.R. 378 HL).

⁹¹ Davies, P.L., Worthington, S., Principles of Modern Company Law, Thomson Reuters (Professionals) UK Limited, 2016, 1075-1076.

⁹² იქვე.195.

მიმართ სუბორდინაციულად, ე.ი. ასეთი პარტნიორ-კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილდება ბოლოს, გათვალისწინებულია რა, რომ ასეთი პარტნიორი კაპიტალის მინიმუმ 10%-ის მფლობელია.⁹³ გამონაკლის სიტუაციას წარმოადგენს, როდესაც საქმე რესტრუქტურიზაციას ეხება.⁹⁴

სამოსამართლო სამართლის ქმნილებაა არაერთხელ ნახსენები „გამანადგურებელი ჩარევა“ – „annihilating interference“⁹⁵, რომელიც ასევე ცნობილია „კომპანიის ეკონომიკური ბაზისის განადგურებით“⁹⁶. კომპანიას შეუძლია პირადად მოსთხოვოს პარტნიორს პასუხისმგებლობა თუ ის განზარბ გამოიყენებს მის ძალაუფლებას კომპანიის აქტივებისაგან და შესაძლებლობებისაგან დასაცარიელებლად.⁹⁷ თუმცა აუცილებელია განზარბვასთან ერთად, სახეზე იყოს რეალური ზიანი და ეს არ არის ჩეულბრივი ზიანის მოთხოვნა, არამედ გამანადგურებელი, მაშასადამე გადახდისუნარობის გამოწვევა. წინაღმდეგ შემთხვევაში ზემოხსენებული საფუძველი ვერ გახდება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ეს წესი ვრცელდება არა მხოლოდ მოქმედ, სამუშაო პროცესში მყოფ კომპანიებზე, არამედ მოქმედებს ლიკვიდაციის ფაზაში არსებულ კომპანიებზეც. მსგავს საქმეზე გერმანიის ფედერალური სასამართლოს დასაბუთებაში მითითებულია საკანონმდებლო საფუძველზე, რომელიც დელიქტურ სამართალთზე ამისამართებს^{98,99} კერძოდ განზარბვა და ცნობიერება, ე.ი. ცოდნა პარტნიორისა, რომ მისი ამ ქმედებით საფრთხე შეექმნება კომპანიის ეკონომიკურ არსებობას.¹⁰⁰ მართალია აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები არაა იოლი დასადგენი, მაგრამ არც სასამართლოები აკმაყოფილებენ

⁹³ Insolvency Code, section 39, para. 1 (5), paras. 4, 5. <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_inso/englisch_inso.html>, [12.07.2024].

⁹⁴ იქვე, 24.

⁹⁵ Hofmann, K., Wang, J., Tan, CH.-H., “Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspective”, 2019, 177.

⁹⁶ “Destruction of Economic basis of the Company”, *ob.* Wirth, G, Arnorl, M., Morshauser, R., Car, S., Greene, M., “Corporate Law in Germany”, 2017, 24.

⁹⁷ Wirth, G, Arnorl, M., Morshauser, R., Car, S., Greene, M., “Corporate Law in Germany”, C.H. BECK, München, 2017, 24.

⁹⁸ Bürgerliches Gesetzbuch (BGB), §826, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p4233>, [12.07.2024].

⁹⁹ Wirth, G, Arnorl, M., Morshauser, R., Car, S., Greene, M., “Corporate Law in Germany”, C.H. BECK, München, 2017, 213.

¹⁰⁰ საქმე ბრემერ ვულკანი, The Federal Supreme Court of Germany, BGH, case “Bremer Vulkan”, [2001], BGH NJW 2001, 3622 (“Bremer Vulkan”); BGH ZIP 2002, 1578 (“KBV”), Urteil des II. Zivilsenats vom 17.9.2001 – II ZR 178/99.

მსგავს მოთხოვნას იოლად, ვინაიდან ჯერ კიდევ ბუნდოვანი და არასრულია ზუსტი შეზღუდვები ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრებისა.

გერმანულ ლიტერატურაში ხშირად ახსენებენ აქტივების აღრევასა და ქვეკაპიტალიზაციას, როგორც პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს, თუმცა ამ კუთხით მიდგომა არაერთგვაროვანია. მიმდინარე პრაქტიკამ შეცვალა ზოგიერთი მიდგომა ამ ინტიტუტებთან მიმართებით, რაზეც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება მსჯელობა მოცემული. აქ კი, შესავალის სახით მოკლედ განიმარტება საფუძველთა არსი. აქტივთა აღრევის სპეციფიკა, რომელსაც გერმანიაში „*Vermögensvermischung*“-ს უწოდებენ, მდგომარეობს აქტივთა ბუნდოვან გადანაწილებაში, ესეიგი როდესაც აქტივთა კონკრეტული განაწილება დაუდგენელია, შეუძლებელია მათი გამოყოფა კომპანიასა და პარტნიორს შორის,¹⁰¹ იქნება ეს კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერებით თუ ფიზიკურად მათი გამოყოფით. აქტივთა აღრევის საკითხი ვერასოდეს დადგება მარტივი ტრანზაქციებით, რომელსაც პარტნიორსა და კომპანიას შორის აქვს ადგილი და პრაქტიკაშიც იშვიათია შემთხვევები, როდესაც პასუხისმგებლობის საფუძველად აქტივთა აღრევა მიეთითება. თუმცადა, როდესაც უკვე შეუძლებელია აქტივთა ერთმანეთისაგან განსხვავება და დადგენა თუ ვის საკუთრებაშია ისინი, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დადგება ცალსახად პარტნიორის მიმართ. გარდა ამისა, განსახვავებით ქვეკაპიტალიზაციისა, აქ პასუხისმგებლობა პირდაპირ კრედიტორთა წინაშე დგება, რაც გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთ ძლიერ საფუძველს ქმნის.

რაც შეეხება კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობას, იგივე „*Sphaerenvermischung*“, მთავარი იდეა აქ არის ფორმალობათა ისეთი იგნორირება, როდესაც მესამე პირი, კრედიტორი შედის შეცდომაში, იქნება ეს ხელშკრულების მხარის იდენტიფიცირება, თუ შიდა ფორმალობათა, როგორც არის საერთო კრების, ანგარიშების ჩანაწერების ან სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის არ ქონა ან არასრულყოფილად მომზადება.

¹⁰¹ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 260-261.

2.3. ამერიკის შეერთებული შტატები - დელავერის შტატი

ა) რატომ დელავერის შტატი?

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა კომპლექსურობით გამოირჩევა, რაც ხშირად ადგილობრივ მეცნიერთა კრიტიკისა და ცინიზმის თემაც გამხდარა.¹⁰² იერარქიული თვალსაზრისით შტატების კანონი ასე გამოიყურება¹⁰³:

- ამერიკის კონსტიტუცია
- კონგრესის მიერ მიღებული კანონები
- ფედერალური წარმომადგენლობების მიერ გამოქვეყნებული წესები
- შტატის კონსტიტუცია
- შტატის საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული კანონი
- შტატის წარმომადგენლობის მიერ გამოქვეყნებული წესები
- ქალაქის/რაიონის წესდებები (ქალაქის/რაიონის „კონსტიტუცია“)
- ადგილობრივი კანონები და განკარგულებები
- ადგილობრივი წარმომადგენლობის მიერ გამოქვეყნებული წესები¹⁰⁴

საკორპორაციო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები მოიძებნება როგორც ფედერალურ კანონში, ასევე შტატებისა, თუმცა ფედერალური კანონი განსაზღვრავს ზოგადი ხასიათის ნორმებს, რომელთა დისპოზიციურობა საშუალებას აძლევს შტატების საკანონმდებლო ორგანოს ინდივიდუალური მოწესრიგება შეიმუშაოს. აქედან გამომდინარე დისერტაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შტატების სამართალს აქვს, ვინაიდან ის მეტი სიზუსტით ხასიათდება. მასშტაბიდან გამომდინარე შეუძლებელია 50-ვე ფედერალური შტატის ნორმატიული მასალის მიმოხილვა, ამიტომ წინამდებარე ნაშრომისთვის აირჩა დელავერის შტატის საკორპორაციო სამართლის კანონმდებლობა და რამდენიმე სხვა შტატისა, დელავერის შტატის პრაქტიკასთან შედარებითი ანალიზის მიზნებისათვის და განსაკუთრებული პრეცედენტული სამართლის განსახილველად.

¹⁰² Bonfield, L., American Law and the American Legal System in a Nutshell, West Academic Publishing, USA, 2021, 7-10.

¹⁰³ Farnsworth, A. E., The Introduction to the Legal System of the United States, 3rd edition, Oceana Publications Inc, New York, 1997, 61-64.

¹⁰⁴ Davies, M., An Introduction to the Structure and Sources of American Law, (https://www.nyc.gov/html/conflicts/downloads/pdf2/municipal_ethics_laws_ny_state/introduction_to_american_law.pdf)

დელავერის შტატის არჩევის მთავარი განმაპირობებელი მისი პოპულარულობაა მთლიანად აშშ-ში. კერძოდ, კორპორაციათა უმრავლესობა სწორედ დელავერის შტატშია დაფუძნებული,¹⁰⁵ რაც განპირობებულია კარგად განვითარებული ბიზნეს სამართლის სისტემით,¹⁰⁶ ბიზნესზე ორიენტირებული სასამართლოსა და კანონმდებლობით¹⁰⁷. ამიტომ, დამფუძნებლები ხშირად ირჩევენ ამ შტატს, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა კონკრეტულ კორპორაციას სათაო ოფისი ან შენობა უშუალოდ დელავერის ტერიტორიაზე. რეალობა ასეთია, 50%-მეტი საჯარო (ღია) კორპორაციებისა და ასევე 60% „Fortune 500“¹⁰⁸ საწრმოებისა დაფუძნებულია დელავერის შტატში. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკულ კანონმდებლობას არ აქვს შეზღუდვა დაფუძნების ადგილთან დაკავშირებით.¹⁰⁹ მაგალითად, პირებს ილინოისიდან, რომელთაც არასოდეს არანაირი კავშირი არ ჰქონიათ დელავერის შტატთან, შეუძლიათ დააფუძნონ კომპანია სწორედ ამ უკანაკნელში, რაც გულისმობს დელავერის შტატის რეგულაციების გავრცელებას ამ კონკრეტულ კორპორაციაზე. სწორედ ამიტომ ხშირად არის საუბარი დელავერის დომინირებაზე და დემოკრატიის პრინციპების უგულვებელყოფაზე. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკის კომპანიათა დიდი უმრავლესობა, და განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას დიდ და ღია კორპორაციებს, რომელთა დომინირება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე ცალსახად მასშტაბურია, დაფუძნებულია დელავერის შტატში და ეს უკანაკნელი არ გულისმობს მხოლოდ კომპანიასა და მის წევრებზე კორპორაციული მმართველობის გავრცელებას. დელავერის კანონი ვრცელდება ასევე ყველა მონაწილეზე ვინც რაიმე სახით მაინც არის დაკავშირებული კორპორაციასთან, დაწყებული პარტნიორიდან, დასრულებული რიგითი თანამშრომლით. ყველაზე დიდი კორპორაცია, Walmart-ი, რომელიც დელავერის შტატშია დაფუძნებული ასაქმებს დელავერის სრულ მოსახლეობაზე 50%-ზე მეტს. ისინი სხვადასხვა ლოკაციაზე, სხვადასხვა შტატში

¹⁰⁵ Reimann, M., Zimmermann, R., *The Oxford Handbook of Comparative Company Law*, New York, 2006, 1167.

¹⁰⁶ Bonfield, L., *American Law and the American Legal System in a Nutshell*, West Academic Publishing, USA, 2021, 234.

¹⁰⁷ Bendremer, F.J., *Delaware LLCs and Corporate Veil Piercing: Limited Liability has its Limitations*, *Fordham Journal of Corporate and Financial Law*, Vol. 10, Issue 2, 2005, 387. ხელმისაწვდომია (<https://ir.lawnet.fordham.edu/jcfl/vol10/iss2/4>).

¹⁰⁸ ამერიკის ყველაზე დიდი კომპანიების სია შემოსავლების მიხედვით. (<https://fortune.com/ranking/fortune500/>)

¹⁰⁹ *Freedom of Incorporation*; Ventrizzo, M., Conac, P.H., Goto, G., Mock, S., Notari, M., Reisberg, A., *Comparative Company Law*, *American Casebook Series*, West Academic Publishing, 2015, 40.

ცხოვრობენ, მაგრამ თუ დელავერის საკონომდებლო ორგანო გადაწყვეტს ცვლილებების შეტანას კორპორაციათა მმართველობის საკითხებში, ეს შეიძლება არა მხოლოდ აქციონერთა პრობლემა არამედ დასაქმებულის, მაგალითად მისისიპის შტატის Walmart-ის მოლარეს პრობლემაც გახდეს. ამ დროს, არცერთ მათგანს არ აქვს უფლება გავლენა მოახდინოს საკონომდებლო ორგანოს დაკომპლექტებაზე, რადგან ისინი არ არიან დელავერის შტატის მოქალაქეები და მათი საცხოვრებელი ადგილიც განსხვავებულია.¹¹⁰ ამ პათოსით არის გაჯერებული დელავერის დომინირების „არადემოკრატიულობა“, რაც ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორის კენტ გრინფილდის მოსაზრებით, უნდა აღმოიფხვრას კომპანიათა დაფუძნების ადგილის არჩევის გამკაცრებით, კერძოდ პარტნიორთა უმრავლესობის საცხოვრებელი ადგილი, ან დასაქმებულთა უმრავლესობის საცხოვრებელი ადგილი და სხვა. თუმცა ეს პოზიცია არაა გასაზიარებელი, ვინაიდან დემოკრატიის ამოსავალი წერტილი სწორედ მოქალაქეთა თავისუფალი ნების გამოვლენაში გამოიხატება სხვათა უფლებების შელახვის გარეშე. დელავერის შტატის არჩევა დაფუძნებისთვის განპირობებულია მისი ლიბერალური მიდგომით და დაფუძნების გამარტივებული პროცედურებით, რაც პირებს აძლევს შეადგენლობას ნაკლები დანახარჯით და ნაკლებ დროში მოახდინონ ინკორპორირება და საქმიანობის დაწყება. აქედან გამომდინარე დასაფიქრებელია, თუ რამდენად ირღვევა დემოკრატიულობის პრინციპი ფართო საზოგადოებისათვის თავისუფალი არჩევანის მიცემით.¹¹¹

ბ) გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის შესავალი

მაშასადამე, დელავერის შტატის არჩევა შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მიზნით, როგორც უკვე განიმარტა, მოხდა ამ შტატის პოპულარულობიდან გამომდინარე კორპორაციათა დაფუძნების მიმართულებით, რაზეც თავისთავად სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. როგორც სხვა მართლწესრიგი, დელავერის შტატის მოწესრიგების მიხედვით კორპორაციულად ორგანიზებული სუბიექტის პარტნიორთა (აქციონერთა) პასუხისმგებლობა შეზღუდულია მათ მიერ

¹¹⁰ Greenfield, K., The Failure of Corporate Law, Fundamental Flaws and Progressive Possibilities, the University of Chicago Press, 2006, 107-109.

¹¹¹ განსხვავებული მოსაზრება იხილეთ: Greenfield, K., The Failure of Corporate Law, Fundamental Flaws and Progressive Possibilities, the University of Chicago Press, 2006.

განხორციელებული კონტრიბუციით (შენატანით).¹¹² შეზღუდული პასუხისმგებლობა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ტრადიციული ქვაკუთხედია, იქნება ეს საერთო სამართლის სისტემის საკორპორაციო სამართალი თუ ანგლო-საქსური სამართლის.¹¹³ კორპორაციის მთავარ არსს, კორპორაციული იურისპრუდენციის საფუძველს, წარმოადგენს კორპორაციის განცალკევებული სამართალ-სუბიექტობა,¹¹⁴ რომელიც ზღუდავს კრედიტორთა უფლებას კორპორაციულ აქტივებზე.¹¹⁵ მიუხედავად ამისა, მსოფლიოს თითქმის ყველა სამართლის სისტემა უშვებს შესაძლებლობას კრედიტორთათვის ხელმისაწვდომი გახადოს პარტნიორთა პირადი სიმდიდრე გარკვეულ შემთხვევებში¹¹⁶. თუმცა ადვილია სათქმელად, აღნიშნული წესი და მისგან გამონაკლისები ყველა იურიდიქციისთვის თავის ტკივილს წარმოადგენს. მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, სადაც ფედერალურმა სისტემამ, შტატებს გადააბარა როგორც კორპორაციათა რეგულაციის შემუშავება, ასევე კონკრეტულ საფუძველთა განსაზღვრა თუ რა შემთხვევაში უნდა იქნეს კორპორაციული საფარველის გაჭოლვა გამოყენებული.¹¹⁷ ამ დოქტრინის მიმართ კრიტიკა დღემდე არ წყდება მისი არაზუსტი, წინსწარ განუსაზღვრელი საფუძვლების გამო.¹¹⁸ გარდა ამისა, გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება მაღალი დონით დისკრეციულია,¹¹⁹ რადგან რეალურად შტატების (და არა მხოლოდ აშშ-ში, ევროპის და მსოფლიოს სხვადასხვა იურიდიქცია განსხვავებულად უდგება საფუძვლების განსაზღვრის საკითხს, რა თქმა უნდა არსებობს საერთო მახასიათებლებიც, თუმცა აქ მნიშვნელოვანია ზუსტი სამართლებრივი საფუძვლების

¹¹² Backer, L. C., *Comparative Corporate Law, Cases and Materials*, Carolina Academic Press, Durham, North Carolina, 2002, 981.

¹¹³ Blumberg, Ph. I., "Limited Liability and Corporate Groups", კონექტიკუტის უნივერსიტეტი, სამართლის სკოლა, 1986, 575.

¹¹⁴ Thompson R.B., *Piercing the Corporate Veil: An Empirical Study*, Cornell Law Review, 1991, 1039.

¹¹⁵ Backer, L. C., *Comparative Corporate Law, Cases and Materials*, Carolina Academic Press, Durham, North Carolina, 2002, 990.

¹¹⁶ Roth, G. H, Kindler, P., *The Spirit of Corporate Law, Core Principles of Corporate Law in Continental Europe*, C.H. Beck, Munich, 2013, 67.

¹¹⁷ Backer, L. C., *Comparative Corporate Law, Cases and Materials*, Carolina Academic Press, Durham, North Carolina, 2002, 981.

¹¹⁸ Thompson R.B., *Piercing the Corporate Veil: An Empirical Study*, Cornell Law Review, 1991, 1036-37; Bainbridge, S., Henderson, T. M., *Limited Liability, A Legal and Economic Analysis*, Edward Elgar publishing, UK, USA, 2016, 279-280; Blumberg, Ph. I., *The Law of Corporate Groups: Procedural Law*, Connecticut University Law Review, 1983, 3.

¹¹⁹ Wormser, M., *Piercing the Veil of Corporate Entity*, Columbia Law Review, vol.12, N6, 498-499.

ჩამოყალიბება, რადგან საკორპორაციო სამართალს¹²⁰ და ზოგადად, „იურისპრუდენციას არ უყვარს მეტაფორები“¹²¹)¹²² მიხედვით განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა და მაშასადამე განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლები გვხვდება.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, პარტნიორები პირადად აგებდნენ პასუხს საზოგადოების ვალებისათვის ნებისმიერი არსებული ვალებისთვის, მაგრამ მალევე, ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ და მწარმოებელ საზოგადოებათა მზარდი მოთხოვნით, 1850-იან წლებში ამერიკაში შეზღუდული პასუხისმგებლობის მყარად განმტკიცება გახდა შესაძლებელი, რის შემდეგაც, ეტაპობრივად, შტატების თითქმის ყველა კორპორაციულ-სამართლებრივ დოკუმენტში მოხდა მისი იმპლემენტაცია.¹²³ სწორედ აქედან იწყება პრობლემა, ვინაიდან თავდაპირველი მიზანი კორპორაციული საფარველისა იყო ინდივიდუალური პარტნიორების დაცვა საზოგადოების ვალებისაგან, რაც დღემდე ბუნდოვან საკითხად რჩება კიდევ ერთხელ საფუძვლების კუთხით, თუმცა საქმე კიდევ უფრო გართულდა, როდესაც კორპორაციას მიეცა აქციების/წილების ფლობის უფლება სხვა კომპანიებში,¹²⁴ შვილობილ კომპანიებში (subsidiary)¹²⁵. დღევანდელ რეალობაში კონგლომერატები, კორპორაციული ჯგუფები მართავენ მსოფლიო ეკონომიკას¹²⁶ და გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებაც ძირითადად დახურულ კორპორაციებსა¹²⁷ და კორპორაციულ ჯგუფებშია დამახასიათებელი¹²⁸, ვინაიდან სწორედ ასეთი ფორმის წრმონაქმნებშია შესაძლებელი იმ ძირითად საფუძველთა (გადაცდომათა, როგორიც არის კონტროლი, დომინირება

¹²⁰ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 279.

¹²¹ მოსამართლე კარდოზო (justice Cardozo), „Metaphors in law are to be narrowly watched, for starting as devices to liberate thought, they end often by enslaving it.“. იხ. ბერკი სარკინიგზო კომპანია მესამე ავენიუს წინააღმდეგ, (Berkey v. Third Avenue Railway Co. [1926] 44 N.Y. 84, 155 N.E. 58).

¹²² Thompson, R.B., Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, Cornell Law review, 1991, 1036.

¹²³ Blumberg, Ph.I., Limited Liability and Corporate Groups, კონექტიკუტის უნივერსიტეტი, სამართლის სკოლა, 1986, 591-595.

¹²⁴ მე-19 საუკუნის მიწურულს.

¹²⁵ Blumberg, P.I., The Transformation of Modern Corporation Law: The Law of Corporate Groups, კონექტიკუტის უნივერსიტეტი, სამართლის სკოლა, 2005, 607.

¹²⁶ Blumberg, P.I., The Transformation of Modern Corporation Law: The Law of Corporate Groups, კონექტიკუტის უნივერსიტეტი, სამართლის სკოლა, 2005, 605.

¹²⁷ Bainbridge S.M., Abolishing LLC Veil Piercing, University of Illinois Law Review, University Press, Illinois, 2005, 5.

¹²⁸ Peter B. Oh, Veil Piercing, Legal Studies Research Paper Series, Working Paper No. 2010-06, Pittsburgh, Pennsylvania, 2010, 91-92.

და სხვა) აღმოჩენა, რაც გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების გავრცელებული შემთხვევაა.¹²⁹ კომპიუტერული „კვლევის“ შედეგად დადგინდა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის აღნიშვნა 1600-ზე მეტ საქმეში მოხდა, მაშინ როდესაც, იმავე კვლევით „კორპორაციული დაუფლება“ ან „მტრული დაუფლება“, მხოლოდ 300-მდე საქმეში იქნა მოძიებული.¹³⁰ აქედან გამომდინარე, ცალსახაა და ჯერ კიდევ აქტუალური შეზღუდული პასუხისმგებლობისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის „ჭიდილი“ სხვადასხვა ქვეყნისათვის, რომელნიც ცდილობენ შეინარჩუნონ ყველასათვის მისაღები ბალანსი ერთი მხრივ პარტნიორის და მეორე მხრივ კრედიტორის, იქნება ეს სახელშეკრულებო თუ დელიქტი, ინტერესს შორის.¹³¹

ამერიკის სასამართლო პრაქტიკა დღემდე განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველს უთითებს შტატების მიხედვით გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას. მეტიც, რიგ შემთხვევაში, მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის და კონკრეტული სამართლებრივი საფუძველის მითითებით, ერთ შემთხვევაში საკმარისად მიიჩნევა სასამართლო გაჭოლოს საფარველი, ხოლო მეორე შემთხვევაში არა. ზოგადი კვლევის შედეგად გამოჩნდა რომ ძირითადი საფუძვლები ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრებისას არის: (1) თაღლითობა, (2) კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა, (3) ქვეკაპიტალიზაცია, (4) აქტივთა აღრევა და (5) პირდაპირი კონტროლი. თუმცა აქაც არ არის დაზუსტებული, საკმარისი იქნება თუ არა მხოლოდ ერთი ფაქტორის არსებობა პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში რამდენიმე ფაქტორი ერთად იყრის თავს და შესაბამისად, სასამართლოც მარტივად ახდენს ამ ფაქტორთა იდენტიფიცირებას პასუხისმგებლობის გაჭოლვის მიზნით. თუმცა კითხვა დღემდე გაუცემელია, საკმარისი იქნება თუ არა მხოლოდ ერთი ფაქტორის არსებობა და თუ კი

¹²⁹ Bonfield, L., *American Law and the American Legal System in a Nutshell*, West Academic Publishing, USA, 2021, 241-242.

¹³⁰ Backer, L. C., *Comparative Corporate Law, Cases and Materials*, Carolina Academic Press, Durham, North Carolina, 2002, 991. ასევე იხ. იქვე, 53-ე სქოლიო.

¹³¹ Backer, L. C., *Comparative Corporate Law, Cases and Materials*, Carolina Academic Press, Durham, North Carolina, 2002, 981.

რა მოცულობით?!¹³² ამერიკული სასამართლოები ე.წ. „ქიმწმენდის სია“-ს¹³³ მიჰყვებიან და ამგვარად ცდილობენ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. სია მოიცავს კრიტერიუმთა ჩამონათვალს, რომელთა არსებობაც დიდი ალბათობით განაპირობებს პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის დადგომას:

- მკვეთრი ქვეკაპიტალიზაცია
- კოპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა
- დივიდენდის გადაუხდელობა
- კორპორაციული ფონდის გამოშინვა
- კორპორაციული ოფიცრებისა და დირექტორთა გაუმართავი მუშაობა
- კორპორაციული ჩანაწერების არ არსებობა

გამჭოლი პასუხისმგებლობა „საგამონაკლისო საშუალებაა“¹³⁴ სამართლიანობის აღსადგენად.¹³⁵ შეზღუდული პასუხისმგებლობის უპირატესობა არ არის შეუზღუდავი, არამედ მიბმულია გარკვეულ მოთხოვნებთან, მინიმუმ თეორიულად, და პასუხობს ან უნდა პასუხობდეს პარტნიორისა და კრედიტორის ინტერესს რომელიც დაკავშირებულია კომპანიის კრედიტუნარიანობასა და არსებობასთან, რამაც უნდა უზრუნველყოს პარტნიორთა მხრიდან სპეკულაციების პრევენცია. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება დაკავშირებული უნდა იყოს ფუნდამენტური კონსესუსის დარღვევასთან, მხოლოდ ასეთ ვითარებაში გაჭოლავს სასამართლო კორპორაციულ საფარველს.¹³⁶ ამასთან, ფართოდ მიღებული წესია კორპორაციული საფარველის გაჭოლვა მხოლოდ მაშინ, როდესაც კორპორაციული (იურიდიული) ფიქციის შენარჩუნება უსამართლო შედეგს გამოიწვევს.¹³⁷

¹³² Backer, L. C., Comparative Corporate Law, Cases and Materials, Carolina Academic Press, Durham, North Carolina, 2002, 997.

¹³³ Laundry List, ob. Haar, B., Piercing the Corporate Veil and Shareholders' Product and Environmental Liability in American Law as Remedies for Capital Market Failures – New Developments and Implications for European and German Law after “Centros”, European Business Organization Law Review 2, 2000, 327-328.

¹³⁴ “Exceptional remedy” - მოსამართლე ღირსეულად სამპტონის მიერ გამოყენებული ტერმინი საქმეზე პრესტი პეტროდელის წინააღმდეგ.

¹³⁵ Allen, W.T., Kraakman, R., Commentaries and Cases on the Law of Business Organization, Wolters Kluwer, USA, 2016, 122.

¹³⁶ Roth, G. H, Kindler, P., The Spirit of Corporate Law, Core Principles of Corporate Law in Continental Europe, C.H. Beck, Munich, 2013, 66-67.

¹³⁷ Richardson, M., The Helter Skelter Application of the Reverse Piercing Doctrine, 79 University of Cincinnati Law Review, 2011, 1607.

საკითხის განხილვა აუცილებელია კორპორაციული ჯგუფის შემთხვევაშიც, სადაც გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტს განსხვავებულად განიხილავენ. აქ მშობელ და შვილობილ კომპანიათა ურთიერთობათა ხასიათი და შინაარსი უნდა გამოიყოს. მაგალითად, ინტრუმენტალურობის თეორიის, თანახმად, მშობელი კომპანია იყენებს შვილობილს როგორც ინტრუმენტს თავისი მიზნებისთვის, შესაბამისად ამით კარგავს შვილობილი კომპანია განცალკევებულ სამართალ-სუბიექტობას. ამავე კატეგორიაში განიხილება „ალტერ ეგო“-ს დოქტრინა, პიროვნულობის თეორია, როდესაც კომპანიის იდენტიფიცირება და ფუნქციების გამორკვევა შეუძლებელია. აქ მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს ამ კომპანიათა ფუნქციონალური ურთიერთობების გამიჯვნაზე მშობელსა და შვილობილ კომპანიას შორის. იგულისხმება პირველ რიგში კონტროლი ხმის მიცემაზე და საერთო გამოყენება ერთიდაიმავე ბიზნეს განყოფილებისა, იქნება ეს უშუალოდ ფიზიკური მდებარეობა, ოფისი თუ იმავე საქმიანობის სახე. ამ მხრივ საინტერესოა, მისისიპის შტატის ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილება, სადაც საუბარია ვალების არიდებაზე და საამისოდ ახალი კომპანიის ინკორპორირება/დაფუძნებაზე,¹³⁸ მაშასადამე შვილობილი კომპანიის შექმნა მარტოდენ ვალებისაგან თავის ასარიდებლად. კომპანიათა ჯგუფებზე ცალკე რეგულაციები ვრცელდება, რომელიც ნაწილობრივ აწესრიგებს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებას, თუმცა რა თქმა უნდა სპეციალურ კანონთან და სასამართლო პრაქტიკასთან ბმაში. კორპორაციათა ჯგუფს ცალკე თავი მიეძღვნება, სადაც დეტალურად იქნება განხილული სხვადასხვა მომწესრიგებელი სისტემები.

2.3.1. გამჭოლი პასუხისმგებლობა (Forward Piercing = Standard Piercing)

დელავერის საკორპორაციო სამართალი ნებას რთავს სასამართლოებს გაჭოლოს კორპორაციული საფარველი და დააკისროს პირადი პასუხისმგებლობა პარტნიორებს, თუ სახეზეა რეალური თაღლითობა ან კორპორაცია გამოყენებულია როგორც უბრალოდ ინსტრუმენტი ან ალტერ ეგო მისი მფლობელების მიერ.¹³⁹ მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში საკორპორაციო სამართალი შტატების სამართალია და თავად შტატის კანონმდებელი და სასამართლო პრაქტიკა განსაზღვრავს სხვადასხვა

¹³⁸ საქმე კასტლბერი ბრანსკუმის წინააღმდეგ (Castleberry v. Branscum, 721 S.W.2d 270 (Tex. [1987])). Joe A. CASTLEBERRY, Petitioner, v. Byron BRANSCUM et al., Respondents, Supreme Court of Texas, Jan 14).

¹³⁹ Bendremer, F.J., Delaware LLCs and Corporate Veil Piercing: Limited Liability has its Limitations, Fordham Journal of Corporate and Financial Law, Vol. 10, Issue 2, 2005, 391. ხელმისაწვდომია (<https://ir.lawnet.fordham.edu/jcfl/vol10/iss2/4>).

სამართლებრივ საფუძველს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისათვის,¹⁴⁰ რეალურად ყველა შტატისთვის შეიძლება გამოიყოს შემდეგი ორი დოქტრინიდან ერთ-ერთი ან ორივე ტესტი - ინტრუმენტალურობისა და ალტერ ეგოს¹⁴¹ დოქტრინის ტესტი, რომელიც იწვევს პარტნიორთა პირად პასუხისმგებლობას.¹⁴² იმისთვის, რომ სასამართლომ ასეთი პასუხისმგებლობა გამოიყენოს ალტერ ეგოს საფუძველით აუცილებელია მხარემ დაადასტუროს ორი გარემოების არსებობა: (1) კორპორაცია და მისი წევრები მოქმედებდნენ, როგორც ერთი ეკონომიკური სხეული და (2) ცალსახა კანონსაწინააღმდეგო ქმედება და უსამართლობა.^{143, 144} ამასთან ალტერ ეგოს დოქტრინის გამოყენება დაკავშირებულია კონკრეტული პირის მიერ უშუალოდ კორპორაციული ფორმის გამოყენებასთან, იგი უნდა ახორციელებდეს ცალსახა კონტროლს კომპანიაზე და დომინირებდეს,¹⁴⁵ რათა შესაძლებელი იყოს მისი პასუხისმგებლობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის პირი უნდა ახორციელებდეს დომინირებულ კონტროლს კომპანიაზე და ამას იყენებდეს ისეთი უკანონო ქმედებისთვის, როგორიც არის თაღლითობა, ან თაღლითობის ხელშეწყობა, სხვა დანაშაულის წახალისება ან უბრალოდ კანონისათვის თავის არიდება. ლიტერატურაში ამას ორსაფეხუროვან საყრდენ ტესტს უწოდებენ, რომლის მიხედვითაც უნდა დადგინდეს, პირველი, კომპანიისა და პარტნიორის განცალკევებულობის სრული მოშლა და მეორე, დადგებოდა თუ არა იგივე ზიანი თუ ქმედებას, რომელმაც გამოიწვია ზიანი, უშუალოდ კომპანიის სახელითა და ინტერესის გათვალისწინებით განხორციელდებოდა. მოკლედ, ანალიტიკური ტესტი ფოკუსირებულია დაადგინოს სიმწირე კომპანიისა და პარტნიორის განცალკევებულობისა, თუ მოშლილია დამოუკიდებლობა, სასამართლო თვლის, რომ კომპანია არის მისი პარტნიორების

¹⁴⁰ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 17.

¹⁴¹ მინიფი როულის წინააღმდეგ (Minifie v. Rowley, 187 Cal. 481, [1921])

¹⁴² Bendremer, F.J., Delaware LLCs and Corporate Veil Piercing: Limited Liability has its Limitations, Fordham Journal of Corporate and Financial Law, Vol. 10, Issue 2, 2005, 391. ხელმისაწვდომია (<https://ir.lawnet.fordham.edu/jcfl/vol10/iss2/4>).

¹⁴³ ტრევინო მერსკოპის წინააღმდეგ (Trevino v. Merscorp, Inc., [2008] 583 F.Supp.2d 521, 528 (D. Del.))

¹⁴⁴ Sillverman, D.S., Piercing the Corporate Veil: Delaware Law, 2003, <https://www.marylandbusinesslitigationlawyerblog.com/piercing-the-corporate-veil-de/>, [12.07.2024].

¹⁴⁵ Chao, L., "Veil Piercing Under American, German, and Taiwanese Company Law", Institute for European Integration, Hamburg, 2021, 23.

ალტერ ეგო,¹⁴⁶ ე.ი. პარტნიორი პირადად აგებს პასუხს თუ მისი ინტერესი და მფლობელობა იმდენად არის ერთმანეთში აღრეული, რომ შეუძლებელია დადგინდეს განცალკევებული სამართალსუბიექტობა კომპანიისა და მისი პარტნიორებისა¹⁴⁷ და ასეთ „განცალკევებულობას“ აქვს უსამართლო შედეგები.¹⁴⁸

დელავერის სასამართლოები განიხილავენ ყველა ფაქტობრივ გარემოებას რათა გადაწყვიტონ საჭირო არის თუ არა დოქტრინის გამოყენება. ძირითადი აქცენტი შემდეგი ხუთი ელემენტის არსებობაზე კეთდება: ა) კომპანიის გადახდისუნარიანობა, ბ) კომპანიის საკმარისი კაპიტალიზაცია საქმიანობის განსახორციელებლად, გ) კორპორაციულ ფორმალობათა დაცვა, დ) არსებობდა თუ არა კომპანია, როგორც უბრალოდ ფასადი დომინანტი პარტნიორისათვის და ე) იყო თუ არა დომინანტი პარტნიორის მიერ კომპანიის ფინანსები გამოცარიელებული.¹⁴⁹

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიასთან შედარებით, სადაც გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება მაქსიმალურად არის დავიწროვებული და გამკაცრებული, რაც მომდევნო თავების განიხილვის საგანია, სასამართლო პრაქტიკა ეყრდნობა მხოლოდ აქტივთა აღრევის საფუძველს, მაშინ როდესაც შეერთებული შტატების სასამართლოები თითქმის ყოველი გადაცდომისთვის „სჯის“ პარტნიორს, რამაც გამოიწვია დოქტრინის ძალიან ფართო განმარტებისა და დისკრეციის შესაძლებლობა. სწორედ ამის შედეგია ე.წ. „Laundry List“-ის შექმნაც¹⁵⁰, რომელიც სამოსამართლო სამართლის შედეგია და შტატების მიხედვით განსხვავებული მოცულობის ჩამონათვალი აქვს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიის არსებობას არ გაუმარტივებია სასამართლოებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რაც რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. ერთი, რომ სია შესაძლოა მოიცავდეს 20-მდე ფაქტორს, გარდა ამისა ფაქტორთა ჩამონათვალი განსხვავდება იურისდიქციის მიხედვით და ბოლოს, არ არსებობს რეალური ინსტრუქცია, თუ

¹⁴⁶ Chao, L., “Veil Piercing Under American, German, and Taiwanese Company Law”, Institute for European Integration, Hamburg, 2021, 24.

¹⁴⁷ Ventoruzzo, M., Conac, P.H., Goto, G., Mock, S., Notari, M., Reisberg, A., Comparative Company Law, American Casebook Series, West Academic Publishing, 2015, 151.

¹⁴⁸ მინიფი როულის წინააღმდეგ (Minifie v. Rowley, [1921] 202 P. 673, 676 (Cal.)).

¹⁴⁹ COMPAGNIE DES GRANDS HÔTELS D'Afrique S.A., v. Starman Hotel Holdings LLC and Starwood Capital Group Global I, 08-09-2023.

¹⁵⁰ Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 340.

რამდენად საკმარისია ამ საფუძვლების არსებობა კორპორაციული საფარველის გაჭოლვისთვის.¹⁵¹

დელავერის შტატის „Laundry List“-ის მიხედვით სასამართლოების მიერ კორპორაციული საფარველის გაჭოლვა შესაძლებელია თაღლითობის, არასწორი ინფორმაციის მიწოდების (misrepresentation), აქტივების აღრევის, ქვეკაპიტალიზაციის, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობის, გადაფარვისა და უკანონობის/უსამართლობის ფაქტორთა საფუძველზე. თუმცა, კიდევ ერთხელ, ეს არ არის სია რომელსაც შეაძლოა თამამად დაეყრდნოს სასამართლო. პროფესორმა მატესონმა მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის მიხედვით, რომელიც მოიცავს აშშ-ის 1990 წლის 1 იანვრიდან, 2008 წლის 1 აპრილის პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებებს, დადგინდა, რომ ყველაზე ხშირად კორპორაციული საფარველის გაჭოლვა მოხდა თაღლითობისა და არასწორი ინფორმაციის მიწოდების საფუძველით, დაახლოებით 88.2%. მის შემდეგ მოდის უსამართლობა, უკანონობა, აქტივთა აღრევა, მფლობელის კონტროლი - დომინაცია და ქვეკაპიტალიზაცია. საინტერესოა აქ ისიც, რომ თოთოეული ზემოთ ჩამოთვლილი საფუძველი ინდივიდუალურადაც კი, საკმარისია შეზღუდული პასუხისმგებლობის გვერძე გასაწევად და პარტნიორის აქტივზე კრედიტორის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

დელავერის შტატის კორპორაციათა დაფუძნების მიხედვით პოპულარულობის გათვალისწინებით, სადაც ლოგიკურად ყველაზე მეტი სასამართლო გადაწყვეტილება უნდა მოიძებნებოდეს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებაზე, დელავერის შტატი ამერიკის მასშტაბით მეხუთე ადგილზე დგას 34.29%-ით, რაც მიუთითებს დელავერის შტატის სასამართლოთა თავშეკავებულობაზე დოქტრინის გამოყენების კუთხით, შედარებით სხვა შტატებთან. თუმცა ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტორიც, რომ დელავერის შტატი დიდ, ღია კორპორაციათა დაფუძნების ადგილია, აქ პატარა, დახურული კორპორაციების რაოდენობა შედარებით მცირეა, ხოლო პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხი და პრობლემა ძირითადად, როგორც უკვე ცნობილია მცირე კომპანიებისათვის არის

¹⁵¹ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 106-107.

დამახასიათებელი, რომელთა წილები/აქციები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი კაპიტალურ ბაზარზე.

გამჭოლი პასუხისმგებლობისადმი ამერიკულ და მაშასადამე ლიბერალურ მიდგომას კრიტიკაც თან სდევს,¹⁵² რადგან შედეგობრივად დოქტრინის გამოყენება ხდება ისეთ საქმეებზე, სადაც სამართლის სხვა მიმართულება ეფექტურად გავრცელდებოდა ანალოგიური შედეგის მისაღებად. საუბარია მაგალითად, დელიქტური სამართლის ნორმათა გამოყენებაზე. პროფესორ ოუს ემპირიული კვლევის თანახმად, პირველი სამი მიზეზი რიცხოვნად, რომლის საფუძველზეც პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება აშშ-ში ეს არის (1) ფინანსების გამოცარიელება - 69.9%, (2) დომინირება - 66.7% და (3) ქვეკაპიტალიზაცია - 62.88%. გარდა ამისა დელიქტური ზიანით გამოწვეულ საჩივრების 52.83%-ში გამოყენებულ იქნა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, ხოლო სახელშეკრულებო დავების 47.5%, რაც არ შეესაბამება პროფ. ტომფსონის მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგებს, თუმცა წინააღმდეგობა სავარაუდოდ საკვლევ პერიოდებს შორის სხვაობაშია.¹⁵³ ტომფსონის მეთოდოლოგიური ხის მიხედვით, სახელშეკრულებო დავებში მეტად იქნა გამოყენებული გამჭოლი პასუხისმგებლობა, ვიდრე დელიქტურ დავებში, რაც არასწორი უნდა იყოს თუმცაღა რეალობაა. ამ შედეგების ალოგიკურობა სწორედ რომ მის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა ვეძიოთ. იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ორი სახის კრედიტორს, ეს არის სახელშეკრულებო და დელიქტური, საიდანაც პირველი ნებაყოფლობით კრედიტორად მოიაზრება,¹⁵⁴ ვინაიდან ორივე მხარემ გამოავლინა თავისუფალი ნება შესულიყვნენ ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობაში, ხოლო დელიქტით გამოწვეული ზიანის დროს კრედიტორის ნება რა თქმა უნდა არარსებობს, ის მისი ნებისაგან დამოუკიდებლად გახდა კონკრეტული ურთიერთობის მხარე, შესაბამისად მას არც ინფორმაცია აქვს და არც ევალებოდა ასეთის მოძიება კომპანიის შესახებ.¹⁵⁵ სწორედ ინფორმირებულობაშია კიდევ ერთი

¹⁵² Chao, L., "Veil Piercing Under American, German, and Taiwanese Company Law", Institute for European Integration, Hamburg, 2021, 90.

¹⁵³ Chao, L., "Veil Piercing Under American, German, and Taiwanese Company Law", Institute for European Integration, Hamburg, 2021, 29.

¹⁵⁴ Mujih, E., Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?, London Metropolitan University, 2016, 17.

¹⁵⁵ Allen, W.T., Kraakman, R., Commentaries and Cases on the Law of Business Organization, Wolters Kluwer, USA, 2016, 132.

განსხვავება.¹⁵⁶ კერძოდ, პირი რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობას კომპანიასთან იწყებს, მას აქვს ან შეეძლო მოეძიებინა ინფორმაცია, მაგალითად მისი აქტივების, პარტნიორთა ვინაობის და სხვა შესახებ,¹⁵⁷ ამგვარად გაეთვალისწინებინა და შეფასებინა რისკ-ფაქტორები, რაც კომპანიის მხრიდან კრედიტორის მიმართ ნაკისრ ვალდებულებას შესაძლოა მოჰყვეს. დელიქტურ ურთიერთობებში ინფორმაციულობის და მაშასადამე დაცვის გარანტიები არ არსებობს¹⁵⁸ კრედიტორისთვის.¹⁵⁹ ამგვარად, “იმულებით” კრედიტორს, რომელსაც სურს კორპორაციის არასაკმარისი ან ცარიელი აქტივების უკან შეიხედოს, მაშასადამე პირადი პასუხისმგებლობა დააყენოს დღის წერტილში, არ ჰქონია შესაძლებლობა უფრო მაღალ ღირებულებაზე ან დამატებით პასუხისმგებლობის დაზღვევაზე წარემართა მოლაპარაკება, ან საერთოდაც უარი ეთქვა სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლაზე არასაკმარისი აქტივების მიზეზით.¹⁶⁰ სწორედ ამ უკანასკნელი მიზეზით, უცნაურია, როდესაც დელიქტური ზიანით გამოწვეულ დავებში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენება შედარებით მცირეა, ვიდრე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე.¹⁶¹ ტომფსონის თავდაპირველი კვლევა მოიცავდა 1985 წლამდე მიღებულ 1600 გადაწყვეტილებას,¹⁶² თუმცა მოგვიანებით კვლევის მასშტაბი გააფართოვა და დამატებით 2200 საქმე შეისწავლა 1986 წლიდან 1996 წლის ჩათვლით. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სასამართლოები გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებას სახელშეკრულება დავებში უფრო მეტად

¹⁵⁶ Easterbrook, F.H., Fischel, D.R., Limited Liability and the Corporation, 52 University of Chicago Law Review 89, 1985, 101-102.

¹⁵⁷ Davies, P.L., Worthington, S., Principles of Modern Company Law, Thomson Reuters (Professionals) UK Limited, 2016, 197.

¹⁵⁸ Easterbrook, F., Fischel, D., Limited Liability and the Corporation, 52 University of Chicago Law Review, 1985, 112.

¹⁵⁹ Gevurtz, F.A., Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, Pacific McGeorge School of Law, Business Organizations Law Review, 1997, 858-859.

¹⁶⁰ Thompson, R.B., Piercing the Veil: Is the Common Law the Problem?, Connecticut Law Review, vol 27, issue 3, 2005, 631.

¹⁶¹ Thompson, R.B., Piercing the Veil Within Corporate Groups: Corporate Shareholders as Mere Investors, Cornell Law Review, Lincoln, Neb., 1999, 379-380; Ventoruzzo, M., Conac, P.H., Goto, G., Mock, S., Notari, M., Reisberg, A., Comparative Company Law, American Casebook Series, West Academic Publishing, 2015, 186-187.

¹⁶² Mujih, E., Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?, London Metropolitan University, 2016, 18. Aseve ixileT, Gevurtz, F.A., Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, Pacific McGeorge School of Law, Business Organizations Law Review, 1997, 858-859; Thompson, R.B., Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell Law Review, 1991, 1044, 1058; Matheson, J.H., The Modern Law of Corporate Groups: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil in the Parent Subsidiary Context, 87 North Carolina Law Review, 2009, 1093.

იყენებდნენ ვიდრე დელიქტურ წარმოებაში. კერძოდ, დავების 30.97%-ის შემთხვევაში დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველზე მოხდა, რაც ზუსტად მოიცავდა 226 საქმეს, მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო დავების შემთხვევაში დოქტრინის გამოყენება 41.98%-ის შემთხვევაში მოხერხდა (779 საქმე).¹⁶³ მოკლედ, სასამართლო მეტ უპირატესობას ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს ანიჭებს, მათ ვინც ნებაყოფლობით შევიდნენ კომპანიასთან სამართალ-ურთიერთობაში და არა უნებლია დაზარალებულს,¹⁶⁴ ეს უკანაკნელი კი უსამართლობის განცდას ტოვებს.

გარდა ამისა, დასაფიქრებელია ასევე უშუალოდ სახელშეკრულებო და დელიქტური სამართლის ნორმათა გავრცელება შესაბამის ქეისებზე. როგორც უკვე აღინიშნა, დიდია ალბათობა იმისა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის ნაცვლად სამართლის სხვა მიმართულების ნორმათა გავრცელება ანალოგიურ შედეგზე გავიდოდა და უფრო ეფექტურიც იქნებოდა. მინიმუმ იმიტომ, რომ ამით, კიდევ ერთხელ, სასამართლო დაიცავდა კორპორაციული სამართლის ფუნდამენტს, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ინსტიტუტს.

აშშ-ში კორპორაციული საფარველის გაჭოლვა ძალიან ხშირია¹⁶⁵ და ფართო დასაბუთებით გამოირჩევა, რაც საფრთხეს უქმნის შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტს, შედეგობრივად კი ამას მივყავართ დოქტრინის არასასურველ გამოყენებამდე.¹⁶⁶ მაგალითისთვის, მხოლოდ კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა არ უნდა იწვევდეს პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას კრედიტორთა წინაშე, რადგან შეუძლებელია ფორმალობათა დაუცველობის, საერთო კრების სხდომის ოქმის, ბუღალტრული ჩანაწერების არასრულფასოვნად შესრულებით და სხვა, ისეთი ზიანი მიადგეს კომპანიას,¹⁶⁷ რომ დაკარგოს უნარი

¹⁶³ Oh, P. B., Veil Piercing, Legal Studies Research Paper Series, Working Paper No. 2010-06, Pittsburgh, Pennsylvania, 2010, 91-92.

¹⁶⁴ Easterbrook, F., Fischel, D., Limited Liability and the Corporation, 52 University of Chicago Law Review, 1985, 112 Loewenstein, M. J., Veil Piercing to Non-Owners: A Practical and Theoretical Inquiry, 41 Seton Hall Law Review, 2011, 850.

¹⁶⁵ Ventoruzzo, M., Conac, P.H., Goto, G., Mock, S., Notari, M., Reisberg, A., Comparative Company Law, American Casebook Series, West Academic Publishing, 2015, 206; ასევე იხ. Blumberg, P., The Multinational Challenge to Corporate Law, Oxford University Press, Oxford, 1993.

¹⁶⁶ Ventoruzzo, M., Conac, P.H., Goto, G., Mock, S., Notari, M., Reisberg, A., Comparative Company Law, American Casebook Series, West Academic Publishing, 2015, 186.

¹⁶⁷ იქვე, 155.

ვალდებულებათა შესრულებისა ან საფრთხე შეექმნას აქტივთა მოცულობას. რა თქმა უნდა, გამონაკლისი ამ წესიდან შესაძლოა არსებობდეს, როდესაც პარტნიორის განზრახვაა კრედიტორთა მოტყუება კორპორაციულ ფორმალობათა მანიპულირებით. გარდა ამ მოცემულობისა, სხვა შემთხვევაში გადაჭარბებულია ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის გვერდზე გაწევა, როგორიც არის შეზღუდული პასუხისმგებლობა. ანალოგიური წესი უნდა ვრცელდებოდეს სუსტი კაპიტალიზაციის საფუძველზეც. ერთ-ერთ წამყვან საქმეზე, სადაც მოსარჩელის მოთხოვნა დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ეხებოდა და მხარე უთითებდა ქვეკაპიტალიზაციაზე, რაც განპირობებულ იქნა ტაქსოპარკის 10 კომპანიის მფლობელობაში არსებობით, საიდანაც თითოეული ფლობდა ერთ ან ორ ავტომანქანას,¹⁶⁸ ნიუ იორკის სასამართლომ არ ჩათვალა გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება ადეკვატური, კერძოდ „მხოლოდ სუსტი კაპიტალიზაცია არ არის საკმარისი კორპორაციული საფარველის გაჭოლვისათვის“¹⁶⁹. თუმცა ამავე საქმეზე მოსამართლე კითინგის მოსაზრებით, „მცდელობა აწარმოო ბიზნესი კორპორაციული ფორმით და არ უზრუნველყო იგი საკმარისი ფინანსური საფუძველით არის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება და შესაბამისად გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველი.“¹⁷⁰ რეალურად Walkovszky-ს საქმეზე¹⁷¹ მაკონტროლებელ პარტნიორს ყველა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა ჰქონდა შესრულებული: მის კონტროლს ქვეშ არსებული კორპორაციები დაფუძნდა მინიმალური საწესდებო კაპიტალით, ასევე მინიმალური სადაზღვევო მოცულობა ავტომანქანებისა სახეზე იყო, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებაში ქვეკაპიტალიზაცია გაჟღერებულია, როგორც ერთ-ერთი საფუძველი პასუხისმგებლობის დაკისრებისა. მოსამართლე კეთინგის დასაბუთებაში, ქვეკაპიტალიზაცია გაგებულია, როგორც (1) კორპორაციის არსებული კაპიტალი, რომელიც არ არის საკმარისი მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის და სავარაუდო, სამომავლო დელიქტური ვალდებულებებისათვის; (2) ასევე

¹⁶⁸ Ventrizzo, M., Conac, P.H., Goto, G., Mock, S., Notari, M., Reisberg, A., Comparative Company Law, American Casebook Series, West Academic Publishing, 2015, 158.

¹⁶⁹ ვალკოვსკი კარლტონი წინააღმდეგ (Walkovszky v Carlton, [1966] 223 N.E.2d b (N.Y.)).

¹⁷⁰ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 126.

¹⁷¹ Bainbridge S.M., Abolishing LLC Veil Piercing, University of Illinois Law Review, University Press, Illinois, 2005, 16.

შემთხვევა, როდესაც სრული მოგება მიღებული საქმიანობის განმავლობაში გამოწურულ იქნა კომპანიიდან დივიდენდის და მომსახურეთა ხელფასების სახით, ისე რომ კომპანია დარჩა საკმარისი რეზერვის გარეშე რათა გაუმკლავდეს სავარაუდო ვალდებულებებს.¹⁷² ეს უკანაგნელი პოზიცია მოსამართლე კეტინგისა შესაძლოა არ იყოს დასათანხმებელი შემდეგ მიზეზთა გამო: პირველ რიგში, ასეთ რეგულირებას მოჰყვება ინვესტორთა მხრიდან თავის შეკავება საქმიანობის დაწყებისა ან კაპიტალურ საზოგადოებაში ინვეტირებისა; ამასთან, მომავალი დამფუძნებლები როგორც წესი, ცდილობენ შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ ყველა ნიუანსი, რათა პირადი პასუხისმგებლობის საფრთხე თავიდან აიცილონ, თუმცა მოსამართლის ასეთი განმარტება ფაქტიურად უიმედოდ ტოვებს ყველას, ვისაც კაპიტალური საზოგადოების შექმნის იდეა გაუჩნდა მხოლოდ იმიტომ რომ მათი პირადი აქტივების უსაფრთხოება ასეთ სამართლებრივ ფორმაში გარანტირებულია, სხვა შემთხვევაში უბრალოდ არ წამოიწყებდა კონკრეტულ საქმიანობას. შესაბამისად, რა შეიძლება ურჩიოს კონსულტაციაზე მისულ ინვესტორს, მომავალ დამფუძნებელს იურისტმა გამჭოლი პასუხისმგებლობისაგან თავის ასარიდებლად?! ფაქტიურად, მოსამართლე მომხრეა შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის გაუქმებაზე და ყველა სამართლებრივი ფორმის ამხანაგური ტიპის საზოგადოებით ჩანაცვლებით, ვინაიდან ამ უკანასკნელში ყველა პარტნიორი პირადად და უშუალოდ, მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს საზოგადოების ვალდებულებისათვის¹⁷³. შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს თუ რა ვალდებულების წინაშე შეიძლება დადგეს კორპორაცია მომავალში, მითუმეტეს როდესაც საქმე ეხება დელიქტურ ვალდებულებას,¹⁷⁴ რა თქმა უნდა სახელშეკრულებო ურთიერთობათა და მისგან წარმოშობილ ვალდებულებათა მოცულობის კონტროლი (მეტად) შედარებით იოლია, მაგრამ არა უნებლიე კრედიტორის შემთხვევაში. გარდა ამისა, ქვეკაპიტალიზაციის ზემოთხსენებული შემთხვევები არ წარმოადგენს განცალკევებულად სამართლებრივ საფუძველს

¹⁷² ვალკოვსკი კარლტონი წინააღმდეგ (Walkovszky v Carlton, [1966] 223 N.E.2d b (N.Y.)); (Keatinh J. dissenting – მოსამართლე კეიტინგის დასაბუთება).

¹⁷³ Wormser, I.M., Disregard of the Corporate Fiction and Allied Corporation Problems, Baker, Voorhis and Company, New York, 1929, 13.

¹⁷⁴ ხარაიშვილი, ა., გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში, თსუ სამართლის ჟურნალი №2, 2017, ხელმისაწვდომია: <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://old.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sam%20Jurnali-elveria-17,%20N2.pdf>, [15.08.2024], 141.

არცერთი შტატის ან ფედერალური კანონის მიხედვით, შესაბამისად თუ მის საფუძველზე გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება დასაშვებია, უნდა მოხდეს მისი კანონმდებლობაში ასახვა, ან ვინაიდან საქმე ეხება საერთო სამართლის სისტემას, სადაც მოსამართლესაც შეუძლია შექმნას წესი, რომელიც გავრცელდება სხვა საქმეებზეც, თუმცა ეს უნდა მოხდეს *ex ante* და არა *ex post*, რათა დამფუძნებელთა მხრიდან თავიდან იქნეს აცილებული გაუთვალისწინებელი ტრანზაქციული ხარჯები.¹⁷⁵

ინგლისის სასამართლოები კიდევ უფრო მეტად ცდილობენ შეზღუდონ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება, რისთვისაც სხვადასხვა სახის მეთოდებს, ტესტებს და წესებს იყენებენ, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი და ასევე მომდევნო თავებშიც იქნება განმარტებული. გარდა ამისა, ლორდ სამპტონის განმარტებით, თუ სასამართლო გადაწყვეტს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებას, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა სხვა შესაძლებლობა რასაც სამართლის სხვა მიმართულება, უფრო ჩვეულებრივი, ვიდრე კორპორაციული საფარველის იგნორირებაა, ვერ აღწევს სამართლიან შედეგს საქმეზე.¹⁷⁶

2.3.2. გაჭოლვა vs ვუალის ახდა (Piercing vs lifting)

პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის ფორმებში გამჭოლი პასუხისმგებლობის გარდა, ასევე კორპორაციული საფარველის გაწევას, ვუალის ახდას გამოყოფენ. საუბარია „piercing“-სა და „lifting“-ის ცნებებზე, რომელთა შორის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი სხვაობაა. თუმცაღა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული სამყარო ვერც ცნებათა შორის განსვავებაზე თანხმდება. მოსამართლე ტულსონის აზრით, არ აქვს მნიშვნელობა რომელ ცნებას გამოიყენებ გადაწყვეტილების დასაბუთებაში, მანამ სანამ ცალსახაა პრინციპი.¹⁷⁷ პარალელურად, სტაუტონ ელჯეი რადიკალურად განსხვავებულ ცნებებად მოიხსენიებს¹⁷⁸ მათ და განმარტავს, რომ „piercing“-ი თავის თავში გულისხმობს კომპანიის უფლებებისა და ვალდებულებების განხილვას,

¹⁷⁵ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 127-128.

¹⁷⁶ Hannigan, B., Wedded to Solomon: Evasion, Concealment and Confusion on Piercing the Veil of the One-man Company, Irish Jurist, New Series, Vol. 50, 2013, 23.

¹⁷⁷ შპს იოკუნგ ლაინი კორეა საინვესტიციო კორპორაცია რენდსბურგის წინააღმდეგ (Yukong Line Ltd of Korea v Rendsburg Investments Corp of Liberia (N2) [1998], 1 WLR 294, 305).

¹⁷⁸ საქმე ატლას მერიტაიმი ავალონ მერიტაიმის წინააღმდეგ (Atlas Maritime Co SA v Avalon Maritime Ltd (N1) [1991], 4 ALL ER 769, 779G).

როგორც პარტნიორის უფლებებისა და ვალდებულებების, ესეიგი როდესაც მოშლილია განცალკევებული პიროვნულობა, მაშინ როდესაც „lifting“-ი არ უარყოფს განცალკევებულ პიროვნულობას,¹⁷⁹ მაგრამ შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს შეიხედოს ვუალის უკან გარკვეული სამართლებრივი მიზნის მისაღწევად.¹⁸⁰

ინგლისის სასამართლოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საქმეზე *Prest v Petrodel Resources Ltd*¹⁸¹ გახდა შესაძლებლობა სასამართლოსათვის გაეკეთებინა განმარტებანი გაჭოლვისა და ვუალის ახდის ინტიტუტთან დაკავშირებით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებაზე თქვა უარი და სანაცვლოდ ვუალის ახდის დოქტრინა გამოიყენა. მაგრამ *Prest*-ი იყო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც განსაკუთრებით გაესვა ხაზი მათ შორის განსახვავებას.¹⁸² ლორდი სამპტონის განმარტებით, პასუხისმგებლობის გაჭოლვის ინსტიტუტის გამოყენება მხოლოდ ე.წ. „თავის არიდების“ (evasion principle) საქმეებზე უნდა იქნეს გამოყენებული, აქ მოიაზრება შემთხვევები, როდესაც კონტროლის შესაძლებლობის მქონე პარტნიორ(ებ)ი გადასახადების, ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად სხვადასხვა ქმედებას ახორციელებენ,¹⁸³ რითაც დგება არასამართლიანი შედეგი მესამე პირთათვის, კომპანიისთვის ან სხვა პარტნიორისათვის.¹⁸⁴ მაშასადამე, საქმე ეხება კორპორაციული პიროვნულობის, განცალკევებულობის მოშლას, მის გამოყენებას უკანონობის მისაღწევად, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს კონკრეტული პარტნიორის პირადი ინტერესი. პრესტის საქმეში გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებაზე სასამართლოს უარი სწორად ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების არ არსებობის საფუძველით მოხდა. ქალბატონი პრესტი განქორწინების საქმეზე მის სასარგებლოდ ბატონ პრესტზე დაკისრებული ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის აღსრულებას *Petrodel Resources Ltd*-ის

¹⁷⁹ Adam, L., Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court Decision in *Prest v Petrodel Resources Ltd* Leads us Nowhere, *The King's Student Law Review*, Vol. 5, No. 2, 2014, 69.

¹⁸⁰ Ventoruzzo, M., Conac, P.H., Goto, G., Mock, S., Notari, M., Reisberg, A., *Comparative Company Law*, American Casebook Series, West Academic Publishing, 2015, 162.

¹⁸¹ საქმე პრესტი პეტროდელის წინააღმდეგ (*Prest v Petrodel* [2013], UKSC 34) 2 A.C. 415.

¹⁸² Mujih, E., *Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?*, London Metropolitan University, 2016, 3.

¹⁸³ Adam, L., Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court Decision in *Prest v Petrodel Resources Ltd* Leads us Nowhere, *The King's Student Law Review*, Vol. 5, No. 2, 2014, 68.

¹⁸⁴ Upadhyay, N., *Piercing the Corporate Veil: An Analysis of Lord Sumption's Attempt to Avail a Troubled Doctrine*, *Auckland University Law review*, Vol. 21, 2015, 119.

სახელზე არსებული აქტივებით ცდილობდა.¹⁸⁵ გამჭოლი პასუხისმგებლობის მოთხოვნის საფუძველად ის უთითებდა კორპორაციული პიროვნულობის უგულვებელყოფას მისი მეუღლის მხრიდან. კერძოდ, კომპანიის სახელზე რიცხული ქონება რეალურად მისი მეუღლის საკუთრებას წარმოადგენდა,¹⁸⁶ შესაბამისად მისი მოთხოვნა სასამართლოს მიმართ იყო ამ ქონების პრესტის სახელზე გადატანა, რათა მომხდარიყო მისი განქორწინების შეთანხმების საფუძველზე ბატონ პრესტზე დაკისრებული ვალდებულების აღსრულება.¹⁸⁷ თუმცა მოსამართლე სამპტონის მოსაზრებით, კომპანიაზე რიცხული ქონება არ ყოფილა გადაცემული ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით, არამედ ეს განქორწინებამდე ბევრად ადრე მოხდა, შესაბამისად სასამართლოს წინაშე არ არსებობს ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დაადასტურებს კორპორაციის განცალკევებული პიროვნულობის მოშლას. თუმცა ამავედროულად, სასამართლომ გამოარკვია, რომ თუმცა ქონების გადაცემა არ მომხდარა განქორწინებიდან გამომდინარე ვალდებულებისათვის თავის ასარიდებლად, მაგრამ რეალურად კომპანია მიზნობით მართავდა მაკონტროლებელი პარტნიორის ქონებას, სწორედ ეს უკანაკნელი განკარგავდა, როგორც მესაკუთრე, შესაბამისად აქტივები ბატონი პრესტის საკუთრება იყო, ამგვარად შესაძლებელი იყო მათი გამოყენება განქორწინებიდან წარმოშობილ ვალდებულებათა საპასუხოდ.¹⁸⁸

საინტერესო ფაქტია ამ კუთხით ე.წ. „ფასადისა“ და „მოჩვენებითობის“ პრინციპის უგულვებელყოფა პასუხისმგებლობის გაჭოლვისათვის. ვინაიდან პრესტის საქმეში მოსამართლე კონკრეტულად თავის არიდების პრინციპის არსებობაზე მიუთითებს, სხვა შემთხვევაში არაგონივრულად მიიჩნევს დოქტრინის გამოყენებას.¹⁸⁹ თუმცა, „ფასადისა“ და „მოჩვენებითობის“ არსიც ხომ უკანონობისა და უსამართლობის მიღწევაში მდგომარეობს?!¹⁹⁰ ე.ი. კორპორაციულ პიროვნულობას ამოფარებული მაკონტროლებელი პარტნიორის ქმედება უსამართლო ან/და უკანონო შედეგის

¹⁸⁵ Lee, P.W., *The Enigma of Veil-Piercing*, Singapore Management University, 2015, 2-3.

¹⁸⁶ Hannigan, B., *Wedded to Solomon: Evasion, Concealment and Confusion on Piercing the Veil of the One-man Company*, Irish Jurist, New Series, Vol. 50, 2013, 18.

¹⁸⁷ საქმე პრესტი პეტროდელის წინააღმდეგ (*Prest v Petrodel* [2013], UKSC 34), [2013] 2 AC 415 at [19] ლორდი სამპტონის მოსაზრება.

¹⁸⁸ Hannigan, B., *Wedded to Solomon: Evasion, Concealment and Confusion on Piercing the Veil of the One-man Company*, Irish Jurist, New Series, Vol. 50, 2013, 28.

¹⁸⁹ Adam, L., *Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court Decision in Prest v Petrodel Resources Ltd Leads us Nowhere*, The King's Student Law Review, Vol. 5, No. 2, 2014, 71.

¹⁹⁰ იქვე. 71.

მისაღწევად. შესაბამისად ბუნდოვანია თუ რატომ განიხილება მხოლოდ „თავის არიდების“ პრინციპი ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად. მათ შორის განსხვავება თითქმის ნულოვანია და პრეცედენტულ სამართალში მრავლად მოიპოვება გადაწყვეტილებები, სადაც ფასადი და მოჩვენებითობა გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად არის განხილული. გარდა ამისა, არსებული პრაქტიკა მოწმობს, რომ თავის არიდების და ფაქტების დამალვის პრინციპებს შორის მკვეთრი სხვაობა არ არის, და ორი პრინციპი შესაძლოა ერთდროულად ერგებოდეს საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და ფაქტებს.¹⁹¹

პარალელურად ლორდი სამპტონი დასაშვებად თვლის კორპორაციული ვუალის ახდას ისეთ დავებზე, სადაც საქმე ეხება რეალური მონაწილე პირებისა და ფაქტების დამალვას (concealment principle). დაფარვის პრინციპი გულისხმობს მაკონტროლებელი პარტნიორის ქმედებას დამალოს მონაწილე პირების იდენტობა, ჭეშმარიტი ფაქტები. რაც, რა თქმა უნდა ვერ შეუშლის სასამართლოს ხელს ამხილოს ისინი. თუმცა, ასეთ დროს არ გაიჭოლება საფარველი, არ მოხდება კომპანიის განცალკევებული პიროვნულობის უგულებელყოფა, მაგრამ კანონი ვუალის უკან შეიხედავს, რათა მოხდეს იმ ფაქტთა იდენტიფიკაცია, რომლის დაფარვასაც კომპანია ცდილობს.¹⁹² მაშასადამე, ვუალის აწევის შემთხვევაში, პარტნიორისა და კომპანიის მაკონტროლებელი მონაწილის ვალდებულებები ხდება კომპანიის ვალდებულებები, რაც იმას გულისხმობს რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი რჩება ხელშეუხებელი იმ გაგებით, რომ პარტნიორთა პირად ქონებაზე წვდომა კერძიტორთათვის არ არის ნებადართული, მაგრამ მათი მოთხოვნა მიემართება კომპანიის ბალანსზე არსებულ აქტივებს მათ მოთხოვნათა პროპორციულად. მართალია ლორდი სამპტონი და სხვანი უარყოფენ, თუმცა პრინციპში, აქ შეიძლება საუბარი განცალკევებული პიროვნულობის მოშლაზეც, რადგან პარტნიორის ვალდებულება გარდაიქმნება კომპანიის ვალდებულად, არ აქვს მნიშვნელობა მიმდინარე მსჯელობისთვის, როგორ და რა გზით მოხდება რეგრესის წესით

¹⁹¹ Adam, L., Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court Decision in *Prest v Petrodel Resources Ltd* Leads us Nowhere, *The King's Student Law Review*, Vol. 5, No. 2, 2014, 72.

¹⁹² Upadhyay, N., Piercing the Corporate Veil: An Analysis of Lord Sumption's Attempt to Avail a Troubled Doctrine, *Auckland University Law review*, Vol. 21, 2015, 119.

ანაზღაურება, აქ მთავარია საკორპორაციო სამართლისა და კაპიტალურ საზოგადოებათა ფუნდამენტური დოქტრინის რღვევის საკითხი ე.ი. როდესაც პარტნიორის უფლებები და ვალდებულებები, როგორც დამოუკიდებელი პირისა ხდება კორპორაციის უფლებები და ვალდებულებები, აქ წარმოუდგენელია არ ვისაუბროთ განცალკევებულობის მოშლაზე.

დაფარვისა და თავის არიდების პრინციპთა რეალური განსხვავება და შინაარსი ჯერ კიდევ ბუნდოვანია პრაქტიკასა და იურიდიულ მეცნიერებაში, ვიანდინ პრინციპები იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებებზე შესაძლებელია ორივე პრინციპის მისადაგება. შედეგობრივად რთულდება გადაწყვეტილების მიღების საკითხი, პასუხისმგებლობის დაკისრების კუთხით უნდა იყოს ეს გაჭოლვა თუ ვუალის ახდა. საქმეზე ჯილფორდ მოტორსი¹⁹³, ლორდ ჰანსვორსი კომპანიას განიხილავდა როგორ საფარველსა და მოჩვენებითობას, იმ საფუძვლით რომ ბატონმა ჰორნმა ვალდებულებისათვის თავის არიდების მიზნით დააფუძნა კომპანია, რომელსაც თავად უძღვებოდა და იყენებდა მას პირადი ინტერესისთვის, კერძოდ მოსარჩელე კომპანიის მომხმარებლებისაგან იღებდა გარკვეული სახის უპირატესობებს/სარგებელს.¹⁹⁴ საქმე კორპორაციული ვუალის ახდის დოქტრინის განოყენებით დასრულდა.¹⁹⁵ ამავე საქმეზე, ლორდ ნურბერგერსა და ლორდ სამპტონს განსხვავებული მოსაზრება ექნებოდათ. ეს უკანაკნელი მსგავსი ფაქტების არსებობისას ასაბუთებს თავის არიდების შემთხვევას ე.ი. “evasion principle” და მაშასადამე გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლად განიხილავდა¹⁹⁶. თუმცა, ამავე ფაქტებზე დაყრდნობით ნიურბერგერი დაფარვის პრინციპზე მიუთითებდა ე.ი. “consequential principle” და მაშასადამე ვუალის ახდაზე, რათა გამოკვლეული ყოფილიყო რეალური უკანონო ქმედება და მოქმედი პირი.¹⁹⁷

საქმეზე *Re Darby ex p Brougham*¹⁹⁸, მოსამართლე ფილიმორმა შეაფასა LIC-ი, როგორც პარტნიორების - დარბისა და გაიდის მეტსახელი, რომელთაც განზრახული ჰქონდათ

¹⁹³ *Gilford Motor Co Ltd v Horne* [1933] Ch. 935 (CA)

¹⁹⁴ *Ventoruzzo, M., Conac, P.H., Goto, G., Mock, S., Notari, M., Reisberg, A., Comparative Company Law, American Casebook Series, West Academic Publishing, 2015, 166.*

¹⁹⁵ *Mujih, E., Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?*, London Metropolitan University, 2016, 6.

¹⁹⁶ *Prest (n 2) [29] (Lord Neuberger)*

¹⁹⁷ საქმე პრესტი პეტროდელის წინააღმდეგ (*Prest v Petrodel* [2013], UKSC 34) (n 2) [70] (Lord Neuberger)

¹⁹⁸ რე დარბი დირექტორების დარბისა და გაიდის წინააღმდეგ (*Re Darby, ex p Brougham* [1911] 1 K.B 95 (HC) UK).

ჭკვიანურად მოფიქრებული თაღლითობის ჩადენა კომპანიის სახელით. საქმეში არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა როგორც თავის არიდების, ასევე დაფარვის პრინციპის გამოყენება. დაფარვის პრინციპის გავრცელება შესაძლებელი იქნება, ვინაიდან პარტნიორების მიერ ჩადენილი ქმედება წარმოდგენილ იქნა, როგორც კორპორაციის ქმედება. სასამართლომ არ დააიგნორა კორპორაციის განცალკევებული პიროვნულობა, არამედ მარტივად შეიხედა ვუალის მიღმა რათა მოეხდინა არსებულ ტრანზაქციათა, ქმედებათა და პირთა გამოაშკარავება. თუმცა მეორე მრივ, ამავე ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე შესაძლებელია თავის არიდების პრინციპის გამოყენებაც. კერძოდ, პრომოუტერს, დილერს, რომელსაც გარკვეულწილად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მატარებელია, ვინაიდან მოქმედებს კომპანიის სახელით, აკისრია ფიდუციური მოვალეობები, რომელიც დარბისა და გაიდის მიერ დარღვეულ იქნა. როგორც მითითებულია ფრანკ ფასელის მოსაზრებაში, დარბიმ და გაიდიმ დაარღვიეს ნდობის მოვალეობა ფიქალის ამოღების არაფრის მომცემი, წამგებიანი საქმიანობის დანერგვით და ისინი პასუხისმგებელნი არიან გაუმჟღავნებელი შემოსავლების მიღებისათვის.¹⁹⁹

კიდევ ერთ საქმეზე, Bugle Press Ltd-ის (შემდეგში Bugle)²⁰⁰ უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების მიერ შეიქმნა კომპანია (Jackson & Shaw Holdings Ltd). ამ უკანაკნელმა შესთავაზა Bugle-ს აქციების გამოსყიდვა, რაზეც 90% აქციების მქონე აქციონერთა ჯგუფი დათანხმდა, ხოლო უმცირესობასი მყოფი აქციონერი - ტრები, უარს აცხადებდა დაბალი ფასის საფუძველით. შედეგად, Jackson & Shaw Holdings Ltd-ის მიერ მოხდა ტრების გაფრთხილება, აქციების სავალდებულო მიყიდვასთან დაკავშირებით ვინაიდან მას დამოუკიდებლად აქციების 90% ჰქონდა. თუმცა ვინაიდან უმცირესობაში მყოფი პარტნიორი მარტივად ამტკიცებდა ფაქტს, რომ ოფერენტი და აქციების 90% მქონე აქციონერი Bugle Press Ltd-ში ერთიდაიგივე იყო, სასამართლომ აკრძალა სავალდებულო მიყიდვა. ამასთან დადგინდა, რომ სრულიად პროცესი კომპანიის შექმნისა იყო მოჩვენებითობა მიმართული უმცირესობაში მყოფი პარტნიორის დისკრედიტაციისთვის. დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით ადგილი ჰქონდა დაფარვის პრინციპს, რომლის საფუძველზეც სასამართლო

¹⁹⁹ Adam, L., Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court Descision in Prest v Petrodel Resources Ltd Leads us Nowhere, The King's Student Law Review, Vol. 5, No. 2, 2014, 72-73.

²⁰⁰ Re Bugle Press [1961] Ch. 270 (CA)

უფლებამოსილი იყო აეხადა კორპორაციული ფარდა და დაედგინა რეალური კავშირ-
ურთიერთობა კორპორაციასა და უმრავლესობაში მყოფი პარტნიორებისა. თუმცა,
ასევე საყურადღებოა უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების, რომელიც ასევე
წარმოადგენდნენ ხელმძღვანელ ორგანოს, ფიდუციური მოვალეობების საკითხი,
მაშასადამე არსებული სამართლებრივი ვალდებულება, რომლის თავიდან
არიდებასაც ისინი ცდილობდნენ კორპორაციული ფორმის შეცვლით.²⁰¹

ბუნდოვანებაა წარმომადგენლობით (agency) დავებშიც. მაგალითად, Re FG-ის
საქმეზე²⁰² ამერიკული კომპანია გადასახადების თავიდან აცილების მიზნით,
აფუძნებს კორპორაციას ინგლისში 90%-იანი მონაწილეობით, ხოლო დანარჩენი 10%
ინგლისელი ფიზიკური პირის სახელზეა. რეალურად ამერიკული კომპანია იღებს,
ამუშავებს ფილმს ამერიკაში, თუმცა ინგლისში დაფუძნებული კომპანიის სახელით.
ამგვარად, ბრიტანული კომპანია რეალურად წარმოადგენს ამერიკულის აგენტს,
წარმომადგენელს, რომელიც ცალსახად შესაძლოა დაკვალიფიცირდეს დაფარვის
პრინციპად. თუმცა ამ საქმეზე მოხდა გამჭოლი პასუხისმგებლობის დაყენება,
ვინაიდან ამერიკული კომპანია ცდილობდა გადასახადებისაგან „თავის არიდებას“
ბრიტანული კომპანიის დახმარებით, რომლის მთავარ მაკონტროლებელ პარტნიორად
თავად ირიცხებოდა.²⁰³

სასამართლო პრაქტიკასა თუ მეცნიერებას უჭირს კონკრეტული კრიტერიუმების
განსაზღვრა და მათი საშუალებით ერთმანეთისაგან განსხვავება დაფარვისა და თავის
არიდების პრინციპებს შორის, მათ შორის ძალიან დიდი მსგავსების გამო. შეიძლება
ითქვას, ორივე პრინციპის არსებობაა შესაძლებელი ერთიადიმავე ფაქტობრივი
გარემოებების გათვალისწინებით. ამ კუთხით განსხვავება შესაძლოა მხოლოდ იყოს
მეტი კონკრეტიზაცია მაგალითად, თავის არიდების პრინციპის გამოყენებას
საზოგადოების მაკონტროლებლის მხრიდან საზოგადოებისათვის არასწორი,
უკანონო ქმედების საფუძველზე უწევნ რეკომენდაციას, ხოლო დაფარვის პრინციპის
გამოყენებას მაშინ, როდესაც კომპანია გამოიყენება როგორც ფასადი, ინსტრუმენტი

²⁰¹ Adam, L., Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court Descision in Prest v Petrodel Resources Ltd Leads us Nowhere, The King's Student Law Review, Vol. 5, No. 2, 2014, 73.

²⁰² Re FG Films [1953] 1 W.L.R. 483 (HC)

²⁰³ Adam, L., Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court Descision in Prest v Petrodel Resources Ltd Leads us Nowhere, The King's Student Law Review, Vol. 5, No. 2, 2014, 73-74.

რაიმე არასწორის დასაფარად. შეიძლება ითქვას რომ უკანონო ქმედების კონკრეტული მაგალითებია მოყვანილი დაფარვის პრინციპის შემთხვევაში, ამიტომ შინაარსობრივად აქ შეუძლებელია განსხვავებათა მოძიება. აქედან გამომდინარე, მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია აირჩიოს ორიდან ერთი გზა და მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისად. მათ შორის შეიძლება, რა თქმა უნდა, გამოიყოს მეთოდოლოგიური განსხვავება, რაც პირდაპირ რომ ითქვას უფრო ჰიპოთეტურია, ვიდრე რეალური და ტექნიკური ხასიათის, რადგან სამართლებრივი შედეგის კუთხით პირადი პასუხისმგებლობის დასმის საკითხი გარდაუვალია. ზემოთ ხსენებულ ორ პრინციპს შორის მეთოდოლოგიურ განსხვავებაში იგულისხმება გაჭოლვისა და ვუალის ახდის, შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის ინტიტუტის მომენტი, ე.ი. როდესაც გაჭოლვას აქვს ადგილი, აქ შეზღუდული პასუხისმგებლობის უპირატესობის იგნორირება ხდება და პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა დგება მთელი მათი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. ვუალის ახდა კი არ გულისმობს კორპორაციული უპირატესობის უგულვებელყოფას, არამედ უშუალოდ კომპანიას აყენებს მოვალეთა რიგში პარტნიორის ვალდებულების აღსასრულებლად. ამ დროს სასამართლო იხედება კორპორაციული საფარველის ქვეშ (უკან), რათა დაადგინოს რეალობა, თუმცა არა პარტნიორზე პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით, არამედ პარტნიორის გარედან მომდინარე ვალდებულების კომპანიაზე გადასვლის რეალური სამართლებრივი საფუძვლის მოსაძიებლად. ასე მაგალითად, განხილულ საქმეზე პრესტის განქორწინებიდან გამომდინარე ვალდებულებათა აღსრულება მისი მეუღლის წინაშე მოხდა კომპნიის ქონებიდან, აქ სასამართლომ გამოიყენა დაფარვის პრინციპი, ახდა ვუალი, საფარველი კომპანიას რათა დაედგინა ბატონი პრესტის კავშირი კომპანიის სახელზე არსებულ ქონებასთან და შესაბამისად მიექცია ქონება საოჯახო დავიდან გამომდინარე განკარგულების აღსასრულებლად.²⁰⁴ რეალურად ამ საქმეზე, შესაძლებელი იყო ასევე გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება, თუმცა არა განქორწინებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების მიზნით, არამედ იმ უკანონო ქმედებისთვის, რაც პარტნიორმა განახორციელა კომპანიაში. კერძოდ, რეალური მფლობელი იმ ქონებისა, რომელიც იურიდიულად ირიცხებოდა ბატონი პრესტის მიერ კონტროლირებად კორპორაციაზე, ფაქტობრივად იყო მისი განკარგვისა

²⁰⁴ Mujih, E., *Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?*, London Metropolitan University, 2016, 2.

და კონტროლის ქვეშ. აქედან გამომდინარე შესაძლებელი იყო როგორც თავის არიდების, ასევე დაფარვის პრინციპის ამოქმედება. თუმცა სასამართლომ, დამატებით საქორწინო შეთანხმების დათქმათა გათვალისწინებით, საქმის გადაჭრა დაფარვის პრინციპის საფუძველზე მოახდინა, რითაც შესაძლებელი გახდა, არა კორპორაციული შეზღუდული პასუხისმგებლობის ინტიტუტის იგნორირების საშუალებით გასულიყო სამართლებრივ და სამართლიან შედეგზე, არამედ კორპორაციული ვუალის ახდითა და ქონების მინდობით მართვის ნორმებით დაედგინა რეალობა, რომელზეც მოსარჩელე აპელირებდა და შესაბამისად კომპანიას დააკისრა მაკონტროლებელი პარტნიორის²⁰⁵ ვალდებულება საქორწინო შეთანხმების აღსრულებისა. ეს უკანასნელი გამართლებულია იმ კუთხითაც, რომ ზოგადად გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინას განიხილავენ როგორც „last resort“²⁰⁶ ე.ი. უკანასკნელ მექანიზმს, საშუალებას პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, რათა მაქსიმალურად იქნეს კორპორაციული პიროვნულობის შენარჩუნება. თუმცა არც აქ არის კონსესუსი იურისტებს შორის. კერძოდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია უკუსვლით გაჭოლვაზე (reverse piercing), მაშასადამე ვუალის ახდაზე. ამ ინსტიტუტს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს და სამართლიანადაც, რადგან უკუსვლით გაჭოლვის დროს არსებობს დიდი ალბათობა ზიანი მიადგეს როგორც თავად კომპანიას, ასევე სხვა პარტნიორებს, კრედიტორებს და მათ შორის თანამშრომლებსაც,²⁰⁷ ვინაიდან ფაქტიურად ხდება მაკონტროლებელი პარტნიორის ვალდებულებათა კომპანიაზე გადასვლა. სწორედ ამას გულისმობს ვუალის ახდა, არა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის იგნორირებით, არამედ პრინციპში განცალკევებული პიროვნულობის მოშლით ვალდებულებათა ნაწილში, თუმცა მხოლოდ მაკონტროლებენ პარტნიორსა და კომპანიას შორის. მაშასადამე, მაკონტროლებელი პარტნიორის პირადი ვალდებულება ხდება კომპანიის ვალდებულება და პირად კრედიტორს საშუალება ეძლევა კომპანიის აქტივიდან დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ლორდი სამპტონი საქმეზე *Atlas Maritime Co SA v Avalon Maritime Ltd*-ში უკუსვლით გაჭოლვას, თუმცა არა კონკრეტულად ამ ტერმინით, არამედ *consequential*-ის პრინციპის

²⁰⁵ Mujih, E., *Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?*, London Metropolitan University, 2016, 3.

²⁰⁶ Adam, L., *Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court Decision in *Prest v Petrodel Resources Ltd* Leads us Nowhere*, *The King's Student Law Review*, Vol. 5, No. 2, 2014, 75-77.

²⁰⁷ Dignam, A., Canruh, D., *Into Reverse: Redesigning Veil Piercing*, *Queen Mary Law Research*, Paper No. 401, 2023, 23.

დასაბუთებისას, პროცესს აღწერს როგორც სასამართლოს მიზანს გამოარკვეოს რეალურად მოქმედი პირები განსახილველ კომპანიაში, რაც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია საჯარო პოლიტიკის (საზოგადოებრივი წესრიგი, სამართლიანობა და სხვა) აღსრულებასთან.²⁰⁸ მაშასადამე, სასამართლო ვუალის ახდით გამოარკვევს ქმედების ჩამდენ, მაკონტროლებენ პარტნიორს, რათა მოახდინოს ამ უკანასკნელის პირადი კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება კომპანიის აქტივით,²⁰⁹ რომელსაც მაკონტროლებელი პარტნიორი იყენებდა როგორც ინსტრუმენტს, რათა მოეხდინა საკუთარი თავის იმუნიზაცია მის მიერ ჩადენილი არაკეთილსინდისიერი ქმედებიდან გამომდინარე წარმოშობილ ვალდებულებაზე პასუხისმგებლობისაგან.²¹⁰ ამგვარად, სახეზეა კონტროლი და საზოგადოების ქონების პარტნიორის მიერ განკარგვა, რაც საკმარისია ვუალის ახდისთვის, უკუსვლით გაჭოლვისათვის. თუმცა როგორც ითქვა, უკუსვლით გაჭოლვამ სხვა პარტნიორთან ერთად შესაძლოა დააზარალოს კომპანიასთან დაკავშირებული პირებიც. მართალია ზოგადად გაჭოლვის საკითხი ძირითადად ერთ-კაცა და დახურული ტიპის კომპანიებში დგება, თუმცა შესაძლოა არსებობდეს ერთზე მეტი პარტნიორი. გარდა ამისა კომპანიის კრედიტორისთვისაც არ არის სასურველი მოვალე საზოგადოების აქტივის გადამისამართება პარტნიორის პირადი კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, ვინაიდან ამით საფრთხე ექმნება უშუალოდ საზოგადოების კრედიტორის მოთხოვნის აღსრულებას. გარდა ამისა, რევერსიული გაჭოლვა პრიორიტეტს ანიჭებს მაკონტროლებელი პარტნიორის პირად კრედიტორს, შესაბამისად, კომპანიის კრედიტორთა რიგითობა უკან გადაიწევს.²¹¹

მთავარი განსხვავება პირდაპირ გაჭოლვასა და უკუსვლით გაჭოლვას შორის არის იმ მხარის იდენტიფიკაცია, რომელიც იღწვის კორპორაციული საფარველის გაჭოლვისათვის. მაშასადამე, ვალდებულება შესაძლოა მომდინარეობდეს კომპანიის გარედან იქნება ეს წარმომადგენლობითი დავა თუ სამართლის სხვა მიმართულება.

²⁰⁸ Hannigan, B., *Wedded to Solomon: Evasion, Concealment and Confusion on Piercing the Veil of the One-man Company*, Irish Jurist, New Series, Vol. 50, 2013, 38; Mujih, E., *Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?*, London Metropolitan University, 2016, 7.

²⁰⁹ Dignam, A., Canruh, D., *Into Reverse: Redesigning Veil Piercing*, Queen Mary Law Research, Paper No. 401, 2023, 24.

²¹⁰ Mujih, E., *Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?*, London Metropolitan University, 2016, 10.

²¹¹ Dignam, A., Canruh, D., *Into Reverse: Redesigning Veil Piercing*, Queen Mary Law Research, Paper No. 401, 2023, 24.

ინგლისის უზენაესი სასამართლოს წევრთა უმრავლესობა ვერ თანხმდება გამჭოლი პასუხისმგებლობის საქმეთა კატეგორიზაციაზე. მათ შეუძლებლად მიაჩნიათ ყველა საქმის „თავის არიდების“ ან „დაფარვის“ პრინციპის მიხედვით დახარისხებაზე. მეტიც, ისინი საუბრობენ იშვიათ და გამონაკლისის შემთხვევებზე, რომელიც არ ჯდება თავის არიდების პრინციპში, თუმცა მაინც გამჭოლ პასუხისმგებლობას მოითხოვს. მაგალითად მოსამართლე ლორდ კლარკი ამბობს, რომ „ხანდახან საშიშია შეეცადო ყველა შესაძლო სიტუაციის განჭვრეტა, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს და არ ვისურვებდი ამის გაკეთებას. თუმცა, სიტუაცია სადაც შესაძლებელი იქნება გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება, როგორც უკანასკნელი საერებერვო მექანიზმისა უნდა იყოს იშვიათი“. ანალოგიურ მოსაზრებას აზიარებს ასევე ლორდი მანსი. თუმცა გაუგებარია, რომელ შემთხვევათა კატეგორიზაციაა შესაძლებელი როგორც „იშვიათი“ და „გამონაკლისი“, ამის დაზუსტებას ეცადა ლორდი სამპტონი თავის არიდებისა და დაფარვის პრინციპის შემუშავებით, თუმცა ვერ მიაღწია იმ კონკრეტიზაციას, რაც იურისპრუდენციაშია დაფასებული. ამის საპასუხოდ, ერთადერთი მოსამართლე, რომელიც შედარებით მეტ სიზუსტეს აჩენს პრაქტიკაში არის ლედი ჰეილი. მისი მოსაზრებით, იშვიათი და საგამონაკლისო შემთხვევები, რომელიც „არაკეთილსინდისიერ უპირატესობათა მოპოვებას გულისხმობს“: „არ ვარ დარწმუნებული რამდენად შესაძლებელია ყველა საქმის კლასიფიკაცია, რომელშიც სასამართლომ უნდა უარყოს განცალკევებული კორპორაციული პიროვნულობა, „თავის არიდების“ და „დაფარვის“ პრინციპთა მიხედვით. ეს უბრალოდ შესაძლებელია იყოს პრინციპი, რომ ინდივიდს, რომელიც ოპერირებს, მართავს შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანიას, არ მიეცეს საშუალება ბოროტად გამოიყენოს ის ადამიანები ვისთანაც მას აქვს საქმიანი ურთიერთობა, მათგან მიიღოს არაკეთილსინდისიერი უპირატესობები“^{212, 213}

გამჭოლი პასუხისმგებლობის ე.ი. veil piercing-ის დოქტრინა ლიტერატურასა და პრაქტიკაში რამდენიმე სინონიმს ჰპოვებს. კონკრეტულად გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი რეალურად სტანდარტულ გაჭოლვად მოიხსენიება (standard piercing), თუმცა ასევე შესაძლოა პირდაპირი გაჭოლვაც (forward veil piercing

²¹² საქმე პრესტი პეტროდელის წინააღმდეგ (Prest v Petrodel [2013], UKSC 34); Lady Hale, para 92.

²¹³ Adam, L., Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court Descision in Prest v Petrodel Resources Ltd Leads us Nowhere, The King's Student Law Review, Vol. 5, No. 2, 2014, 78.

(FVP)) და მათ შორის თავიდან არიდების პრინციპადაც (evasion principle) იქნეს მოხსენიებული. აქ განსხვავება მხოლოდ ტერმინოლოგიურია, თუმცა შინაარსობრივი თავლსაზრისით იდენტურ ცნებებზეა საუბარი. ისევე როგორც, იდენტურ ცნებებად შესაძლოა მოიაზრებოდეს lifting – concealment principle – Backward or Reverse Veil Piercing (RVP).

2.3.2.1. რევერსიული გაჭოლვა, გაჭოლვა „უკუსვლით“ ან შებრუნებული გაჭოლვა (Reverse Piercing = Backward Piercing)

განსხვავებით ინგლისისა, მეტი კონკრეტიკაა ნორმალურ გაჭოლვასა და შებრუნებულ გაჭოლვას შორის აშშ-ში. პირველი გადაწყვეტლება შებრუნებულ (რევერსიულ) გაჭოლვასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა ვაშინგტონში უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე Platts²¹⁴, სადაც გამოყენებულ იქნა ორპუნქტიანი ტესტი. ეს უკანასკნელი მოიცავს კონტროლსა და ქონების განკარგვის საკითხს. მაშასადამე, უკუსვლით გაჭოლვის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც სახეზე მაკონტროლებელი პარტნიორი და მისი არაკეთილსინდისიერი ქმედება და ამასთან, პარტნიორის ქონების კომპანიის ბალანსზე ასახვა ვალდებულებათაგან თავის არიდების მიზნით.²¹⁵ Platts-ის საქმეზე სასამართლომ დაადგინა ვილლანდის (მაკონტროლებელი პარტნიორი) მიერ აბსოლუტური კონტროლი კომპანიაზე და ამასთან, საქორწინო შეთანხმებაში მის მიერ გაცხადებული თანხმობა, კომპანიის ქონება მიქცეულიყო საქორწინო შეთანხმების აღსრულებაში, რაც ადასტურებს ასევე ტესტის მეორე პუნქტს – “equity” პრინციპის არსებობას.

ზოგადად სასამართლო ტრადიციულ გაჭოლვასა და შებრუნებულ გაჭოლვას უყურებენ როგორც ერთი მედლის ორ საპირისპირო მხარეს. როგორც წესი მათ ერთიდაიგივე ფაქტობრივი გარემოებების შეფასება უწევთ მიუხედავად იმისა რა მიმართულებით არის დაყენებული მესამე პირის მოთხოვნა.²¹⁶ მთავარი განსხვავება სტანდარტულ გაჭოლვასა და რევერსიულ გაჭოლვას შორის მდგომარეობს კონტროლის „დომინირების“ განმარტებაში. კერძოდ, სახეზე უნდა იყოს დომინირება

²¹⁴ საქმე კომპანია პლატსი ბეატრის პლატსის წინააღმდეგ (W.G. Platts Inc v Platts, 298 P. 2d 1107 (Wash. [1956])).

²¹⁵ Richardson, M., The Helter Skelter Application of the Reverse Piercing Doctrine, 79 University of Cincinnati Law Review, 2011, 1612.

²¹⁶ Richardson, M., The Helter Skelter Application of the Reverse Piercing Doctrine, 79 University of Cincinnati Law Review, 2011, 1606.

იმგვარი მოცულობით, რომ კორპორაცია ან შვილობილი კომპანია გახდეს უბრალოდ ალტერ ეგო ან ინსტრუმენტი მაკონტროლებელი მხარის ან კორპორაციისა. დომინაციის მეტი სიზუსტის დადგენისთვის სასამართლომ შემდეგი კრიტერიუმები გამოყო: კორპორაციულ ფორმალობათა არარსებობა, არაადეკვატური კაპიტალიზაცია, აქტივთა აღრევა, გადაფარვა დირექტორის, ოფიცრის და სხვა კუთხით (როდესაც ერთიდაიმავე პირი რამდენიმე როლს ირგებს) და საერთო ოფისის, მისამართის ან სხვა მახასიათებლების არსებობა.²¹⁷ მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს და არ შეგვიყვანოს შეცდომაში ალტერ ეგოსა და ინტუმენტალურობის თეორიის არსებობამ რევერსიული გაჭოლვის ნაწილში, რადგან სტანდარტული გაჭოლვის დოქტრინის გამოყენებაც, ხომ სწორედ ასეთ ვითარებაში ხდება, რასაც პრაქტიკა და ლიტერატურა თანაბრად ადასტურებს. თუმცა ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ რევერსიული პირსინგისათვის სწორედ რომ სტანდარტულ გარემოებათა იდენტიფიცირება ხდება პირველ ეტაპზე, შემდეგ კი მოთხოვნის ავტორის იდენტიფიცირება, ეს უკანასკნელი კი ერთგვარი გამყოფი ხაზია რევერსიულ პირსინგსა და სტანდარტულ გაჭოლვას შორის.

ამერიკულ ლიტერატურაში რევერსიული პირსინგის ორ ქვეკატეგორიას გამოყოფენ და ყურადღებას ამახვილებენ თუ ვისგან მომდინარეობს მოთხოვნა. მოთხოვნის ავტორის მიხედვით განასხვავებენ შიდა რევერსიულ გაჭოლვას (Inside Reverse Piercing) და გარე რევერსიულ გაჭოლვას (Outside Reverse Piercing),²¹⁸ თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, რიჩარდსონის დაკვირვებით სასამართლოები ერთიდაიმავე პრინციპს ავრცელებენ ორივე შემთხვევის იდენტიფიკაციისათვის.

შიდა რევერსიულ გაჭოლვას ადგილი აქვს, როდესაც უშუალოდ კომპანიის პარტნიორი ცდილობს გაჭოლოს ვუალი, რათა კომპანიის ქონებით დაფაროს ის ვალეები რომელიც აკისრია კომპანიის მფლობელს ან მაკონტროლებელ პარტნიორს.

²¹⁷ Allen, N. B., Reverse Piercing of Corporate Veil: The Straightforward Path to Justice, St. Jones Law Review, Volume 85, Number 3, 2011, 1152, 1159.

²¹⁸ Mujih, E., Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?, London Metropolitan University, 2016, 15.

მაშასადამე, კორპორაციული ფიქციის იგნორირებით, იმისათვის რომ მიიღოს ის უპირატესობები რაც კორპორაციას გააჩნია, როგორც არის პირადი ქონების დაცვა.²¹⁹

რაც შეეხება გარე რევერსიულ გაჭოლვას, გარკვეულ წილად განსხვავებული სიტუცია დგას მოთხოვნის მქონე პირის თვალსაზრისით. გარე რევერსიული გაჭოლვა დგება მაშინ, როდესაც გარდა ზემოთ ხსენებული ორპუნქტიანი ტესტისა, მოთხოვნა მომდინარეობს გარე კრედიტორის, მესამე პირისგან, რომელიც ითხოვს მაკონტროლებელი პარტნიორის ვალეების დაკმაყოფილებას კომპანიის ქონებიდან. მაგალითად, ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილება *Prest-ის საქმეზე*²²⁰ განიხილება სწორედ გარე რევერსიულ გაჭოლვად, ვინაიდან მაკონტროლებელი პარტნიორის საქორწინო ვალდებულებათა, ე.ი. პირად ვალდებულებათა აღსრულება კომპანიის ქონებიდან მოითხოვა პრესტის პირად კრედიტორმა, ყოფილმა მეუღლემ, რომელიც არ ფლობდა აქციებს კომპანიაში, შესაბამისად არ იყო ამ კონკრეტული საზოგადოების წევრი. მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის მიუხედავად საქმეზე *Platts*, საქორწინო კონტრაქტიდან გამომდინარე განქორწინების ვალდებულებათა აღსარულებლად, განსხვავებით ინგლისისა, ამერიკის სასამართლომ გამოიყენა სტანდარტული გაჭოლვის დოქტრინა, რადგან ჩათვალა, რომ კომპანია იყო უბრალოდ პარტნიორის ალტერეგო. ამასთან, ამერიკის სასამართლომ უარი თქვა რევერსიული გაჭოლვის გამოყენებაზე საქმეზე *Kingston Dry Dock Co. v Lake Champlain Transportation Co*²²¹, სადაც საქმე ეხებოდა მშობელ-შვილობილ კომპანიას შორის კონტროლის პრობლემას, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ რადგან არ ჩანს შვილობილი კომპანიის საკმარისი თანამონაწილეობა იმ ქმედებაში, რომელმაც გამოიწვია ვალდებულების წარმოშობა მშობელ კომპანიაზე, უარი განაცხადა შვილობილი კომპანიის ქონებაზე აღსრულების მიქცევის მოთხოვნაზე.

რევერსიული გაჭოლვისათვის სასამართლომ ჩამოაყალიბა ორი მიდგომა: შებრუნებული მეთოდი რევერსიული პირსინგისა (inverse method of reverse piercing) და სამართლიანი შედეგის მიდგომა (equitable results approach). შებრუნებული

²¹⁹ Richardson, M., The Helter Skelter Application of the Reverse Piercing Doctrine, 79 University of Cincinnati Law Review, 2011, 1605.

²²⁰ საქმე პრესტი პეტროდელის წინააღმდეგ (*Prest v Petrodel* [2013], UKSC 34).

²²¹ საქმე კინგსტონ დრაი დოკი სატრანსპორტო კომპანია ლეიკ ჩემფლაინის წინააღმდეგ (*Kingston Dry Dock Co. v Lake Champlain Transportation Co* 31 F.2d 265 (2d Cir. [1929])).

მეთოდისას, სასამართლო უბრალოდ სტანდარტული გაჭოლვის მოთხოვნებს ავრცელებს რევერსიული პირსინგის კონტექსტში.^{222 223} ხოლო სამართლიანი მიდგომის გამოყენებას დამატებითი მოთხოვნათა დაცვით ცდილობს, რათა მოხდეს დივერსიფიცირებული ინტერესის დაცვა რევერსიული გაჭოლვის ეფექტისაგან. კერძოდ, სასამართლო ცდილობს დაადგინოს ზიანს აყენებს თუ არა რევერსიული გაჭოლვა კომპანიის უდანაშაულო პარტნიორს ან კომპანიის კრედიტორს. საქმეზე *Philips v Englewood Post*²²⁴ კოლორადოს სასამართლომ რევერსიული გაჭოლვის მექანიზმი გამოიყენა პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის და გამოიყენა „სამართლიანი შედეგის მიდგომა“, ვინაიდან ამ მეთოდს არავითარი ზიანის მოტანა არ შეეძლო კომპანიის „კრედიტორისათვის, რომელიც ასევე პარტნიორის პირადი კრედიტორები იყვნენ. ისევე როგორც ვერ მოხდებოდა სხვა პარტნიორის დაზარალება, რადგან, მსგავსად *Prest*-ის საქმისა, მაკონტროლებელი პარტნიორი ერთადერთი წევრი იყო კომპანიისა.²²⁵

სამართლიანი შედეგის მეთოდის მსგავსება იკვეთება ე.წ. მეათე რაიონულ დოქტრინასთან, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა ამერიკის სასამართლოს მიერ, კერძოდ მეათე რაიონული სააპელაციო სასამართლოში. ამ დოქტრინის გამოყენება დაკავშირებულია რევერსიული გაჭოლვის გამოყენების მაქსიმალურად შევიწროებასთან. კერძოდ, სასამართლო განიხილავს რამდენიმე გარემოების არსებობას, პირველ რიგში ეს არის კომპანიის კრედიტორთა დაქვემდებარება, ე.ი. რიგითობის გადანაცვლება პარტნიორის პირადი კრედიტორების უკან და ამასთან, რევერსიული გაჭოლვის გამოყენების შემთხვევაში კომპანიის საქმიანობის უნარის დაზიანება, მოტივაციის გაქრობით აიღოს სესხი, რათა არ შექმნას დამატებითი აქტივი, ვინაიდან მისი დაკარგვის საშიშროება გაზრდილია პარტნიორთა პირადი კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების კუთხით.²²⁶ საქმეზე *Cascade Energy &*

²²² Mujih, E., *Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?*, London Metropolitan University, 2016, 16.

²²³ Allen, N. B., *Reverse Piercing of Corporate Veil: The Straightforward Path to Justice*, St. Jones Law Review, Volume 85, Number 3, 2011, 1152, 1157.

²²⁴ საქმე ფილიფსი ენგელვუდის წინააღმდეგ (*Philips v Englewood Post No 332 Veterans of Foreign Wars of the U.S. Inc.* 139 P. 3d 639, 641, Colorado [2006]).

²²⁵ Mujih, E., *Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?*, London Metropolitan University, 2016, 17.

²²⁶ Richardson, M., *The Helter Skelter Application of the Reverse Piercing Doctrine*, 79 University of Cincinnati Law Review, 2011, 1615.

Metals Corp. v. Banks, ქვედა ინსტანციის სასამართლომ პირადი და ერთობლივი პასუხისმგებლობა დააკისრა კორპორაციათა ჯგუფს, გამოიყენა რა რევერსიული პირსინგი, ვინაიდან ისინი წარმოადგინა მაკონტროლებელი პარტნიორის - ვესტონის, ალტერ ეგოდ. თუმცა მეათე რაიონულმა სრულიად შეცვალა გადაწყვეტილება და რევერსიული პირსინგის გამოყენების რამდენიმე საწინააღმდეგო გარემოება დაასახელა: 1) არსებობს პრეზუმცია, რომ კორპორაციული ფორმა არ უნდა იქნეს იგნორირებული; 2) რევერსიული გაჭოლვა ამ შემთხვევაში გამოიწვევს პრეცედენტული გადაწყვეტილებების გაუფასურებას; 3) კომპანიის უდანაშაულო პარტნიორები დაზარალდებიან და 4) არსებობს ტრადიციული, კარგად ჩამოყალიბებული სამართლებრივი მექანიზმები, რომელიც იმავე სამართლებრივი შედეგის მომტანი იქნება საქმეზე, როგორც რევერსიული გაჭოლვის შემთხვევაშია, შესაბამისად არ არსებობს საჭიროება რევერსიული პირსინგის დუბლირებული თეორიის ჩამოყალიბებისა.²²⁷

2.4. შუალედური დასკვნა

ცალსახაა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა საგამონაკლისო რეჟიმი როგორც ამერიკის სამოსამართლო პრაქტიკაში, და კიდევ უფრო მეტად ინგლისის. მეტიც, ინგლისის სასამართლო მხოლოდ მაშინ მიიჩნევს დოქტრინის გამოყენებას გონივრულად, როდესაც საქმე განზრახ, მიზან მიმართულ „თავის არიდებას“ ეხება. ამასთან, უნდა გამოირიცხოს ყველა სხვა სამართლებრივი მექანიზმის გამოყენების არაადეკვატურობა კონკრეტულ საქმეზე.²²⁸ თუმცადა, ლორდ სამპტონმა ვერ შეეძლო ზუსტად დაესაბუთებინა და განესაზღვრა evasion-ისა და concealment-ის პრინციპის მნიშვნელობა და მათ შორის განსხვავება.²²⁹ რეალურად ყველაზე მეტ დაბნეულობას სწორედ მათ შორის სხვაობა იწვევს, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, განსხვავება გაჭოლვასა და ვუალის ახდას შორის, რადგან სხვადასხვა მოსამართლის მიერ

²²⁷ Richardson, M., The Helter Skelter Application of the Reverse Piercing Doctrine, 79 University of Cincinnati Law Review, 2011, 1614.

²²⁸ Hannigan, B., Wedded to Solomon: Evasion, Concealment and Confusion on Piercing the Veil of the One-man Company, Irish Jurist, New Series, Vol. 50, 2013, 39

²²⁹ საქმე ვითიბი კაპიტალი ნუტრიტეკ ინთერნეიშენალის წინააღმდეგ (VTB Capital Plc v Nutritek International Corp. [2013] UKSC 5, [2013] 2 AC 337); ხელმისაწვდომია: <<https://www.bailii.org/uk/cases/UKSC/2013/5.html>>, [12.08.2024]

ტერმინთა გამოყენება ხდება მონაცვლეობით, ერთიდაიმავე მნიშვნელობით,²³⁰ მაგალითად, ლორდ ნოიბერგერი საქმეზე VTB Capital Plc v Nutritek International Corp.. გარდა ამისა, როგორც წესი თავის არიდება ხშირ შემთხვევაში სწორედ დაფარვის პრინციპის გამოყენებით მიიღწევა, ამიტომ რთულია განასხვავო ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. ლორდ კლარკმა უარყო ამ ორ პრინციპს შორის განსხვავების არსებობა არგუმენტირებული დასაბუთების გარეშე და მანამ სანამ სასამართლო არ წარმოადგენს დეტალურ დასაბუთებას მათ შესახებ, მათი გამოყენება უბრალოდ არ შეიძლება პრაქტიკაში.²³¹ პარალელურად კი გერმანიაში, მნიშვნელოვან და საკმარის საფუძვლად განიხილებოდა ქვეკაპიტალიზაცია, აქტივთა აღრევა და ფორმალობათა დაუცველობა, თუმცა არა აპრიორი, ვინაიდან ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობა შესაძლოა ამტკიცებდეს რომელიმე საფუძვლის არსებობას, მაგრამ მაინც სადავო ხდება დოქტრინის გამოყენების მიზანშეწონილობა. თუ სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ვიმსჯელებთ, განსაკუთრებით ეს ეხება აქტივთა აღრევასა და ფორმალობათა დაუცველობას, ვინაიდან მწირია გადაყვეტილებები დაფუძნებული ზემოთხსენებულ საფუძვლებზე. ფორმალობათა დაუცველობის მთავარი პრობლემა კი ყოველდღიურ რუტინაში მდგომარეობს. კერძოდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც საზოგადოებაში კონკრეტული დოკუმენტაცია არასრულყოფილად არის მომზადებული, ან დავიწყებული და სხვა, რაც არ ნიშნავს აუცილებლად წევრთა ბოროტ განზრახვას ზიანი მიაყენოს საზოგადოებას. შესაძლოა აღნიშნული მხოლოდ დაუდევრობით იქნეს განპირობებული, რომელიც არ წარმოადგენს საპატიო მიზეზს, თუმცა არც საკმარის საფუძვლად ითვლება ისეთი ინსტიტუტის გვერდშეგასაწევად, როგორიც შეზღუდული პასუხისმგებლობაა.

²³⁰ Hannigan, B., *Wedded to Solomon: Evasion, Concealment and Confusion on Piercing the Veil of the One-man Company*, Irish Jurist, New Series, Vol. 50, 2013, 35

²³¹ იქვე, 39.

IV. გამჭოლი პასუხისმგებლობის აქტუალური საკითხები, მათ შორის კორპორაციულ ჯგუფებში

3. გამჭოლი პასუხისმგებლობა დღეს

3.1. გამჭოლი პასუხისმგებლობის აქტუალური საფუძვლები გერმანულ საკორპორაციო სამართალში

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში გერმანული და დელავერის შტატის მიდგომა გამჭოლი პასუხისმგებლობის კონტექსტში მსგავსებით ხასიათდებოდა, ბოლო დროს აღნიშნული შეიცვალა და ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს. ცვლილების წყარო კი Trihotel-ის²³² საქმეზე გერმანიის ფედერალური სასამართლოს (BGH) მიერ 2007 წელს მიღებული გადაწყვეტილება გახდა.²³³ პარტნიორისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების მანამდე არსებულ საფუძვლებს შორის იყო „აქტივების აღრევა“, „ქვეკაპიტალიზაცია“, „კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება“, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომელთა სამართლებრივი შედეგი დაკავშირებული იყო ფინანსური ზიანის გამოწვევასთან. თუმცა ფინანსური ზიანის გამოწვევა, როგორც საფუძველი მოძველდა და ზემოთხსენებული გადაწყვეტილების მიხედვით, სამამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მაქსიმალური დაცვისთვის აუცილებელია გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დავიწროება, მაშასადამე ზუსტად განსაზღვრა იმ გარემოებებისა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება საკორპორაციო სამართლისთვის, და არა მხოლოდ, ზოგადად კერძო სამართლისა და გამართული სამოქალაქო ბრუნვისათვის, მნიშვნელოვანი ინსტიტუტის „შეზღუდული პასუხისმგებლობის“ მაქსიმალურად ხელშეუხებლად დატოვება. სასამართლომ საქმეზე ტრიჰოტელ, დაადგინა, რომ ცალკეულად აღებული არადაკვეთური კაპიტალიზაცია, კორპორაციული ფორმისა და/ან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მიუხედავად ფაქტობრივად დადასტურებული იქნეს, არ შეიძლება გახდეს პარტნიორის პირადი „გამჭოლი“ პასუხისმგებლობის

²³² ტრიჰოტელის საქმე, Bundesgerichtshof (BGH), გერმანიის ფედერალური სასამართლო, II ZR 3/04, Jul. 16, [2007] (Trihotel), Neue Juristische Wochenschrift (NJW) 2789.

²³³ Chao, L., “Veil Piercing Under American, German, and Taiwanese Company Law”, Institute for European Integration, Hamburg, 2021, 33-34.

საფუძველი, და მაშასადამე მიეცეთ კრედიტორებს უფლება პირდაპირ, vis-à-vis პარტნიორების მიმართ მოთხოვნის დაყენების საშუალება კორპორაციული წარმონაქმნის გვერდით გაწევით, ვინაიდან პარტნიორებს არ დაურღვევიათ არცერთი ვალდებულება რაც კრედიტორების წინაშე აქვთ აღებული, მათი ბრალი გამოიხატება უშუალოდ კომპანიისათვის ზიანის მიყენებაში და მაშასადამე მათი პასუხისმგებლობა დგება არა კრედიტორის, არამედ კომპანიის წინაშე.²³⁴ სხვა სიტყვებით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპი, გარდა აქტივების აღრევისა, შთანთქმულ იქნა ახალი მიდგომით, რომელიც ვრცელდება მაშინ, როდესაც კომპანიის არსებობა საფრთხის ქვეშ დგება. გერმანულად ამას „existenzvernichtender Eingriff“²³⁵ ეწოდება, რაც პირდაპირ ითარგმნება, როგორც არსებობის გამანადგურებელი ინტერვენცია, თუმცა ამ მიდგომის დამკვიდრება მოხდა „გამანადგურებელი ჩარევის“²³⁶ სახელით.

„გამანადგურებელი ჩარევის“ მთავარი არსი გულისხმობს, პარტნიორთა მხრიდან ისეთ ქმედებას, რომელიც იმდენად აზიანებს კომპანიის მდგომარეობას, რომ ამას მიყვარს კომპანიის ფიზიკური განადგურების პირას. „გამანადგურებელი ჩარევის“ მთავარი ელემენტი სწორედ კომპანიის გადარჩენის დაბალი, თითქმის ნულოვანი შანსებია, რასაც შედეგად კომპანიის არსებობის შეწყვეტა მოჰყვება. ასეთ შემთხვევაში დელიქტის მთავარი ნორმა BGB §826 გვევლინება, რაც აღარ აძლევს საშუალებას კრედიტორს პირდაპირ გავიდეს პარტნიორის აქტივზე, ვინაიდან ტრიპოტელის საქმეზე, სასამართლოს დასაბუთებით, ზიანის მიყენების ფაქტი კომპანიის მიმართ ხდება და არა კრედიტორის. შესაბამისად, კრედიტორს რჩება საშუალება მოთხოვნა დააყენოს კომპანიის მიმართ და არა პარტნიორის. გამჭოლი პასუხისმგებლობის სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლის დეტალურმა განხილვამ ნათლად გამოავლინა ამ მიდგომის მთავარი მოტივი. მაგალითისთვის, ქვეკაპიტალიზაცია, რომელიც შესაძლოა გამოწვეულ იქნეს აქტივების არაადეკვატური გადანაწილებით პარტნიორების მხრიდან, ან/და კაპიტალის შენარჩუნების ნორმების დარღვევა, რაც არცერთ შემთხვევაში არ არის მიმართული კრედიტორის წინააღმდეგ. მართალია, კრედიტორი შესაძლოა მეორადი დაზარალებული იყოს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას

²³⁴ Hofmann, K., Wang, J., Tan, CH.-H., “Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspective”, 2019, 170-171.

²³⁵ Wirth, G, Arnorl, M., Morshauser, R., Car, S., Greene, M., “Corporate Law in Germany”, 2017, 213.

²³⁶ “Annihilating interference”.

პირდაპირი მოთხოვნის - გამჭლი პასუხისმგებლობის გამოყენების საშალება ეძლევა, ვინაიდან ეს წინააღმდეგობაშ მოვა §13 GmbH-თან, რომელიც კომპანიის განცალკევებულ სუბიექტობას განამტკიცებს. ტრიპოტელის საქმეზე ჩამოყალიბებული ახალი მიდგომით კი ამქსიმალურად ხდება საკორპორაციო სამართლის ძირითადი პრინციპების დაცვა და მათი ხელშეუხებლად დატოვება. უსამართლობის თავიდან ასარიდებლად და პრევენციისთვის კი გამჭლი პასუხისმგებლობის გამოყენება მხოლოდ სამართებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში იქნება დასაშვები, რაშიც სასამართლო მოიაზრებს ქმედებათა და ფაქტების დამალვას.²³⁷

3.1.1. ქვეკაპიტალიზაცია

გერმანული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კანონის 30-ე და 31-ე პარაფრაფი, სწორედ ქვეკაპიტალიზაციის პრევენციასა და კაპიტალის შენარჩუნებას ეხება. აქ წესები მკაცრად არის განსაზღვრული, შესაბამისად პარტნიორის ქმედება, რომელიც არ არღვევს ამ წესებს მაგრამ შედეგობრივად მაინც იწვევს არაადეკვატურ კაპიტალიზაციას, ვერ იქნება განხილული როგორც პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მინიმალური საკანონმდებლო კაპიტალი, რაც გერმანიის შემთხვევაში წარმოადგენს ევროკავშირის კანონით განსაზღვრულ ოდენობაზე 2 ჯერ მეტს, 50 000 ევრო სს-ს შემთხვევაში (AG), ხოლო 25 000 ევრო შპს-ის (GmbH/GmbHG)²³⁸ შემთხვევაში, ამ კაპიტალის ოდენობა ვერ იქნება იმ გარანტიების მიმცემი, რასაც ელოდება მისგან კრედიტორი. გერმანულ ლიტერატურაში და კომენტატურაში გამყარებული მოსაზრების თანახმად, მინიმალური კაპიტალის მიზანი არ არის „სწორი“ და „შესაბამისი“ კაპიტალის შექმნა ბიზნეს საქმიანობისა თუ ვალდებულებებისათვის. გარდა ამისა, ამის პირობასა თუ გარანტიას არცერთი პარტნიორი არ აცხადებს, მათ შორის არც სარეგისტრაციო წარმომადგენლობა, რომელიც კომპანიას რეგისტრაციაში ატარებს. კაპიტალის მიზანია, ჩამოაყალიბოს და გაამყაროს დამფუძნებელ პარტნიორთა ერთიანობა საქმიანობის გარშემო და მოახდინოს პრევენცია ადრეულ ეტაპზე კომპანიის გადახდიუნარობისა.

²³⁷ Zhen Qu, Ch., Bjorn, A., Lowering of the corporate veil in Germany: a case note on BGH 16 July 2007 (Trihotel), Oxford University Comparative Law Forum, 2008; <Oxford University Comparative Law Forum>, [15.08.2024].

²³⁸ Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung – GmbHG, §5 (1).

ამასთან ევროპული დირექტივა,²³⁹ რომელიც ყველა წევრ ქვეყანაზე ვრცელდება, თუმცა მას არ აქვს სავალდებულო ხასიათი, რეკომენდაციას იძლევა მინიმალური კაპიტალის დაწესებისა, რისი მიზანიც მინიმალური კრედიტუნარიუმი საფუძვლის შექმნაა იმ ვალდებულებებისა და ხელშეკრულებებისთვის, რასაც აიღებს კომპანია.²⁴⁰ ამასთან, პარტნიორი, და კიდევ უფრო ხშირ შემთხვევაში პატარა კომპანიებში, პარტნიორ-დირექტორი, წინდახედულია და ცდილობს თავი აარიდოს გადაჭარბებულ რისკზე წასვლას, ვინაიდან სასწორზე მისივე შენატანებია. კრედიტორებმა უნდა იცოდნენ, რომ გერმანული კანონი მათგან მოელის გულმოდგინეობასა და ბიზნეს კრიტიკას და მაშასადამე რისკების გააზრებას მანამ სანამ კომპანიასთან სამართალურთიერთობაში შევა.²⁴¹

ამგვარად, ქვეკაპიტალიზაციის შემთხვევაში, პარტნიორი ვერ იქნება კრედიტორის მიმართ პირადაპირ პასუხისმგებელი და მაშასადამე ადგილი ვერ ექნება გამჭოლ პასუხისმგებლობას. კიდევ ერთხელ, შპს-ის გერმანული ანალოგის კანონი 30-ე პარაგრაფში ადგენს, რომ კომპანიის აქტივი, რომელიც საჭიროა საზოგადოების კაპიტალის შესანარჩუნებლად არ შეიძლება გაცემულ იქნეს პარტნიორზე. ამავე კანონის 31-ე პარაგრაფი კი პარტნიორებზე უკანონოდ გადარიცხული აქტივების კომპენსირების წესს განსაზღვრავს. ამრიგად, თუ აკრძალვის მიუხედავად, პარტნიორებზე გადანაწილდა ისეთი აქტივი, რომელიც კაპიტალის შესანარჩუნებლად იყო საჭირო, ასეთ შემთხვევაში ყველა პარტნიორი პირადად და სოლიდარულად აგებს პასუხს ამ ქმედებაზე და მათ, თავისი წილების პროპორციულად უნდა დააბრუნონ თანხები რათა შეივსოს კომპანიის კაპიტალი იმ მინიმუმამდე რაც დადგენილია კანონით/წესდებით. აღნიშნული ორი პარაგრაფი კიდევ ერთი არგუმენტია, თუ რატომ არ უნდა გახდნენ პარტნიორები კრედიტორთა პირდაპირი სამიზნე, რადგან ქვეკაპიტალიზაციის შემთხვევაში მათ კორპორაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობა კანონის ძალით ეკისრებათ, თუმცა არა კრედიტორთა წინაშე, არამედ კორპორაციის მიმართ. მართალია, აქაც საუბარია პარტნიორთა პირად,

²³⁹ Company Law Directive 2017/1132/EU, Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017, Chapter IV, section 45.

²⁴⁰ Kindelr, P., Lieder, J., European Corporate Law, International and European Business Law by Schulz/Lehmann, BECK/HART/NOMOS, 2021, 229.

²⁴¹ Hofmann, K., Wang, J., Tan, CH.-H., "Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspective", 2019, 173-175.

პერსონალ პასუხისმგებლობაზე, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტს, ვინაიდან ეს უკანასკნელი, მხოლოდ მესამე პირთა მოთხოვნების შემთხვევაში განიხილება და არა შიდა კორპორაციულ ურთიერთობებში.²⁴²

გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ განხილული საფუძველი შეუთავსებლად ჩათვალა გამჭოლ პასუხისმგებლობასთან დოქტრინალური პერპექტივიდან გამომდინარე. პირველ რიგში ეს ეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის უგულვებელყოფას მორიგი საფუძველით, ამასთან პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების შიდა და გარე ფორმა განმარტა. გამჭოლი პასუხისმგებლობა სწორედ რომ გარე პასუხისმგებლობას გულისმობს, მაშასადამე როდესაც მოთხოვნა მომდინარეობს გარეშე, მესამე პირის მხრიდან. ასეთ დროს, სასამართლო გვერდშე გადადებს კორპორაციულ საფარველს, შეზღუდულ პასუხისმგებლობას და პარტნიორს ხელმისაწვდომს გახდის კრედიტორისათვის. თუმცა ტრიპოტელის საქმე სასამართლომ შიდა პასუხისმგებლობას დაუკავშირა, როდესაც პარტნიორი პირადად არის პასუხისმგებელი, თუმცა არა მესამე პირის არამედ თავად საზოგადოების მიმართ ქვეკაპიტალიზაციის საფუძველით. გარდა ამისა, მიუხედავად პარტნიორის მიერ გულმოდგინედ დაცული 30-31-ე პარაგრაფებისა, რომელიც კაპიტალის შემანარჩუნებელ დებულებებს მოიცავს, ასეთი ზიანის მიყენება მაინც შესაძლოა დადგეს დღის წესრიგში. ფედერალური სასამართლოს დასაბუთებით, ამ დროს საქმე ეხება დელიქტს და სამართლებრივი საფუძველიც სწორედ დელიქტურ ვალდებულებებში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფი, დელიქტიდან მიყენებულ ზიანს ეხება. თუმცა აქაც მეტი კონკრეტიზაცია საჭირო. 826-ე პარაგრაფი განმარტავს, რომ ზიანი მიყენებულ უნდა იქნეს განზრახ და არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგად. მაშასადამე, პარტნიორი უნდა იაზრებდეს რომ მისი ეს ქმედება უსათუოდ ზიანის მომტანი იქნება საზოგადოებისთვის და რომ ქმედება, რომელსაც ახორციელებს არაკეთილსინდისიერია. მათ შორის, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ისეთი პირის განზრახი ქმედებაც, რომელიც მართალია არ არის პარტნიორი მაგრამ, მოქმედებს როგორც ასეთი²⁴³. ეს უკანასკნელი ეხება

²⁴² Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung – GmbHG, §§30-31.

²⁴³ Trihotel-ის საქმეზე, სასამართლომ ამ შემთხვევაში მოიაზრა ასევე ხელმძღვანელი პირი, და აქ მსგავსება იკვეთება საერთო სამართლის კანონმდებლობასთან, რომელიც გავლენას ახდენს

პასუხისმგებლობის არიდებას ფორმალობათა მიღმა დამალვით. პროფესორი ბესარიონ ზოიძე, მისსავე სტატიაში²⁴⁴, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას²⁴⁵ ეხება, მსგავს აზრს აწვითარებს და განმარტავს, რომ „ის რაც კანონით აკრძალულია ფორმის დაცვით, აკრძალულია ფორმის დაუცველადაც“. მაშასადამე, მართალია ფორმალურად ესა თუ ის პირი არ არის პარტნიორი, თუმცა ის ფაქტობრივად ახორციელებს პარტნიორულ უფლება-მოვალეობებს, ამიტომ თუ მისი, არა-პარტნიორის ქმედება ზიანის მომტანია საზოგადოებისთვის მასზეც გავრცელდება პასუხისმგებლობა იმავე ფორმით და იმავე მასშტაბით, როგორც ეს პარტნიორის შემთხვევაში იქნებოდა.

ბოლო დროის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ GAMMA-ს საქმეზე.²⁴⁶ თუმცა ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა გერმანიის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე ქეისზე, რომელიც ფედერალურმა ინსტანციამ სამართლებრივი დასაბუთების ნაიწლში სრულიად შეცვალა.²⁴⁷ რეგიონულმა სასამართლომ პარტნიორებს პირადი პასუხისმგებლობა დააკისრა კერძოტორების წინაშე, მაშასადამე გამოიყენა კორპორაციული საფარველის გაჭოლვა ქვეკაპიტალიზაციის საფუძველით. საქმე ეხებოდა კომპანიათა ჯგუფს, სადაც პარტნიორებმა ჯგუფში არსებულ კომპანიათა ვალდებულებები გადააწერეს ერთ კომპანიას (Cinderella Company)²⁴⁸, რითაც გამოიწვიეს მისი გადახდისუუნარობა. შესაბამისად დაზარალებულ კომპანიაში მოხდა ქვეკაპიტალიზაცია, მოზღვაებული ვალდებულებები თითქმის არარსებული აქტივის საპირწონედ. მართალია, პარტნიორთა ქმედება არაკეთილსინდისიერია და მათ აუცილებლად უნდა

საზოგადოებაზე, ვის ხელშიც არის ძალაუფლება, მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მისი ქმედება საზოგადოებას გადახდისუუნაროს გახდიდა, შესაბამისად მას დაეკისრება ვალდებულებები კრედიტორთა წინაშე. იგივე წესი გავრცელდება დე-ფაქტო დორექტორზე.

²⁴⁴ ზოიძე, ბ., „მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები“, 2009, 65-83, 128-138;

²⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/378, საქართველოს პარლამენტი ვალერი გელაშვილის წინააღმდეგ,

²⁴⁶ Chao, L., “Veil Piercing in Under American, German, and Taiwanese Company Law”, Institute for European Integration, Hamburg, 2021, 35.

²⁴⁷ Hofmann, K., Wang, J., Tan, CH.-H., “Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspective”, 2019, 178.

²⁴⁸ საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებული ტერმინი ისეთი კომპანიებისთვის, რომელთაც იყენებენ როგორც მხოლოდ და მხოლოდ ვალდებულებათა მატარებელ სუბიექტს.

დაეკისროთ პირადი პასუხისმგებლობა, მაგრამ მათი ქმედება მიმართული არ ყოფილა კრედიტორთა წინააღმდეგ, შესაბამისად არ შეიძლება გამჭოლი პასუხისმგებლობის ამ შემთხვევაზე გავრცელება.²⁴⁹ ფედერალურმა სასამართლომ კიდევ ერთხელ განამტკიცა Trihotel-ის საქმეზე განვითარებული მსჯელობა, რომლის მიხედვითაც პირადი პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე ვერ დადება მაშინ, როდესაც კაპიტალის შენარჩუნების პრინციპი დაცულია. ამასთან, ეს ვერ იქნება შეფასებული ვერც როგორც „გამანადგურებელი ჩარევა“, ვინაიდან თუ კაპიტალის შენარჩუნების პრინციპი არ დაურღვევია პარტნიორს შპს-ს 30-31 პარაგრაფების მიხედვით, ეს ნიშნავს რომ მას არც კომპანიის განადგურებამდე მიყვანა ჰქონდა განზრახული. მართალია ზემოთხსენებული პრინციპების დაცვა აპრიორი ვერ იქნება გარანტია, რომ კომპანია არ მივა გადახდისუნარობის პირას, ვინაიდან შესაძლოა მინიმალური სტანდარი დაცული იქნეს მაგრამ მოხდეს იმგვარად ზიანის მიყენება, როდესაც პასივი ცალსახად გადააჭარბებს აქტივებს, ხოლო ამ აქტივთა მართვაში პარტნიორის ქმედება იქნეს განმაპირობებელი. ე.ი. არსებობს ქვეკაპიტალიზაციის კანონისმიერ ფარგლებში მოქცევის და კანონის დარღვევით გამოწვეული მდგომარეობა. ეს უკანაკნელი სახეზეა მაშინ, როდესაც პარტნიორის მიერ ირღვევა კაპიტალის შენარჩუნების პრინციპი, განაწილებულ იქნა აქტივები რომელიც საჭირო იყო საზოგადოების მინიმალური/წესდებით გათვალისწინებული კაპიტალის შესანარჩუნებლად, ხოლო პარტნიორთა მხრიდან არ მოხდა აქტივთა უკან დაბრუნება მოთხოვნის მიუხედავად. მეორე შემთხვევა კი წარმოადგენს სრულიად საპირისპირო მოცემულობას: პარტნიორის მხრიდან დაცულია კაპიტალის შენარჩუნების ყველა კანონისმიერი მოთხოვნა, მაგრამ აღნიშნული არ იქნა საკმარისი ქვეკაპიტალიზაციის თავიდან ასარიდებლად, ესეიგი ვერ მოხერხდა სწორი ბუღალტრული დათვლა, რაც ფედერალურ სასამართლოს არ მიაჩნია საკმარის საფუძვლად გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოსაყენებლად²⁵⁰.

²⁴⁹ Chao, L., “Veil Piercing in Under American, German, and Taiwanese Company Law”, Institute for European Integration, Hamburg, 2021, 35-36.

²⁵⁰ Hofmann, K., Wang, J., Tan, CH.-H., “Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspective”, 2019, 181.

მოკლედ, ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარტნიორის ქმედება ვერ ჩაითვლება „annihilating interference“-ად, რადგან დაცულია „capital maintenance“²⁵¹ პრინციპი და მაშასადამე, მისი პირადი პასუხისმგებლობა დადგება, თუმცა დადგება კომპანიის წინაშე და არა კრედიტორის.

GAMMA-ს საქმეზე ფედერალურმა სასამართლომ პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხი კიდევ ერთი საინტერესო ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე დააყენა, თუმცა ამ შემთხვევაშიც საკითხი დგას არა გამჭლი პასუხისმგებლობის, არამედ დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების კუთხით პირად პასუხისმგებლობაზე. კერძოდ, პარტნიორმა, რომელიც დაზარალებულ კომპანიას იყენებდა როგორც „კონკია საზოგადოებას“ მაშასადამე იცოდა ამ კომპანიის ფინანსური სირთულეების შესახებ, დაარწმუნა ჯგუფში არსებული სხვა კომპანიების თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი, სამუშაოდ გადასულიყვნენ სწორედ „კონკია საზოგადოებაში“. მან არ გაამხილა მის ხელთ არსებული ინფორმაცია ფინანსური საკითხების შესახებ, რითაც ზიანი მიაყენა გადმოსულ თანამშრომლებს. ფედერალურმა სასამართლომ, განმარტა, რომ პარტნიორის ეს ქმედება იყო ცასლახად განზრახი და არაკეთილსინდისიერი, რაც იძლევა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფის შემადგენლობას დელიქტით მიყენებული ზიანის შესახებ. აქედან გამომდინარე, პარტნიორს დაეკისრა პირადი პასუხისმგებლობა, თუმცა არა ამჯერად კომპანიის, არამედ დასაქმებულთა წინაშე.²⁵²

3.1.2. აქტივთა აღრევა

აქტივთა აღრევა ერთადერთი საფუძველია, რომლის შემთხვევაშიც გერმანიის სასამართლო გამოიყენებს გამჭოლ პასუხისმგებლობას. ამასთანავე ეს ის გამონაკლისი საფუძველია, რომელიც არ არის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული და სამოსამართლო პრაქტიკის შემოქმედებაა. ეს არის ხარვეზი, რომლის აღმოფხვრაც სასამართლომ ითავა და ალბათ მომავალში საჭიროებს დოქტრინალურ მოწესრიგებასაც. თუმცა უშუალოდ საკითხის თაობაზე, მნიშვნელოვანია განიმარტოს აქტივების აღრევის ტერმინის უკან მდგარი რეალური შინაარსი. აქ იურიდიული

²⁵¹ Roth, G. H, Kindler, P., *The Spirit of Corporate Law, Core Principles of Corporate Law in Continental Europe*, C.H. Beck, Munich, 2013, 56-61.

²⁵² Hofmann, K., Wang, J., Tan, CH.-H., “Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspective”, 2019, 179.

სამყარო მოიაზრებს კოპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას, რომელიც იწვევს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიის დაკარგვას. თავისმხრივ, კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება აუცილებლად უნდა გულისხმობდეს შემთხვევას, როდესაც კორპორაციის განცალკევებული პიროვნულობა ირღვევა, მაშასადამე იშლება ზღვარი პარტნიორსა და საზოგადოებას შორის. ასეთ გარემოებათა ჯაჭვი განსაზღვრავს პირადი პასუხისმგებლობის დღის წესრიგში დაყენებას. გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტებით, რომელიც ზემოთ განხილულ გადაწყვეტილებებამდე რამდენიმე წლით ადრე ჩამოაყალიბა, მაშინ როდესაც გერმანული სამართალწარმოებისთვის ჯერ კიდევ საკმარის საფუძველს წარმოადგენდა ქვეკაპიტალიზაცია, დომინანტური მდგომარეობისა და კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის, აქტივების აღრევა სახეზეა, როდესაც პარტნიორისა და კომპანიის აქტივების ერთმანეთისაგან განცალკევება უკვე შეუძლებელია, როდესაც პარტნიორის მიერ კომპანიასთან და მესამე პირებთან დადებული ხელშეკრულების გაუმჭირვალობა შეუძლებელს ხდის გამოირკვეს, რომელი მათგანია კომპანიის და რომელი პარტნიორის პირადი ტრანზაქცია. ფაქტობრივ გარემოებათა ამ ჯაჭვს, რომელსაც პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებლად ჭირდება დოქტრინალური საფუძველი, რაც ამ შემთხვევაში კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებაა, მივყავართ გერმანიის სავაჭრო კოდექსის 128-ე პარაგრაფამდე, რომელიც ეხება ტრანზაქციათა შედეგად განხორციელებული ზიანის ანაზღაურების საკითხს კომერციულ გართიანებებში. ობიექტური თვალსაზრისით აღნიშნული წარმოადგენს კანონის ბოროტად გამოყენებას, რასაც გერმანიაში „Objektiver Rechtsmissbrauch“-ს უწოდებენ^{253, 254} სავაჭრო კოდექსის 128-ე პარაგრაფი პირდაპირ მიუთითებს პარტნიორთა პირად პასუხისმგებლობაზე უშუალოდ კრედიტორთა მიმართ. თუმცა ეს შემთხვევა ცალსახად განსხვავდება ყველა სხვა აქტივების აღრევის შემთხვევისაგან, რომელიც არსებობის გამანადგურებელი ჩარევის“ ინსტიტუტში ჯდება. მოკლედ რომ ითქვას, ამჟამად აქტივების აღრევის ქეისები, გარდა ნახსენები გამონაკლისისა, წყდება კანონის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, როგორც არის მაგალითად დელიქტი ან

²⁵³ Windbichler, Ch., Bachmann, G., “Gesellschaftsrecht”, 2024, 30.

²⁵⁴ Hofmann, K., Wang, J., Tan, CH.-H., “Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspective”, 2019, 181.

სახელშეკრულებო ნორმები, თუმცა მნიშვნელოვანია გამოიყოს, რომ ამ შემთხვევაში სასამართლო მიუთითებს პარტნიორთა პირად პასუხისმგებლობაზე არა კრედიტორების არამედ კომპანიის მიმართ, სხვა სიტყვებით, შიდა პასუხისმგებლობაზე.

აქტივების აღრევის განსხვავებული შემთხვევაა სახეზე, როდესაც საუბარია სფეროთა აღრევაზე. ასე მაგალითად, როდესაც პარტნიორი წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუმცა არ ახდენს იმის დაზუსტებას, თუ რა სტატუსით შედის სამართალურთიერთობაში, არის ის დირექტორი და მაშასადამე კანონიერი წარმომადგენელი კომპანიისა თუ კომპანიისაგან განცალკევებული კერძო, ფიზიკური პირი. გერმანიის ფედერალური სასამართლო, ამ შემთხვევაში პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებას არავითარ შემთხვევაში არ უკავშირებს გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტს, ვინაიდან თვლის, რომ სახეზეა კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევა კომპანიის მიმართ და იყენებს სამართლის ზოგად პრინციპებს. უფრო კონკრეტულად კი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) 242-ე პრაგრაფს, რაც კეთილსინდისიერების მოვალეობას ეხება. მაშინ როცა, მსგავს შემთხვევაში, საეთო სამართლის ქვეყნები გამოიყენებდნენ „estoppel“-ის ინსტიტუტს ან „არასწორი წარმომადგენლობის ინსტიტუტს“ (misrepresentation).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის სასამართლო სისტემა კიდევ უფრო მკაცრად უდგება გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებას და მაშასადამე პასუხისმგებლობის შეზღუდვის ინსტიტუტს მაქსიმალურად აძლიერებს თავისი მიდგომით. სხვა იუქრიდიკიებში მრავალფეროვანი საფუძვლები არსებობს გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგომისა, თუმცა ყველა ამ შემთხვევას, გარდა აქტივების აღრევის კონკრეტული შემთხვევისა, გერმანიის სასამართლო აკვალიფიცირებს როგორც პირად და შიდა პასუხისმგებლობას, ვინაიდან თვლის რომ პარტნიორთა მხრიდან კომპანიის მიმართ ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევა მოხდა და არა კრედიტორთა მიმართ, ამგვარად გარე პასუხისმგებლობის საკითხი გამოირიცხა.

3.2. დელავერის საკორპორაციო სამართლის მიხედვით

დღევანდელი მდგომარეობით დელავერის შტატში არსებითი ცვლილება გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების თავლსაზრისით არ შეინიშნება. უახლოესს

გადაწყვეტილებებშიც კი საფუძვლების იდენტურობა ცალსახაა და მოსამართლეები წარსულ გადაწყვეტილებებს უთითებენ დასაბუთებებშიც.²⁵⁵ ამგვარად, საფუძველთაგან ყველაზე მეტად ჭარბოს თაღლითობა, ინსტრუმენტალურობისა და ალტერ ეგოს²⁵⁶ თეორიები. თუმცა საკითხი, რომლის შესახებაც ხშირად არის აზრთა სხვადასხვაობა ეს არის ტრადიციული გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შებრუნებული (გარე) გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება. ხშირ შემთხვევაში სამართლებრივი საფუძვლები არ განსხვავდება ამ ორი ინსტიტუტის გამოყენებისას და როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, შედეგის თვალსაზრისით ორივე მათგანი ერთს - პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებას ემსახურება.

დელავერის შტატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განშტოება სასამართლო სისტემაში²⁵⁷, რომელიც სამეწარმეო საქმეთა სასამართლოდ მოიხსენიება და არის მოწინავე დავების განხილვის კუთხით, რაც განპირობებულია კომპანიათა ¾-ის დელავერის შტატში დაფუძნებით, განვლილი პრაქტიკის მსგავსად თავშეკავებულია გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საკითხში და საქმის შესწავლას ახდენს ხუთი მთავარი ფაქტორის მიხედვით, რათა დოქტრინის გამოყენება მიზანშეწონილად ჩათვალოს. კერძოდ: 1) იყო თუ არა კომპანია ადეკვატურად კაპიტალიზებული ვალდებულებისთვის; (2) იყო თუ არა გადახდისუნარიანი (3) დაცული იყო თუ არა ფორმალობები; (4) მოიხმარდა თუ არა დომინანტური წევრი(ებ)ი კომპანიის სახსრებს; და (5) ზოგადად ფუნქციონირებდა თუ არა კომპანია, როგორც ფასადი დომინანტური წევრი(ებ)ისთვის. თუმცა, არცერთი ზემოთ მითითებული ელემენტი არ წარმოადგენს აპრიორი დოქტრინის გამოყენების საფუძველს და სასამართლო ამ ელემენტთაგან ორი ან მეტის ერთობლიობის არსებობას საჭიროებს, მაგრამ ისიც იმ შემთხვევაში თუ სხვა სამართლებრივი ბერკეტი (მაგ.: დელიქტი, უსაფუძლო გამდიდრება და სხვა) დავის

²⁵⁵ საქმე კლივლენდ კლიფს ბურნსი ბუმერანგ ტუბის წინააღმდეგ (CLEVELAND-CLIFFS BURNS HARBOR LLC, a Delaware limited liability company, and CLEVELAND-CLIFFS STEEL LLC, a Delaware limited liability company, v. BOOMERANG TUBE, LLC, a Delaware limited liability company, BLACKDIAMOND CAPITAL MANAGEMENT, L.L.C., a Delaware limited liability company, and PTC LIBERTY TUBULARS, LLC, a Delaware limited liability company, [2022] C.A. No. 2022-0378-LWW).

²⁵⁶ საქმე რიჩ და ასოციატს ტრეიტონ დენსერისა და იმპერიალ რეზინის ინდუსტრიის წინააღმდეგ (REACH & ASSOCIATES, P.C. and, Bird & Associates, P.C., v. F. Tayton DENCER, Imperial Rubber Industries, Inc., Imperial Rubber Development Co., Inc., Imperial Rubber Holdings, Inc., and John Does 1-2. U.S. District Court for the District of Delaware - 269 F. Supp. 2d 497 (D.Del.) [2003] June 19, 2003)

²⁵⁷ The Delaware Court of Chancery.

გადაწყვეტის საშუალებას ვერ იძლევა. გარდა ამისა, დოქტრინის გამოყენების მთავარი მიზანი საბოლოო ჯამში უსამართლობისა და უკანონობის აკრძალვა, შეწყვეტა უნდა იყოს.²⁵⁸

3.3. ქართულ სამეწარმეო სამართალში არსებული რეალობა

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ძალიან ღარიბია სამეწარმეო სამართალში პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებით, მაინცდამაინც არც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრების სასამართლოსეული საფუძვლებიც. ყველაზე ხშირად²⁵⁹ სასამართლო კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის საფუძველით აყენებს პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხს. თუმცა, როგორც ზემოთ განიმარტა, თითქმის ყველა საფუძველი, რომელსაც კანონი ან თუნდაც სხვა ქვეყნის დოგმატიკა იცნობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ მაინც კეთილსინდისიერებას უკავშირდება. მაშასადამე, აქ მნიშვნელოვანია იმ კავშირის დადგენა, რომელიც პარტნიორის მიერ განხორციელებულ ქმედებასა და კეთილსინდისიერების მოვალეობის დარღვევას შორისაა და, ამგვარად, კეთილსინდისიერების პრინციპის სასამართლოსეული გაგება.

მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში²⁶⁰, რომელიც ეხება კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის კომპანიის პარტნიორისა და დირექტორ-პატნიორის პირად პასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება, ძირითადად, მეწარმეთა კანონის 3.6 მუხლს ეფუძნება (შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება), რომელიც დღეს მოქმედი კანონით 26-ე მუხლში მოიძებნება, პარტნიორისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში, პარალელი შეგვიძლია გავავლოთ კეთილსინდისიერების პრინციპთანაც, ვინაიდან, როგორც წინა თავში განიმარტა, პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება პირდაპირ უკავშირდება კეთილსინდისიერების მოვალეობის დარღვევას,

²⁵⁸ <<https://www.delawareinc.com/blog/high-burden-for-veil-piercing/>>, [18.07.2024].

²⁵⁹ თუ შეიძლება, რომ ითქვას, ვინაიდან არსებობს რამდენიმე გადაწყვეტილება.

²⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n78-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>>, [12.07.2024].

რამეთუ კეთილსინდისიერი პარტნიორი²⁶¹ ბოროტად არ გამოიყენებს მის ხელთ არსებულ შესაძლებლობებს მართოდ სხვისი ან საწარმოს ინტერესების საზიანოდ. გადაწყვეტილების შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებისა და კეთილსინდისიერების პრინციპზე საუბარი შესაძლებელია მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ მოდავე მხარეები პირადად და უშუალოდ იყვნენ ჩართული კომპანიის საქმიანობაში. ამის ხაზგასმის აუცილებელი საჭიროება იქიდან გამომდინარეობს, რომ საქმე ეხება არა მხოლოდ დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხს, რომელიც უდავოდ პირადად ხელმძღვანელობს საწარმოს, არამედ პარტნიორისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნიდან. თუმცა, როგორც ზემოთ განვმარტე, ეს არ არის ერთადერთი პირობა პარტნიორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი პარტნიორს ანიჭებს უფლებამოსილებას აკონტროლოს კომპანიის საქმიანობა, ამ მიზნით მიიღოს წლიური და შუალედური ანგარიშები და სხვა. მაშასადამე, ეს ნორმა²⁶² პარტნიორს რეალურ შესაძლებლობას აძლევს არ დარჩეს მოტყუებული და როგორც სუს-ის გადაწყვეტილებაშია²⁶³ განმარტებული, პარტნიორის ეს უფლება იქცევა მის ვალდებულებად საწარმოს წინაშე, იყოს ინფორმირებული საწარმოს შიდა კორპორაციულ საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ის, რომ პარტნიორი არ მონაწილეობს უშუალოდ კომპანიის საქმიანობაში, არ გამოირიცხავს მის

²⁶¹ ამ შემთხვევაში მოიაზრება არა მხოლოდ დირექტორი, არამედ ის პარტნიორიც, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს კომპანიას. შესაბამისად, ასეთ პარტნიორზეც გავრცელდება მეწარმეთა კანონის 9.6 მუხლის მოთხოვნა – კეთილსინდისიერების მოვალეობა, როგორც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პარტნიორზე. თუმცა ამის გარეშე, პარტნიორს ევალება, კეთილსინდისიერად განახორციელოს მისი უფლება-მოვალეობები, რომლებიც მას საწარმოს წინაშე აკისრია.

²⁶² „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მათ ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს“; 53-ე მუხლის მე-3² პუნქტი: „აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს“; 3.10 მუხლი: „ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ.

²⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-899-1185-09.

პასუხისმგებლობას და დირექტორთან ერთად მისი სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხიც შესაძლოა დადგეს.

ამრიგად, უზენაესი სასამართლოს ორი გადაწყვეტილებით²⁶⁴ დგინდება, რომ პარტნიორის მხრიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება ვლინდება მაშინ, თუ სახეზეა პარტნიორის მხრიდან საზოგადოების უშუალო ხელმძღვანელობა და მისი მხრიდან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას. განსახილველ შემთხვევაში კრედიტორს წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც „არასახელშეკრულებო“, „არანებაყოფლობით“, დელიქტურ კრედიტორად მოიაზრება, ვინაიდან სახელმწიფოს არ ჰქონია განზრახვა, შესულიყო საწარმოსთან ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობაში, თუმცა დაზარალებული აღმოჩნდა, რადგან საწარმომ არ შეასრულა კანონით განსაზღვრული ვალდებულებები²⁶⁵ სახელმწიფოს მიმართ.

რაც შეეხება დირექტორისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს, აქ სასამართლო უთითებს მეწარმეთა კანონის 9.6 მუხლის²⁶⁶ კეთილსინდისიერების პრინციპის (ფიდუციური მოვალეობები) დარღვევას, რომელიც გამოიხატა დირექტორის მხრიდან კომპანიის წინაშე არსებული საგადასახადო ვალდებულებების მინიმიზაციის მცდელობით, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა გადასახადებისაგან თავის არიდებას და ასეთი ქმედებისაგან გამოწვეულ მოზღვავებულ ვალდებულებებს, რაც კატასტროფული შედეგის მომტანი შესაძლოა იყოს კომპანიისათვის. მაშასადამე, დირექტორმა, მართალია, უნდა იზრუნოს საწარმოს მომგებიანობის გაზრდაზე, თუმცა ეს უნდა გააკეთოს კანონით დადგენილი ქცევის წესის ფარგლებში.²⁶⁷

განხილული გადაწყვეტილება კიდევ იმით არის გამორჩეული, რომ ეს არის პირველი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლო პირად პასუხისმგებლობას აკისრებს

²⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1158-1104-2014.

²⁶⁵ მოგების გადასახადი.

²⁶⁶ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 50.

²⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014.

პარტნიორსა და დირექტორს სუბსიდიურად, ერთმანეთის მიმართ კი სოლიდარულად. სუბსიდიური პასუხისმგებლობა პირველად გაჟღერდა პრაქტიკაში, თუმცა უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა არ განმარტავს სუბსიდიური პასუხისმგებლობის არსს და მას, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინას მოიაზრებს, რაც არ უნდა ჩაითვალოს შეცდომად, იქიდან გამომდინარე, რომ „სუბსიდიური პასუხისმგებლობა“ „დამხმარე“ პასუხისმგებლობის ფორმაა: ძირითადი პასუხისმგებლობის წყარო, როგორც უკვე განხილულ იქნა, არის უშუალოდ საწარმოს აქტივი, კაპიტალი, ხოლო ბრალეული ქმედების შედეგად დამხმარე პასუხისმგებლობის წყაროდ უშუალოდ პარტნიორის პირადი ქონება განიხილება. ამრიგად, პერსონალური პასუხისმგებლობა ამ კონტექსტში „დამხმარე“ საშუალებაა ვადამოსული მოთხოვნებისათვის.

3.3.1. მეწარმეთა შესახებ საქართველოს ახალი კანონის მოწესრიგება

საქართველოს მეწარმეთა შესახებ საქართველოს 2022 წლის კანონი კონკრეტულ ნორმებში მიუთითებს პარტნიორთა პირად პასუხისმგებლობაზე. მათი გამოყოფა შესაძლებელია რამდენიმე კატეგორიად. ესენია: კაპიტალის შენარჩუნების პრინციპი, ქვეკაპიტალიზაცია, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, განცალკევებული პიროვნულობის მოშლა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება (კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება). მუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკა რიგ შემთხვევაში აუცილებლად გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის გამოყენებით ხასიათდებოდა, არსებობს ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაც, მაშასადამე კორპორაციული საფარველის გარეშე პარტნიორისათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების მოსაზრებაც და აქ გერმანული სასამართლო პრაქტიკის რელევანტურობაც იკვეთება. მართალია, რომ ახალი კანონი არ არის მხოლოდ გერმანული კანონმდებლობის გამზიარებელი, არამედ აქ ამერიკული მიდგომებიც თვალნათლივ ჩანს, ის წარმოადგენს ერთგვარ სინთეზს. თუმცა როგორ უნდა განავითაროს სასამართლომ პრაქტიკა, იმისათვის რომ დაიცვას სამართლიანობა, ამასთან გაითვალისწინოს ქვეყანაში არსებული რეალობა და მოერგოს მას, დაიცვას კორპორაციული ფორმა, ე.ი. კორპორაციულ სამართლებრივი ინსტიტუტები, როგორც არის განცალკევებული პიროვნულობა, შეზღუდული

პასუხისმგებლობა, და ამასთან დაიცვას კრედიტორთა უფლებები, არის კითხვა, რომელსაც ეს თავი შეეცდება პასუხი გასცეს.

3.3.2. კაპიტალის შენარჩუნება და ქვეკაპიტალიზაცია

2022 წლამდე კანონმდებელი ლიბერალურ მიდგომას ინარჩუნებდა მეწარმეთა მიმართ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის გაუქმებით, რასაც ნაწილობრივ ახლაც იზიარებს, თუმცა ერთი გამონაკლისით. დღეს მოქმედი კანონი განსაზღვრავს მინიმალურ საწესდებო კაპიტალს მხოლოდ ერთი სამართლებრივი ფორმისთვის - სააქციო საზოგადოება (სს), რომელიც 100 000 ლარით შემოიფარგლება²⁶⁸. სხვა შემთხვევაში, კერძოდ კი წინამდებარე ნაშრომისთვის რელევანტური სამართლებრივი ფორმის, შპს-ს შემთხვევაში ასეთი ჩანაწერი არ არსებობს, პირებს შეუძლიათ ნებისმიერი ოდენობით განსაზღვრონ კაპიტალი წესდების ფარგლებში. თუმცა არც ეს უკანასკნელი შემთხვევა იქნება იზოლორებული კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, რომელიც ეხება დივიდენდის გაცემის აკრძალვას, იმ შემთხვევაში თუ ეს კომპანიის გადახდისუნარობას გამოიწვევს შედეგად. თუმცა, თუ არ არსებობს მინიმალური საწესდებო კაპიტალის განსაზღვრება, მაშ როგორ უნდა მოხდეს მისი იმგვარი დაცვა, რომ ამათ არ გამოიწვიოს კომპანიის პასივთა მეტობა აქტივთან მიმართებით?! ბუღალტრული ჩანაწერების განსაკუთრებული მნიშვნელობა კომერციული საქმიანობისთვის აქაც ვლინდება. ქვეკაპიტალიზაციის მთავარი მიზეზი ზოგადად აქტივთა არასწორი მენეჯმენტია, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირის „performance“-თან. ბუღალტერიის საქმეა გამოითვალოს, თუ რა მოცულობის ვალდებულება აქვს აღებული საზოგადოებას და რა მოცულობის კაპიტალია აქვს მას ვალდებულებათა საპასუხოდ. თუ ეს უკანასკნელი აჭარბებს აქტივს ასეთ შემთხვევაში კომპანია დადგება გადახდისუნარობის საფრთხის წინაშე. შესაბამისად, თუ არის ასეთი საშიშროება, პარტნიორთა საერთო კრების მიერ არ უნდა იქნეს დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული, რომელსაც, როგორც წესი, ეს ორგანო ხელმძღვანელი პირის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე იღებს. ერთია ინფორმაციის სისწორე, მეორე პარტნიორთა მოზღვავებული სურვილი მიიღოს დივიდენდი, ე.ი. მიუხედავად სწორად წარდგენილი ინფორმაციისა და წინადადებისა

²⁶⁸ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 156, პუნქტი 1.

დივიდენდის არ განაწილების შესახებ, საერთო კრებამ შეაძლოა მაინც მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება. თუ მსგავს შემთხვევას აქვს ადგილი, რაც ცალსახად და პირდაპირ არის დაუშვებელი კანონის ზოგადი ნაწილის 32-ე მუხლის ჩანაწერით, პარტნიორი ვალდებულია უკან დააბრუნოს მიღებული დივიდენდი, რომელიც კანონის ან წესდების დარღვევით განაწილდა. კანონი აქ არ ახსენებს პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებას პარტნიორის მიმართ. მეტიც, შპს-ის კერძო ნაწილის 145-ე მუხლის შინაარსით ირკვევა, რომ დივიდენდის კანონსაწინააღმდეგო განაწილებისას ხელმძღვანელი პირია პირადად მთელი თავისი ქონებით პასუხისმგებელი. ეს უკანაკნელი კი განპირობებულია ხელმძღვანელი პირის მხრიდან არასწორი ინფორმაციის წარდგენით. კერძოდ ამავე მუხლის პირველივე პუნქტის ბოლო წინადადებით: „ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია პარტნიორებს დივიდენდის შეზღუდული საზოგადოების პარტნიორებზე განაწილების შესახებ წინადადებასთან ერთად წარუდგინოს განცხადება საზოგადოების გადახდისუნარიანობის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ დივიდენდის განაწილების დღიდან მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში ეს საზოგადოება შეძლებს ვადამოსული ვალდებულებების ჩვეულებრივი ან/და დაგეგმილი სამიქნობის ფარგლებში შესრულებას“. ქართველი კანონმდებელი სამართლიანად აკისრებს სწორი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას ხელმძღვანელ ორგანოს, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც მისი პირადი პასუხისმგებლობა დგება დღის წესრიგში²⁶⁹. თუმცა გასათვალისწინებელია შემთხვევები, როდესაც პარტნიორთა კრება ხელმძღვანელის ორგანოს წარდგენილი წინადადებისაგან განსხვავებულ გადაწყვეტილებას იღებენ²⁷⁰, ასეთ დროს მათი ვალდებულება დგება, დააბრუნონ უკან მიღებული დივიდენდი, თუ დივიდენდის დაბრუნება აუცილებელია კომპანიის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, თუ „საზოგადოების აქტივები ვეღარ დაფარავს ვალდებულებებსა და განთავსებული კაპიტალის ოდნეობას“²⁷¹. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს და მოხდეს პარტნიორის პირადი ქონებიდან, ვინაიდან დივიდენდი პარტნიორს საკუთრებაში გადაეცემა, რის შემდეგაც ის მისი პერსონალი ქონების შემადგენელი ნაწილი ხდება, ამიტომ მისი დაბრუნებაც პირადი ქონებიდან უნდა

²⁶⁹ მუხლი 145, პუნქტი 8

²⁷⁰ მუხლი 145, პუნქტი 2

²⁷¹ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 145, პუნქტი 6

მოხდეს. თუმცა აქ გასათვალისწინებელია, პარტნიორის ამ ვალდებულების ადრესატი: თავად საზოგადოება თუ ამ საზოგადოების კრედიტორები?! კაპიტალის შენარჩუნების პრინციპი, ქვეკაპიტალიზაციის პრევენცია თავის თავში მოიაზრებს საზოგადოების მიმართ და პარტნიორების მიმართ აღებულ ვალდებულებას, რაც თითოეული პარტნიორის კომერციული ინტერესიც უნდა იყოს, შესაბამისად ამ ვალდებულების ადრესატი ვერასოდეს იქნება მესამე პირი, კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც მართალია საფრთხის ქვეშ დგება, მაგრამ მისი მოთხოვნა არსებობს საზოგადოების მიმართ და არა უშუალოდ პარტნიორის მიმართ. კრედიტორი სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება უშუალოდ იურიდიულ პირთან და არა მის წევრებთან ინდივიდუალურად. ამიტომ, პარტნიორის მხრიდან უკანაოდ გაცემული დივიდენდით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება პარტნიორს ეკისრება, მაგრამ უშუალოდ კომპანიის მიმართ. კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნის დაკმაყოფილება მოხდება საზოგადოების ქონებით, ხოლო პარტნიორი პირადი ქონებით პასუხს საზოგადოების წინაშე აგებს.

გარდა კაპიტალის შენარჩუნების პრინციპისა, ზოგადად პარტნიორს კანონი აკისრებს ვალდებულებას, გაითვალისწინოს საზოგადოებისა და სხვა პარტნიორების კანონიერი ინტერესები და უფლებები²⁷². ამგვარად, პარტნიორის უფლებათა განხორციელება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ამით არ დაზარალდეს საზოგადოება და მისი წევრები. საზოგადოების გადახდისუუნარობის გამოწვევა კი სწორედ რომ მათი კანონიერი ინტერესის საგანია, რითაც ამავდროულად უფლების შელახვის საშიშროება დგება.

მინიმალური საწესდებო კაპიტალი, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ სს-ის შემთხვევაში აქვს კანონმდებელს დადგენილი. მაგრამ, კაპიტალის შენარჩუნების იმ სცენარის განხილვა იქნება საინტერესო, როდესაც კაპიტალის მინიმალური კვოტა შენარჩუნებულია, მაგრამ საზოგადოება მაინც გადახდისუუნარო გახდა. ეს ის მოცემულობაა, როდესაც მმართველმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ კანონისმიერი მინიმუმი, არამედ კონკრეტული ბიზნეს-საქმიანობისთვის საჭირო აქტივების მოცულობა, ე.ი. მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები. გარდა ამისა, საზოგადოებამ არ უნდა იკისროს გადაჭარბებული ვალდებულებები, რომელთა

²⁷² მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34, პუნქტი 1.

დასაკმაყოფილებლად მას არ გააჩნია საკმარისი ქონება, რასაც ხაზი გაესვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის განჩინებაშიც. კერძოდ, სასამართლოს მიერ უარყოფილ იქნა პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორისათვის ქვეკაპტალიზაციის საფუძველით, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა გარიგების დადების მომენტისათვის კომპანიის არასაკმარისი ფინანსების არსებობა საქმიანობისათვის.²⁷³ თუმცა ფინანსების არასაკმარისობის გამოწვევა გარიგების დადების შემდგომ ეტაპზეც შესაძლებელია, აქ რა საკვირველია იგულისხმება განზრახი ან დაუდევარი ქმედებით გამოწვეული შედეგი, აქედან გამომდინარე სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა არა მხოლოდ გარიგების დადების მომენტისათვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არამედ შემდგომი ეტაპიც, ვინაიდან ხელმძღვანელი პირის მიერ დამატებითი ვალდებულების აღება და არასწორი ფინანსურ მენეჯმენტი კომპანიის ფინანსურ გამოშიგვნას გამოწვევს, რაც გადახდისუუნარობის ზღვარზე მიყვანას გულისმობს. მაშასადამე, სწორი მენეჯმენტის ფარგლებში, მიუხედავად მინიმალური, განთავსებული კაპიტალის შევსებისა, შესაძლოა მაინც არ იყოს გონივრული დივიდენდის განაწილება, რადგან ეს უთუოდ დააზიანებს საზოგადოებას (გამოიწვევს გადახდისუუნარობას).

ნებისმიერ შემთხვევაში, დივიდენდის უკანონო განაწილება დაკავშირებულია პირად პასუხისმგებლობასთან, მაგრამ ეს ვერ იქნება გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. პირველ რიგში, აღნიშნულს განაპირობებს, ის რომ ვალდებულების დარღვევას ადგილი აქვს უშუალოდ საზოგადოების მიმართ, აქ საზოგადოებაა დაზარალებული მხარე, განცალკევებული პიროვნულობის მქონე წარმონაქმნი, რომელმაც თავად უნდა მოითხოვოს პარტნიორისგან დივიდენდის უკან დაბრუნება კაპიტალის შევსების მიზნით და გადახდისუუნარობის თავიდან ასაცილებლად. მეორე და ლოგიკური გაგრძელებაა, რომ საზოგადოების მოთხოვნა ვერ იქნება მიმართული პარტნიორის წინააღმდეგ იმგვარად, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის დაყენება გახდეს შესაძლებელი, რადგან საზოგადოება ფაქტიურად თავისივე ქონების გაშიშვლებას ითხოვს პრივილეგირებული დაცვისგან, რაც ანომალიას ჰგავს. აქედან,

²⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1118-2022.

გამომდინარე კაპიტალის შენარჩუნების პრინციპის დარღვევა გახლავთ პირადი მაგრამ არა გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, რა მიდგომასაც იზიარებს ასევე თანამედროვე გერმანული სასამართლო პრაქტიკა.²⁷⁴

ქვეკაპიტალიზაციის შემთხვევები სამწუხაროდ, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არ მოიპოვება. თუმცა მრავლად არის საერთაშორისო პრაქტიკაში, შესაბამისად მათი შესწავლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივად ამ მიმართულების განვითარებისთვის, იმ კონტურების გამოკვეთისათვის, თუ რა შემთხვევაში და რა ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებითაა შესაძლებელი დადგეს პირადი პასუხისმგებლობა და იქნება ეს შიდა თუ გარე პასუხისმგებლობის შემთხვევა, რასაც ემსახურება ასევე წინა თავები.

3.3.3. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

როდესაც საქმე ეხება, პარტნიორის ან პარტნიორთა ჯგუფის მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, აუცილებლად უნდა გამოიყოს ქმედების შემადგენლობის და მასადაამე პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი გარემოებები. დომინანტური მდგომარეობის გამოყენების არაკეთილსინდისიერ ქმედებად კვალიფიკაციისათვის, აუცილებელია პარტნიორის ან პარტნიორთა ჯგუფის განზრახვა ზიანი მიაყენოს საზოგადოებას. კანონმდებლის ჩანაფიქრი არ ეხება ისეთ ზიანს, რომელიც შემთხვევითობით არის გამოწვეული. შესაძლოა არ ჟღერს სამართლიანად ეს უკანასკნელი, ვინაიდან ზიანის მიყენების ფაქტი ხომ დამდგარია, მაგრამ თუ დომინანტი პარტნიორის გულწრფელი მიზანი მხოლოდდამხოლოდ მოგების მაქსიმიზაცია, საქმიანობის გაფართოება და უკეთ წარმართვაა, მისი უნებლიე შეცდომა არ უნდა გახდეს პირადი პასუხისმგებლობის საფუძველი კორპორაციულ სამართლებრივ ჭრილში, ვინაიდან კომერციული რისკი ნებისმიერ ბიზნესსაქმიანობას ახლავს თან. სხვა საკითხია დელიქტური სამართლით განსაზღვრული ნორმების გამოყენება, თუმცა სხვა შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს განზრახვა.

კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში, დომინანტური მდგომარეობის გამოყენება აქტუალური პრობლემაა, მითუმეტეს დახურულ კორპორაციებში, სადაც პარტნიორთა რაოდენობა მცირეა და ისინი თავადვე არიან ჩართული საზოგადოების ყოველდღიურ

²⁷⁴ უფრო დეტალურად იხ. საქმე Trihotel და GAMMA, გერმანიის ფედერალური სასამართლო.

საქმიანობაში. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის აკრძალვა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე ვრცელდება, როგორც შპს-ზე, ასევე სს-ზე. ორივე შემთხვევაში სამართლებრივი საფუძველი სს-ს ნაწილში არსებული 176-ე მუხლია, რომელზეც შპს-ს შემთხვევაში 148-ე მუხლი ამისამართებს. ასე რომ, როდესაც საქმე ეხება მსგავსი შემთხვევის გარშემო მსჯელობასა და ფაქტების დადგენას გამოიყენება 176-ე მუხლი, ორივე სამართლებრივი ფორმის შემთხვევაში.

ძალაუფლების განზრახ საზოგადოების საზიანოდ გამოყენება, ზემოქმედება მმართველ ორგანოზე კონკრეტული, ზიანის მომტანი გადაწყვეტილების მისაღებად - სწორედ ის ფაქტობრივი გარემოებები რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. მათი დადგენის შემდეგ კი ზიანის ანაზღაურების საკითხი უნდა გადაწყდეს. კანონი პირდაპირ განსაზღვრავს თუ ვის წინაშეა პარტნიორი/პარტნიორთა ჯგუფი პასუხისმგებელი და ეს არასოდეს არ არის მესამე პირი, კრედიტორი. ვინაიდან ვალდებულების დარღვევა მოხდა საზოგადოების საზიანოდ, აქ განზრახვას კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ დომინანტი პარტნიორის მიზანი არ ყოფილა კრედიტორისათვის ზიანის მიყენება, არამედ უშუალოდ საზოგადოებისათვის და მაშასადამე პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე. ეს კი შიდა კორპორაციული პასუხისმგებლობის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს.

3.3.4. კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება

როგორც წესი, შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიის მქონე წარმონაქმნებში, პარტნიორები მიუწვდომელნი არიან არაწევრი პირებისთვის, ამ შემთხვევაში კი კრედიტორებისთვის, რადგან მათ იცავს კორპორაციული საფარველი. მაგრამ თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ ამ პრივილეგიას, ამოეფარებიან კორპორაციულ საფარველს, სასამართლო მათ ჩამოხსნის ფარდას (საფარველს) და პერსონალურ პასუხისმგებლობას დააკისრებს. განსხვავებით ზემოთ განხილული შემთხვევებისა, სადაც მართალია დგებოდა პირადი პასუხისმგებლობა მაგრამ არა კრედიტორების წინაშე, ე.ი. არა გამჭოლი პასუხისმგებლობა, კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას კანონი პირდაპირ უკავშირებს ზიანის მიყენებას უშუალოდ კრედიტორებისთვის²⁷⁵ და შესაბამისად, ამ საგამონაკლისო შემთხვევაში

²⁷⁵ მუხლი 26, პუნქტი 2.

პასუხისმგებლობის დაკისრებას კრედიტორთა წინაშე²⁷⁶. გარდა ამისა, კანონის შესაბამისი ჩანაწერი განმარტავს²⁷⁷, რომ სახეზე უნდა იყოს ორი კუმულაციური გარემოება - კორპორაციული ფორმის გამოყენება და სამეწარმეო საზოგადოების უუნარობა დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა. ეს უკანაკნელი გარემოება, იძლევა იმის ფიქრის საშუალებას, რომ პარტნიორის პასუხისმგებლობის გაჭოლვა, არ არის ერთადერთი სამართლებრივი შედეგი ამ ვითარებაში. და თუ საზოგადოებას აქვს ფინანსური უნარი დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა, ადარ არის საჭირო კრედიტორმა მოთხოვნა პირდაპირ პარტნიორის წინაშე დააყენოს. ამ ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა მნიშვნელოვანია პროცესუალური კუთხითაც, რათა მოთხოვნის უფლების მქონე პირმა განსაზღვროს, ვინ არის მისი ადრესატი, მოახდინოს მოპასუხეთა იდენტიფიცირება, ვინაიდან არასწორი მოპასუხის შემთხვევაში, მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფრთხე ექმნება.

3.3.5. აქტივთა აღრევა

სამწუხაროდ ქართული სამოსამართლო „სამართალი“ არ იცნობს კომპანიისა და პირადი აქტივების აღრევის, და ამგავრად - განცალკევებული პიროვნულობის მოშლის საფუძვლებს პირადი, ე.ი. გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების ჭრილში. თუმცა სამომავლოდ განსაკუთრებული პრეცედენტის შექმნის მოლოდინი და იმედი რა თქმა უნდა არსებობს. მართალია ეროვნულ კანონმდებლობაში მსგავსი ჩანაწერი არც არსებობდა, თუმცა აუცილებლად უნდა გამოიყოს ქონებრივი დემარკაციის მოშლის შედეგად პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხი. პირველ რიგში ქონებრივი და მამასადამე პიროვნული განცალკევებადობა, გულისხმობს იურიდიული პირის, როგორც დამოუკიდებელი სამართალ სუბიექტის რაობის, ქონების და სხვა არსებობას, და მისგან დამოუკიდებლად მისივე წევრების, მათი ქონების და პიროვნულობის არსებობას. სხვა სიტყვებით ამას ორგანიზაციული დაცულობა ეწოდება, რაც მიიღწევა იურიდიული პირის კონსტრუქციით, სწორედ იმ ფიქციით, რაც განხილულ იქნა წინა თავებში. ქონებრივი განცალკევებულობა

²⁷⁶ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საერთო ანალიზიდან ირკვევა, რომ პარტნიორთა პასუხისმგებლობა უშალოდ კრედიტორთა წინაშე დგება, რის საფუძველსაც იძლევა პირველი პუნქტის ბოლო ნაწილი „კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებს“ და მეორე პუნქტით განსაზღვრული ამ წესიდან გამონაკლისი შემთხვევები, ესეიგი როდესაც ბოროტად გამოყენების ფაქტი დადგინდება, რამაც ზიანი გამოიწვია.

²⁷⁷ იქვე.

გულისხმობს იმას, რომ საზოგადოების წევრთა კრედიტორებისათვის იურიდიული პირის ქონება მიუწვდომელია, მაშინ როდესაც თავად იურიდიული პირის კრედიტორებისათვის მხოლოდ მისი ქონება შესაძლოა გახდეს სამიზნე და არავითარ შემთხვევაში, წევრთა -პარტნიორთა/აქციონერთა ქონება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ იურიდიული პირის ქონების მესაკუთრე თავად ეს იურიდიული პირია და მასზე პარტნიორის/აქციონერის უფლებები ვერ გავრცელდება.²⁷⁸ თუმცა თუ წევრთა მხრიდან აღნიშნული ზღვარი განცალკევებადობისა იმგვარად იქნება მორღვეული, რომ შეუძლებელია დადგინდეს ქონების რა ნაწილი და მოცულობაა იურიდიული პირის საკუთრება და რა პარტნიორის, ამასთან საფრთხე ექმნება კრედიტორის დაცვის ინტერესს, აზრს მოკლებული ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიის გავრცელება პარტნიორზე, შედეგად კი დღის წესრიგში მათი გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

3.4. კორპორაციული ჯგუფები

დღეს დიდ კორპორაციებს ფინანსურ და კომერციულ აქტივობებში, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, დომინირებული პოზიცია უკავიათ²⁷⁹. სწორედ ასეთი კომპანიები წარმოადგენენ უდიდეს ეკონომიკურ ძალას მსოფლიოში.²⁸⁰ ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კორპორაციულ ჯგუფებს, ვინაიდან კონგლომერატები, კონცერნები მსოფლიო ეკონომიკის მთავარი მოთამაშენი არიან.²⁸¹ კორპორაციული ჯგუფები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მონაწილენი არიან დრეჟანდელი რეალობის. დიდი, ბირჟაზე დაშვებული კომპანიები ხასიათდებიან კონტროლის არსებობით მრავალ შვილობილ კომპანიაზე.²⁸² მშობელი კომპანია შვილობილ კომპანიასთან ან შვილობილ

²⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/36-7, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=43>, [12.07.2024].

²⁷⁹ Blumberg, P.I., Multinational Challenge to Corporation Law, The Search of New Corporate Personality, Oxford University Press, New York, 1993, 149.

²⁸⁰ Matheson, J.H., The Modern Law of Corporate Groups: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil in the Parent Subsidiary Context, 87 North Carolina Law Review, 2009, 1093.

²⁸¹ Eisenberg, M. A., Megasubsidiaries: The Effect of Corporate Structure on Corporate Control, Harvard Law Review, volume 84, N7, 1971, 1578. ასევე იხ., Pargendler, M., The New Corporate Law of Corporate Groups, working paper, ECGI, 2023, 2. ხელმისაწვდომია: http://ssrn.com/abstract_id=4412997.

²⁸² Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 6, 47 და მომდ.

კომპანიათა რამდენიმე ფენასთან ერთად ქმნის ამ კორპორაციულ ჯგუფს. უპირველესი ზეგავლენა გამჭოლი პასუხისმგებლობის თეორიისა²⁸³ სწორედ ასეთ კორპორაციული ჯგუფების კონტექსტში ვრცელდება, ამის მიზეზი კი მასიური ფინანსური რესურსებია, რაც უბიძგებს მოთამაშეებს ცდუნებისაკენ და მამასადამე განცალკევებული პიროვნულობის იგნორირებისაკენ, პოტენციურად ყველაზე მაღალი ფინანსური სარგებლის მისაღებად.²⁸⁴ ამგვარად, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენების რეალური პრობლემა სწორედ კორპორაციულ ჯგუფებზე მოდის. როგორც არაერთხელ აღინიშნა, შეზღუდული პასუხისმგებლობა უბიძგებს ინვესტორებს შექმნან კაპიტალი, მაგრამ ეს არ ეხება მშობელ-შვილობილ კომპანიათა კონტექსტს, ვინაიდან პასუხისმგებლობის შეზღუდვა ინდივიდუალური პარტნიორის, ფიზიკური პირის შემთხვევაშია მეტად მომხიზვლელი. თუმცა როდესაც საქმე კაპიტალური ტიპის კომპანიათა ჯგუფებს ეხება, მათი მიზანი კორპორაციული ჯგუფის შექმნისა არის ბიზნეს საქმიანობის გაფართოება-განვითარება ჯგუფური მოგების მაქსიმიზაციისათვის^{285, 286} ვინაიდან ამგვარი სტრუქტურა მეტად ხელსაყრელია სხვადასხვა ბიზნეს აქტივობის ორგანიზებისათვის განცალკევებულ მონაწილეთა მიერ თავისივე პროდუქტით, მომსახურებითა და ბრენდით. ამასთან, მარტივია შესყიდვებისა და გაყიდვების პროცესი, მენეჯმენტის კონტროლი და მათი ანგარიშვალდებულების საკითხი; ახალი, მაგალითად ფინანსური რეჟიმისა და მოდელის დანერგვა სხვადასხვა ჯგუფური აქტივობებისათვის.²⁸⁷ ამასთან, მშობელი კომპანია არ განიხილება ცალკე ინდივიდუალურ, პასიურ ინვესტორად, ვინაიდან ის თავად არის აქტიურად ჩართული საქმიანობაში შვილობილ კომპანიასთან ერთად, როგორც წესი აქ არ არსებობს პასიური ინვესტორის დაცვის საჭიროება, არ არსებობს განცალკევებული ქონება და კონტროლი, არ საჭიროებს წილთა ფართო დისტრიბუციას, ნაკლებად რელევანტურია კაპიტალური ბაზრის ეფექტურობა,

²⁸³ Blumberg, P.I., *Multinational Challenge to Corporation Law, The Search of New Corporate Personality*, Oxford University Press, New York, 1993, 65.

²⁸⁴ Matheson, J.H., *The Modern Law of Corporate Groups: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil in the Parent Subsidiary Context*, 87 North Carolina Law Review, 2009, 1094-95.

²⁸⁵ პარტნიორთა ქონების მაქსიმიზაცია ეკონომიკური თორიის ჭრილში დამისი გავლენა პოზტიოურ საკორპორაციო სამართალზე, იხ.: Anderson, Helen, *Creditors Rights of Recovery: Economic Theory, Corporate Jurisprudence and the Role of Fairness*, 2007, 6 და მომდ..

²⁸⁶ Blumberg, P.I., *Multinational Challenge to Corporation Law, The Search of New Corporate Personality*, Oxford University Press, New York, 1993, 139.

²⁸⁷ Witting, Ch. A., *Liability of Corporate Groups and Networks*, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 6.

როდესაც ყველა აქცია/წილი ერთი - მშობელი კომპანიის ბალანსზეა და შესაბამისად თავად შეუძლია კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოს მანიპულირება²⁸⁸, კრედიტორებისათვის აღსრულების ხარჯი ნაკლებია, ვინაიდან მათ შეუძლიათ მოთხოვნა დაუყენონ უშუალოდ მშობელ კომპანიას, ნაცვლად უამრავი აქციონერისა. შესაბამისად ეკონომიკური პერსპექტივიდან, შეზღუდული პასუხისმგებლობა და კორპორაციული ჯგუფი არ განიხილება იდეალურ ტანდემად. ამასთან, ექსპანსიური თუ შეუზღუდავი მშობელი კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხის ირგვლივ მსჯელობამ დღის წესრიგში დააყენა „საწარმოს პასუხისმგებლობის“ (enterprise liability) საკითხი.²⁸⁹ ეს უკანაკნელი გულისხმობს პასუხისმგებლობის დაყენებას მაშინ, როდესაც მშობელ-შვილობილი კომპანია ოპერირებს როგორც ერთი ბიზნეს საწარმო, მაშასადამე როდესაც გადაჭარბებული კონტროლია სახეზე ნებისმიერი მოთამაშის მხრიდან კომპანიაზე ან/და რომელიმე მმართველ ორგანოზე. საუბარია მხოლოდ ერთი ფაქტორის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრებაზე, მაშინ როდესაც ძირითადი ტენდენცია პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების კუთხით სამეტაპიან ტესტს ეყრდნობა, რომელზეც ზევით უკვე იყო საუბარი.

კორპორაციული ჯგუფების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი რა თქმა უნდა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თუმცა საერთოც ბევრია, მიუხედავად სამართლის სისტემის ოჯახების რადიკალური სხვაობებისა.

როგორც უკვე გამოჩნდა წინამდებარე ნაშრომში, რომლის ფარგლებშიც არა ერთი სასამართლო პრეცედენტი იქნა განხილული, გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი კორპორაციულ ჯგუფებთან ხშირად²⁹⁰ არის დაკავშირებული. მაგალითისთვის, ვალკოვსკი კარლტონის წინააღმდეგ²⁹¹ საქმეზე, გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოსარჩელეს კარლტონის ჯგუფში შემავალი სხვა გადახდისუნარიანი კომპანიების მიმართაც უნდოდა, თუმცა აქ საკითხი სხვაგვარად

²⁸⁸ Blumberg, P.I., *Multinational Challenge to Corporation Law, The Search of New Corporate Personality*, Oxford University Press, New York, 1993, 65.

²⁸⁹ Matheson, J.H., *The Modern Law of Corporate Groups: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil in the Parent Subsidiary Context*, 87 North Carolina Law Review, 2009, 1103.

²⁹⁰ თუმცა შედარებისათვის უნდა იქნეს აღნიშნული, რომ ინდივიდუალური პერტნიორის შემთხვევაში უფრო მეტია გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ალბათობა, ვიდრე პარტნიორ-კომპანიის შემთხვევაში. Herbert Wiedemann, "The German Experience with the Law of Affiliated Enterprises", Cologne, 1982.

²⁹¹ ვალკოვსკი კარლტონი წინააღმდეგ (Walkovszky v Carlton, [1966] 223 N.E.2d b (N.Y.)).

იდგა, სასამართლომ ვერ დაადგინა კონტროლის იმგვარი ფორმა, რომელიც საკმარისი იქნებოდა გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისათვის. ამგვარად, მშობელი ან მაკონტროლებელი კომპანიის პირადი ქონებით პასუხისმგებლობის პრეცედენტი სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში მრავლად არის, აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომისთვის რელევანტურია კორპორაციული ჯგუფების მოკლედ განხილვა.

3.4.1. გერმანია

პირველ რიგში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კორპორაციული ჯგუფების ცალკე მომწესრიგებელი კანონმდებლობებიც, რომელიც მოიცავს როგორც კორპორაციული ჯგუფების დეფინიციას და მათ სახესხვაობებს,²⁹² ასევე ჩანაწერს ურთიერთობათა რეგულირების შესახებ საწარმოს კონტროლისას. ხშირ შემთხვევაში ეს რეგულაციები ინტეგრირებულია საკორპორაციო კანონმდებლობაში. ასე მაგალითად, გერმანიაში, სააქციო საზოგადოების შესახებ კანონში 1965 წელს შევიდა დამატებები კორპორაციული ჯგუფების შესახებ, როგორც სს-ს კანონმდებლობის რეფორმის ნაწილი.²⁹³ დამატებათა უპირველესი მიზანი იყო უმცირესობაში მყოფი პარტნიორებისა და კონტროლირებადი კომპანიის კრედიტორთა დაცვა. გერმანიის შემთხვევაში აქ საინტერესოა ისიც, რომ ეს ჩანაწერები მართალია სს-ს აქტშია მოცემული, თუმცა ვრცელდება ყველა სხვა სამართლებრივ ფორმაზე, იმ განსხვავებით, რომ ნორმები რომელთა გავრცელება ხდება კონტროლის დროს წარმოშობილ ურთიერთობებზე ვრცელდება მხოლოდ მაშინ როდესაც კონტროლის ქვეშ არსებული საწარმო არის სს-ს ფორმით ან ამხანაგობა შეზღუდული წილებით (partnership limited by shares)(KGaA). რაც შეეხება სხვა სამართლებრივ ფორმებს, მაგალითად შპს-ს (GmbH)²⁹⁴ შემთხვევაში არ არსებობს კოდიფიცირებული კანონმდებლობა, წესები დადგენილია პრაქტიკიდან გამომდინარე, რომელიც სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, ეყრდნობა სს-ს კორპორაციული ჯგუფების კანონმდებლობაში არსებულ რეგულაციებს.²⁹⁵

²⁹² Blumberg, P.I., *Multinational Challenge to Corporation Law, The Search of New Corporate Personality*, Oxford University Press, New York, 1993, 161.

²⁹³ Wirth, G, Arnorl, M., Morshauser, R., Car, S., Greene, M., “Corporate Law in Germany”, C.H. BECK, München, 2017, 202.

²⁹⁴ Blumberg, P.I., *Multinational Challenge to Corporation Law, The Search of New Corporate Personality*, Oxford University Press, New York, 1993, 162-163.

²⁹⁵ Wirth, G, Arnorl, M., Morshauser, R., Car, S., Greene, M., “Corporate Law in Germany”, C.H. BECK, München, 2017, 203.

გერმანული კანონი სს-ს შესახებ განსაზღვრავს აფილირებული, ანუ ერთმანეთთან დაკავშირებული კორპორაციების არსს და მათ რამდენიმე ქვეკატეგორიად დაჰყოფს: კომპანიები სადაც საკუთრება ძირითადად ერთ-ერთი კომპანიის ხელშია²⁹⁶ და აქ მოიაზრება როგორც აქციებზე საკუთრება ან/და ხმათა უმრავლესობის ფლობა, მაკონტროლებელი და კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიები,²⁹⁷ როდესაც სხვა საწარმოს შეუძლია გავლენა მოახდინოს მეორე საწარმოს გადაწყვეტილებებზე,²⁹⁸ საწარმოთა ჯგუფის წევრი კომპანიები^{299, 300} და ჯვარედინი სააქციო საწარმოები,³⁰¹ სადაც თითოეული საწარმო ფლობს 25%-ზე მეტ აქციას მესამე საწარმოში, ან კომპანიებს შორის არსებული ხელშეკრულების მხარეები^{302, 303}

ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეკატეგორია, რა საკვირველია, კორპორაციული ჯგუფებია, იგივე “*Konzern*”,³⁰⁴ სადაც უბრალო კონტროლის განხორციელება არ არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც მთავარია კონსოლიდირებული მენეჯმენტი,³⁰⁵ თუმცა არსებობს პრეზუმფცია, რომ კონტროლის ქვეშ არსებული საწარმო ქმნის კორპორაციულ ჯგუფს მაკონტროლებელ კომპანიასთან ერთად. ეს უკანასკნელი შესაძლოა სადავო იყოს, ვინაიდან კომპანია რომელიც ფლობს აქციათა უმრავლესობას მეორე კომპანიაში, ისედაც ივარაუდება რომ ახორციელებს კონტროლს, თუმცა ეს შედეგად ქმნის დე-ფაქტო კორპორაციულ ჯგუფს (*faktischer Konzern*)³⁰⁶ და არა კანონისმიერ გაერთიანებას.³⁰⁷ ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთ ვითარებაში „სრული

²⁹⁶ Stock Corporation Act of Germany §16.

²⁹⁷ Stock Corporation Act of Germany, §17.

²⁹⁸ გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ საქმეზე VERA v Gelsenberg დაადგინა, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, მიუხედავად იმისა, რომ ის ფლობდა აქციათა 43.7%, იყო მაკონტროლებელი საწარმო, ვინაიდან საერთო კრებაზე დასწრების ზოგადად მცირე ტენდენციიდან გამომდინარე, მას შესაძლოა ჰქონდა თითქმის დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება საერთო კრებაზე.

²⁹⁹ Stock Corporation Act of Germany §18.

³⁰⁰ კანონის განმარტებით, აქ იგულისხმება მაკონტროლებელი კომპანია და კონტროლის ქვეშ არსებული კომპანია ან კომპანიები, რომელთაც გაერთიანებული მენეჯმენტი ჰყავთ. ასევე, დამოუკიდებელ საწარმოთა გაერთიანება, სადაც კონტროლი როორც ასეთი არ არის, თუმცა საერთო ბორდი ჰყავთ.

³⁰¹ Stock Corporation Act of Germany, §19.

³⁰² Stock Corporation Act of Germany, §291, 292.

³⁰³ Stock Corporation Act of Germany §15.

³⁰⁴ Wiedemann, H., Group of Companies in European Laws: The German Experience with the Law of Affiliated Enterprises, Cologne, 1982, 23.

³⁰⁵ Stock Corporation Act of Germany §18.

³⁰⁶ Wirth, G, Arnorl, M., Morshauser, R., Car, S., Greene, M., “Corporate Law in Germany”, C.H. BECK, München, 2017, 205.

³⁰⁷ Blumberg, P.I., Multinational Challenge to Corporation Law, The Search of New Corporate Personality, Oxford University Press, New York, 1993, 161-162.

კონტროლის“ განხორციელება, რაც კანონში განმარტებული არ არის, შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი გზით, საერთო კრებაზე გავლენის მოხდენით უმრავლესობაში მყოფი სს-ის მიერ, მაგრამ არ შეიძლება მაკონტროლებელი სს-ის მიერ პირდაპირი დირექტივის გაცემა კონტროლის ქვეშ არსებულ საწარმოზე. ამის შესაძლებლობის შექმნა პრაქტიკაში მიიღწევა უმრავლესობაში მყოფი პარტნიორებისა და კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოს მენეჯმენტის არაფორმალური შეხვედრებითა და კონსულტაციებით, რის შედეგადაც იქმნება საერთო მმართველი დეპარტამენტები და მათი საშუალებით ხდება რეკომენდაციების გაცემა და საერთო მიზნების დასახვა მთლიანი კორპორაციული ჯგუფსთვის.

გერმანული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კორპორაციულ ჯგუფებისთვის ცალკე მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ არსებობს, ვინაიდან ის ჯერ კიდევ პროექტის დონეზეა დარჩენილი. შესაბამისად, შპს-ების შემთხვევაში ძირითადად სს-ს მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენება ანალოგიით³⁰⁸, რასაც პრაქტიკაშიც აქვს კრიტიკა. სასამართლო პრაქტიკის როლი ამ კუთხით მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ცალსახაა რომ სააქციო საზოგადოების მომწესრიგებელ ნორმათა გავრცელება არ და ვერ იქნება სწორი გადაწყვეტილება შპს-ის კორპორაციულ ჯგუფზე ამ ორ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათა შორის რადიკალურ სტრუქტურულ განსხვავებათა გამო.³⁰⁹ გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ 2001 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე “Bremer Vulkan”³¹⁰, სასამართლომ დაასაბუთა, რომ შპს-ის დაცვა მისი ერთადერთი პარტნიორის მხრიდან საზიანო ჩარევისაგან ანალოგიით ვერ მოწესრიგდება, აქ უნდა გავრცელდეს ნორმები კაპიტალის შენარჩუნების და საწარმოს განგრძობადი არსებობის შენარჩუნების შესახებ, რომლის მიხედვითაც პარტნიორი ვალდებულია გაითვალისწინოს საწარმოს ინტერესი. საწარმოს ინტერესის სასამართლოსეული განმარტება მოგვიანებით, 2007 წელს, ფედერალური სასამართლოს მიერ „Trihotel“-

³⁰⁸ Wirth, G, Arnorl, M., Morshauser, R., Car, S., Greene, M., “Corporate Law in Germany”, C.H. BECK, München, 2017, 210.

³⁰⁹ Wiedemann, H., Group of Companies in European Laws: The German Experience with the Law of Affiliated Enterprises, Cologne, 1982, 38.

³¹⁰ The Federal Supreme Court of Germany, BGH, case “Bremer Vulkan”, 2001, Urteil des II. Zivilsenats vom 17.9.2001 - II ZR 178/99.

ის³¹¹ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოჩნდა, რომლის მეხვედითაც საწარმოს ინტერესის სწორი გათვალისწინება არსებობის შენარჩუნების კონტექსტში გამოიხატება პარტნიორის მიერ კეთილსინდისიერ ქმედებაში, კერძოდ, პარტნიორთა ინტერესების გათვალისწინება,³¹² ფინანსური რესურსების იმგვარი მართვა, რომ საწარმოს არ წაერთვას უკვე აღებული ფინანსური ვალდებულების გამკლავების შესაძლებლობა. თუ პარტნიორი გაიტანს ფინანსებს საწარმოდან, რომელიც საჭიროა ვალდებულებათა საპასუხოდ, ეს უკანასკნელი განიხილება როგორც საწარმოს არსებობისათვის გამანადგურებელი ჩარევა და პარტნიორი პასუხისმგებელია პირდაპირ და უშუალოდ, თუმცა არა გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ფარგლებში, არამედ დელიქტური სამართლის ნორმათა საფუძველზე³¹³, კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოს მიერ მოთხოვნის დაყენებით პარტნიორთა მიმართ.

მიუხედავად ყველაფრისა, შპს-ების მიერ შექმნილ კორპორაციულ ჯგუფებზე ვრცელდება ის ქვეკატეგორიები, რომელიც ზემოთ სს-ისთან მიმართებაში იქნა განხილული: საწარმოთა შეთანხმება, მოგებისა და ზარალის შესახებ შეთანხმება, დომინირების შეთანხმება და სხვა, მათ შორის დეფაქტო კორპორაციული ჯგუფი, რაც შპს-ის შემთხვევაში კიდევ უფრო მარტივი და ამრიგად ხშირი შემთხვევაა პრაქტიკაში. კორპორაციულ მმართველობაში არსებული სხვაობა საშუალებას იძლევა შპს-ში გადაწყვეტილების მიღება და მასზე გავლენის მოხდენა, მათ შორის ხელმძღვანელ ორგანოზეც, უფრო მარტივად მოხდეს ვიდრე ეს სს-შია, ვინაიდან როგორც წესი შპს, ე.ი. გერმანული GmbH, როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული წინამდებარე ნაშრომში, დახურული ტიპის კორპორაციაა³¹⁴, სადაც პარტნიორთა მცირე რაოდენობაა და მათი მონაწილეობა ხელმძღვანელობითი ორგანოს დაკომპლექტებაში მიღებული პრაქტიკა და შეიძლება ითქვას წესიცაა. მოკლედ, შპს-ს მმართველობითი ორგანოების მართვა აბსოლუტურად პარტნიორთა ხელშია, რაც პირდაპირი და სრული კონტროლის განხორციელებას გულისმობს, რაც თავისთავად ნიშნავს არა მხოლოდ ბიზნეს

³¹¹ ტრიპოტელის საქმე (Bundesgerichtshof (BGH), გერმანიის ფედერალური სასამართლო, II ZR 3/04, Jul. 16, 2007 (Trihotel), Neue Juristische Wochenschrift (NJW) 2789).

³¹² Wiedemann, H., Group of Companies in European Laws: The German Experience with the Law of Affiliated Enterprises, Cologne, 1982, 27.

³¹³ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, Civil Code of Germany §826.

³¹⁴ Wiedemann, H., Group of Companies in European Laws: The German Experience with the Law of Affiliated Enterprises, Cologne, 1982, 38.

პოლიტიკის განსაზღვრას, არამედ ყოველდღიურ ინდივიდუალურ ტრანზაქციებში ჩარევასაც.

სწორედ იოლი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა განაპირობებს იმას, რომ მრავალი კორპორატიული ჯგუფი დაკომპლექტებულია შპს-ებით და თუ ამ კომპანიათა შორის არ არსებობს კონკრეტული შეთანხმება ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ, სახეზეა დეფაქტო კორპორატიული ჯგუფი, რომელთაც შეიძლება ითქვას საერთო მენეჯმენტი ჰყავთ, რაც ხორციელდება კონტროლის დეფაქტო ინსტრუმენტით, განსაკუთრებით კი ეს ეხება უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის ან პარტნიორთა ჯგუფის შემთხვევას, როდესაც მათ ცალსახა შესაძლებლობა აქვთ გავლენა მოახდინონ საერთო კრების გადაწყვეტილების შედეგებზე.

რეალურად, როდესაც საქმე კორპორატიულ ჯგუფებს ეხება, აუცილებლად იქნება ერთი საწარმო რომელიც კონტროლს ახორციელებს მეორეზე, რაც შეიძლება ითქვას ბუნებრივი მოვლენაა. თუმცა ეს ავტომატურად არ ნიშნავს დამოკიდებული (შვილობილი) საწარმოს არსებობის ბოროტად გამოყენებას, აქ მთავარი ისაა თუ რა სახის კონტროლს ახორციელებს ერთი მეორეზე: არის ეს დამაზიანებელი თუ პირიქით?! როგორც წესი, პარტნიორი-კომპანია (მაკონტროლებელი) დაინტერესებულია დამოკიდებული კომპანიის შენარჩუნებითა და განვითარებით. თუმცა განსხვავება მათ შორის მაინც არსებობს. ამ მკაფიო ზღვარს, რასაც გერმანული სამართალი „არასაექვო“ მაკონტროლებელ კომპანიასა და „საექვო“ მაკონტროლებელ კომპანიას შორის ავლებს გამოიხატება ამ უკანაკნელის მიერ საწარმოს პოლიტიკის დამაზიანებელ შეცვლაში.³¹⁵

ამგვარად, პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების კუთხით მიდგომა კორპორატიულ ჯგუფებსა და ინდივიდუალურ პარტნიორებს შორის არსებითად არ განსხვავდება. განსხვავება მხოლოდ ასეთ პასუხისმგებლობის დაკისრების პროცენტულობაშია და მასშტაბი. კერძოდ, ტრადიციული კორპორატიული პიროვნულობის იგნორირებიდან, გარკვეულ

³¹⁵ Wiedemann, H., Group of Companies in European Laws: The German Experience with the Law of Affiliated Enterprises, Cologne, 1982, 22.

შემთხვევებში³¹⁶ გეზი აღებულია ჯგუფური პასუხისმგებლობისკენ (*Konzernhaftung*).³¹⁷ თუმცა ცალსახაა, რომ კორპორაციული ჯგუფის შემთხვევაში სასამართლო მეტ სირთულეებს აწყდება კორპორაციული ჯგუფის წევრთა სტრუქტურული ფორმის, მათ შორის არსებული შეთახმებისა და დამაზიანებელი ქმედების გათვალისწინებით.

3.4.2. კორპორაციული ჯგუფები ა.შ.შ.-ში და საკანონმდებლო ბაზის დეფიციტი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების პრობლემა საკორპორაციო სამართალში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან იწყება, თუმცა იმ დროისთვის ქეისები შეეხებოდა მხოლოდ ინდივიდუალურ პარტნიორსა და კონტროლირებად კორპორაციას შორის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხს. კორპორაციულ ჯგუფებში მშობელი კომპანიისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პრობლემა ოდნავ მოგვიანებით, მე-20 საუკუნიდან იწყება, თუ არ ჩავთვლით სარკინიგზო კორპორაციათა ჯგუფების საგამონაკლისო შემთხვევებს.³¹⁸ თუმცა მიუხედავად კორპორაციულ ჯგუფებში არა მხოლოდ პასუხისმგებლობის, ზოგადად ურთერთობათა რეგულირების პრობლემა უცხო და იშვიათი შემთხვევა არაა ამერიკული პრაქტიკისათვის, რაც არც არის გასაკვირი იქიდან გამომდინარე, რომ დღეს კორპორაციულ ჯგუფებს ამერიკის ეკონომიკაზე დომინირებული გავლენა აქვთ^{319, 320} დღემდე არ არსებობს მათი მომწესრიგებელი კანონი და რეგულაციები შეერთებულ შტატებში.³²¹ აქედან გამომდინარე, არ არის კანონით განსაზღვრული კორპორაციული ჯგუფების კატეგორიები, განსხვავებით გერმანული *Konzernrecht*-

³¹⁶ Bundesgerichtshof (BGH), გერმანიის ფედერალური სასამართლო, September 16, [1985], Ref.: II ZR 275/84, BGHZ 95, 330.

³¹⁷ Antunes, J.E., Liability of Corporate Groups, Autonomy and Control in Parent-Subsidiary Relationships in US, German and EU Law an International and Comparative Perspective, Kluwer Law and Taxation Publishers, Deventer, 1994, 223-224.

³¹⁸ Blumberg, P.I., Multinational Challenge to Corporation Law, The Search of New Corporate Personality, Oxford University Press, New York, 1993, 66.

³¹⁹ მაგ., ყველაზე ცნობადი სახელები: Chevron, Apple, Google, Mcdonald's, და სხვ., ეს კომპანიები შედგებიან რამდენიმე მასთან დაკავშირებული, შვილობილი კომპანიებისაგან, რომელთაგან ყველას დამოუკიდებელი, განცალკევებული პიროვნულობა აქვს.

³²⁰ Eisenberg, M. A., Megasubsidiaries: The Effect of Corporate Structure on Corporate Control, Harvard Law Review, volume 84, N7, 1971, 1578. ასევე იხ., Pargendler, M., The New Corporate Law of Corporate Groups, working paper, ECGI, 2023, 2. ხელმისაწვდომია: <http://ssrn.com/abstract_id=4412997>, [12.07.2024].

³²¹ Chatman, C. N., Corporate Family Matters, in UC Irvine Law Review, volume 12, issue 1, 2021, 5. ხელმისაწვდომია:

<https://scholarship.law.uci.edu/ucilr/vol12/iss1/5?utm_source=scholarship.law.uci.edu%2Fucilr%2Fvol12%2Fiss1%2F5&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages>, [12.07.2024].

ისაგან³²². დელავერის აქტი საკორპორაციო სამართლის შესახებ³²³ არ შეიცავს კონკრეტულ თავს, ქვეთავს ან დათქმებს უშუალოდ კორპორაციული ჯგუფების კონტექსტში. ის მხოლოდ მშობელი კომპანიის უფლებათა განსაზღვრით შემოიფარგლება, მაგალითად, როგორც არის ინფორმაციის მიღების უფლება შვილობილი საწარმოსგან, წიგნებისა და ჩანაწერების გამოთხოვა, მიუხედავად იმისა არის თუ არა სახეზე თაღლითობა ან სხვა სახის უკანონობა, ყველანაირი მიზეზის გარეშე მოთხოვნა აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს.³²⁴ ეს ჩანაწერი, უფლება მშობელი კომპანიისა, კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი კანონისმიერი მექანიზმია, მაგრამ კანონმდებლის ჩანაფიქრი კონტროლის არა უარყოფით, არამედ პოზიტიურ კონტექსტში განხორციელება ივარაუდება. ამასთან, კანონის კიდეც ერთი ჩანაწერი, განსაზღვრავს თანხმობის არსებობის აუცილებლობას შვილობილი კომპანიის მიერ ყველა ან დიდი მასის წილთა გაყიდვის თაობაზე.³²⁵ თუმცა იგივე ვალდებულება მაკონტროლებელი კომპანიის შემთხვევაში არ არსებობს.

საბოლოოდ სახეზეა კონტროლის განხორციელების სამართლებრივი მექანიზმები, თუმცა კანონი დუმს პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხზე. სწორედ ამიტომ, პრაქტიკაში ხშირ შემთხვევაში სამართლის სხვა დარგები გამოიყენება სამართლიანობის აღსადგენად. დოქტრინის ჩამოყალიბების ადრეულ პერიოდში ყველაზე ხშირ შემთხვევაში საქმე ეხებოდა თაღლითობასა და უკანონობას, რაც არ არის მარტივი მტკიცების საგანი, შესაბამისად სასამართლოებსაც უჭირდათ პასუხისმგებლობის დაკისრება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ცალსახა არ იყო არსებობდა თაღლითური ქმედება. მაგ., ერთ-ერთ საქმეზე სარკინიგზო კომპანიათა ჯგუფში საქმე ეხებოდა სარკინიგზო ქსელების მშენებლობის პროექტს, რომლის აღსასრულებლად მშობელი კომპანიის მიერ გამოყენებულ იქნა ახლად დაარსებული, კაპიტალისა და შესაბამისი ტექნიკური რესურსების არ მქონე შილობილი კომპანია.

³²² Pargendler, M., The New Corporate Law of Corporate Groups, working paper, ECGI, 2023, 36. ხელმისაწვდომია: <http://ssrn.com/abstract_id=4412997>, [12.-7.2024].

³²³ Delaware General Corporate Law (DGCL). ხელმისაწვდომია: <<https://delcode.delaware.gov/title8/index.html>>, [12.07.2024].

³²⁴ DGCL, §220.

³²⁵ DGCL, §271. ამავე პარაგრაფის “c” ქვეპარაგრაფი განმარტავს შვილობილ კომპანიას, როგორც - „ნებისმიერი სუბიექტი, რომელსაც მთლიანად ფლობს და აკონტროლებს, პირდაპირ ან ირიბად, კორპორაცია და მოიცავს, შეზღუდვის გარეშე, კორპორაციებს, ამხანაგობებს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებს“.

განზრახვა მაკონტროლებელი კომპანიისა იყო პასუხისმგებლობის გადაკისრება პროექტის წარუმატებლობის შემთხვევაში. თუმცა სასამართლომ არ დააკისრა პასუხისმგებლობა მშობელ კომპანიას, ვინაიდან განზრახვა არსებითად თაღლითური სქემისა არ გამოჩნდა.³²⁶ მოგვიანებით, ცნობილ საქმეზე Salomon v. Salomon, ინგლისის სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს ვალების აღიარებაზე შვილობილი კომპანიის საწინააღმდეგოდ და პასუხისმგებლობა ერთადერთ პარტნიორს დააკისრა. თუმცა ლორდთა პალატამ შემდგომში შეცვალა გადაწყვეტილება, აღიარა რა განცალკევებული პიროვნულობა შვილობილი კომპანიისა და განსაზღვრა ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხი.³²⁷ ეს გადაწყვეტილება ფუნდამენტი გახდა Entity Law-ის ინგლისისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრის წევრი ქვეყნებისათვის. ამან ამერიკულ პრაქტიკაზეც იქონია გავლენა, თუმცა კიდევ ერთხელ, რეგულირების არ არსებობის პირობებში, სასამართლოებს უწევთ ანალოგიის გამოყენება ამხანაგობებისა და წარმომადგენლობითი სამართლიდან.

ლიტერატურაში ხშირად განიხილავენ Entity Law-სა და Enterprise Liability-ს³²⁸, როგორც ურთიერთსაპირისპირო დოქტრინებს, ვინაიდან პირველი მათგანი კორპორაციული სუბიექტის განცალკევებულ პიროვნულობას განამტკიცებს, იქნება ეს ცალკეული კომპანიისა თუ პარტნიორის (მესაკუთრის) განცალკევება, თუ კორპორაციულ ჯგუფში მშობელი და შვილობილი კომპანიის ინდივიდუალიზირება. Enterprise Liability-ი კი პირიქით შლის განცალკევებული პიროვნულობის საზღვრებს და პასუხისმგებლობას აკისრებს ყველა მონაწილეს. უფრო კონკრეტულად რომ განიმარტოს, ეს არ არის მხოლოდ კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, ზემოთ უკვე განხილული veil piercing, ვინაიდან ეს უკანასკნელი შეზღუდულია კომპანიის პარტნიორებით, ხოლო „საწარმოს პასუხისმგებლობა“ კორპორაციულ ჯგუფში არსებულ ნებისმიერ კომპანიას, ან თუ საუბარია ერთ კომპანიაზე, ნებისმიერ მონაწილეს აკისრებს პასუხისმგებლობას კომპანიის ვალებისათვის. მაშასადამე, საწარმოს პასუხისმგებლობა“ თავის თავში მოიცავს როგორც გამჭოლ

³²⁶ Blumberg, P.I., *Multinational Challenge to Corporation Law, The Search of New Corporate Personality*, Oxford University Press, New York, 1993,

³²⁷ Thompson R.B., *Piercing The Veil Within Corporate Groups: Corporate Shareholders as Mere Investors*, *Cornell Law Review*, Lincoln, 1999, 381.

³²⁸ საწარმოს ზოგადი პასუხისმგებლობა.

პასუხისმგებლობას, ასევე პროდუქციიდან გამომდინარე პასუხისმგებლობას (product liability), პარტნიორის მკაცრ პასუხისმგებლობას (strict liability)³²⁹ და სხვა.

„საწარმოს პასუხისმგებლობის“ დოქტრინა თავს თავს კარგად ავლენს კორპორაციულ ჯგუფსა თუ სხვაგვარად ერთმანეთთან დაკავშირებულ საწარმოთა ჯგუფზე. ამ მიზნისთვის, სასურველია გამოიყოს კორპორაციული ჯგუფისა და კორპორაციული ქსელის (Corporate Network) ტერმინთა განმარტება. თუმცა მანამდე, აღნიშვნის ღირსია განსხვავება წარმომადგენლობით პასუხისმგებლობასა და საწარმოს პასუხისმგებლობას შორის.³³⁰ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოს პასუხისმგებლობის დოქტრინის ფარგლებში სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კორპორაციულ ჯგუფში საწარმოთა ფუნდამენტურ ართიანობაზე, ე.ი. როდესაც შეუძლებელია განცალკევებული იდენტობის მქონე საწარმოთა ერთმანეთისაგან გამოჯვნა, რაც ხშირ შემთხვევაში ოჯახურ კორპორაციულ ჯგუფებში გვხვდება საერთო ბორდით, მენეჯმენტით, თანამშრომლებით, მისამართით, ოფიცის ტელეფონის ნომრით და სხვა. რაც შეეხება წარმომადგენლობითი თეორიიდან გამომდინარე დავებს, რომელიც კორპორაციული ჯგუფებისთვის შედარებით ნაკლებად დამახასიათებელია, აქ სასამართლო ყურადღებას ამახვილეს განცალკევებული კორპორაციული პიროვნულობის არსებობაზე და ავრცელებს მასზე სტანდარტულ წარმომადგენლობის თეორიას პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნისთვის. უნდა ითქვას, რომ ლიტერატურაში ამ უკანაკნელი დოქტრინას პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ძირითადად გამოიყენებენ „quasi-agency“ ტერმინს,³³¹ ვინაიდან წარმომადგენლობითი თეორიიდან გამომდინარე, სახეზე უნდა არსებობდეს რეალური თანხმობა წარმომადგენლსა და წარმომადგენელს შორის, რაც კორპორაციული ჯგუფების შემთხვევაში სახეზე არ არის.^{332, 333}

მოკლედ, საწარმოს პასუხისმგებლობის დოქტრინა შედარებით ფართო ინსტიტუტია და ის სრულად მოიცავს თითოეულ კორპორაციული ჯგუფის მოთამაშეს, მათ შორის

³²⁹ იხ. წინამდებარე ნაშრომის თავი 2.5.

³³⁰ შეს., Agency და Enterprise Liability.

³³¹ საკითხის შესახებ დეტალურად იხ.: Blumberg, I.Ph., Strasser, A.K., Georgakopoulos, L.N., Gouvin, J.E., Blumberg on Corporate Groups, 2005.

³³² The American Law Institute, Restatement of the Law Third, Restatement of the Law Agency, volume 1, American Law Institute Publishers, 2006, 17 და მომდ..

³³³ Strasser, A.K., Piercing the Veil in Corporate Groups, Connecticut Law Review, volume 37, N3, 2005, 648.

ისეთი ჯგუფებისა, რომელიც არ არის ფორმალურად კორპორაციული ჯგუფი მაგრამ განეკუთვნება კორპორაციულ ქსელს, რომელიც ქვემოთ იქნება ახსნილი.

კორპორაციულ ჯგუფებს განეკუთვნება, მაგალითად ა, ბ და გ კომპანიათა გაერთიანება, სადაც ა-ს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს კონტროლი არაპირდაპირი ან უმცირესობაში მყოფი პარტნიორის საშუალებით ბ და გ კომპანიაზე, თუმცა არ არის აუცილებელი კონტროლი რეალურად ხორციელდებოდეს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შესაძლებლობის რეალური არსებობა. გარდა ამისა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ოჯახი ფლობს რამდენიმე კომპანიას, თუმცა თითოეული დამოუკიდებელი განცალკევებული სუბიექტია და არ არის მათ შორის იერარქიული სტრუქტურა, თუმცა ამ შემთხვევაში კომპანიები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან როგორც და-ძმა კომპანიები, მშობელი კომპანიის მხრიდან კონტროლის განხორციელების გარეშე.³³⁴

არაკონტროლირებადი, მაგრამ საერთო მენეჯმენტის არსებობით დაკავშირებულ კომპანიათა კატეგორიაც კორპორაციულ ჯგუფში მოიაზრება, რომელიც შეიძლება იყოს „cross-holding“, სადაც თითოეული კომპანია ფლობს 26% სხვა კომპანიაში და აქვს საერთო მენეჯმენტი, ან “circular-holding”³³⁵, სადაც „ა“ კომპანია ფლობს „ბ“ კომპანიის 40%-ს, თავის მხრივ „ბ“ ფლობს „გ“ კომპანიის 40% და ეს უკანასკნელი 40% აქვითა მფლობელია „ა“ კომპანიაში. თუმცაღა წრიულ კომპანიაში არ არის de jure კონტროლი, მაგრამ როდესაც დირექტორები მოქმედებენ უნისონში, მათ შეუძლიათ კონტროლის ეფექტურად განხორციელება გაერთიანებაში არსებული კომპანიებისა.³³⁶

კომპანიათა ქსელს რაც შეეხება, ის ცალსახად განსხვავდება კორპორაციული ჯგუფისაგან, ვინაიდან მათ შორის არ არის ისეთი მყარი კავშირი როგორიც ჯგუფებში. ქსელში არსებულ კომპანიათა ერთმანეთთან დაკავშირება განისაზღვრება დეტალურად გაწერილი შეთანხმებით, რომელიც გარკვეული ვადითა და პირობებით არის დადებული ან ერთიდაიმავე კომპანიასთან ხშირი საქმიანობით. სწორედ აქ იჩენს პასუხისმგებლობის დაკისრების პრობლემა თავს, ვინაიდან, კორპორაციულ

³³⁴ Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 3.

³³⁵ შეს.: ჯვარედინი კომპანია და წრიული კომპანია.

³³⁶ Matheson, J.H., The Modern Law of Corporate Groups: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil in the Parent Subsidiary Context, 87 North Carolina Law Review, 2009, 1100.

ჯგუფებში პასუხისმგებლობის გავრცელება შესაძლებელია მშობელზე ან შვილობილ კომპანიაზე, ხოლო კორპორაციულ ქსელში, ქსელის სხვა მონაწილეზე, თუმცა ეს უაქნასკნელი ვერ მოხდება პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგად საფუძვლებზე, ვინაიდან აქ ხელშეკრულების მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებზეა საუბარი, რაც როგორც უკვე ითქვა, შეთანხმებითვე დეტალურად წესრიგდება. შესაბამისად, თუ საქმე პასუხისმგებლობის გავრცელებაზე მიდგება აქ ცალსახად უნდა იყოს სხვა საფუძველიც და ეს სხვა საფუძველი შესაძლოა იყოს მხოლოდ - ბრალი.

პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხისას სასამართლოები ცდილობენ უფრო ვიწროდ შეხედონ კორპორაციულ ჯგუფებსა და მის სახესხვაობებს, რათა მოარგონ სამართლებრივ კრიტერიუმებს. შესაბამისად, მათთვის მეტად კომფორტულია კომპანიათა ერთმანეთთან დაკავშირება მარტივად პირდაპირი კონტროლისა და ქონებრივი ინტერესის საფუძველზე, ვინაიდან სწორედ ეს მიდგომა განსაზღვრავს ფორმალურ-სამართლებრივ სტრუქტურას ჯგუფებისა და განასხვავებს მას წარმომადგენლობითი ურთიერთობებიდან.³³⁷ ამგვარად, პრაქტიკაში შედარებით ნაკლებ სირთულესთან არის პროცესუალური საკითხი დაკავშირებული კორპორაციული ჯგუფების შემთხვევაში ვიდრე ეს ქსელის დროს, თუმცა რა თქმა უნდა, ამგვარი საკითხის გადაწყვეტის „სიმარტივე“ შედარებით ხასიათს ატარებს და ის არ უნდა წარმოიჩინდეს მისი პირდაპირი მნიშვნელობით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ Enterprise Liability, მაშასადამე ჯგუფში არსებული ნებისმიერი საწარმოს ზოგადი პასუხისმგებლობა შესაბამის საფუძვლებს უნდა ეყრდნობოდეს, როგორც არის პირდაპირი კონტროლის არსებობა. მაგრამ როგორც უკვე განხილულ იქნა, კონტროლის შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს კორპორაციულ ჯგუფებში სხვადასხვა გზით,³³⁸ ამ მხრივ მნიშვნელოვანია თუ როგორი სახის კავშირია კორპორაციებს შორის. თუმცა, გარდა ამისა, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის უნდა დადასტურდეს „გადაჭარბებული“ კონტროლის არსებობა, რომელიც ართმევს შვილობილ ან კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოს მიიღოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი

³³⁷ Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 4.

³³⁸ ამ საკითხზე იხ.: Herman, E. S., Corporate Control, Corporate Power, The Economic Journal, Volume 92, N 365, 1981, 26. (“დომინანტი მფლობელები იკავებენ მმართველ ოფისებს თავადვე ან ისინი ნიშნავენ (და შეუძლიათ შეცვალონ კიდეც) მმართველებს”).

გადაწყვეტილება.³³⁹ მართალია, ლიტერატურაში აღნიშნულს „ერთი-ფაქტორის“, საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრებად მოიხსენიებენ, სხვაგვარად კი „piercing jurisprudence“-საც, ე.ი. გაჭოლვის იურიპრუდენციას უწოდებენ, თუმცა პრაქტიკაში ის რეალურად რამდენიმე სხვა ფაქტორთან არის დაკავშირებული: განზრახვა, მშობელი კომპანიისა კონტროლის განხორციელების შედეგად სარგებელი მიიღოს, ხოლო შვილობილი დატოვოს ვალდებულებების ანაბარა და ზიანის რეალური ფაქტი. მიუხედავად ყველაფრისა, როგორც პროფესორი ბლუმბერგი აღნიშნავს, სამ-ეტაპიანი გაჭოლვა მაინც ყველაზე დიდი პოპულარულობით სარგებლობს ამერიკაში.³⁴⁰ თუმცა არა კორპორაციულ ჯგუფებზე, ვინაიდან არსებობს მოსაზრება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის ფარგლებში, რაც თავს იჩენს მაშინ, როდესაც კორპორაცია არის პარტნიორი, სრულიად უადგილოა³⁴¹ და აზრს მოკლებულია კორპორაციის, როგორც პარტნიორის პასუხისმგებლობის გაჭოლვა, ვინაიდან ის არანაირ შედეგზე არ გადის. ამ კონტექსტში, პირადი პასუხისმგებლობა რჩება ისევ შეზღუდულ პასუხისმგებლობად, რადგან პარტნიორი თავად არის შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე და ის ვალდებულებებისათვის მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს, მაშასადამე ქონებით, რომელიც უშუალოდ კორპორაციის სახელზეა, მაგრამ არა მშობელი კომპანიის პარტნიორების პირადი ქონებით.³⁴²

კონტროლის ფაქტის არსებობა, როგორც კვლევიდან გამოჩნდა მნიშვნელოვანი საფუძველია პასუხისმგებლობის დაკისრებისა, მათ შორის პირადი პასუხისმგებლობისაც. თუმცა არსებობს სხვადასხვა მოსაზრება „კონტროლის“ არსებით მნიშვნელობასთან დაკავშირებით. განკუთრებულ სირთულეს პრაქტიკაში ამ კუთხით დელიქტით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის საკითხი წარმოადგენს, რადგან საქმე ეხება არა-ნებაყოფლობით კრედიტორს, რომელიც წინასწარ ვერ გაითვალსიწინებდა ზიანის აფექტის დადგომას. გარდა ამისა,

³³⁹ Matheson, J.H., The Modern Law of Corporate Groups: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil in the Parent Subsidiary Context, 87 North Carolina Law Review, 2009, 1100.

³⁴⁰ Blumberg, P.I., The Transformation of Modern Corporate Law: The Law of Corporate Groups, Connecticut Law Review, 2005, 613.

³⁴¹ Krendl, C.S., Krendle, J.R., Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, Denver Law Review, Volume 55, Issue 1, 1978, 43.

³⁴² Easterbrook, F., Fischel, D., Limited Liability and the Corporation, 52 University of *Chicago Law Review*, 1985, 110-111.

ზოგიერთი მეცნიერი კიდევ უფრო ავიწროვებს დელიქტურ ვალდებულებათა სახეობებს პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების კუთხით და გამოყოფს დელიქტის ისეთ შემთხვევებს, რამაც სიცოცხლის განადგურება ან ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. ტრადიციული თვალსაზრისით, შეზღუდული პასუხისმგებლობა დელიქტურ ვალდებულების მიმართ უატყოფით კონტექსტში განიხილება, ვინაიდან სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ზღდავს დელიქტის შემთხვევაში მოთხოვნათა სრულ დაკმაყოფილებას თუ კომპანიის აქტივი საკმარისი არ არის მოთხოვნათა საპასუხოდ. მრავალი ავტორი საუბრობს იურიდიულ ლიტერატურაში ამ მიდგომის შეცვლასა და დელიქტის შემთხვევაში შეუზღუდავი პასუხისმგებლობის, პარტნიორთა (როგორც ინდივიდუალური, ასევე კომპანია-პარტნიორის) პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე, კორპორაციული ვუალის გაქოლვით. მაგალითად, ავტორების - კრისტიან ვიტინგისა³⁴³ და კრისტოფერ ქუტცის³⁴⁴ მოსაზრებით, ყველა პარტნიორი მიუხედავად კონტროლის ლეგიტიმურად აგებენ პასუხს დელიქტიდან გამომდინარე ზიანისთვის. სხვა ავტორების მოსაზრებით, როგორიც არის ანტუნს³⁴⁵ და მენდელსონი³⁴⁶, პირადი პასუხისმგებლობის საზღვრების შეზღუდვას უჭერენ მხარს კორპორაციულ ჯგუფში მშობელი კომპანიით ან პარტნიორით, რომელიც ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა კორპორაციულ გადაწყვეტილებებზე.³⁴⁷ კერძოდ, მატ მიერ შეთავაზებული სტანდარტი გულისხმობს იმ პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, რომელსაც აქვს შესაძლებლობა კონტროლისა მისი კაპიტალში ქონებრივი/წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე. „აგალითისატს, კომპანიის CEO, რომელიც ამასტამავე ფლობს მცირე რაოდენობის წილს/აქციას კომპანიაში, ვერ იქნება ამ სტანდარტით პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების ადრესატი, ვინაიდან მას არ აქვს წილობრივი მონაწილეობიდან გამომდინარე შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს

³⁴³ Witting, Ch. A., *Liability of Corporate Groups and Networks*, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 287-305.

³⁴⁴ Kutz, Christopher. *Complicity: Ethics and Law for a Collective Age*. Cambridge: Cambridge University Press, 2000, 204-253.

³⁴⁵ Antunes, J.E., *Liability of Corporate Groups, Autonomy and Control in Parent-Subsidiary Relationships in US, German and EU Law an International and Comparative Perspective*, Kluwer Law and Taxation Publishers, Deventer, 1994, 237-258.

³⁴⁶ Mendelson, N., *A Control-Based Approach to Shareholder Liability for Corporate Torts*, 102 *Columbia Law Review*, 2002 1203.

³⁴⁷ Crowe, J., *Does Control Make a Difference? The Moral Foundations of Shareholder Liability for Corporate Wrongs*, *The modern Law Review*, Volume 75, N 2, 2012, 159-160.

გადაწყვეტილებებზე. ამ სტანდარტით საუბარია მაჟორიტარ მონაწილეებზე, რომელიც შესაძლოა არა მხოლოდ ერთი, არამედ ორი პარტნიორიც იყოს. თუმცა ამავე სისტემის მხიედვით, უსამართლოა მიდგომა, რომელიც პასიურ პარტნიორსაც, რომელსაც კონტროლის ზემოთ განმარტებული შესაძლებლობა აქვს, მაგრამ რეალურად არ ახორციელებს კონტროლს, მაინც ექცევა პასუხისმგებლობის დაკისრების საშიშროების ქვეშ. ეს სტანდარტი, აიძულებს პასიურ პარტნიორს, გამოიყენოს მისთვის მონაწილეობით-სამართლებრივი ქონებიდან გამომდინარე ძალაუფლება და გააკონტროლოს ინფორმაციის გამოთხოვის საშუალებით ყოველდღიური საქმიანობა კომპანიისა, რათა არ მოხდეს მშობელი ან შვილობილი საწარმოს მხრიდან ისეთ ქმედების განხორციელება, რომელიც გამოიწვევს ზიანს. ზუსტი ციტირებით, მენდელსონი განმარტავს, რომ „პარტნიორები, პოტენციური კონტროლის შესაძლებლობით კორპორაციაში, ასევე აგებენ პასუხს დელიქტისა და კანონისმიერი გადაცდომისათვის, მიუხედავად იმისა ახორციელებენ ისინი რეალურად კონტროლს ან დაკავშირებულია თუ არა „რეალური კონტროლის“ განხორციელება იმ ქმედებასთან, რომელმაც გამოიწვია დარღვევა“.³⁴⁸ ეს უკანაგნელი კი ცალსახად ჰგავს, პარტნიორის მკაცრ, დამატებით პასუხისმგებლობას, რომელზეც წინამდებარე ნაშრომის მე-2.5 თავი დაეთმო.

მართალია ზემოთ აღწერილი სტანდარტი, ისევე როგორც სხვა ავტორების მიერ შემოთავაზებული ულიმიტო პასუხისმგებლობა დელიქტის დროს, მხოლოდ რეფორმის ინიციატივას წარმოადგენს და მათი პრაქტიკაში ან საკანონმდებლო დონეზე იმპლემენტაცია არ მომხდარა³⁴⁹ და ეს არც იქნება ადვილი ამერიკის ყველა შტატის მიერ მსგავს ცვლილებათა განხორციელება, გარდა დროის რესურსისა,³⁵⁰ რიგი საკითხები დაკავშირებულია პროცესულურ ნაწილთან, ე.ი. ერთია მატერიალური კანონის ჩანაწერი და მეორე რამდენად რეალურია ის პროცესუალურ ნაწილთან ტანდემში, ვინაიდან სწორედ პროცესუალური სამართალი, რომელიც ხშირ შემთხვევაში უყურადღებოდ რჩება სამეცნიერო კვლევებში, განსაზღვრავს

³⁴⁸ Mendelson, N., A Control-Based Approach to Shareholder Liability for Corporate Torts, 102 Columbia Law Review, 2002 1273.

³⁴⁹ Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 270-282.

³⁵⁰ Mendelson, N., A Control-Based Approach to Shareholder Liability for Corporate Torts, 102 Columbia Law Review, 2002 1207.

მატერიალური სამართლის რა ნაწილია რეალური და რა არა.³⁵¹ გარდა იმპლემენტაციის სირთულისა, შემოთავაზებულ სისტემას რამდენიმე ხარვეზი აქვს, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პარტნიორის იძლებითი ჩართულობა კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში, მაშინ როდესაც კაპიტალური ბაზრისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი და მიღწევა, პასიური პარტნიორის როლის მორგებაა, ე.ი. ინვეტიციის განხორციელება სამომავლო დივიდენდის მიღების მიზნით, კომპანიის საქმიანობაში ჩარევის სურვილის, ცოდნის ან თუნდაც განწყობის გარეშე. სამართლიანია მიდგომა, როდესაც საქმე მაკონტროლებელ პარტნიორს (მშობელ კომპანიას) ეხება, და ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა კონტროლს ახორციელებს მაჟორიტარობის თუ სხვაგვარად გავლენის მოხდენის მეშვეობით. აქ მთვარი მომენტი მისი განზრახვა და შესაძლებლობა გააკონტროლოს ყოველდღიური საქმიანობა, თითოეული ტრანზაქცია და შესაბამისად, წინასწარ განჭვრიტოს ქმედებათა მასშტაბი და შედეგები.³⁵² ყოველივე ამის საფუძველზე, სამართლიანია პასუხისმგებლობის გაზრდა შეუძრუდავ პასუხისმგებლობამდე ე.ი. პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება, თუმცა ეს უკანაკნელი სავარაუდოა მცირე პარტნიორის შემთხვევაში.

კანონი ისედაც განსაზღვრავს პარტნიორთა მონაწილეობას ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში რაც, მაგალითად, სცდება ჩვეულებრივ საწარმოო სამქიანობის ფარგლებს და სხვ., თუმცა ეს მისი უფლებაა და არა ვალდებულება. პარტნიორის ერთადერთი ვალდებულება ხომ შესატანის სრულყოფილად განხორციელებაა?! პასუხისმგებლობის განსაზღვრის ამ სტანდარტის მიხედვით, კი პარტნიორს წარმოეშობა ვალდებულება, მუდმივად იყოს საქმის კურსში საწარმოში მიმდინარე პროცესების თაობაზე. ასეთი მიდგომა შეამცირებს ინვესტორთა სურვილს დააბანდონ, შეიძინონ წილები/აქციები სხვადასხვა კომპანიაში, რაც თავისთავად უარყოფითად აისახება კაპიტალურ ბაზარზე. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს პარტნიორის სრულად გათავისუფლებას ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, როდესაც ის არ ასრულებს პარტნიორის „მოვალეობებს“, თუმცა არავითარ

³⁵¹ Cooper, J. A., Unlimited Shareholder Liability through a Procedural Lens, Harvard Law Review, Volume 106, N 2, 1992, 387.

³⁵² Crowe, J., Does Control Make a Difference? The Moral Foundations of Shareholder Liability for Corporate Wrongs', The modern Law Review, Volume 75, N 2, 2012, 160, 165.

შემთხვევაში არ უნდა გახდეს აღნიშნული პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი რეალური ბრალის, ზიანის და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტნიორი შესაძლოა ატარებდეს მორალურ პასუხისმგებლობას,³⁵³ რაზეც იურიდიულ მეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებები ფიქსირდება.

მორალური პასუხისმგებლობის მთავარი სამიზნე სწორედ პასიური ინვესტორია, მცირე წილის მქონე პარტნიორი, რომელიც არ არის ინფორმირებული საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, თუმცა შესაძლოა თავისი წილის პროპორციულად (*pro rata*) მაგრამ პირადი ქონებით გახდეს პასუხისმგებელი კორპორაციის მიერ მიყენებული ზიანისთვის. დამატებითი დეტალების გარეშე, ეს უკანაქნელი წინადადება მართალია უსამართლოდ ჯდერს, როგორც უკვე აღინიშნა, თუმცა თუ მაკორექტირებელი მართლმსაჯულების პრიორიტეტის (*Priority of Corrective Justice*, შემდეგში PCJ) შექმარიტება იქნება გაზიარებული, ამან შესაძლოა გააქარწყლოს უსამართლობის განცდა. PCJ-ის მიხედვით, პასუხისმგებლობა ზიანისთვის რაც მიყენებულ იქნა დაზარალებულისათვის, თავიდანვე უნდა დაეკისროს მას ვისაც მორალური ბრალი მიუძღვის ზიანის გამოწვევაში. სტანდარტული შეხედულებით, პირი მორალურად პასუხისმგებელია თუ: (1) მას განზარბული ჰქონდა, წინასწარ იცოდა ან წინასწარ უნდა სცოდნოდა შედეგები, რასაც მისი ქმედება გამოიწვევდა; და (2) მისმა ქმედებამ გამოიწვია შედეგი (ზიანი). საუბარია ბრალისა და კაუზალურ გარემოებებზე, რომელთა კუმულაციური არსებობა აუცილებელია მორალური პასუხისმგებლობის დადგენისათვის. მაგრამ პასიური პარტნიორის შემთხვევაში ადგილი ვერ ექნება ბრალსა და კაუზას სწორედ მისი პასიურობიდან გამომდინარე, იგი არ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში, არ ჰქონია გავლენა კონკრეტულ ქმედებაზე და ვერც მის შედეგებს იწინასწარმეტყველებდა. თუმცა, კოსპორაციის დაარსების ეტაპიდანვე პარტნიორები უზრუნველყოფენ მას (კომპანიას) ფინანსებით, რომლის მიზნობრიობა მდგომარეობს კომპანიის მიერ სხვადასხვა აქტივობისა და ზოგადად საქმიანობის წარმართვაში.

³⁵³ დაწვრილებით მორალური პასუხისმგებლობისა და კორექციული სამართლიანობის შესახებ, იხ. Beaver, Allan, *Rediscovering the Law of Negligence*, Oxford Hart Publishing, 2007; Crowe, Jonathan, *Does Control Make a Difference? The Moral Foundations of Shareholder Liability for Corporate Wrongs*, *The modern Law Review*, Volume 75, N 2, 2012.

აქედან გამომდინარე შესაძლოა პარტნიორის მონაწილეობა დაკვალიფიცირდეს, როგორც კოლექტიური ქმედების ერთ-ერთი შემდაგენელი ნაწილი, და ამ თვალსაზრისით კონკრეტული შედეგის დადგომა, მისი მონაწილეობით-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობდეს (კოლექტიური კაუზალური გარემოება). სადავოა, რამდენად სამართლიანი ასეთი მიდგომა პარტნიორის მიმართ, თუ კი იგი კეთლსინდისიერია ფაქტის მიმართ. აქ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამონაკლისის დაშვება, რამაც შესაძლოა გაამართლოს პარტნიორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ მაგალითად, მცირე პარტნიორს ჰქონდა ინფორმაცია ზიანის მომტანი ქმედების შესახებ, ან მისთვის ზოგადად ცნობილია კომპანიის მიერ სარისკო და შედეგად დელიქტის გამოწვევი მავნე პრაქტიკის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, პარტნიორს შესაძლოა მეტი გულისმხიერების მოვალეობა ეკისრებოდეს, მოითხოვოს ინფორმაცია და შესაბამისად, იმოქმედოს არასწორი ქმედების პრევენციისათვის.³⁵⁴ თუმცა ვინაიდან ის მოკლებულია შესაძლებლობას გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე, მისი მონაწილეობა არ მონაწილეობა რეალურად ვერ შცევლის შედეგს, თუმცა კი შესაძლოა მისი უარი გამხილულ იქნეს როგორც კოლექტიური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

არსებული სტატიტიკის შესწავლამ, ემპირიულმა კვალიტატიურმა და კვანტიტატიურმა კვლევამ, რომელიც არა ერთი მეცნიერის მიერ იქნა განხორციელებული გამჭოლი პასუხისმგებლობის კონტექსტში, თუმცა მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის პროფესორ ტომფსონს, რომელსაც ცალკე კვლევა აქვს წარმოდგენილი უშუალოდ კორპორაციულ ჯგუფებში გამჭოლი პასუხისმგებლობის პრობლემაზე, რომელმაც ცხადყო, რომ სასამართლოები თავს იკავებენ დოქტრინის გამოყონებაზე კორპორაციულ ჯგუფებში^{355,356} მატესონის კვლევით კი, საქმეთა მხოლოდ 20.56% შემთხვევაში გაჭოლა სასამართლომ პასუხისმგებლობა.³⁵⁷ ყველაზე ლოგიკური ახსნა ამ ფენომენისა არის ის, რომ მშობელ-

³⁵⁴ Crowe, J., Does Control Make a Difference? The Moral Foundations of Shareholder Liability for Corporate Wrongs', The modern Law Review, Volume 75, N 2, 2012, 160-171.

³⁵⁵ Thompson, R.B., Piercing the Corporate Veil Within Corporate Groups: Corporate Shareholders as Mere Investors, Connecticut Journal of International Law, volume 13, N 2, 1999, 385.

³⁵⁶ Thompson, R.B., Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, Cornell Law Review, 1991, 1048.

³⁵⁷ Matheson, J.H., The Modern Law of Corporate Groups: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil in the Parent Subsidiary Context, 87 North Carolina Law Review, 2009, 1114.

შვილობილი კომპანიის შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც არ იძლევა დოქტრინის გამოყენების აუცილებლობას. ეს ფაქტორები ძირითადად ინდივიდუალურ პარტნიორებს აკისრებენ პირად პასუხისმგებლობას, როგორც არის მაგ., აქტივთა აღრევა ან ფორმალობათა დაუცველობა, რაც როგორც ჩანს ნაკლები სიხშირით არის კორპორაციული ჯგუფების შემთხვევაში³⁵⁸. შესაბამისად, შესაძლოა ეს ნიშნავდეს, რომ კორპორაციულ ჯგუფებში კორპორაცია-პარტნიორები უკეთესად იცავენ წესებსა და ფორმალობებს, ვიდრე ეს ინდივიდუალური პარტნიორის შემთხვევაში ხდება. გარდა ამისა, რა თქმა უნდა სასამართლო განსხვავებული ანალიტიკური გამოწვევის წინაშე დგას, როდესაც საქმე კორპორაციულ ჯგუფს ეხება, ვიდრე ის ქეისები სადაც პატარა ბიზნესია მხოლოდ ერთი ან მცირე ინდივიდუალური პარტნიორებით. მშობელ-შვილობილ კომპანიათა საქმეებში ორივე კომპანია შესაძლოა შედარებით დიდი მოცულობის, მასშტაბის იყოს, სადაც თითოეულს გარკვეული ეკონომიკური რეალობა აქვს.³⁵⁹ ამგვარად, სასამართლოები რთულად პოულობენ გზას ან უფრო ზუსტად, არ აქვთ სურვილი გაჭოლონ პასუხისმგებლობა კორპორაციულ ჯგუფებში, რაზეც გარდა ზემოთ თქმულისა, მეტყველებს ფაქტები, სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, დელავერის შტატში, სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობის გაჭოლვა გამოყენებულ იქნა საქმეთა 6.7%-ის შემთხვევაში და ამ მაჩვენებლით დელავერის შტატი მესამე ადგილზეა, ნიუ-იორკისა და ტეხასის შტატის შემდგომ^{360, 361}.

მიუხედავად გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების წარმატებული ქეისების ნაკლებობისა ამერიკის პრაქტიკაში, მაინც შესაძლოა გამოიყოს ის საფუძვლები, რომელიც ამ დოქტრინის გამოყენების შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს. საფუძვლების ჩამონთვალი ისევე გრძელდება და მსგავსი, როგორც ინდივიდუალური პარტნიორის შემთხვევაში, რაც ზემოთ იქნა განმარტებული³⁶², თუმცა გარკვეული

³⁵⁸ თუმცა, განმარტებისათვის უნდა ითქვას, რომ აქტივთა აღრევა და ფორმალობათა დაუცველობა ასევე შეიძლება გახდეს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველი, თუმცა შედარებით ნაკლებ შემთხვევებში, ვიდრე ეს ინდივიდუალური პარტნიორის დროს ხდება.

³⁵⁹ Matheson, J.H., The Modern Law of Corporate Groups: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil in the Parent Subsidiary Context, 87 North Carolina Law Review, 2009, 1115.

³⁶⁰ მათ წინ უსწრებს ასევე ფედერალური სასამართლოს საქმეთა რაოდენობა სადაც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა იქნა გამოყენებული.

³⁶¹ Matheson, J.H., The Modern Law of Corporate Groups: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil in the Parent Subsidiary Context, 87 North Carolina Law Review, 2009, 1118-1119.

³⁶² წინამდებარე ნაშრომის თავი 2.3., ქვეთავი „ბ“.

სხვაობები მაინც ფიქსირდება. პროფესორ ტომპსონის ცხრილის მიხედვით გამოიყო 9 ყველაზე ხშირი საფუძველი გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების კორპორაციულ ჯგუფებში³⁶³:

ცხრილი 1.

საფუძველი	საქმეთა სრული #	პასუხისმგებლობა გაიჭოლა	% მაჩვენებელი
ქვეკაპიტალიზაცია	38	22	57.89
ფორმალობათა დაუცველობა	34	22	64.71
გადაფარვა ³⁶⁴	166	62	37.35
პარტნიორის დომინირება	147	64	43.54
სუბსტანციური განცალკევებადობის სიმწირე	50	41	82
აღრევა	44	28	63.64
წარმომადგენლობითი პრობლემები	6	3	50
თაღლითობა	36	29	80.55
ალტერ ეგო ან ისტრუმენტალურობა	72	66	91.66

შესაძლებელია სამი ყველაზე ხშირი საფუძვლის გამოყოფა პროფ. ტომპსონის კვლევიდან. კორპორაციული ჯგუფების შემთხვევაში საწარმოს პასუხისმგებლობის ფარგლებში გამჭოლი პასუხისმგებლობა ყველაზე ხშირად დგება ალტერ ეგოსა და ინსტრუმენტალურობის შემთხვევაში³⁶⁵, ცალსახა განცალკევებულობის მოშლისა და თაღლითობის საფუძველით. კორპორაციულ ჯგუფებში ინსტრუმენტალურობის დოქტრინა აღწერს კონკრეტულ ფაქტს, როდესაც შვილობილი კომპანიის დირექტორები და აღმასრულებელი პირები არ მოქმედებენ დამოუკიდებლად შვილობილის ინტერესების გათვალისწინებით, არამედ იღებენ პირდაპირ ბრძანებებს მშობელი კომპანიისაგან მისსავე ინტერესების სასიკეთოდ. შესაბამისად,

³⁶³ Thompson, R.B., Piercing the Corporate Veil Within Corporate Groups: Corporate Shareholders as Mere Investors, Connecticut Journal of International Law, volume 13, N 2, 1999, 387.

³⁶⁴ კორპორაციის, ჩანაწერების, ფუნქციების ან პერსონალის გადაფარვა.

³⁶⁵ Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 339.

ინტრუმენტალურობის დოქტრინის გამოყენება გამჭოლი პასუხისმგებლობისათვის შესაძლებელია მაშინ, როდესაც სახეზეა³⁶⁶ დომინანტი პარტნიორისაგან კონტროლის განხორციელება გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და ოპერაციებზე კომპანიაში; ამასთან, ამ კონტროლის გამოყენება თაღლითობისთვის ან სხვა უკანონო მიზნისთვის, რაც იწვევს მომჩივნის დაზარალებას.³⁶⁷ ალტერ ეგოსა და ინტრუმენტალურობის დოქტრინა ის საფუძველია რომელიც ინდივიდუალური პარტნიორის შემთხვევაშიც ხშირად იწვევს კორპორაციული საფარველის გაჭოლვას, შესაბამისად მათი განმარტება ნაშრომისათვის მნიშვნელოვანი იქნება.³⁶⁸

3.4.3. საქართველო და კორპორაციული ჯგუფები

საქართველოში კაპიტალური ბაზრის განვითარება ვერ უტოლდება ამერიკის ან გერმანიის დონეს, თუმცა კორპორაციული ჯგუფები აქ ცალსახად არსებობს, იქნება ეს სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული მშობელ-შვილობილი თუ საოჯახო ჯგუფები, თუ ერთი პირის მიერ დაარსებული რამდენიმე კომპანია, რომელთაც ერთი პირი აკონტროლებს. თუმცა რთულია ეროვნულ მაგალითზე დეტალებში მსჯელობა, ვინაიდან ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკა სამწუხაროდ მწირია, ხოლო ასეთ ჯგუფებში პირადი პასუხისმგებლობის, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენების შესახებ საერთოდ არ არსებობს. არადა კორპორაციული ჯგუფების მნიშვნელობა, როგორც ეს არაერთხელ აღინიშნა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს.

პრაქტიკის შესწავლის მცდელობისას ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში³⁶⁹ გაკვრით იქნა ნახსენები კომპანიათა ჯგუფი. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა გარიგებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნას ეხებოდა, მოსარჩელე მხარე წარმოადგენდა ხუთ დაზარალებულ კომპანიას, რომელიც ამასთანავე იყო ხუთივე კომპანიის ერთადერთი პარტნიორი და დირექტორი. გადაწყვეტილება სამწუხაროდ არ მოიცავს დამატებით დეტალებს

³⁶⁶ იგივე, პოველის ტესტი, *Powell test*; *United States v. Powell*, 379 U.S. 48 (1964).

³⁶⁷ Haar, B., *Piercing the Corporate Veil and Shareholders' Product and Environmental Liability in American Law as Remedies for Capital Market Failures – New Developments and Implications for European and German Law after "Centros"*, *European Business Organization Law Review* 2, 2000, 327.

³⁶⁸ იხ. წინამდებარე ნაშრომის თავი 3.5.

³⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *ნას-556-202*.

კომპანიათა შორის ურთიერთობის შესახებ, თუმცა ცალსახაა, რომ მოსარჩელე (შპს „ე. ე.ბ.“), რომელიც თავადვე წარმოადგენდა კაპიტალურად მოწყობილ იურიდიულ პირს, დაარსებული ჰქონდა ოთხი სხვა კომპანია (შპს-ები), რომელთა კონტროლს თავად ახორციელებდა. მოკლედ რომ ითქვას, კომპანიებს აკლდათ განცალკევებული პიროვნულობა ვინაიდან ისინი, მშობელი კომპანიის, მათი დამარსებლის მიერ იმართებოდნენ. ამასვე მოწმობს გადაწყვეტილების მე-13 აბზაცში აღნიშნული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომელიც თითოეულ კომპანიასთან გაფორმდა მოსარჩელის მიერ მისსავე სასარგებლოდ. თუმცა აღნიშნული არ ყოფილა დავის საგანი და ამგვარად, არც სასამართლოს მხრიდან გამახვილებულა ყურადღება ამ ნაწილზე.

უზენაესი სასამართლოს 2020 წლის კიდევ ერთი საინტერესო გადაწყვეტილება უკავშირდება კორპორაციულ ჯგუფს, რაც გადაწყვეტილების დასაბუთებაში არ არის მოხსენიებული როგორც ჯგუფი, თუმცა შინაარსობრივად სწორედ რომ დე-ფაქტო კორპორაციულ ჯგუფს აქვს ადგილი. საინტერესოა ისიც, რომ კასაციამ დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი, რადგან ვერ დაინახა სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.³⁷⁰ საქმეში ჩართული იყო ორი კაპიტალური ტიპის საზოგადოება - ა და ბ საერთო მმართველობითი ორგანოებით, საიდანაც ა-მ, რომელიც მესამე, გ კაპიტალური მოწყობის საზოგადოებაში ფლობდა დომინირებულ მდგომარეობას, ბოროტად გამოიყენა ეს უკანასკნელი და სრული აქტივი გ საზოგადოებისა გადასცა ბ-ს, რის შედეგადაც გ-ს მინორიტარი აქციონერი დარჩა აქტივის გარეშე, შესაბამისად მისმა აქციებმა დაკარგა ღირებულება. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნის დაყენების ნაწილი მოსარჩელემ არ წარმოადგინა სამართლებრივად სწორად, საქმეში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებენ იმაზე, რომ ა კომპანია დომინირებდა და აკონტროლებდა როგორც გ, ასევე ბ კომპანიას, და ამ უკანასკნელს იყენებდა როგორც ინსტრუმენტს. სახეზეა ცალსახად არაკეთილსინდისიერი ქმედება, რამაც ზიანი გამოიწვია მინორიტარი აქციონერისა, დაირღვა მისი საკუთრების უფლება და მისგან გამომდინარე კომპენსაციის მიღების უფლება. თუმცაღა გარდა ამისა, ა-ს მიერ განხორციელებული

³⁷⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1722-2019.

კონტროლის შედეგად არ დამდგარა კრედიტორთა ანდა კომპანიათა ზიანის ფაქტი, ვინაიდან მისი ქმედებები მიმართული იყო რთული მდგომარეობიდან კომპანიის გამოყვანისაკენ და ამასთან, არც ვალდებულებათა თავის არიდების ნაწილი დარჩა ყურადღების მიღმა, ვინაიდან გარიგებით გათვალისწინებული აქტივების გადაცემა, ამავედროულად მოიცავდა ვალდებულებათა გადასვლას შემძენზე. ამგვარად, მოცემულ ქეისში არ არის პირადი, გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, მაგრამ სახეზეა დე-ფაქტო კორპორაციული ჯგუფი.

ასეა თუ ისე, კორპორაციულ ჯგუფებს ქართულ რეალობაშიც აქვთ ადგილი, თუმცა არა იმ მასშტაბითა და სირთულით, როგორც ეს სხვა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებშია. იმედია, მომავალში, ეს ფაქტი გამოსწორდება და დღის წესრიგში დადგება საჭიროება დიდი კორპორაციული ჯგუფების, კონგლომერატების არსებობისა ქვეყანაში, რაც უპირობოდ იქნება დაკავშირებული კაპიტალური ბაზრის, საფონდო ბირჟისა თუ ეკონომიკის რეალურ ზრდასთან, პარალელურად კი საინტერესო პრეცედენტული სამართლის ჩამოყალიბებასთან.

3.5. ალტერ ეგოსა და ინსტრუმენტალურობის თეორია

ინსტრუმენტალურობისა და ალტერ ეგოს თეორია, სიმართლე რომ ითქვას ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდგარი დოქტრინებია (თუმცა არა იდენტური),³⁷¹ პრინციპში ისინი ერთმანეთზე იმდენად არის გადამხდული, რომ შეუძლებელიც კი არის მათი განსხვავება რიგ შემთხვევებში. მაგალითად, ინსტრუმენტალურობის თეორია სამეტაპიანი საყრდენი ტესტით დასტურდება.³⁷² პირველ რიგში უნდა დადგინდეს, პარტნიორთა დომინირებული კონტროლი და არა უბრალოდ უმრავლესობაში ან აბსოლუტურ უმრავლესობაში ყოფნა. აქ იგულისხმება კონტროლი, როგორც ფინანსებზე, პოლიტიკაზე, საქმიანობაზე, ასევე თითოეულ ხელშეკრულებაზე, იმდენად რომ შეუძლებელია დადგინდეს კორპორაციის დამოუკიდებელი ცნობიერება, ნება თუ მისი ზოგადად არსებობა. მეორე ეტაპზე, აუცილებელია გამოირკვეს, რომ პარტნიორის ყოვლისმომცველი დომინირება

³⁷¹ ალადაშვილი, გ., დისერტაცია თემაზე: ალტერ ეგოს დოქტრინის გავლენა თანამედროვე კაპიტალური საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, სამართლებრივ კონსტრუქციაზე, ხელმძღვანელი ი. ბურდული, 2021, 172-179, 200-205.

³⁷² Bainbridge S.M., Abolishing LLC Veil Piercing, University of Illinois Law Review, University Press, Illinois, 2005, 38.

მიმართულია თაღლითობის ან რაიმე დანაშაულის ჩასადენად, რაც აზარალებს კრედიტორს. და ბოლოს, ასეთი ქმედებები აუცილებლად უნდა იწვევდეს კონრეტულ დაზიანებას ან ზარალს (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი).³⁷³ ტესტის შემუშავე ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე მოხდა და ახლა პოველის ტესტის ³⁷⁴სახელით არის ცნობილი.³⁷⁵ თავდაპირველად ტესტი შემუშავებულ იქნა აფილირებულ, მშობელ კომპანიასთან დაკავშირებული გაერთიანებებისთვის, რადგან პრაქტიკაში და კიდევ უფრო მეტად თანამედროვე ბაზარზე ხშირია კონცერნების, კორპორაციათა ჯგუფების არსებობა და შესაბამისად შვილობილ კომპანიათა გამოყენება სხვადასხვა მიზნით. თუმცა მოგვიანებით ტესტის გავრცელება მოხდა ინდივიდუალურ პარტნიორებზეც და არა მხოლოდ კორპორაციათა ჯგუფებზე.³⁷⁶ სიმართლე რომ ითქვას, ინსტრუმენტალურობის წესი მეტ კონკრეტიზაციას აჩენს სამართალწარმოებაში, ვიდრე ალტერ ეგოს და ელტერ ეგო პლიუსის ტესტი, რომელზეც ოდნავ მოგვიანებით იქნება საუბარი. თუმცა როგორც ინსტრუმენტალურობის, ასევე ალტერ ეგოს ტესტის სტანდარტი ცალსახად უარყოფს კონტროლის არსებობას, როგორც ერთეულ ფაქტორს საკმარისად კორპორაციული განცალკევებულობის იგნორირებისათვის.

საქმეზე *Zaist v. Olson*³⁷⁷, მოპასუხე ფლობდა და აკონტროლებდა ორ კომპანიას: East Haven და Olsen Inc.. მოპასუხემ ხელშეკრულება გააფორმა მოსარჩელესთან East Haven-ისათვის გარკვეული სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შესახებ. მოგვიანებით, East Haven-ი გაკოტრდა. მოსარჩელე ითხოვს ინსტრუმენტალურობის წესის თანახმად პირადი პასუხისმგებლობა დაეკისროს ოლსონს და Olsen Inc.-ს. კონექტიკუტის უზენაესი სასამართლოს წევრთა უმრავლესობამ დააკმაოფილა ინსტრუმენტალურობის წესის არსებობა, მხოლოდ კონტროლის დადასტურების სახით და პირადი პასუხისმგებლობა დააკისრა მოპასუხეს. თუმცა გადაწყვეტილებაზე

³⁷³ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 100.

³⁷⁴ Thompson, R.B., Piercing the Corporate Veil Within Corporate Groups: Corporate Shareholders as Mere Investors, Connecticut Journal of International Law, volume 13, N 2, 1999, 390.

³⁷⁵ Powell test; საქმე შეერთებული შტატები პოველის წინააღმდეგ (*United States v. Powell*, 379 U.S. 48 [1964]).

³⁷⁶ Haar, B., Piercing the Corporate Veil and Shareholders' Product and Environmental Liability in American Law as Remedies for Capital Market Failures – New Developments and Implications for European and German Law after “Centros”, European Business Organization Law Review 2, 2000, 327.

³⁷⁷ საქმე ჯონ ზაისტი მარტინ ოლსონის წინააღმდეგ (*Zaist v. Olson*, [1967] 154 Conn. 563, 227 A. 2d 552).

არსებობს განსხვავებული აზრი. მაგალითად, მოსამართლე ჰაუსის დასაბუთებით,³⁷⁸ რომელსაც იზიარებს ასევე მოსამართლე კოტერი, სასამართლოს წევრთა უმრავლესობამ დაადგინა მხოლოდ კონტროლის არსებობის ფაქტი, რაც არ არის საკმარისი კორპორაციული განცალკევებულობის მომლისათვის.³⁷⁹ როგორც ინტრუმენტალურობის ზოგადი წესი მოითხოვს, ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე უნდა დადასტურდეს დამატებით ორი ელემენტი, რაც გულისხმობს კორპორაციის გამოყენებას თაღლითობისთვის, ან რაიმე დანაშაულის ჩასადენად, ან კანონის დარღვევას სხვა გაგებით; და ბოლოს, აუცილებელია დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ესეიგი კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ ჩადენილი ქმედება პირდაპირ უნდა აყენებდეს ზიანს იმ დაზარალებულს, რომელიც ითხოვს პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებას. მართალია ოლსონი ორივე კომპანიის პარტნიოტი იყო, იგი მართავდა კომპანიებს დამოუკიდებლად და კომპანიებს ჰქონდათ ერთი სამუშაო სივრცე და ოფისი, რაც ადასტურებს კიდევაც სრული კონტროლის არსებობას, ე.ი. ინტრუმენტალურობის ტესტის პირველ ეტაპს.³⁸⁰ თუმცა, ფაქტობრივი გარემოებებით არ დასტურდება შემდეგი ორი ელემენტი: კორპორაცია ოლსონის მიერ არ ყოფილა გამოყენებული განზრახ ზიანის მისაყენებლად, თაღლითობის ჩასადენად, ან არაკეთილსინდისიერი ან უსამართლო ქმედების ჩასადენად მოსარჩელის მიმართ. ამასთან, სასამართლოს მაჟორიტარ წევრთა დასაბუთებაში, არ არის დადასტურებული ოლსონის ქმედებასა და ზიანის დადგომას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა.³⁸¹ ამგვარად, ინტრუმენტალურობის ტესტი არ ადასტურებს კორპორაციის გამოყენებას როგორც ინტრუმენტის, თუმცაღა ამ საქმეზე გადაწყვეტილება და სამართლებრივი საფუძვლები სხვაგვარად დასაბუთდა.

³⁷⁸ გადაწყვეტილების სრული ტექსტი ორიგინალში იხ.: <<https://law.justia.com/cases/connecticut/supreme-court/1967/154-conn-563-2.html>>, [12.07.2024].

³⁷⁹ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 90; Glynn, T. P., Beyond “Unlimiting” Shareholder Liability: Vicarious Tort Liability for Corporate Officers, Vanderbilt Law Review, Vol. 57, Issue 2, 2004, 356.

³⁸⁰ ზუბიტაშვილი, ნ., დისერტაცია თემაზე: „პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან“, 2016, 130-131.

³⁸¹ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 101-102.

პასუხისმგებლობის განსაზღვრის რამდენიმე ტესტია შემუშავებული პრაქტიკოსთა მიერ, თუმცა რეალურად ტესტის გამოენება იურისდიქციაზეა დამოკიდებული. სხვადასხვა შტატში სხვადასხვა ტესტს ანიჭებენ უპირატესობას. ზემო განხილულ იქნა ინტრუმენტალურობის ტესტი, ახლა კი ალტერ ეგოს ტესტსა და მისგან გამომდინარე სხვა მექანიზმებზე იქნება საუბარია.

ალტერ ეგოს დოქტრინის არსი არ განსხვავდება რადიკალურად ინსტრუმენტალურობისაგან, თუმცა ალტერ ეგო მოიაზრებს ორ-ეტაპიანი ტესტის დაკმაყოფილებას. რეალურად ალტერ ეგოს დოქტრინის მიხედვით პრობლემა იკვეთება კომპანიის წარმომადგენლობით ნაწილში, რასაც ხშირ შემთხვევაში, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ადგილი აქვს მშობელ-შვილობილ კომპანიათა ჯგუფში ან ინდივიდუალური პარტნიორის შემთხვევაში დახურულ კორპორაციაში, პარტნიორის, რომელიც პარალელურად ახორციელებს წარმომადგენლობით საქმიანობას. მაშასადამე, ფაქტობრივი გარემოებებით უნდა დასტურდებოდეს (1) ფუნდამენტური ერთიანობა, როდესაც შეუძლებელია კომპანიისა და მისი მაკონტროლებელის, იქნება ეს მშობელი კორპორაცია თუ ინდივიდუალური პარტნიორი, ერთმანეთისაგან განსხვავება და (2) ხსენებული კონტროლი უნდა იყოს მიმართული უკანონობის, თადლითობის, არაკეთილსინდისიერი ქმედებისაკენ.³⁸² მაგალითისათვის უპრიანი იქნება წინა თავებში განხილული საქმის, ვალკოვსკი კარლტონის წინააღმდეგ,³⁸³ ნიუ იორკის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სხვა პერსპექტივიდან დანახვა. საქმე პრობლემატურია რამდენიმე გარემოების გამო. პირველ რიგში, მოსარჩელე აპელირებდა კომპანიათა შორის განცალკევებულობის არარსებობაზე სადაც საქმიანობა ხორციელდებოდა მხოლოდ პირადი ინტერესის საფუძველზე და არა კორპორაციის ინტერესთა გათვალისწინებით, რაც შეიძლება ითქვას უცნაურია, ვინაიდან ვალკოვსკის საქმეზე სახეზეა მხოლოდ ერთი პარტნიორი, შესაბამისად მას აქვს მხოლოდ შესაძლებლობა აირჩიოს ხელმძღვანელი ორგანო, მიიღოს პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება, სადაც მხოლოდ თავად არის გადაწყვეტილების მიმღები და ლოგიკურად მისი ინტერესის გათვალისწინება მოხდება. რამდენიმე სასამართლომ

³⁸² Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 93.

³⁸³ ვალკოვსკი კარლტონი წინააღმდეგ (Walkovszky v Carlton, [1966] 223 N.E.2d b (N.Y.)

აღიარა, რომ კორპორაცია, რომელსაც ერთადერთი აქციათა მფლობელი ჰყავს არ უნდა იქნეს აღქმული როგორც განცალკევებული წარმონაქმნი.³⁸⁴ მერილენდის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, როდესაც კორპორაციის ყველა აქცია/წილი ერთადერთი პარტნიორის საკუთრებაში, ეს პარტნიორი თავად ხდება მესაკუთრე, ვინაიდან მას შეუძლია განკარგოს როგორც აქციები, ასევე სრულიად კორპორაცია, აქედან გამომდინარე თავად ხდება კორპორაცია.³⁸⁵ შესაბამისად, თავად კორპორაციას არ გააჩნია სხვა ინტერესი გარდა მისი ერთადერთი, დომინანტი პარტნიორისა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მოსარჩელემ დაადასტუროს, რომ კომპანია გამოყენებულ იქნა როგორც „dummy“, ან თოჯინა მისი პარტნიორის მიერ, ვინაიდან კორპორაციას ერთადერთი დომინანტი პარტნიორით, არ გააჩნია კორპორაციული ინტერესი, რომელიც განსხვავებული იქნება მისი მფლობელების ინტერესისაგან.³⁸⁶ „არ არსებობს კორპორაცია, რომელსაც აქვს თავისი „გონება“, ისინი არიან ხელოვნური, ფიქციური წარმონაქმნები. კორპორაციებს აკონტროლებენ ადამიანები“.³⁸⁷ მაგრამ თუ გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგომა მოხდება მხოლოდ და ხოლოდ კონტროლის არსებობით, ეს ნიშნავს რომ სასამართლომ უნდა გადადოს გვერდზე შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ყოველ მეორე საქმეზე, ვინაიდან კორპორაციები, სადაც მსგავსი პრობლემები იჩენს თავს - კონტროლი, დომინანცია, აქტივთა აღრევა, განცალკევებულობის მოშლა, ძირითად დახურული კორპორაციები არიან, სადაც როგორც წესი ერთადერთი პარტნიორი ან პარტნიორთა მცირე ჯგუფი მართავს და აკონტროლებს კორპორაციას.³⁸⁸ ამგვარად, შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის და კორპორაციული ფორმის დასაცავად, სასამართლოები მოითხოვენ კონტროლის გარდა დადასტურდეს რაიმე უკანონობის, თაღლითობის და არაკეთილსინდისიერი ქმედების არსებობა, რაც გამოწვეული იყო უშალოდ კონტროლის განხორციელების შედეგად.

³⁸⁴ საქმე სვიფტი სმიტი, დიკონი და კორპორაციის წინააღმდეგ (Swift v. Smith, Dicon and Co., 65 Md. 428, 434, [1886]; The Bellona Company's Case, Md. 442 [1831].

³⁸⁵ Wormser, I.M., Disregard of the Corporate Fiction and Allied Corporation Problems, Baker, Voorhis and Company, New York, 1929, 78-79.

³⁸⁶ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 88-89.

³⁸⁷ Gevurtz, F.A., Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, Pacific McGeorge School of Law, Business Organizations Law Review, 1997, 864.

³⁸⁸ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 93.

საინტერესოა უშუალოდ წარმომადგენლობით, ე.ი. „agency“ თეორიიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლების განხილვაც, ვინაიდან წარმომადგენლობის ნაწილი ალტერ-ეგოს დოქტრინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სასამართლოს მხრიდან წარმომადგენლობითი გადაცდომების განხილვაც მოხდა. კერძოდ, როდესაც პირი მის კონტროლს კომპანიაზე იყენებს პირადი ინტერესისთვის და არა კორპორაციის, იგი პასუხისმგებელი იქნება კორპორაციის მიერ განხორციელებული ქმედებებისთვის „*respondeat superior*“-ის³⁸⁹ პრინციპის მიხედვით, მაშინაც კი, თუ ის ფიზიკური პირია. ამ შემთხვევაში, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს, რომ კომპანია გამოიყენება მხოლოდ იმ ინდივიდების ინტერესებისთვის ვინც აკონტროლებენ მას, კერძოდ, არ იცავენ ფორმალობებს და კომპანიის საქმიანობას არგებენ მხოლოდ საკუთარ საჭიროებებს. „agency“-ი თეორია არის ფიდუციური ვალდებულება, რომელიც მიიღება ერთი პირისაგან მეორესათვის თანხმობის მანიფესტაციით, გაცხადებით, რომ ეს უკანასკნელი იმოქმედებს მისი სახელით და მის კონტროლ ქვეშ. მიუხადავად წარმომადგენლობითი ურთიერთობის ხასიათისა, აგენტი და პრინციპალი უნდა ინარჩუნებდნენ განცალკევებულობას. წარმომადგენლობის თეორია არ აერთიანებს მათ ერთ პირად, მათ, იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, განცალკევებული პიროვნულობა აქვთ და ეს ასე უნდა შენარჩუნდეს. სხვა შემთხვევაში შეცდომაში შემყვანი იქნება ურთიერთობა. ფაქტი, რომ ერთი პირი იმოქმედებს მეორეს სახელით ან წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ ურთიერთობაში არსებობს საზღვრები, ლიმიტები, რომელიც დაცულ იქნეს წარმომადგენლის მხრიდან და რომელზე პასუხისმგებლობაც ეკისრება წარმომადგენლის.³⁹⁰

³⁸⁹ დოქტრინა, რომელიც ძირითადად გამოიყენება „დელიქტის დროს გულისხმობს დამსაქმებლის ან ხელმძღვანელის სამართლებრივ პასუხისმგებლობას დასაქმებულის ან წარმომადგენლის (აგენტის) მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებაზე. ასეთი პასუხისმგებლობის წარმოშობა შესაძლოა მოხდეს მხოლოდ მაშინ თუ ქმედება განხორციელებულია დამსაქმებელ-დასაქმებულს ან ხელმძღვანელ-აგენტს შორის არსებულ ურთიერთობათა ფარგლებში. როგორც წესი ასეთ დროს სასამართლო მიყენებული ზიანისთვის პირდაპირ და ერთობლივ პასუხისმგებლობაზე მსჯელობს“. <https://www.law.cornell.edu/wex/respondeat_superior>, [12.07.2024].

³⁹⁰ The American Law Institute, Restatement of the Law Third, Restatement of the Law Agency, volume 1, American Law Institute Publishers, 2006, 20.

თუმცა „agency“-ი თეორია, როგორც ასეთი, არ არის გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. აქ საქმე ეხება ე.წ. მეორად ვალდებულებას დელიქტის დროს, იგივე „vicarious liability“³⁹¹, რომლის გავრცელება ხდება ნებისმიერ პირზე, რომელიც ამათუ იმ გარიგების, სამართალ-ურთიერთობის ფარგლებში ახორციელებს წარმომადგენლობას. მაშინ რატომ არ იყენებს სასამართლო პასუხისმგებლობის დაკისრების ამ გზას, გამჭოლი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების შესაძლებლობას?! მარტივი პასუხი იქნება შემდეგი: კანონი საშუალებას აძლევს პირს დააფუძნოს კორპორაცია შეზღუდული პასუხისმგებლობით და შესაბამისად ისარგებლოს ამ უპირატესობით მინიმალური კაპიტალიზაციისა და ასევე მინიმალური პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობებში. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში კორპორაციის აქტივი არ არის საკმარისი დელიქტით გამოწვეული ვალდებულების საპასუხოდ, რაც მოითხოვს დამატებითი აქტივების, პირადი აქტივების წინ წამოწევას მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. თუმცა, რა თქმა უნდა პარტნიორთა ან მშობელ კორპორაციათა პირადი აქტივის საფრთხის ქვეშ დაყენება არ არის სასამართლოს თვითმიზანი, აქ საუბარია სამართლიან შედეგზე, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მართლმსაჯულების მიერ შესაბამისი, საკმარისი მტკიცებულებების და სამართლებრივად გამართული საფუძვლების პირობებში.³⁹²

ამერიკის ბევრი შტატი ალტერ-ეგოს ორეტაპიანი ტესტის პირველ ნაბიჯზე თითქმის თანაბრად თანხმდება. რაც შეეხება მეორე ეტაპს აქ ტერმინოლოგიური სხვაობა ცალსახაა. მაგალითად, კალიფორნიისა და ილინოისის შტატში საქმის ფაქტობრივი გარემოებებით უნდა დასტურდებოდეს: (1) რომ კორპორაცია მაკონტროლებელი პარტნიორი ალტერ-ეგოა და (2) შეზღუდული პასუხისმგებლობის შენარჩუნება წაახალისებს თაღლითობას ან უსამართლობას. ამავე მიდგომას ემხრობა მინესოტას შტატი. მათგან განსახვავებით, ვირჯინიის სასამართლოები, გარდა კორპორაციის, როგორც ალტერ-ეგოს დადგენისა, მეორე ეტაპზე ითხოვენ კორპორაციის როგორც ხელსაწყოს ან მოჩვენებითობის დადასტურებას, რომელიც მიმართულია შენიღბოს არასწორი ქმედება, დანაშაული ან თაღლითობა.

³⁹¹ იხილეთ წინამდებარე ნაშრომის 3.4 თავი.

³⁹² საქმე გრინი ფრიმანის წინააღმდეგ (Green v Freeman, [2013] 749 S.E. 2d 262, 271 (N.Y.)).

რაც შეეხება დელავერის შტატს, არსებობს პრეზემფცია, რომ კორპორაცია არის განცალკევებული პიროვნულობის მქონე წარმონაქმნი, რომლის გადაღახვა და იგნორირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ სახეზეა (1) მშობელი კომპანიის სრული კონტროლი შვილობილზე, იმ დოზით რომ შვილობილ კორპორაციას ფაქტიურად დაკარგული აქვს პიროვნულობა და (2) კორპორაციული სტრუქტურა იწვევს თაღლითობას ან უსამართლობას. თუმცა იგივე შემთხვევა ფედერალური სამართლის მიხედვით დასტურება მეორე ეტაპზე მცირედი სხვაობით. აქ დამატებით უნდა იქნეს დადასტურებული, რომ კონტროლის შედეგად განხორციელებული ქმედება იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, ან უკანონობის გამართლებას ან თაღლითობის ხელშეწყობას.³⁹³

მოკლედ, ალტერ-ეგოსა და ინსტრუმენტალურობის ტესტი მრავალი მსგავსებით გამოირჩევა, მათ შორის განსხვავება შეიძლება ითქვას მხოლოდ საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა, გემოვნება, თუ რომელი დოქტრინის იმპლემენტაცია სურს პრაქტიკაში და იურისდიქციაა, ე.ი. თუ რომელი შტატის სასამართლოს იურისდიქციას განეკუთვნება კონკრეტული დავა, შესაბამისად განსხვავდება მიდგომებიც³⁹⁴. თუმცა შედეგობრივი თვალსაზრით გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგომა გარდაუვალია, თუ რა თქმა უნდა შესაბამისი ტესტის კომპონენტები დაკმაყოფილებულ იქნება მოსარჩელის მიერ ფაქტობრივ გარემოებათა და მკიცებულებათა ერთობლიობით, ვინაიდან სწორედ ამ უკანსკნელს აკისრია მტკიცების ტვირთი.³⁹⁵

3.6. შუალედური დასკვნა

როგორც გამოჩნდა, ბოლო დროს განვითარებული სასამართლო პრაქტიკა გამჭოლი პასუხისმგებლობის დავიწროვებას, მის კიდევ უფრო იშიათად გამოყენებას ცდილობს. ამის არაჩვეულებრივი მაგალითია იგივე Trihotel-სა და GAMMA-ს საქმეზე გერმანიის ფედერაციული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთა ანლიზით დგინდება, რომ მხოლოდ ერთ-ერთი საფუძველი არ არის საკმარისი გამჭოლი პასუხისმგებლობის

³⁹³ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 98.

³⁹⁴ Huss, R. J., Revamping Veil Piercing for All Limited Liability Entities: Forcing the Common Law Doctrine into the Statutory Age, Heinonline, 2002, 110. <<https://ssrn.com/abstract=1014432>>, [12.07.2024].

³⁹⁵ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 98-99.

გამოყენებისათვის. საუბარია ქვეკაპიტალიზაციაზე, აქტივთა აღრევაზე, ფორმალობათა დაუცველობასა და სხვა საფუძვლებზე. მათი მკიტიებიც, რომელიც აქვ უნდა აღინიშნოს რომ დასათანხმებელია, აუცილებელია „არსებობის გამანადგურებელი ჩარევის“ ცალსახა ფაქტი, რომელიც ვერ მიიღწევა მხოლოდ არადეკვატური კაპიტალიზაციით, მაგალითისათვის, ვინაიდან ეს შესაძლოა არ იყოს დაკავშირებული კანონისმიერ მინიმალურ საწესდებო კაპიტალთან, ხოლო თ მინიმალური კაპიტალ სახეზეა, მაგრამ ის არ არის საკმარისი ვადამოსული ვალდებულებების საპასუხოდ, ასეთ შემთხვევაში პარტნიორთა პასუხისმგებლობა კომპანიის წინაშე წარმოიშობა და არა კრედიტორთა, მესამე პირთა მიმართ.

მსგავსი მიდგომაა გაზიარებული დელავერის შტატის სასამართლო პრაქტიკაშიც, იმ განსხვავებით, რომ აქ საფუძველთა სიას ამდიდრებს ალტერ ეგოსა და ინსტრუმენტალურობის თეორიები, რომელთა გამსოაყენებლად რამდენიმე ეტაპიანი ტესტის წარმატებით გავლაა საჭირო, რაც ისევ და ისევ, რადმენიმე ფაქტობრივი გარემოების ერთობლივად არსებობას გულისხმობს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისათვის.

ნაციონალურ დონეზე გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ხშირი შემთხვევები სამწუხაროდ არ ფიქსირდება, რაც საშუალებას მისცემდა იურიდიულ საზოგადოებას შეეფასებინა საფუძველთა სამართლიანობა. თუმცა კი აღნიშნული მეცნიერებისა და დოქტრინის თეორიული კვლევისათვის არ არის ხელის შემწყობი, თუმცა უნდა ითქვას ქართული სასამართლო სისტემის მიდგომა, მისი თავშეკავებულობა ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრების მიმართ, რასაც სავარაუდოდ ლაითმოტივად გასდევს განვითარებული ქვეყნების, ამერიკისა თუ გერმანიის და სხვა სასამართლო პრაქტიკა. თუმცა შიში არ უნდა გახდეს სარისკო მაგრამ სამართლიანი შედეგისათვის გადაწყვეტილებათა მიღების დამაბრკოლებელი გარემოება, ვინაიდან საკანონმდებლო ბაზის განვითარების დახვეწისა და სწრაფად ცვალებად რეალობასთან ადაპტირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას, სწორედ სასამართლო პრეცედენტი წარმოადგენს.

V. ხელმძღვანელი ორგანოს პირადი პასუხისმგებლობა

4. ხელმძღვანელ პირთა პირადი პასუხისმგებლობა კორპორაციული საფარველის გაჭოლვის/ვუალის ახდის კონტექსტში³⁹⁶

წინამდებარე თავის მიზნებისთვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია კანონით გათვალისწინებული იმ სამართლებრივი საფუძვლების მოკლე მიმოხილვა, რომელიც ხელმძღვანელის პირის პასუხისმგებლობის დაკისრებას განაპირობებს. ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანაწერი ზრუნვის მოვალეობაა, რომელიც თავის თავში მოიცავს მართლზომიერ ქმედებას, განხორციელებული კეთილსინდისიერების - გულისმხიერების, ერთგულების და გულმოდგინეობის ვალდებულების დაცვით.

ერთგულების მოვალეობის კუთხით, ხელმძღვანელი პირის კანონით განსაზღვრულ მოვალეობებში ასევე შესაძლებელია მოიზრებოდეს ინტერესთა კონფლიქტის, კონკურენციის და საქმიანი შესაძლებლობების მითვისების აკრძალვა. თითოეული მათგანი განხილულია ქვემოთ.

4.1.1. კეთილსინდისიერების მოვალეობა

პირადი პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებულ საფუძვლად კეთილსინდისიერების მოვალეობის დარღვევა განიხილება. ზოგადად, ყველა სამართალურთიერთობა კეთილსინდისიერების პრინციპს ეფუძნება. „ის თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია“³⁹⁷. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისა და მთლიანად კერძო სამართლისთვის. ის კერძო სამართლის ზოგადი აქსიომაა.³⁹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი განმარტავს, რომ ნებისმიერი ურთიერთობა, სპეციალური ნორმის არარსებობის შემთხვევაშიც კი უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების

³⁹⁶ მაღრაძე, გ., მეწარმე სუბიექტის დირექტორის/ხელმძღვანელისა და პარტნიორის/აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხისათვის, თსუ სამართლის ჟურნალი N1, რედ. . ბურდული, 2017, 144-166.

³⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის მნიშვნელოვანი განმარტებები საქმეზე №ას-1338-1376-2014, 1; <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n81-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>>, [12.07.2024].

³⁹⁸ Antunes, J.E., Liability of Corporate Groups, Autonomy and Control in Parent-Subsidiary Relationships in US, German and EU Law an International and Comparative Perspective, Kluwer Law and Taxation Publishers, Deventer, 1994, 219.

საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად.³⁹⁹ ზოგადად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი⁴⁰⁰. კეთილსინდისიერების პრინციპს ხაზს უსვამს, როგორც უმთავრესს პრინციპს სამართალ-ურთიერთობებში სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილიც, რომლის თანახმად ყველა ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად: „...ხელშეკრულების მხარეებმა ერთმანეთს კეთილსინდისიერად მისცენ ინფორმაცია“⁴⁰¹, ექსპედიტორმა კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით უნდა გააგზავნოს ტვირთი⁴⁰², შემნახველი ვალდებულია, ისეთივე კეთილსინდისიერებით შეინახოს ნივთი⁴⁰³, სასაწყობო შემნახველმა საქონლის მიბარების ვალდებულებები უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერი მეურნის გულისხმიერებით⁴⁰⁴, ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება (შემოსავლების განაწილების წესი)⁴⁰⁵, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება კეთილსინდისიერად⁴⁰⁶, კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით აქტიურად განახორციელოს საქმიანობა⁴⁰⁷, ფრენშაიზის მიმღების ვალდებულებები და სხვა მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას პირდაპირ ადგენს. „ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება“.⁴⁰⁸ თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია, მოვიძიოთ, ჩამოვაყალიბოთ სამართალურთიერთობების მამოძრავებელი – „კეთილსინდისიერების“ ცნების მნიშვნელობა: რა არის კეთილსინდისიერება?!

³⁹⁹ სსკ, მუხლი 5, ნაწილი 2.

⁴⁰⁰ სსკ, მუხლი 8, ნაწილი 3.

⁴⁰¹ სსკ, მუხლი 610.

⁴⁰² სსკ, მუხლი 731.

⁴⁰³ სსკ, მუხლი 765.

⁴⁰⁴ სსკ, მუხლი 781.

⁴⁰⁵ სსკ, მუხლი 935.

⁴⁰⁶ სსკ, მუხლი 969.

⁴⁰⁷ სსკ, მუხლი 609.

⁴⁰⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის მნიშვნელოვანი განმარტებები საქმეზე №ას-1338-1376-2014, 23; <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n81-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>>, [12.07.2024].

ალბათ დასათანხმებელია მოსაზრება, რომ კეთილსინდისიერება, რაღაც გაგებით, აბსტრაქტული ცნებაა. ყველას ვერ დაავალდებულებ ერთი და იმავე ხარისხითა თუ დოზით მოიქცეს კეთილსინდისიერად, ვინაიდან ყველას თავისი შეხედულება და მოსაზრება აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის კეთილსინდისიერება, როგორი ქმედება შესაძლოა იქნეს განხილული, როგორც კეთილსინდისიერი?! შესაბამისად, მისი აბსტრაქტული ბუნებაც იკვეთება მის დაუზუსტებელ არსში. თუმცა სამართალი არ და ვერ ეგუება გაუგებარ და დისპოზიციურ ჩანაწერებს კანონში.⁴⁰⁹ ამიტომ უპრიანი იქნება, თუ მოვძებნით რაიმე გზას, ერთიანი, ყველასათვის მისაღები, მინიმალური სტანდარტის მქონე განსაზღვრებას განსახილველი ტერმინისას.

ზოგადად, კეთილსინდისიერების პრინციპი, იგივე „bona fides“, რომელიც სათავეს რომის სამართლიდან იღებს,⁴¹⁰ განსაკუთრებული ადგილი ეკავა ზოგადად სამართლებრივ აზროვნებაში და კერძო სამართალში⁴¹¹ და „გულისმზობდა მხარეების მხრიდან საკუთარი პირობებისა და მიცემული სიტყვის განუხრელ დაცვას“.⁴¹²

თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში კეთილსინდისიერების პრინციპი განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან და იგი აღნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას.⁴¹³ კეთილსინდისიერება თავის თავში ეთიკურ ქმედებას გულისხმობს, ეთიკა კი – ეს არის ღირებულებებისა და პრინციპების ერთობლიობა და ამ ღირებულებებითა და პრინციპებით სარგებლობა,⁴¹⁴ რაც ნიშნავს ამ ღირებულებათა და პრინციპთა პრაქტიკულ გამოყენებასა და ფუნქციონირებას მოვალეობათა შესრულებისას⁴¹⁵. ეს

⁴⁰⁹ მოსამართლე კარდოზო (justice Cardozo), „Metaphors in law are to be narrowly watched, for starting as devices to liberate thought, they end often by enslaving it.“. იხ. ბერკი სარკინიგზო კომპანია მესამე ავენიუს წინააღმდეგ, (Berkey v. Third Avenue Railway Co. [1926] 44 N.Y. 84, 155 N.E. 58).

⁴¹⁰ Zimmermann, H., Roman Law, Contemporary Law, European Law: The Civilian Tradition Today, Oxford University Press, 2001, 176.

⁴¹¹ Mousourakis, G., Fundamentals of Roman Private Law, Springer, 2012, 34.

⁴¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის მნიშვნელოვანი განმარტებები საქმეზე №ას-1338-1376-2014; <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n81-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>>, [12.07.2024].

⁴¹³ პერიფრაზი საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის მნიშვნელოვანი განმარტებები საქმეზე №ას-1338-1376-2014, 23; <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n81-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>>, [12.07.2024].

⁴¹⁴ Chapman R.A., Ethics in Public Service for the New Millennium, in: Chapman R.A. (ed.), Ethics in Public Service for the New Millennium, Ashgate Pub Ltd, Burlington, 2000, 217, 218.

⁴¹⁵ იქვე, 218.

ღირებულებები და პრინციპები შეიძლება იყოს ტრადიციები, ჩვეულებები, მორალური სტანდარტები⁴¹⁶, რომლებიც ღირებულია საზოგადოებისათვის. მაგალითად, რომაულ სამართალში კეთილსინდისიერების ერთ-ერთი განმარტება გულისმობდა „ქცევა, რომელიც შესაფერისია ღირსეული რომაელისათვის“⁴¹⁷. პირი, რომელიც გაათავისუფლებდა სხვის მონას და ამით ხელს შეუწყობდა გაქცევას, ის ზიანს აყენებდა მესაკუთრეს, თუმცა მისი მოქმედება კეთილსინდისიერად განიხილებოდა თუ მან ეს თანაგრძნობის საფუძველზე ჩაიდინა.⁴¹⁸ მაგალითად კეთილსინდისიერების პრინციპი შესაძლოა, გაგებულ იქნეს როგორც პროფესიონალიზმის სტანდარტიც და მიზანი ამ პრინციპისა სწორედ პროფესიონალიზმის წახალისება და ამის ხარჯზე სამართლიანი, ხარისხიანი ბიზნესგარემოს შექმნა. „ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს“⁴¹⁹, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია „კეთილსინდისიერების“, როგორც მოვალეობის განსაზღვრების ჩამოყალიბებაზე მსჯელობა.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლი ზრუნვის მოვალეობას ეხება, რომელიც თავისთავად დაკავშირებულია კეთილსინდისიერების მოვალეობასთან, რასაც კანონი დეფინირებას უკეთებს და მიუთითებს, რომ ხელმძღვანელი პირები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს უნდა ასრულებდნენ „მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება სამეწარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია“. მაშასადამე, კეთილსინდისიერების ეს დეფინიცია თავის თავში მოიაზრებს როგორც ზრუნვის („...ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი

⁴¹⁶ Zimmermann, R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996, 668-669.

⁴¹⁷ Zimmermann, R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996, 669.

⁴¹⁸ იქვე, 669.

⁴¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის მნიშვნელოვანი განმარტებები საქმეზე №ას-1338-1376-2014, 1; <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n81-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>>, [12.07.2024].

საღად მოაზროვნე პირი,...“), ასევე ერთგულებისა და გულმოდგინეობის მოვალეობას („...მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.“). დელავერის საკორპორაციო სამართალი განამტკიცებს პრეზუმფციას კეთილსინდისიერების თაობაზე და განმარტავს, რომ ამ მოვალეობის დარღვევა საკამათო ხდება მაშინ, როცა დირექტორის ქმედება არ გამომდინარეობს კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან.⁴²⁰

საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში⁴²¹, რომელიც კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობას ეხება განმარტავს, რომ „კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას“⁴²². მაშასადამე, კეთილსინდისიერების არსი გულისხმობს არა მხოლოდ კანონიდან, ხელშეკრულებიდან თუ სხვა ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, არამედ კეთილსინდისიერად შესრულებას, ანუ მეორე მხარის პატივსადები ინტერესების გათვალისწინებითა და დაცვით^{423, 424}.

4.1.2. გულმოდგინეობის მოვალეობა

გულმოდგინეობის ტერმინის დეფინიციას ქართული სამეწარმეო სამართალი არ იცნობს, თუმცა არც მის გამოყენებას ერიდება კანონის ტექსტში. შესაბამისად, მისი განმარტებისათვის განვითარებული ქვეყნების მიდგომის მოშველიება ურიგო არ უნდა იყოს. მაგალითად, ამერიკის საკორპორაციო სამართალი, რომელიც ამ ტერმინის დეფინიციას ორ აქტში განმარტავს⁴²⁵, იძლევა გულმოდგინეობის მოვალეობის ყველაზე სრულყოფილ განმარტებას. კერძოდ, პირველ შემთხვევაში კანონი

⁴²⁰ Tsertsvadze L., Duties of Directors, According US (State Delaware) Corporate Law and Corporate Law of Georgia (Comparative Analysis), 2011, 31-32; მაისურაძე დ., სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სამართლის მაგალითზე). წიგნში: ბურდული ი. (რედ.), საკორპორაციო სამართლის კრებული, თბ., 2011, 116.

⁴²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის მნიშვნელოვანი განმარტებები საქმეზე №ას-1338-1376-2014, 1, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n81-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>>, [12.07.2024].

⁴²² იქვე.

⁴²³ Zimmermann, R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford University Press, 1996, 668.

⁴²⁴ იქვე, 2.

⁴²⁵ ამერიკის სამართლის ინსტიტუტის კორპორაციული მართვის პრინციპებსა და სამეწარმეო კორპორაციების შესახებ მოდელურ კანონში (Modern Business Corporation Act - M.B.C.A.).

დირექტორსა და მენეჯერს აკისრებს მოვალეობას, მათზე დაკისრებული ფუნქციები შეასრულონ კეთილსინდისიერად (in good faith), იმგვარად, რომ მას გონივრულად სწამდეს (reasonably believes), მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისათვის (in the best interests of the corporation) და ისეთი გულმოდგინეობით, როგორსაც გონივრულობის ფარგლებში მოელიან ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი წინდახედული პირისგან (ordinary prudent person).⁴²⁶ გულმოდგინეობის მოვალეობის მეორე დეფინიციის მიხედვით, ხელმძღვანელი ვალდებულია, მოვალეობის შესრულებისას იმოქმედოს კეთილსინდისიერად და იმგვარად, რომ დირექტორს გონივრულად სწამდეს, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. მაშასადამე, ძირითადი ამოსავალი წერტილი აქაც ისევ და ისევ არის კეთილსინდისიერება, ამასთან, ისევე როგორც ქართულ საკორპორაციო სამართალში, ტერმინებს შორის არ არსებობს ცალსახა განსხვავება⁴²⁷. ზემოთ ხსენებულ ნორმებში: დირექტორის ვალდებულება მოიცავს როგორც კეთილსინდისიერების, ასევე გულმოდგინეობის მოვალეობას, მაშინ, როდესაც ქართული სამართლის შემთხვევაში თავად კეთილსინდისიერებაში მოიაზრება გულმოდგინეობა,⁴²⁸ ვინაიდან შეუძლებელია, არსებობდეს პირი, რომელიც მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს გულმოდგინედ და იყოს არაკეთილსინდისიერი. გულმოდგინე ხელმძღვანელის ქმედება უნდა შეესაბამებოდეს საღად მოაზროვნე პირის მოქმედებებს, რომელიც იმავე პირობებში მიიღებდა იმავე გადაწყვეტილებას. აქ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირი უნდა მოქმედებდეს საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე და, მაშასადამე, მას ერთგული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საზოგადოების მიმართ. კეთილსინდისიერება, თავისთავად ორივე მათგანს მოიცავს.

გერმანული საკორპორაციო სამართლის თანახმად, ბორდის წევრებმა ხელმძღვანელობის განხორციელებისას უნდა გამოიყენონ წესიერი და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულმოდგინეობა; ხოლო მეორე განმარტებით,

⁴²⁶ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 202.

⁴²⁷ იგულისხმება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁴²⁸ იქვე, მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

წესიერი ბიზნესმენის გულმოდგინეობა. მაშასადამე, გულმოდგინეობის მოვალეობა გულისხმობს მოვალეობის კეთილსინდისიერად განხორციელებას.

ამრიგად, გულმოდგინეობის დასადგენად შესაძლოა, ისევ და ისევ კეთილსინდისიერების პრინციპები გამოვიყენოთ, ვინაიდან, თუ პირი კეთილსინდისიერად უძღვება საწარმოს და ასევე ეკიდება მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მაშინ ის, ამავდროულად, მოქმედებს გულმოდგინეობის მოვალეობათა დაცვითაც.⁴²⁹

4.1.3. დუმილის მოვალეობა - საქმიანი შესაძლებლობების მითვისების აკრძალვა

დუმილის მოვალეობა – ე.ი. პირადი სარგებლის მიღების მიზნით საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. ამ დანაწესს შეიცავს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ხელმძღვანელის მიმართ⁴³⁰, რაც შემთხვევითი არ არის, ვინაიდან საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის ახალი კომერციული წინადადებებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია შესაძლოა, ხელმისაწვდომი გახდეს, პირველ რიგში, იმ პირისათვის, რომელიც რეალურად ახორციელებს მენეჯერულ საქმიანობას, ამიტომ ხელმძღვანელ პირს აქვს შესაძლებლობა იმოქმედოს დაუყოვნებლივ, დროის დაკარგვის გარეშე. ასეთი ინფორმაცია ინფორმაცია სანდო (მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი) პირების ხელში ხვდება⁴³¹ და მათ მიერ ამ ნდობის ბოროტად გამოყენება უკვე არაკეთილსინდისიერ მოქმედებად განიხილება, მაშინ, როდესაც ასეთი ინფორმაციის გაცემა ზიანს აყენებს საწარმოს ინტერესებს, მატერიალურ თუ არამატერიალურ ქონებას. მაშასადამე, წინამდებარე ნორმის შინაარსი, პირველ რიგში, უკავშირდება ინფორმაციის უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვას. საყურადღებოა ისიც, რომ ინფორმაციის გაუცემლობის ვალდებულება იმ კორპორაციული მოვალეობათაგან ერთ-ერთია, რომელიც, როგორც უკვე განვიხილეთ, ერთგულებისა და

⁴²⁹ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 202.

⁴³⁰ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 54.

⁴³¹ ნოლაიდელი, ვ., ხელმძღვანელ პირთა კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის შესაბამისად, უპირატესად ზრუნვის მოვალეობის კონტექსტში), საკორპორაციო სამართლის კრებული IV, მერიდიანი, 2023, 224.

გულმოდგინეობის მოვალეობასაც მოიცავს ე.ი. კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის მოვალეობა და მათ რიგებში უნდა მოვიაზროთ, რადგან თავისი შინაარსით ერთგულების მოვალეობის ერთ-ერთი კომპონენტია საქმიანი შესაძლებლობების მითვისების აკრძალვაც. ისევე როგორც, კონკურენციის აკრძალვა, რომელსაც მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 53-3 და 54-3 მუხლები განსაზღვრავენ.

4.1.4. კონკურენციის აკრძალვა

ეს კონკრეტული დანაწესი, როგორც უკვე აღინიშნა, შინაარსობრივად უკავშირდება და ავსებს ერთგულების მოვალეობის ფართო ცნებას, რაც გულისხმობს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელების აკრძალვას, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობის მიღებას, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.⁴³² წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი საქმიანობის განმახორციელებელ პირს აკისრებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობას და, მაშასადამე, პერსონალურ პასუხისმგებლობას. ასეთი მოთხოვნის დაყენების უფლება აქვს საზოგადოებას, ხოლო თუ სახეზე ერთადერთი ხელმძღვანელია, მაშინ პარტნიორებს კანონით გათვალისწინებული წესით. გამონაკლის შემთხვევაში, საერთო კრების თანხმობის არსებობისას, ხელმძღვანელს შეუძლია ნორმით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება, თუმცა აქ შესაძლოა გამოიკვეთოს პრობლემური სცენარი, როდესაც თანხმობის ასრებობის პირობებში ზიანი მიადგება კომპანიას ხელმძღვანელი პირის ქმედებიდან გამომდინარე, რაც კეთილსინდისიერების მოვალეობის დაღვევას შესაძლოა უკავშირდებოდეს. პრაქტიკაში მსგავსი ურთიერთობები ხელშეკრულებით დეტალურად რეგულირდება, შესაბამისად სამართლებრივი დავის გადაჭრის საკითხი გამარტივებულია. თუმცა, სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისფლების წესის გავრცელება ვერ მოხდება, ვინაიდან ის როგორც ფიდუციარი არღვევს პირველ რიგში კანონით დაკისრებულ მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

⁴³² „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 53.

4.1.5. ინტერესთა კონფლიქტი

საქართველოს კანონის ძველი რედაქცია პირდაპირ ითვალისწინებდა ინტერესთა კონფლიქტის ამკრძალავ ნორმას და მის განმარტებას აკეთებდა კანონის ზოგადი ნაწილის ფარგლებში. ახალ რედაქციაში კანონმდებელმა ინტერესთა კონფლიქტი სპეციალური ნორმის სახით სააქციო საზოგადოების ნაწილში მოათავსა, მიუხედავად იმისა რომ ახალი კანონის პროექტიც ამ ნორმას ზოგად ნაწილში განსაზღვრავდა. ნორმის თანახმად⁴³³, ხელმძღვანელი პირი ვალდებულია შეატყობინოს საერთო კრებას ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელ ორგანოს⁴³⁴ იმ დასაბუთებული გარიგების შესახებ, რომელშიც დაინტერესებული მხარე შესაძლოა თავად იყოს. დაინტერესებული პირის გულისმხობს გარიგებასთან დაკავშირებულ პირს, როგორც გარიგების მხარეს ან სხვა. ეს უკანასკნელი კი ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონშია დეფინირებული ტერმინთა განმარტების ნაწილში.⁴³⁵ მოკლედ, ხელმძღვანელი პირის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი ინტერესთა კონფლიქტის დათქმის დარღვევის შემთხვევაში მაშინ იქნება სახეზე, როდესაც ინფორმაციის დამალვა ხდება ხელმძღვანელი პირის მხრიდან, სხვა შემთხვევაში, თუ მას აქვს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანხმობა გარიგების დადებაზე, ხელმძღვანელი პირი თავისუფლდება შემდგომში ამავე გარიგებიდან გამოწვეული ზიანის ანაზრაურობისაგან.⁴³⁶

4.2. მეორადი დელიქტური პასუხისმგებლობა, იგივე „Vicarious Liability“ (Strict Liability)

4.2.1. არსი და მოკლე ისტორიული მიმოხილვა

კაპიტალური ტიპის მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში პირადი პასუხისმგებლობის კიდევ ერთ ფორმას გამოყოფენ - Vicarious Liability, რომელსაც სხვაგვარად მკაცრ პასუხისმგებლობასაც უწოდებენ (შემდგომში, მეორადი დელიქტური პასუხისმგებლობა - მდპ) ან როგორც ამ დოქტრინას კერძო სამართლის

⁴³³ იქვე, მუხლი 208.

⁴³⁴ ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თუ მმართველობის რომელი სისტემაა არჩეული საზოგადოებაში - მონისტური თუ დუალისტური.

⁴³⁵ საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების შესახებ, მუხლი 2.

⁴³⁶ ნოლაიდელი, ვ., ხელმძღვანელ პირთა კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის შესაბამისად, უპირატესად ზრუნვის მოვალეობის კონტექსტში), საკორპორაციო სამართლის კრებული IV, მერიდიანი, 2023, 227-228.

ქვეყნებში მოიხსენებენ, პასუხისმგებლობა სხვისი დელიქტისთვის (liability for torts of other).⁴³⁷ მისი შინაარსით პასუხისმგებლობის ეს ფორმა დაკავშირებულია ზიანის მიყენების ფაქტიდან გამომდინარე ზარალის ანაზღაურებასთან, თუმცა ეს არ უნდა იქნეს განხილული, როგორც კლასიკური დელიქტი, ვინაიდან აქ პასუხისმგებლობის მატარებელი პირი არ არის უშუალოდ დელიქტის გამომწვევი პირი.⁴³⁸ მდპ წარმოადგენს ვალდებულებათა წესს, რომელიც პასუხისმგებლობას აკისრებს პირს სხვა პირის მიერ ჩადენილი დელიქტისთვის.⁴³⁹ კლასიკური გაგებით, მდპ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს უკავშირდება და მკაცრ პასუხისმგებლობას თხოვს დამსაქმებელს მის დაქვემდებარებაში მყოფი პირის გადაცდომისათვის,⁴⁴⁰ არა დამსაქმებლის მიერ ჩადენილი დელიქტისთვის, არამედ მათ შორის არსებული ურთიერთობის შინაარსის საფუძველზე. მარტივად, ეს არის პასუხისმგებლობა ხელმძღვანელისა მის დაქვემდებარებაში არსებული პირის მიერ ზიანის გამოწვევის ფაქტზე. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „დამნაშავე“ ე.ი. პირი რომელსაც მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში, თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან. ეს ასე არ არის და სწორედ ამიტომ პასუხისმგებლობის ეს ფორმა მეორადი დელიქტური პასუხისმგებლობის სახელით არის ცნობილი, რაც იმის მაუწყებელია რომ მდპ წრმოადგენს დამატებით საშუალებას დაზარალებულისათვის დაიკმაყოფილოს დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნა. დელიქტურ კრედიტორს ეძლევა არჩევანის უფლება, მიმართოს მოთხოვნა ორი პირის მიმართ, რომელთა პასუხისმგებლობა ასეთ შემთხვევაში არის საერთო და პირდაპირი.⁴⁴¹

მდპ-ს დოქტრინა უპირატესობას ანიჭებს დაზარალებულს, ამასთან რალის მქონე პირი ვალდებულია პირადად აგოს პასუხი თუ კრედიტორის მიერ დასახელებული იქნება მოპასუხედ. იმ შემთხვევაში თუ კრედიტორის მოთხოვნის ადრესატი გახდება დამსაქმებელი, უდანაშაულო პირი, მდპ-ს ფარგლებში იგი ვალდებულია პასუხი აგოს და აუნაზღაუროს გამწოვეული ზიანი, თუმცა თავის მხრივ დამსაქმებელს

⁴³⁷ Zweigert, K., Kötz, H., Introduction to Comparative Law, Oxford, 1998, 630.

⁴³⁸ The American Law Institute, Restatement of the Law Third, Restatement of the Law Agency, volume 1, American Law Institute Publishers, 2006, 371.

⁴³⁹ Zimmermann, H., Roman Law, Contemporary Law, European Law: The Civilian Tradition Today, Oxford University Press, 2001, 73.

⁴⁴⁰ Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 397.

⁴⁴¹ Giliker, P., Vicarious Liability in Tort, A Comparative Perspective, Cambridge University Press, 2010, 30-31.

შესაძლებლობა აქვს მოთხოვოს მის დაქვემდებარებულს დაფაროს ის ზიანი რაც მის მიერ გამოწვეული დელიქტის შედაგად მიაღება დამსაქმებელს, ე.ი. რეგრესის⁴⁴² წესით მოითხოვოს ანაზღაურება.⁴⁴³

მოკლედ, მდპ-ის ფარგლებში მომჩივანი უზრუნველყოფილია ორი მოპასუხით და მას შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი ან ორივე მათგანის წინააღმდეგ მიმართოს მოთხოვნა.⁴⁴⁴

მდპ-ს ინსტიტუტი ჯერ კიდევ რომაულ სამართალში მოიძებნება.⁴⁴⁵ ე.წ. *Paterfamilias* ინსტიტუტი მშობელს, ოჯახის უფროსს აკისრებდა პასუხისმგებლობას შვილის მიერ ან მონის მიერ გამოწვეული ზიანისათვის.⁴⁴⁶ რა თქმა უნდა ეს პირდაპირი გაგებით არ არის მდპ-ს დოქტრინა და ინსტიტუტმა ცვლილება განიცადა. დღეს მშობლის, როგორც კანონიერი მეურვის პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ ქმედებაზე კვლავ ძალაშია, რომელიც ასევე მეორადი დელიქტური პასუხისმგებლობის სახეს წარმოადგენს თავისი შინაარსით. თუმცა ეს უკანაკნელი არ არის წინამდებარე ნაშრომის განსახილველი საკითხი. დღეს მეცნიერები იმაზეც მსჯელობენ, თუ რეალურად რა დოზით მოახდინა ან მოახდინა თუ არა გავლენა რომაულმა სამართალმა თანამედროვე მდპ-ს დოქტრინაზე.⁴⁴⁷ პროფესორ ციმერმანის მოსაზრებით, „მდპ წარმოადგენს თანამედროვე ჯანსაღი ინსტიტუტის მაგალითს უკიდურესად სუსტი რომაული საფუძვლით“⁴⁴⁸. გერმანიაში მე-19 საუკუნიდან, ინდუსტრიული რევლუციის შემდეგ ჩნდება საჭიროება „ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის“ ინსტიტუტზე მსჯელობა, რისი მაპროვოცირებელიც გახდა დიდი სარგინიგზო კომპანიათა მიერ გერმანიის ტერიტორიათა ათვისება, რომელსაც პოზიტიურ განვითარებასთან ერთად, მოჰქონდა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და სხვა ზიანი მის გარშემო.⁴⁴⁹

⁴⁴² Witting, Ch. A., *Liability of Corporate Groups and Networks*, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 398.

⁴⁴³ Giliker, P., *Vicarious Liability in Tort, A Comparative Perspective*, Cambridge University Press, 2010, 31.

⁴⁴⁴ Giliker, P., *Vicarious Liability in Tort, A Comparative Perspective*, Cambridge University Press, 2010, 1.

⁴⁴⁵ Zweigert, K., Kötz, H., *Introduction to Comparative Law*, Oxford, 1998, 630.

⁴⁴⁶ Zimmermann, R., *The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition*, Oxford University Press, 1996, 1126.

⁴⁴⁷ Zimmermann, H., *Roman Law, Contemporary Law, European Law: The Civilian Tradition Today*, Oxford University Press, 2001, 123.

⁴⁴⁸ იქვე, 123.

⁴⁴⁹ Zimmermann, R., *The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition*, Oxford University Press, 1996, 11230-31.

მდპ-ის დოქტრინა საკორპორაციო სამართალში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუმცა ბედის ირონიაა ის, რომ ამ ფორმის პასუხისმგებლობის განსაზღვრაც პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და რეალურად არ არის განსაზღვრული სტანდარტი, რომლითაც სასამართლოები, პრაქტიკოსები ან პასუხისმგებელი პირები იხელმძღვანელებდნენ პასუხისმგებლობის დაკისრების ან მისი პრევენციისათვის. მცირე შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, მეტად მოჰყენს ნათელს საკორპორაციო სამართალში დოქტრინის გამოყენებასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

4.2.2. მდპ შედარებით პესრპექტივაში

პირველ რიგში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მდპ-ს ფარგლებში პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი ბრალის მომენტთან არის დაკავშირებული. მაშასადამე, აუცილებელია არსებობდეს ბრალი და ბრალით გამოწვეული ზიანი მესამე პირზე. 1896 წლის გერმანული სამოქალაქო კოდექსი, რომელიც განსახილველ საკითხზე დღესაც იმავე ჩანაწერს შეიცავს თითქმის უცვლელად, მკაცრად იცავს ბრალზე დაფუძნებულ პასუხისმგებლობის გაგებას,⁴⁵⁰ რაც გულისმობს ნებისმიერი პასუხისმგებლობის ცნების უარყოფას ბრალის გარეშე.⁴⁵¹ იგი ეფუძნება ბრალის დასაბუთებულ ვარაუდს, რომლის გარეშეც ვერ იარსებებს პასუხისმგებლობა. კერძოდ, პირი რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ ქმედებაზე პასუხისმგებელ პირს, ამ უკანაკნელის მიერ გამოწვეული ზიანისთვის პირადად აგებს პასუხს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი დაადასტურებს, რომ გამოიჩინა შესაბამისი ზრუნვა მის დასანიშნად, ან შესაბამისი ზრუნვის მიუხედავად მაინც იგივე შედეგი დადგებოდა.⁴⁵² რეალურად, გერმანია არ აღიარებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას, და სასამართლო პრაქტიკაში არ მოიპოვება საქმე სადაც დირექტორის პასუხისმგებლობა განისაზღვრა რეალური ბრალის გარეშე. გარდა ამისა, გერმანიის ახალი მიღწევაა დირექტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა,⁴⁵³ რაც სხვა კარგად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტებთან ერთად, თითქმის შეუძლებელს ხდის დირექტორის მეორადი

⁴⁵⁰ Zimmermann, H., Roman Law, Contemporary Law, European Law: The Civilian Tradition Today, Oxford University Press, 2001, 114.

⁴⁵¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, BGB §831.

⁴⁵² გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, BGB §831 (1).

⁴⁵³ ლუთერი, მ., სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა, II ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი, 2003, 34; იხ.: AG §93 (2).

დელიქტური პასუხისმგებლობის განსაზღვრას. დირექტორის უშუალო პირადი პასუხისმგებლობისათვის ცალსახა უნდა იყოს განზრახი და დაუდევრობით დარღვეული დირექტორის ვალდებულებები. დროთა განმავლობაში, არასწორი მენეჯმენტით გამოწვეული ზარალი რაც კომპანიას მიაღება ისედაც იჩენს თავს და კორპორაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვეშ აღმოჩნდება დირექტორი. თუმცა ეს არ იქნება ბრალის-გარეშე⁴⁵⁴ პასუხისმგებლობა.

ამასთან, საერთო სამართლის ოჯახის ქვეყნები, კერძოდ, აშშ და ინგლისი, ბრალის ნაწილში გერმანულისაგან განსხვავებული პოზიცია აქვთ, თუმცა აქ საკითხი დგას მდპ-ის გაფართოებასთან დაკავშირებით, მათ შორის კორპორაციულ ჯგუფებში. ბრიტანეთი პასუხისმგებლობის ამ ფორმას ავრცელებს ყველა ურთიერთობაზე, რომელიც დამსაქმებელ-დასაქმებულს შორის არსებული ურთიერთობის მსგავსია, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები უიარს ამბობს ასეთ მიდგომაზე იმ დასაბუთებით, რომ პასუხისმგებლობა წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც დელიქტი გამოწვეულია უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ამის საფუძველზეა განპირობებული გადაწყვეტილებათა სიმწირე სასამართლო პრაქტიკაში, სადაც ან უარყოფილია ასეთი საქმეები⁴⁵⁵ ან მიდგომა განსხვავებული აქვს სასამართლოს, კერძოდ კი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა შემოდის დასაბუთებაში^{456, 457} გარდა ამისა, საერთო სამართლის სისტემაში რეალურ (ფაქტობრივ) და იურიდიულ სუბორდინაციაზეც არის საუბარი, მაშასადამე, თუ ფაქტობრივად ხორციელდება წარმომადგენლობა და ამას, პრინციპალი უსიტყვოდ, თუმცა მოქმედებით ადასტურებს, მდპ-ს გასავრცელებლად ესეც საკმარისია, რომ არაფერი ვთქვათ, მაგალითად, დროებით კონტრაქტორზე ან ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პირზე.⁴⁵⁸

⁴⁵⁴ Zimmermann, H., Roman Law, Contemporary Law, European Law: The Civilian Tradition Today, Oxford University Press, 2001, 114.

⁴⁵⁵ საქმე ფეშჩიზინ გენერალ მოტორსის წინააღმდეგ (Feszczyszyn v. General Motors Corp [1998] 248 AD 2d 939 (NY); საქმე რიტერი ბარნსის ებრაულ ქრისტიანული ჯანმრთელობის სისტემის წინააღმდეგ (Ritter v. BJC Barnes Jewish Christian Health Systems [1999] 987 SW 2d 377 (Mo App ED)).

⁴⁵⁶ საქმე ურბანი ამერიკული ლეგიონის წინააღმდეგ (Urban v. American Legion Post [2005] 184 NW 2d 153 (Minn App)).

⁴⁵⁷ Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 94-404-405.

⁴⁵⁸ Markesinis, B.A., The German Law of Obligations, The law of Torts, volume II, Clarendon Press- Oxford, 1997, 679.

გერმანული მიდგომით აქცენტი კეთდება დამსაქმებლის ბრალზე და არა დასაქმებულის.⁴⁵⁹ გერმანული სამოქალაქო კოდექსის §831 განსაზღვრავს დამსაქმებლის ბრალს, როდესაც მისი დასაქმებული უკანონოდ მიაყენებს ზიანს მესამე პირს, და აქ არ არის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტი დასაქმებულის მხრიდან განზრახი იყო თუ უნებლიე, თუმცა აუცილებელია ჩანდეს რომ მიყენებული ზიანი უკანონოა.^{460, 461}

მიუხედავად კანონმდებლის მკაფიო ჩანაწერისა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების შესახებ, დღეს გერმანული სამართალი აკისრებს ხელმძღვანელ პირებს პირად პასუხისმგებლობას, თუმცა ხშირ შემთხვევაში დამატებითი რეგულაციების დახმარებით, კერძოდ კი გარიგებათა და დელიქტური სამართლის ნორმათა ტანდემში და ბრალის ფაქტზე ყურადღების გამახვილებით. გარდა იმისა, რომ ცალკეული ნორმა რეალურად ვერ ასრულებს დანიშნულებას, კანონის ამ ჩანაწერის ხარვეზი და მისადმი კრიტიკა დაკავშირებულია, დიდი ბიზნეს ორგანიზაციების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ნაწილზე. კერძოდ, დიდი ორგანიზაციის ხელმძღვანელს მარტივად შეუძლია დაასაბუთოს მისი უდანაშაულობა იმის ჩვენებით, რომ მან შესაბამისი მზრუნველობის, ყურადღებისა და გულისმხიერების გამოჩენით დანიშნა მენეჯერი, ხოლო ამ უკანაკნელის მიერ არჩეული პირის ქმედებამ გამოიწვია ზიანი, ამგვარად პასუხისმგებლობის მატარებელიც უნდა იყოს შუა დონის მენეჯერი. გერმანული სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს დიდ საწარმოებსაც, მათი იერარქიული მოწყობის ასპექტებს და მათი წარმომადგენელი ორგანოების მიერ დაშვებულ დელიქტს, ამგვარად მეორადი დელიქტური პასუხისმგებლობის ადრესატად ხდის საწარმოსაც.⁴⁶² ერთი შეხედვით კანონმდებლის „მკაცრი“ მიდგომა, რეალურად იძლევა ცალსახა შესაძლებლობას, მარტივად დაიძვინოს თავი დამსაქმებელმა პასუხისმგებლობისაგან იმის მტკიცებით, რომ მისი ბრალი ზიანის დადგომაში არ ყოფილა.⁴⁶³ კერძოდ, პრობლემა იკვეთება დიდ კორპორაციებში, სადაც

⁴⁵⁹ Markesinis, B.A., The German Law of Obligations, The law of Torts, volume II, Clarendon Press- Oxford, 1997, 677-678.

⁴⁶⁰ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, BGB §831.

⁴⁶¹ Markesinis, B.A., The German Law of Obligations, The law of Torts, volume II, Clarendon Press- Oxford, 1997, 681.

⁴⁶² გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, BGB §831 (2).

⁴⁶³ Giliker, P., Vicarious Liability in Tort, A Comparative Perspective, Cambridge University Press, 2010, 11.

იმის მტკიცება, რომ თითოეული პირი ორგანიზაციაში დასაქმებულ იქნა შესაბამისი ყურადღებით და განემარტათ ინსტრუქცია მათი მოვალეობების შესახებ შეუძლებელია და პრაქტიკაც ასეთი ჩამოყალიბდა გერმანიაში, რომ „უფროსს“ შესაბამისად არჩეული და დანიშნული შუალედური მენეჯერები ჰყავს კომპანიაში. ამ სისტემას გერმანიაში *“dezentralizierter Entlastungsbeweis”* (დეცენტრალიზებულ გამართლებას)⁴⁶⁴ უწოდებენ, რომელიც რეალურ უფროსს (დირექტორი, პარტნიორი) ცვლის შუალედური დასაქმებულით (შუალედური დონის მენეჯერი) და პასუხისმგებლობას აკისრებს ამ უკანასკნელს. ეს მიდგომა არ არის გამართლებული არც ეკონომიკური და არც შრომითი ურთიერთობების თვალსაზრისით, ვინაიდან შედეგად ვიღებთ სურათს, სადაც რეალური დაზარალებული მესამე პირია, რომელსაც მიაღდა ზიანი და იგი რჩება მოთხოვნით ნაკლებად გადახდისუნარიანი მენეჯერის წინააღმდეგ. ამგვარად, ამ რეგულაციის არაპრაქტიკულმა ბუნებამ უბიძგა მოსამართლეებს მოემეზნათ საშუალება მისთვის გვერდის ასავლელად, როდესაც სასამართლოს მთავარი ამოცანა იყო რეალური „ბატონის“ იდენტიფიცირება და მასზე §823 პარაგრაფის გავრცელება. თუმცა ეს მოცემულობა ორგანიზაციების შემთხვევაში საკმაოდ რთული დასამტკიცებელი იქნებოდა და შესაბამისად, არასწორი, ვინაიდან ხსენებული პარაგრაფი აქცენტს აკეთებს, როგორც უკვე ითქვა, დელიქტის გამომწვევი პირის ბრალის ნაწილზე, რასაც არაფერი აქვს საერთო მდკ-სთან.⁴⁶⁵

ამის საპასუხოდ, გერმანიის უზენაეს სასამართლომ ჩამოაყალიბა სამი გზა §831-სათვის გვერდის ასავლელად, საიდანაც ორი რელევანტურია კორპორაციებთან მიმართებით. კერძოდ, მოუხმო კოდექსის იურიდიული პირების ნაწილს, §31-ს.⁴⁶⁶ ეს ჩანაწერი არავითარ დაცვის მექანიზმს არ განსაზღვრავს გაერთიანებებისათვის, რომელთაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ „მესამე პირის მიმართ მიყენებული ზიანისთვის, რომელიც გამგეობამ, გამგეობის წევრმა ან კონსტიტუციურად დანიშნულმა სხვა წარმომადგენელმა“⁴⁶⁷ მათ მიერ ჩადენილი მოქმედებით გამოიწვიეს

⁴⁶⁴ Decentralized exoneration.

⁴⁶⁵ Markesinis, B.A., The German Law of Obligations, The law of Torts, volume II, Clarendon Press- Oxford, 1997, 685-686.

⁴⁶⁶ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლოს ეს მიდგომა ვრცელდება ასევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, კერძოდ აქ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §89 მოხმობაა საჭირო, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ გადამისამართებს აკეთებს §31-ზე.

⁴⁶⁷ გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციურად დანიშნულ წარმომადგენელში შესაძლებელია მოიაზრებოდეს ყველა, ვინც მიჰყვება კომპანიის საქმიანობის გაიდლაინს და პრაქტიკას,

იმ საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც მათ დაევალოთ, როცა მათი ეს მოქმედება იწვევს პასუხისმგებლობას ზიანისთვის“⁴⁶⁸. აღნიშნული ნორმა გამოსავალს არ უტოვებს „ბატონს“, რომელსაც პასუხისმგებლობის ასარიდებლად exoneration-ის გამოყენება აქვს ჩაფიქრებული. ნორმა ამის ალბათობასაც კი მგამორიცხავს და მიუხედავად იმისა თუ რა სახის წარმომადგენლობას ახორციელებს პირი, თუნდაც ეს არ იყოს პარტნიორთა წესდებით ან შეთანხმებით გათვალისწინებული, მანამ სანამ პირი ქმედებას ახორციელებს მის ვალდებულებათა ფარგლებში.⁴⁶⁹

მეორე გზა 831 გვერდის ასავლელად კი იქნება დეფექტის პოვნა საწარმოს სტრუქტურაში, რისთვისაც ბატონი/საწარმო პასუხისმგებელი იქნება. სამართლებრივი საფუძველი კი კლასიკური დელიქტის ნორმაა, კერძოდ §823, კუმულაციურად §840 (1)-თან, რომელიც სოლიდარული პასუხისმგებლობის სადამფუძნებლო ნორმაა დელიქტურ ურთიერთობაში და §426-ე, რომელიც სოლიდარულ მოვალეებს შორის ურთიერთობას განსაზღვრავს.⁴⁷⁰

მოკლედ, რეალურად კომპანიათა მიმართებაში პირდაპირ გერმანული სამოქალაქო კოდექსის დელიქტის და იურიდიული პირების ნორმები გამოიყენება და ბრალის საფუძველზე ეკისრებათ პირებს მკაცრი პასუხისმგებლობა, რაც არის წარმოებული, ანუ მეორადი დელიქტური ვალდებულება.⁴⁷¹ განსხვავებით, მაგალითად, ფრანგული კანონმდებლობისა, სადაც უშუალოდ მეორადი დელიქტური ვალდებულების დოქტრინა გამოიყენება და არ არსებობს ბრალის შემამსუბუქებელი ფორმა,⁴⁷² რასაც გერმანული კოდექსის ჩანაწერში ვხვდებით. მეტიც, ფრანგული კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს პასუხისმგებლობას პირისა, იქნება ეს ბორდის წევრი, აღმასრულებელი მენეჯერი, ნდობით აღჭურვილი პირი გაკოტრებისას თუ სხვა, რომელიც საქმიან ურთიერთობაში გამოდის კორპორაციის სახელით და არღვევს ვალდებულებებს, რასაც

ამასთან აქვს უფლება იურიდიული პირის მნიშვნელოვანი და არსებითი ფუნქციების ავტონომიურად აღსრულებისა. BGH 30 ოქტომბერი 1967, BGHZ 49, 19, 12. თარგმანი ამოღებულია: Lever, Jeremy, F., Larouche, Pierre, Gerven, Woltter Van, Tort Law: Ius Commune Casebooks for the Common Law of Europe, Hart Publishing, 2001, 488.

⁴⁶⁸ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, BGB §31.

⁴⁶⁹ Markesinis, B.A., The German Law of Obligations, The law of Torts, volume II, Clarendon Press- Oxford, 1997, 685.

⁴⁷⁰ Giliker, P., Vicarious Liability in Tort, A Comparative Perspective, Cambridge University Press, 2010, 49-50.

⁴⁷¹ Zimmermann, H., Roman Law, Contemporary Law, European Law: The Civilian Tradition Today, Oxford University Press, 2001, 126.

⁴⁷² ფრანგული სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1384.

შედეგად მოაქვს მესამე პირის მიმართ ზიანი.⁴⁷³ სწორედ ამიტომ, იურიდიულ ლიტერატურაში მკაცრად აკრიტიკებენ §831, რომელიც ვერ პასუხობს რეალობასა და თანამედროვე სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებებს და ამგვარად, ეს ჩანაწერი „აღმოჩნდა სირცხვილის მთავარი წყარო“⁴⁷⁴ გერმანულ დელიქტურ სამართალში.

ამისგან განსხვავებით, თეორიულად აშშ მდპ-ს ფარგლებში პასუხისმგებელ დამსაქმებელს, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია, სოლიდარულ პასუხისმგებლობას აკისრებს დასაქმებულთან ერთად, რომელმაც დელიქტი გამოიწვია დასაქმების ფარგლებში განხორციელებულ ქმედებაზე, ან საქმიან ურთიერთობასთან საფუძვლიანი კავშირის არსებობის ფარგლებში.⁴⁷⁵ მოპასუხის განსაზღვრის შესალებლობა დაზარალებულზეა დამოკიდებული, რომელსაც გადახდისუნარიანობის ხარისხის მიხედვით შეუძლია აირჩიოს ადრესატი, ხოლო ეს უკანაკნელი კონტრიბუციისათვის ზიანის ანაზღაურებაში ჩართავს მეორე პასუხისმგებელ პირს.⁴⁷⁶ ესეიგი დირექტორის პასუხისმგებლობა იქნება სოლიდარული მის მიერ დანიშნულ მუშაკთან, დასაქმებულთან ერთად. შინაარსობრივად რეალურად საქმე ეხება წარმომადგენლობით პრინციპს, და იქნება ეს დირექტორსა და თანამშრომელს შორის ურთიერთობა თუ დირექტორსა და კომპანიას შორის, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ორივე მათგანი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებას უნდა ეხებოდეს, მაგრამ ამ უკანაკნელის შემთხვევაში დირექტორის სოლიდარული პასუხისმგებლობა კომპანიის მიერ გამოწვეული დელიქტისთვისაც, რომელსაც თავად წარმოადგენდა ურთიერთობაში და შესაბამისად დირექტორია დელიქტის ჩამდენი, სამართლებრივი საფუძველი წარმომადგენლობით პრინციპებს ეყრდნობა პრაქტიკაში, მაგალითად, უკვე განხილული ვალკოვსკის საქმე. თუმცა, რა ხდება პარტნიორის შემთხვევაში თუ მისი ქმედებით დადგა დელიქტის ფაქტი? მდპ-ს პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლოა პარტნიორზეც გავრცელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავადგენთ რომ

⁴⁷³ Giliker, P., *Vicarious Liability in Tort, A Comparative Perspective*, Cambridge University Press, 2010, 46-47.

⁴⁷⁴ Zimmermann, R., *The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition*, Oxford University Press, 1996, 1125-1126.

⁴⁷⁵ Witting, Ch. A., *Liability of Corporate Groups and Networks*, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 94-407; იხ.: საქმე მიშელი ალესტრეს წინააღმდეგ (*Michael v. Alestree* [1675] 2 Lev 173; 83 ER 504).

⁴⁷⁶ American Law Institute, *Restatement (Third) of Torts: Appointment of Liability* (2006), American Law Institute Publishers, II volume, §15.

კორპორაცია და პარტნიორი განცალკევებული პიროვნულობის მატარებელი სუბიექტები არ არიან, რაც ეწინააღმდეგება ტრადიციულ გაგებას კომპანიისა და მისი პარტნიორების განცალკევებულობაზე.⁴⁷⁷ რეალობაში კი არა ერთი შემთხვევაა, როდესაც პარტნიორების ქმედებამ ბუნდოვანი გახადა განცალკევებულობა მათსა და ბიზნეს საწარმოს შორის და ეს ბუნდოვანება არასწორია. ე.ი. სადაც პარტნიორი კორპორაციას იყენებს როგორც თავის „ალტერ-ეგოს“ მაშინ უნდა ჩაითვალოს, რომ კორპორაცია მისი წარმომადგენელია (agent), ხოლო პარტნიორი მისი ხელმძღვანელი⁴⁷⁸ (principle).⁴⁷⁹ ასეთი სცენარის შემთხვევაში, თეორიულად მდკ-ს პასუხისმგებლობის ობიექტი შესაძლოა გახდეს პარტნიორი, მაშასადამე პირადი პასუხისმგებლობის საფრთხის ქვეშ დადგეს იგი, რა თქმა უნდა სოლიდარულად კომპანიასთან ერთად. მაგრამ, ალტერ-ეგოს დოქტრინის დადასტურების შემთხვევაში, როდესაც პარტნიორი იყენებს კომპანიას მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის, სასამართლოები გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებაზე საუბრობენ, ამიტომ შესაძლოა არ იყოს დასათანხმებელი მოსაზრება, ან უსამართლოდ ჟღერდეს მეორადი დელიქტური პასუხისმგებლობის პარტნიორზე გავრცელების „სისწორე“. ამავდროულად, სწორედ სამართლიანობისა და ეკონომიკური პერსპექტივით გამართლებაა შესაძლებელი, ვინაიდან გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის სამიზნე პარტნიორის პირადი ქონებაა, ხოლო მდკ-ის შემთხვევაში, უნებლიე კრედიტორი თავად ირჩევს მოპასუხეს ან ორივე მათგანის წინააღმდეგ მიმართავს მოთხოვნას (კორპორაცია და პარტნიორი).⁴⁸⁰ მაგრამ აღნიშნული ამავდროულად ფართო მასშტაბის პასუხისმგებლობას აკისრებს პარტნიორს კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში. უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ასევე ფართო განხილვის საგნად ქცეული შეუზღუდავი პასუხისმგებლობის საკითხი დელიქტის დროს,⁴⁸¹ რაც როგორც ჩანს შესაძლოა კიდევ იყოს კაპიტალური საზოგადოების მომავალი. აქედან

⁴⁷⁷ Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 5; Delaware General Corporation Law (DGCL) მუხლი 106: „body corporate“.

⁴⁷⁸ სხვა კუთხით გაანალიზებისთვის, კორპორაცია აღქმულია როგორც საკუთრება პარტნიორისა.

⁴⁷⁹ Bainbridge S.M., Abolishing LLC Veil Piercing, University of Illinois Law Review, University Press, Illinois, 2005, 7-8.

⁴⁸⁰ Bendremer, F.J., Delaware LLCs and Corporate Veil Piercing: Limited Liability has its Limitations, Fordham Journal of Corporate and Financial Law, Vol. 10, Issue 2, 2005, 393. ხელმისაწვდომია (<https://ir.lawnet.fordham.edu/jcfl/vol10/iss2/4>).

⁴⁸¹ Hansmann, H., Kraakman, R., Toward Unlimited Shareholder Liability in Corporate Torts, The Yale Law Journal Company, Inc., vol. 100, N7, 1991, 1880 და მომდ.

გამომდინარე, მდპ-ის აწმყო შესაძლოა სულაც არ იყოს მისი მომავალი და ამ დოქტრინის გაძლიერება და უკვე საკანონმდებლო მოწესრიგებაც მალე გამოჩნდეს დღის შუქზე.

ქართული სამართლის სისტემა, ვალდებულებითი სამართლის ნაწილში განსაზღვრავს ზოგადად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს⁴⁸², ხოლო დელიქტური ვალდებულებების კარში განსაზღვრულია ზიანის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც ძირითადად ეხება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას⁴⁸³ გამოწვეულ ზიანს ან უსაფუძვლო გამდიდრების ნაწილს⁴⁸⁴. აქედან არცერთი არ ერგება იმ აღწერას რასაც მეორადი დელიქტური პასუხისმგებლობა წარმოადგენს. რეალურად, მდპ-ის მიხედვით, დელიქტის გამომწვევი პირი ავტორიზებულია განახორციელოს კონკრეტული ქმედება (დავალების არსებობა), თუმცა გაუფრთხიებლობით, განზრახ თუ გულისხმიერების ნაკლებობით მისი ქმედება იწვევს დელიქტს, რომელზეც პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ამავდროულად მეორადი პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს მისი ხელმძღვანელის პირად პასუხისმგებლობას დელიქტისთვის რომელიც მის მიერ დანიშნულმა პირმა გამოიწვია. ასეთ სცენარს პასუხობს უსაფუძვლო გამდიდრების თავში მუხლი 997. კერძოდ, „პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.“⁴⁸⁵

ქართველი კანონმდებლის აქცენტი გაკეთებულია უშუალოდ მუშაკის, დასაქმებულის ბრალის გამომრიცხველ გარემოებაზე, რაც განსხვავდება, გერმანული და ამერიკული მიდგომისაგან, ასევე ფრანგული და ბრიტანული ჩანაწერისაგან. მართალია, გერმანიამ უარი თქვა ბრალის-გარეშე პასუხისმგებლობაზე,⁴⁸⁶ თანაც აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი, რომ §831 აქცენტს აკეთებს უშუალოდ ქმედებაზე, რომელმაც ზიანი გამოიყენა,

⁴⁸² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (სსკ), მუხლი 317.

⁴⁸³ იქვე, მუხლი 930.

⁴⁸⁴ იქვე, მუხლი 976 და მომდ..

⁴⁸⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 997.

⁴⁸⁶ Giliker, P., Vicarious Liability in Tort, A Comparative Perspective, Cambridge University Press, 2010, 11; BGB §831.

განსხვავებით §823-გან, სადაც მნიშვნელოვანი ბრალის მომენტი,⁴⁸⁷ თუმცა ეს მიდგომა უშუალოდ ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას ეხება და არა მის დაქვემდებარებაში მყოფი პირისა. მაშასადამე, როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, ბრალის მომენტი მნიშვნელოვანია უშუალოდ დამსაქმებლის მხრიდან, ხოლო დელიქტის გამომწვევი პირის ბრალელობის საკითხისთვის არ არის მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია განზრახ, გაუფრთხილებლობით თუ სხვა. ნებისმიერ შემთხვევაში პასუხისმგებელია დამსაქმებელი, თუ რა თქმა უნდა არ არის სახეზე ბრალის გამომრიცხველი ის გარემოებები დამსაქმებლის მხარეს, რომელზეც უკვე იყო საუბარი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი კი უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიყენებულ ზიანზე ამახვილებს ყურადღებას.⁴⁸⁸ გარდა ამისა, დაზარალებულის მხრიდან მოთხოვნის დაყენება უნდა მოხდეს უშუალოდ ორგანიზაციის მიმართ და არა მუშაკის. რა საკვირველია ეს უკანასკნელი რეგრესის წესით აუნაზღაურებს ხარჯებს სამუშაოს მიმცემს, თუმცა ნორმის შინაარსიდან ირკვევა რომ სამუშაოს მიმცემის პასუხისმგებლობა არის უშუალო და პირდაპირი. მაშინ როდესაც აშშ-ში და ასევე გერმანიაში პასუხისმგებლობის ხასიათი სოლიდარულია და დაზარალებულს არჩევანის შესაძლებლობა აქვს მოპასუხის განსაზღვრის კუთხით.⁴⁸⁹

სხვა მხრივ ქართული კანონმდებლობა ფართო გაგებით გნამარტავს მუშაკსა და სამუშაოს მიმცემს (დამსაქმებელს) შორის არსებულ ურთიერთობას. ერთი მხრივ შეზღუდვა არ არის „სამუშაოს მიმცემის“ ბუნების შესახებ, რაც გულისმობს, რომ ის შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.⁴⁹⁰ ეს თავისთავად საშუალებას იძლევა მუხლის მოქმედება კორპორაციულ წარმონაქმნებზეც გავრცელდეს, როგორც ამას გერმანული⁴⁹¹ და აშშ-ს კანონმდებლობა უზრუნველყოფს. თუმცა, აშშ-საგან განსხვავებით, რომელიც უარყოფს რეგულაციის გავრცელებას

⁴⁸⁷ Markesinis, B.A., *The German Law of Obligations, The Law of Torts*, volume II, Clarendon Press- Oxford, 1997, 682.

⁴⁸⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, სამართალი, თბილისი, 2001, 400.

⁴⁸⁹ იქვე, 402-403.

⁴⁹⁰ იქვე, 400.

⁴⁹¹ აქვე, კიდევ ერთხელ უნდა განიმარტოს, რომ გერმანული სამოქალაქო კოდექსი უშუალოდ აკეთებს აქცენტს საწარმოსა და მის წარმომადგენლებს, დასაქმებულს შორის ურთიერთობაზე, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

„მსგავს ურთიერთობებზე“, ⁴⁹² ქართველი კანონმდებელი ამ მხრივ გულუხვია, რისი დასკვნის გამოტანის საშუალებასაც იძლევა ნორმის შინაარსი. მეორე მხრივ, კორპორაციულ წარმონაქმნებზე რეგულაციის გავრცელება უნდა გულისმობდეს კორპორაციის პასუხისმგებლობას მისი წევრების (პარტნიორის) და მუშაკების მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, კორპორაცია კი არაფერია თუ არა ხელოვნური წარმონაქმანი, ⁴⁹³ რომელსაც არ აქვს თავისი გონება, ⁴⁹⁴ აზრი და მოქმედების საშუალება სპეციალურად განსაზღვრული წარმომადგენლის, ხელმძღვანელის გარეშე. მაშინ გამოდის, რომ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი პირების მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად პასუხისმგებლობა ეკისრება პირდაპირ ხელმძღვანელს, რაც არ უნდა იყოს სამართლიანი პოზიცია. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამ პირთა შორის ურთიერთობის შინაარსის გამარტებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოებაში. კერძოდ, აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს კორპორაციასა და მის წევრებს შორის ურთიერთობა და კორპორაციასა და მის დასაქმებულებს შორის ურთიერთობა. ეს უკანაკნელი გულისმობს ხელმძღვანელსა და მის მიერ განსაზღვრულ პირს, რომელიც კონკრეტული შორმითი ხელშეუკრულების საფუძველზე ასრულებს მისთვის გათვალისწინებულ ვალდებულებებს. შესაბამისად, 977-ე მუხლის მიხედვით ეს შემთხვევა პირდაპირ მიესადაგება მოცემულობას, ამ სუბსუმციის გაკეთება მარტივია. როგორც მუხლის კომენტარშია განმარტებული, აქ საჭიროა მხოლოდ სამოქალაქო სამართალდარღვევის ყველა ელემენტის არსებობა მუშაკის ქმედებაში: მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზშედეგობრივი კავშირი. ⁴⁹⁵ რაც შეეხება კომპანიასა და მის წევრებს შორის ურთიერთობას, აქ ურთიერთობის შინაარსი მნიშვნელოვნად განსხვავდება. პირველ რიგში, იმისთვის რომ 977-ე მუხლის შინაარსის გავრცელება გახდეს შესაძლებელია უნდა დადგინდეს, რომ პარტნიორი რეალურად ხელმძღვანელია კორპორაციისა. თუმცადა, საკორპორაციო სამართალში პარტნიორთა საერთო კრება უმაღლესი

⁴⁹² Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 404.

⁴⁹³ Allen, W.T., Kraakman, R., Commentaries and Cases on the Law of Business Organization, Wolters Kluwer, USA, 2016, 77-78.

⁴⁹⁴ Gevurtz, F.A., Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, Pacific McGeorge School of Law, Business Organizations Law Review, 1997, 864.

⁴⁹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, სამართალი, თბილისი, 2001, 401.

მმართველობითი ორგანოა, ის მაინც არ წარმოადგენს კორპორაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მითუმეტეს არც მისი ხელმძღვანელია. პარტნიორს არ აქვს შესაძლებლობა მართოს კორპორაციის საქმიანობა, გარდა იმ შემთხვევისა თუ ის აქტიურად არის ჩართული ხელმძღვანელობითს საქმიანობაში როგორც დე-ფაქტო დირექტორი და კორპორაციას იყენებს როგორც ალტერ-ეგოს, პირადი ინტერესებისათვის. ამ სცენარში ვლინდება პარტნიორისა და კორპორაციის ურთიერთობა, როგორც სამუშაოს მიმცემისა და მუშაკისა, ან პრინციპალი (ხელმძღვანელი - პარტნიორი) და ამ უკანასკნელის წარმომადგენელი (აგენტი, დასაქმებული) კორპორაცია.⁴⁹⁶ არსებობს ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებაც. კერძოდ, ლიტერატურაში ყურადღებას ამახვილებენ კორპორაციული წარმონაქმნისა და მისი წევრების ურთიერთობაზე და შესაბამისად იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხს მისი წევრების მიერ გამოწვეული დელიქტისთვის. აღნიშნული კი დასაბუთებულია, კორპორაციის საქმიანობის განხორციელებით წევრების მეშვეობით, ე.ი. იურიდიული პირის საქმიანობა წარმოადგენს წევრების საქმიანობას.⁴⁹⁷ მართალია წევრების ნაწილში კოდექსის კომენტარი შეიცავს დაზუსტებასაც, კერძოდ ავტორი „წევრის: ტერმინში მუშაკებს გულისმობს, თუმცა წევრის ცნებაში შესაძლოა ასევე მოიაზრებოდეს პარტნიორი, ხელმძღვანელი, მენეჯერი და სხვა. თ ვარაუდი სწორია, ყურადღების გამახვილება საჭიროა უშუალოდ პარტნიორზე, ვინაიდან ხელმძღვანელისა და მსგავსი უფლებამოსილების მქონე პოზიციებზე უკვე იყო მსჯელობა. რაც შეეხება პარტნიორს, როგორც აღინიშნა აქ დამატებითი ფაქტობრივი გარემოებების არსებობაა საჭირო იმისთვის, რომ პარტნიორისა და იურიდიული პირის ურთიერთობა სამუშაოს მიცემისა და მუშაკის ურთიერთობის მსგავსი იყოს. ხოლო თუ ეს არ იყო ავტორის მიზანი, მაშინ აქ აუცილებლად უნდა იგულისხმებოდეს პერსონაფიცირებული, ამხანაური ტიპის საზოგადოებები, სადაც პარტნიორები თავად წარმოადგენენ საწარმოს, პირადად

⁴⁹⁶ Bainbridge S.M., Abolishing LLC Veil Piercing, University of Illinois Law Review, University Press, Illinois, 2005, 7-8.

⁴⁹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, სამართალი, თბილისი, 2001, 401.

აგებენ პასუხს, და შეიძლება ითქვას აქ განცალკევებული პიროვნულობის ნაწილი შედარებით სუსტია.⁴⁹⁸

4.3. კორპორაციული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (Corporate Criminal Responsibility)

ზოგადად, საკორპორაციო სამართალი არ უნდა იქნეს წარმოდგენილი, როგორც განცალკევებული, იზოლირებული დარგი სამართლის სხვა მიმართულებებისაგან. მას რა თქმა უნდა აქვს თავისი კონკრეტული და სპეციალური როლი იურისპრუდენციაში, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ მისი ეფექტური იმპლემენტაცია შესაძლებელი იქნება კერძო სამართლის სხვა დარგებისაგან იზოლირებულად, მითუმეტეს კი სპეციალური კერძო სამართლის სამოქალაქო სამართლის გარეშე. თუმცა ამასთან ერთად, საკორპორაციო სამართლის გადაკვეთა ასევე კარგად ჩანს ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ მიმართულებებთანაც, დაწყებული სპეციალური ნებართვებისა და ლიცენზიების, ადმინისტრაციული ჯარიმებიდან, დასრულებული კორპორაციული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით.

წინამდებარე თავის განსახილველი საკითხი სწორედ კორპორაციული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა წარმოადგენს, როგორც უშუალოდ კომპანიისა, ასევე მისი წევრებისა, რასაც შესაძლოა პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაც მოჰყვეს, მათ შორის სამოქალაქო სამართალწარმოებაში პროცესის გაგრძელებით.

ამ მიმართულებით ყოველთვის არსებობდა კითხვის ნიშნები, თუ რამდენად იყო შესაძლებელი კორპორაცია, გაერთიანება გამხდარიყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი,⁴⁹⁹ ვინაიდან ზოგადი შეხედულებით, სისხლის სამართლებრივი გადაცდომა მხოლოდ ფიზიკური პირის შემთხვევაში შესაძლოა არსებობდეს,⁵⁰⁰ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირადი ხასიათის

⁴⁹⁸ თუმცა, ამხანაგური საზოგადოების სტრუქტურისა და შინაარსის მიუხედავად, ეს არის დამოუკიდებელი სამართალ-სუბიექტი, რაც მინიჭებულია სახელმწიფო რეგისტრაციის, ლეგიტიმაციის შედეგად.

⁴⁹⁹ Allahverdiyev, S., Othman, M., “Verbandssanktionengesetz” — Corporate Liability for Germany?, Cambridge University Press, German Law Journal, 2022, 637-638.

⁵⁰⁰ Heinitz, E., Empfiehlt es sich, die Strafbarkeit juristischer Personen gesetzlich vorzusehen? Gutachten für den 40. Deutschen Juristentag, 1 VERHANDLUNGEN DES VIERZIGSTEN DEUTSCHEN JURISTENTAGES, (Ständige Deputation des Deutschen Juristentages ed.), 1953, 65, 67.

გამო.⁵⁰¹ განსხვავებით რომანულ-გერმანულ ოჯახს მიკუთვნებული ქვეყნებისა, საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორც არის მაგალითად ა.შ.შ., ინგლისი, ეს საკითხი უფრო სწრაფად და მარტივად გადაიჭრა, ვინაიდან აქ საკმარის საფუძლად მიიჩნიეს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი გადაცდომის ფაქტის არსებობა.⁵⁰² კონტინენტური ევროპის ქვეყნებში კი ხანგრძლივად მიმდინარეობდა დისკუსია, თუმცა ეს მიდგომა შეიცვალა, რასაც მოწმობს სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსები, მათ შორის ქართული კანონმდებლობა, სადაც 2016 წლის 25 ივლისიდან კონკრეტული ნორმები განისაზღვრა ზუსტად ჩამოთვლილი დანაშაულებებისათვის, რომელიც ეხება კორპორაციის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.⁵⁰³ ამ პროცესს მარტივად არ ჩაუვლია და თითქმის საუკუნეზე მეტი დაჭირდა კორპორაციის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად აღიარებას, ამ დროს კი პრობლემა ადმინისტრაციულსამართლებრივ ჯარიმებთან დაკავშირებით ნაკლებად სადავო იყო.⁵⁰⁴

დღეს მეტი ყურადღება ექცევა კორპორაციის მხრიდან კრიმინალურ გადაცდომებს, რასაც მოწმობს ახლახანს ინიცირებული კანონპროექტი გერმანიაში - „კორპორაციული სანქციების აქტი“⁵⁰⁵, რომელიც ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, კანონის პირველი კანონპროექტი გერმანიის იუსტიციისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალურმა სამინისტრომ 2019 წლის აგვისტოში წარმოადგინა.⁵⁰⁶ ამ კანონპროექტის მიღმა გერმანიაში ამ მიმართულებით ეკონომიკური დარღვეთა აქტი⁵⁰⁷ მოქმედებს, რომლის მიხედვით კორპორაციაში მენეჯერულ პოზიციაზე მყოფ პირებზე ვრცელდებოდა გარკვეული გადაცდომებისათვის პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით.⁵⁰⁸ ამასთან, პასუხისმგებლობის სუბიექტი შესაძლოა იყოს მენეჯერი

⁵⁰¹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2024, 821.

⁵⁰² ოხანაშვილი, ა., იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სამართლის ჟურნალი №2, რედ. ზოიძე, ბ., 2009, 185.

⁵⁰³ იქვე, 820-821.

⁵⁰⁴ Austin, R.P., Ramsey, I.M., Ford's Principles of Corporations Law, Butterworths, Australia, 2010, 899-900.

⁵⁰⁵ კორპორაციული სანქციების აქტი, Corporate Sanctions Act (Verbandssanktionengesetz; VerSanG).

⁵⁰⁶ Grützner, Th., Momsen, C., Menne, J., Draft ill on German Corporate Sanctions Act, Compliance Elliance Journal, volume 5, N 2, 2019, 26.

⁵⁰⁷ აქტი ეკონომიკური გადაცდომების შესახებ, Economic Offenses Act of 1949 (Gesetz zur Vereinfachung des Wirtschaftsstrafrechts; WiStG).

⁵⁰⁸ WiStG, §30.

რიგითი დასაქმებულის მიერ ჩადენილი ქმედების საფუძველზე, რომელზეც მას ჰქონდა ხელმძღვანელობის ვალდებულება.⁵⁰⁹

თუმცა გერმანიის მმართველი პარტიების ინიციატივით, რომელთა მოსაზრებით საკმარისი არ იყო და ვერ პასუხობდა ეს უკანასკნელი კანონი რეალობას, შეიქმნა კორპორაციული სანქციების კანონი, რომელიც მოიცავს ახალ ჩარჩო-პირობებს კორპორაციათა დასასჯელად. კერძოდ, კანონის პროექტი წარმოადგენს ე.წ. „association offence“ (ასოციაციათა დანაშაული), რომელიც საშუალებას მისცემს აღმასრულებელ ხელისუფლებას მაღალი ჯარიმები დაუწესოს კორპორაციას იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა სისხლისსამართლებრივი დარღვევა ფიზიკური პირების, კონკრეტულად კი მენეჯერების მხრიდან. გაერთიანების დანაშაული ნიშნავს ნებისმიერ სისხლის სამართლის დანაშაულს, რომელიც აკმაყოფილებს კომპანიის მიერ გამდიდრების ან მისი მოვალეობების დარღვევას. ეს მოიცავს არა მხოლოდ ფინანსურ და საგადასახადო მოვალეობებს, არამედ კონკურენციის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დანაშაულებს (როგორცაა მაგ., ტენდერის გაყალბება). ამასთან პასუხისმგებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც რეგისტრირებული, ისე არარეგისტრირებული გაერთიანება, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი,⁵¹⁰ რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას. ჯარიმების ოდენობა კი შეიძლება იყოს 10 მილიონი ევრო, ან კიდევ იფრო მეტი დიდი კორპორაციების შემთხვევაში, რომელთა წლიური ბრუნვა 100 მილიონზე მეტია, წლიური ბრუნვის 10%. ჯარიმის დაკისრება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა, თუმცა გამოძიების დაწყების დისკრეცია პროკურატურას აქვს ნებისმიერი საექვო საფუძვლის არსებობისას.⁵¹¹

მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციათა კრიმინალური პასუხისმგებლობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა კანონი, რეალურად ამ გადაცდომისათვის დგება ფიზიკური პირების პასუხისმგებლობის საკითხი, კერძოდ კი მენეჯერული პოზიციის მქონე პირებისა, რაც ძალიან ჰგავს ამერიკულ „პასუხისმგებელი კორპორაციული ოფიცრის

⁵⁰⁹ WiStG , §130.

⁵¹⁰ Allahverdiyev, S., Othman, M., “Verbandssanktionengesetz” — Corporate Liability for Germany?, Cambridge University Press, German Law Journal, 2022, 640.

⁵¹¹ Sagasser, J., Oest, I., Draft Bill on Corporate Criminal Liability in Germany: The “Association Sanctions Act”, Commeo LLP, Rechtsanwälte und Notar, 2020, 1-2.

დოქტრინას⁵¹², ის კი თავის მხრივ მეორადი დელიქტური, მკაცრი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის სახედ მიიჩნევა.

ქართულ კანონმდებლობაში იურიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კონკრეტულ განზრახ დანაშაულებზე ვრცელდება, რაც განპირობებულია იურიდიული პირის განსხვავებული და რთული სტრუქტურით, ხოლო მეორე მხრივ ნორმა-დებულებები ზღუდავენ ყველა დანაშაულებრივი ქმედების გავრცელებას იურიდიულ პირზე, რომელსაც ლოგიკურად ვერ ჩაიდენს ის,⁵¹³ როგორც განცალკევებული სამართალსუბიექტი ან სამართლებრივი ურთიერთობის მხარე⁵¹⁴. პასუხისმგებლობის სადამფუძნებლო ნორმას სსსკ-ის 107¹-ე მუხლი წარმოადგენს, რომლის მიხედვით, პასუხისმგებლობა განისაზღვრება იურიდიული პირის სახელით, მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ პასუხისმგებელი პირის მიერ. მიუხედავად ხანგრძლივი მსჯელობისა იურიდიული პირის როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად აღიარებისა, საბოლოო ჯამში პასუხისმგებლობის სუბიექტი სწორედ „პასუხისმგებელი პირი“ ხდება, რომელიც შემდგომ განმარტებასაც საჭიროებს, თუმცა მანამდე აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ კონკრეტული ჩანაწერის საფუძველზე და რეალურად არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, იურიდიული პირის, როგორც ორგანიზციულ-სამართლებრივი ფორმის პასუხისმგებლობა დასაშვებია, მაგრამ დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული ფორმის სასჯელით და ეს ლოგიკურია ვერ იქნება თავისუფლების აღკვეთა, თუმცა სისხლის სამართლის კანონმდებლობა სხვა სასჯელებსაც ითვალისწინებს. კერძოდ, ძირითადი სასჯელის ფორმა იურიდიული პირის შემთხვევაში ეს არის ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და ჯარიმა, ეს უკანასკნელი ასევე შესაძლოა დამატებითი სახითაც დაეკისროს ქონების ჩამორთმევასთან ერთად ან მის გარეშე.⁵¹⁵

⁵¹² Responsible Corporate Officer Doctrine (RCOD).

⁵¹³ მაგ., საუბარია ისეთ ქმედებებზე, როგორიც არის გაუპატიურება, ყაჩაღობა, მკვლელობა, სხვ., იხ.: ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2024, 824.

⁵¹⁴ მათ შორის განსხვავებაზე და იურიდიული პირის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად განსაზღვრის შესახებ დეტალურად იხ.: ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2024, 823.

⁵¹⁵ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2018, 827.

რაც შეეხება „პასუხისმგებელი პირი“-ს ცნებას⁵¹⁶, აქ შესაძლოა მოიაზრებოდეს როგორც კორპორაციულად დანიშნული ხელმძღვანელი (დირექტორთა ბორდი), ასევე ნებისმიერი წევრი გაერთიანებისა და მათ შორის სამეთვალყურეო საჭოს წევრი, თუ ისინი ჩაიდენენ სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ აკრძალულ ქმედებას. ამ კონტექსტში, ალბათ, ყველაზე რთული შემთხვევა კაპიტალური მოწყობის იურიდიული პირის პარტნიორის პირადი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაა. მიუხედავად შეზღუდული პასუხისმგებლობისა, რომლითაც სარგებლობენ წევრები, ეს უპირატესობა ვრცელდება სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე და ვერ იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დამცავი მექანიზმი. გარდა ამისა, პარტნიორის ქმედებისათვის როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის უნდა დადგინდეს მისი რეალური ქმედითი დანაშაულებრივი ნაბიჯები, რომელიც კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებათა ერთობლიობას მოიცავს. ამ მიზნით, კომპანია გამოყენებულ უნდა იქნეს პარტნიორის მიერ, როგორც მისი ალტერ ეგო ან ინსტურმენტი, რასაც პირდაპირ განსაზღვრავს კანონმდებელი სიტყვებით „დანაშაული, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის ... მეშვეობით (გამოყენებით)“⁵¹⁷. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის სუბიექტი იურიდიულ პირთან ერთად შესაძლოა გახდეს უშუალოდ მისი წევრი, რომელიც ფორმალურად არ არის ჩართული საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობაში, თუმცა ფაქტობრივად ახორციელებს მას⁵¹⁸ და იყენებს გაერთიანებას კონკრეტული დანაშაულებრივი მიზნისათვის. ქართული სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ასეთი შემთხვევები, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოხდა პარტნიორსა და ხელმძღვანელზე გადასახადების თავიდან არიდების მუხლით.⁵¹⁹ სასამართლომ ამ საქმეში განმარტა, რომ „გადასახადებისათვის თავის არიდების სქემის განხორციელება იწვევს მისი განმახორციელებლების პირად

⁵¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 107¹ მუხლი, პუნქტი 3.

⁵¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 107¹.

⁵¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის გადაწყვეტილება №1/2/378; ფორმალური და ფაქტობრივი ცნების შესახებ დამატებით იხ., ზესარიონ, ზოიძე, მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციულ საზოგადოებებში (საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით), წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 139-208.

⁵¹⁹ ციტირებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილების მიხედვით საქმეზე №ას-1307-1245-2014.

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას“, ე.ი. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულებრივი ქმედების⁵²⁰ განმახორციელებელი იყო ფიზიკური პირი თუმცა იურიდიული პირის სახელით.

საინტერესოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი კონკრეტულად მიუთითებს პასუხისმგებლობის განსაზღვრაზე მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირზე, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირზე ან მათ უფლებამონაცვლეზე. რაც რადიკალურად განსხვავებული მიდგომაა გერმანიისაგან, სადაც საჯარო სამართლის იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხიც იმავე დონეზე წყდება, როგორც კერძო სამართლის პირებისა, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის განსახილველ საკითხს, მაგრამ საინტერესო იქნება სისხლის სამართლის დარგში მოღვაწე მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მოსაზრება თემასთან დაკავშირებით.

4.3.1. პასუხისმგებელი კორპორაციული ოფიცრის დოქტრინა : არსი და მიზანი
RCOD-ის სადამფუძნებლო გადწყვეტილებები ამერიკის შეერთებულ შტატებში 1943 და 1975 წლებში, 30 წლიანი შუალედით მიიღეს. საუბარია, ე.წ. Dotterweich-ისა⁵²¹ და Park-ის⁵²² საქმეებზე, რომელთა ფრგლებში სასამართლო სისტემამ პრეცედენტული გადწყვეტილება მიიღო და პასუხისმგებლობა დააკისრა კორპორაციულ ოფიცრებს, მათ დავემდებარებაში მყოფი მუშაკის გადაცდომის საფუძველზე. აქ საყურადღებო, რომ ორივე შემთხვევაში მთავარი ლაითმოტივი საზოგადოებრივი წესრიგი და ჯანმრთელობაა, ვინაიდან ბრალდებები გამომდინარეობდა „კვების, მედიკამენტისა და კოსმეტიკის აქტი“-დან.⁵²³

ზოგადად, ნებისმიერი კანონი და განსაკუთრებით გარემოსა და საჯარო უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით შინაარსობრივად დაკავშირებულია ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის არსთან. აქედან გამომდინარე, სასამართლოები საერთო სამართლის სისტემებში, ცდილობენ შექმნან საჭიროებისამებრ ისეთი

⁵²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 218.

⁵²¹ საქმე შეერთებული შტატები დოტერვაიხის წინააღმდეგ (United States v. Dotterweich [1943] 320 U.S. 277).

⁵²² საქმე შეერთებული შტატები პარკის წინააღმდეგ (United States v. Park [1975] 421 U.S. 658).

⁵²³ Block, J.B., Voisin, N.A., The Responsible Corporate Officer Doctrine - Can You Go to Jail For What you Don't Do?, Northwestern School of Law of Lewis and Clark College, 1992, 3.

იურსდიქცია, უკვე არსებული თუ ახლად ჩამოყალიბებული დოქტრინების გამოყენებით, რომელიც უპირატესად გაითვალისწინებს საჯარო ინტერესს. ერთ-ერთი ასეთია სწორედ პასუხისმგებელი კორპორაციული ოფიცრის დოქტრინა, რომელიც წარმოადგენს მექანიზმს კრიმინალური პასუხისმგებლობა დაეკისროს კორპორაციულ მენეჯერს სუბორდინირებულ პირთა გადაცდომისათვის.⁵²⁴ არსებობს მოსაზრება, რომ დოქტრინა ერთგვარ ავტორიზაციას⁵²⁵ აძლევს, ზემოთ განხილულ, მეორად დელიქტურ პასუხისმგებლობას, ე.ი. “vicarious liability”-ის,⁵²⁶ ვინაიდან დოქტრინის საფუძველზე პასუხისმგებლობის გაფართოება ხდება „power to prevent“-ის საფუძველზე (პრევენციის შესაძლებლობა), რაც მკაცრი პასუხისმგებლობის დოქტრინის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.⁵²⁷

თეორიული თვალსაზრისით, RCOD დანაშაულებრივი განზრახვის ირიბი მტკიცებულების მექანიზმს წარმოადგენს, თუმცა არ განსაზღვრავს პრინციპებს, რომლის მიხედვითაც დანაშაულებრივი განზრახვა საწარმოს თანამშრომლისაგან ზედამხედველ კორპორაციულ ოფიცერს მიეწერება, ოფიცერს, რომელმაც არც კი იცოდა დარღვევის არსებობის ფაქტის შესახებ.

დოქტრინის ფუძემდებლური ქეისების განხილვა მეტ სიცხადეს შესძენს დოქტრინის არსს. Dotterweich-ის საქმეზე, სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ განზრახვის დადასტურება, ვინაიდან კანონი ნებისმიერ შემთხვევაში აკისრებს მოქმედების ვალდებულებას პირს, რომელიც იკავებს საპასუხისმგებლო პოზიციას და აქვს შესაძლებლობა პრევენციული მოქმედებათა გატარებით ზიანის თავიდან ასაცილებლად. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გამართლებული იყო საჯარო პოლიტიკის მიზნებით. კერძოდ, ნებისმიერ სამართალურთიერთობაში, მიუხადავდ იმისა რა არის მათი მოქმედებათა მიზანი, უნდა განხორციელდეს საჯარო ინტერესის, საზოგადოების კეთილდღეობის უპირატესი ინტერესის

⁵²⁴ Block, J.B., Voisin, N.A., The Responsible Corporate Officer Doctrine - Can You Go to Jail For What you Don't Do?, Northwestern School of Law of Lewis and Clark College, 1992, 3.

⁵²⁵ საქმე ვიტენბერგი გალაგერის წინააღმდეგ (Wittenberg v. Gallagher, [2001] WL 34048121 (Ariz.Ct.App.)

⁵²⁶ Ferzan, K.K., Probing the Depth of Responsible Corporate Officer's Duty, Criminal Law and Philosophy, Forthcoming, 2017, 5. ხელმისაწვდომია: <<https://ssrn.com/abstract=2985467>> [12.07.2024].

⁵²⁷ ზოგიერთი ავტორი საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს და განმარტავს, რომ რეალურად არ არსებობს საკმარისი დოქტრინალური მკიცებულება იმის მხარდასაჭერად, რომ RCOD-ს რაიმე კავშირი აქვს ან არის ერთ-ერთი ფორმა მდპ-ისა; ვრცლად იხ.: Hustis, Gotanda, “The responsible Corporate Officer: designated Felon or Legal Fiction?”, 1994, 171.

გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას შეეძლო პასუხისმგებლობა დაეკისრებინა CEO-სთვის ფიდუციური მოვალეობების, კერძოდ გულისმხიერების მოვალეობის დარღვევისათვის, ხოლო პარტნიორებისათვის დაუდევრობისა და არასწორი მენეჯმენტისთვის, ეს მოთხოვნა სასამართლოს წინაშე არ დაყენებულა, შესაბამისად RCOD-ის გამოყენება სამართლიან გადაწყვეტილებად ჩაითვალა.

მსგავსი ფაქტობრივი გარემოებებით, უკვე თითქმის 30 წლის შემდეგ, სასამართლომ განიხილა Park-ის საქმე, სადაც კომპანია Acme-ს რამდენიმე საწყობში ანტისანიტარიის გამო დასაქმებულების ჯანმრთელობა დაზიანდა. ამის შესახებ ხელმძღვანელი პირი გაფრთხილებული იყო შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების მიერ, რომელმაც თავის მხრივ Acme-ს ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც პასუხისმგებელი იყო ამ საკითხზე, მისცა დავალება გამოესწორებინა ხარვეზი. ხელმძღვანელი ბატონი პარკი, თავად არ მონაწილეობდა მოქმედებებში, რომელმაც გამოიწვია ზიანი, ამიტომ სასამართლოს წინაშე იდგა საკითხი რამდენად შესაძლებელი იყო მასზე იმავე მკაცრი პასუხისმგებლობის გავრცელება, რასაც Dotterweich-ის საქმეზე ჰქონდა ადგილი. აქ სასამართლომ განმარტა, რომ მთავარი საკითხია გადაწყდეს, აქვს თუ არა ბრალდებულს კომპანიაში თავისი პოზიციიდან გამომდინარე უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა იმ სიტუაციაზე, სიიდანაც წარმოიშვა ბრალდება?⁵²⁸ კიდევ უფრო ზუსტად, ზიანის გამომწვევი სიტუაციის პრევენციის შესაძლებლობა, ან მოკლე ვადებში შეცდომის გამსოწორების შესაძლებლობა, და თუ ასეა გააკეთა თუ არა მან ეს.⁵²⁹ სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ პარკის დადანაშაულება მხოლოდ და მხოლოდ მისი კორპორაციული პოზიციიდან გამომდინარე არასწორია.⁵³⁰ ამისათვის მეტია საჭირო ვიდრე უბრალოდ კორპორაციული პოზიცია. ბრალდებულმა უნდა დაადასტუროს, რომ პრევენციული მექანიზმების გატარებას შესაძლოა მაინც არ მოჰყოლოდა სასურველი შედეგი და გონივრული ვარაუდის მიღმა მას შეეძლო დარღვევის პრევენცირება.⁵³¹ გარდა ამისა, პრაქტიკაში ხშირად არის შემთხვევები

⁵²⁸ Block, J.B., Voisin, N.A., The Responsible Corporate Officer Doctrine - Can You Go to Jail For What you Don't Do?, Northwestern School of Law of Lewis and Clark College, 1992, 4.

⁵²⁹ საქმე შეერთებული შტატები პარკის წინააღმდეგ (United States v. Park [1975] 421 U.S. 673-74).

⁵³⁰ Block, J.B., Voisin, N.A., The Responsible Corporate Officer Doctrine - Can You Go to Jail For What you Don't Do?, Northwestern School of Law of Lewis and Clark College, 1992, 4.

⁵³¹ Block, J.B., Voisin, N.A., The Responsible Corporate Officer Doctrine - Can You Go to Jail For What you Don't Do?, Northwestern School of Law of Lewis and Clark College, 1992, 5.

უფლებამოსილების დელეგირებისა, აქედან გამომდინარე მენეჯერები მუდმივად არ არიან საქმის კურსში თუ რას საქმიანობენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირები.⁵³²

მეორე მხრივ კი საჯარო პოლიტიკა მოითხოვს მეტ პასუხისმგებლობას და ფართო პოტენციურ ღიაობას მათგან, ვისი საქმიანობაც შესაძლოა შეეხოს და დააზიანოს უდანაშაულო საზოგადოება.⁵³³

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად კორპორაციული კრიმინალური პასუხისმგებლობის ან სხვაგვარად პასუხისმგებელი კორპორაციული ოფიცრის დოქტრინა არ განსაზღვრავს პრინციპებს ამ დოქტრინათა პრაქტიკაში იმპელემენტაციის რეალიზებისათვის, თავისი დანიშნულებით ამ ინსტიტუტთა როლი საზოგადოებრივი წესრიგისა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია. გერმანიაში ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია კანონის პროექტი კორპორაციული სანქციების შესახებ, რომელიც როგორც დაგეგმილი იყო 2023 წლიდან უნდა შესულიყო ძალაში, თუმცა ის ჯერ კიდევ საპარლამენტო განხილვის სტადიაზეა 2019 წლიდან დღემდე.⁵³⁴

4.3.2. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც პირადი პასუხისმგებლობის დაშვების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო წარმოებაში

დღეს მსოფლიოში არსებობს კონსესუსი იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის კუთხით, თუმცა კი მიდგომები განსხვავებულია, შესაბამისად შემდეგი საკითხია უკვე ამგვარი პასუხისმგებლობის გამოყენება, პარტნიორის ან ხელმძღვანელი პირის პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად. სადავოა არ არის ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას შესაძლოა მოსდევდეს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობაც, რომელიც უკვე სამოქალაქო წარმოებით გრძელდება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს

⁵³² Block, J.B., Voisin, N.A., The Responsible Corporate Officer Doctrine - Can You Go to Jail For What you Don't Do?, Northwestern School of Law of Lewis and Clark College, 1992, 16.

⁵³³ Block, J.B., Voisin, N.A., The Responsible Corporate Officer Doctrine - Can You Go to Jail For What you Don't Do?, Northwestern School of Law of Lewis and Clark College, 1992, 16.

⁵³⁴ Grützner, Th., Momsen, C., Menne, J., Draft Bill on German Corporate Sanctions Act, Compliance Elliance Journal, volume 5, N 2, 2019, 26.

იურიდიულ პირს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში, მხოლოდ იმიტომ, რომ მას უკვე დაეკისრა პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით⁵³⁵.⁵³⁶ შესაბამისად ისმის კითხვა თუ რამდენად არის შესაძლებელი სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი გახდეს პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი უკვე სამოქალაქო წარმოებაში?! პასუხი ცალსახად დადებითი ვერ იქნება, რამდენიმე მიზეზი გამო.

პირველ რიგში, ის რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულია საბოლოო განაჩენი, არ გულისმობს აპრიორი იმას, რომ ბრალდებულის პასუხისმგებლობა სამოქალაქო წესითაც უნდა დაეკისროს. ეს არ არის სავალდებულო, მიუხედავად იმისა რომ ზიანის ფაქტი დამდგარია. საქმე ზიანის ანაზღაურებაზე წარიმართება სამოქალაქო კოლეგიის მიერ, შესაბამისად ამ კოლეგიის მოსამართლეთა შესაფასებელია ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილი მხარეთა შეჯიბრებითობის, სამართლიანობის, მტკიცებულებათა შესაწავლისა და გამოკვლევის შედეგად. ე.ი. სასამართლომ უნდა დაადგინოს ზიანის ფაქტი, მისი მოცულობა, პირის ბრალეულობის საკითხი ზიანის დადგომაში (ქმედება და მიზეზშედეგობრივი კავშირი) თუ ეს ფაქტები განაჩენში არ არის დაზუსტებული⁵³⁷. გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებას არ საჭიროებს მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომელსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს ან დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს მიერ, თუ სხვა სამოქალაქო საქმეში იგივე მხარეები მონაწილეობდნენ.⁵³⁸ „ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენი სამოქალაქო სამართალწარმოებისას წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთად“⁵³⁹.

მეორე რიგში, საკითხი მეტად რთულდება როდესაც საქმე პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ეხება კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში. როგორც

⁵³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 107¹, პუნქტი 7.

⁵³⁶ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2018, 701-702.

⁵³⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 309¹⁷, ნაწილი 1 და 309²⁰ ნაწილი 2.

⁵³⁸ იქვე, მუხლი 106.

⁵³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1158-1104-2014.

უზენაესი სასამართლო მიუთითებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული საბოლოო განაჩენი შესაძლოა მიღებულ იქნეს ერთ-ერთ მტკიცებულებად, რომელიც გამოკვლეულ უნდა იქნეს სხვა დანარჩენ მტკიცებულებებთან ერთად.⁵⁴⁰ სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ „კომპანიის პარტნიორების მიმართ სისხლის სამართლის განაჩენის არსებობა საკმარისი არ არის მათთვის სადავო ვალდებულების უპირობოდ დაკისრებისათვის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარად დამტკიცებულად.“ აქ მნიშვნელოვანია სამართლებრივი საფუძვლის შინაარსი. ზემთხეხებულ საქმეზე განაჩენში ფიქსირდებოდა ზინის მიყენება დელიქტით, თუმცა პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის სადამფუძნებლო ნორმას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს, კერძოდ სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება⁵⁴¹. ამგვარად, სასამართლომ უნდა იმსჯელოს და დაადგინოს, რამდენად შეესაბამება პარტნიორის ქმედება „ბოროტად გამოყენების“ ცნებას და შესაბამისად გადაჭრას ქონებრივი პირადი - გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი.

ხელმძღვანელი პირის შემთხვევა არ იქნება განსხვავებული, თუმცა ცალსახად განსხვავებულია პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი კორპორაციულ სამართლებრივ კონტექსტში. აქ კეთილსინდისიერების, ზოგადად მასზე დაკისრებული ფიდუციური მოვალეობების⁵⁴² დარღვევის საფუძველზეა შესაძლებელი პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

4.4. შუალედური დასკვნა

ხელმძღვანელი პირის პოზიციიდან მისი უდიდესი მნიშვნელობიდან სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობაზე, გამომდინარეობს ამ პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების განმსაზღვრელი მრავალფეროვანი მიდგომა. დაწყებული ფიდუციური მოვალეობებიდან, დასრულებული პასუხისმგებელი კორპორაციული ოფიცრის დოქტრინით და სხვა მკაცრი პასუხისმგებლობის ინსტიტუტებით. ნებისმიერ

⁵⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014.

⁵⁴¹ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 26, პუნქტი 2, მუხლი 148 და 176.

⁵⁴² საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 50.

შემთხვევაში, ხელმძღვანელი პირის და ზოგადად მენეჯერული პოზიციის მქონე პირის მხრიდან უფლება-მოვალეობათა განხორციელება აუცილებლად კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპის განუხრელი დაცვით უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქნება ეს სამოქალაქო სამართლებრივი, ადმინისტრაციულ თუ სისიხლისსამართლებრივი, პასუხისმგებლობა შეუქცევადი იქნება.

VI. Lex lata და ახალი ჩანაწერი კანონში

5. რეფორმის პერსპექტივა - დესკრიფციულ დონეზე

საქართველოში საკორპორაციო სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება ხაგრძლივ ისტორიას უკავშირდება, რომელსაც მეცნიერები სამლოგიკურ ფაზად ყოფენ: 1994 წლიდან 2008 წლამდე; 2008 წლიდან 2021 წლამდე და 2021 წლიდან დღემდე.⁵⁴³ სწორედ კანონის განვითარების მესამე ფაზა ე.ი. 2021 წლიდან დღემდე, უკავშირდება კანონის ძირეულ რეფორმას. შეიქმნა სრულიად ახალი კანონის ტექსტი, რომელიც ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ასახვას წარმოადგენს საკორპორაციო სამართლის მიმართულებით.⁵⁴⁴ რეფორმის მიზანი იყო დეტალური, თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებზე მორგებული საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, ვინაიდან 2008 წლის ცვლილებებმა ღიად დატოვა რიგი საკითხები, რაც ართულებდა კორპორაციული ურთიერთობების მონაწილეთათვის კონკრეტული გადაწყვეტილების⁵⁴⁵ ან ქმედების შესაძლო შედეგის განჭვრეტას; პარტნიორებს მისცა სრული თავისუფლება თავად დაერეგულირებინათ საქმიანი ურთიერთობები წესდებით, რამაც მრავლად შექმნა კოლიზიური შემთხვევები, რომელთა აღმოფხვრას კანონი ვერ ახერხებდა, რასაც შედეგად ხანგრძლივი და ძვირადღირებული დავები მოჰქონდა. კანონის ადრეული რედაქცია

⁵⁴³ ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ., თოხაძე, ა., ზუბიტაშვილი, ნ., ალადაშვილი, გ., ეგნატაშვილი, დ., მაღრაძე, გ., საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო, მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2023, 20.

⁵⁴⁴ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, დანართი XXVIII, კორპორაციული სამართალი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>> [12.07.2024].

⁵⁴⁵ ხიტერი, ბ., კორპორაციული მართვის თეორიები: სამართლებრივი ანალიზი, თსუ სამართლის ჟურნალი, №2, 2017, 189.

ვერ ასრულებდა საკორპორაციო ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ინსტრუმენტის როლს, ამიტომ რეფორმის მიზნად იქცა ძირითადი სტანდარტების დანერგვა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობებისათვის, თუმცა და მოქნილობის შენარჩუნებით ე.ი. დისპოზიციური ნორმების ზომიერი და დაბალანსებული გაწერა, რამაც უნდა აღმოფხვრას კანონში გაჩენილი ვაკუუმი სადავო საკითხების სათანადო განხილვისა და გადაწყვეტისათვის. კანონზე მომუშავე ექსპერტთა და სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლების მთავარი ამოცანა იყო შიდა კორპორაციული ურთიერთობების დეტალური მოწესრიგება, გამჭვირვალობის ზრდა, კეთილსინდისიერების ცნების განსაზღვრა, ევროპული სტანდარტის შესაბამისი, თანამედროვე მეთოდებზე დაფუძნებული კანონმდებლობის შექმნა.⁵⁴⁶

5.1. ცვლილების არსი და შედეგი - ემპირიული მოსაზრება

ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, მომხდარიყო ეროვნული კანონმდებლობის იმგვარი დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო აქციონერთა, კრედიტორთა და სხვა მონაწილეთა დაცვა ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ეს უკანასკნელი გამორჩეულად საინტერესოა წინამდებარე ნაშრომისათვის, ვინაიდან ერთის მხრივ გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი, როგორც ასეთი პარტნიორთა დაცვას ნაკლებად, თუმცა კრედიტორთა პოზიციის გაძლიერებას ნამდვილად ემსახურება, ვინაიდან ამ დოქტრინის წყალობით კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების ალბათობა ერთიორად იზრდება. თუმცა ამ მიმართულებით კანონში არსებითი ცვლილება არ შესულა. როგორც წინა რედაქციაში, პარტნიორთა/აქციონერთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგში დგება ისევ და ისევ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის⁵⁴⁷ ან დომინანტური მდგომარეობის⁵⁴⁸ ბოროტად გამოყენებისათვის. მიუხედავად კანონპროექტის მიზნისა დეტალური მოწესრიგება და მათ შორის კანონისმიერი სტანდარტი დაედგინა სხვადასხვა მიმართულებით, ერთ-ერთი პრობლემური პირადი პასუხისმგებლობის, ყველაზე

⁵⁴⁶ განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე; <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673?fbclid=IwAR0nXhZEffq-HxX8u3W4Zzk5WERw9jsU3F7npJRigbfTKgDhx4ItA8bFqs>>, [12.07.2024].

⁵⁴⁷ მშკ, მუხლი 26, პუნქტი 2.

⁵⁴⁸ მშკ, მუხლი 148 და 176.

ბუნდოვანი დოქტრინის - გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი, არ იქნა გათვალისწინებული.

ცვლილებებს ითვალისწინებს კანონი ხელმძღვანელის კორპორაციული მოვალეობების⁵⁴⁹ განსაზღვრის კუთხით, სადაც უფრო მეტი კონკრეტიზაციაა ფიდუციური მოვალეობების შესახებ. კერძოდ, კეთილსინდისიერების მოვალეობა - რაც მოიცავს ზრუნვის მოვალეობის⁵⁵⁰ გენერალურ დეფინიცია და ამასთან, ზრუნვის მოვალეობას განსაკუთრებულ პირობებში,⁵⁵¹ ერთგულების მოვალეობის ფართო ცნებას, სადაც მოიაზრება - კონკურენციის აკრძალვა,⁵⁵² საქმიანი შესაძლებლობების მითვისების აკრძალვა⁵⁵³ და ინტერესთა კონფლიქტი⁵⁵⁴. კანონის ძველი რედაქცია მოვალეობათა ამ ჩამონათვალს ითვალისწინებდა, თუმცა ახალმა კანონმა დამატებით შემოიტანა მრავალი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში უკვე საფუძვლიანად ფესვგამდგარი ინსტიტუტი - „Business Judgement Rule“ (BJR), ე.ი. „სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების“ წესი, ან პირდაპირი თარგმანით „სამეწარმეო განსჯის წესი“⁵⁵⁵ რომელიც საწყისს ამერიკულ სასამართლო პრაქტიკის სივრცეში იღებს.⁵⁵⁶ BJR-ი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც მიზნად ისახავს ხელმძღვანელთა მაქსიმალურ დაცვას პირადი პასუხისმგებლობისაგან სამართლიანობის შენარჩუნების პირობებში. ამ ინსტიტუტის ფარგლებში გამოირიცხება ხელმძღვანელის მხრიდან ფიდუციური ვალდებულებების დარღვევა, რომლის მტკიცების ტვირთი ლოგიკურია, აკისრია თავად ხელმძღვანელს, მან უნდა ამტკიცოს, რომ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის ფარგლებში მიღებულ იქნა საკმარისი ცოდნის, სანდო ინფორმაციისა და სამეწარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. შემთხვევითი არაა, რომ ამ ინსტიტუტის ქართული

⁵⁴⁹ განმარტებითი ბარათი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე; <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673?fbclid=IwAR0nXhZEffq-HxX8u3W4Zzk5WERw9jsU3F7npJRigbfTKgDhx4JtnA8bFqs>>, [12.07.2024].

⁵⁵⁰ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 50.

⁵⁵¹ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 51.

⁵⁵² იქვე, მუხლი 53.

⁵⁵³ იქვე, მუხლი 54.

⁵⁵⁴ იქვე, მუხლი 208.

⁵⁵⁵ მაისურაძე, დ., სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მაგალითზე), საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი I, თბილისი, 2011, 121.

⁵⁵⁶ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 219.

შესატყვისი „სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების“ წესია, ვინაიდან მისი საშუალებით არა უბრალოდ ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის ნაწილში იკვეთება დაცვის მექანიზმი, არამედ ის ფართო გაგებით და არაპირდაპირ სამეწარმეო საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელ პირთა „თავისუფალ“ საქმიანობაზე დამოკიდებულია საწარმოს კეთილდღეობა და პარტნიორთა/აქციონერთა ფინანსური დოვლათის გაზრდაც. თუ დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხი ნებისმიერი გადაცდომის შემთხვევაში დადგება, ეს გააჩენს შიშს მენეჯერებში და ისინი თავს შეიკავებენ წავიდნენ სამეწარმეო რისკზე. სხვა სიტყვებით, ზოგადად ბიზნესი არ არის ზუსტად დაანგარიშებადი მოვლენათა ჯაჭვი, ეს ცოცხალი პროცესია და ყოველთვის არსებობს რისკი,⁵⁵⁷ რისკი იმისა, რომ რაიმე წამოწყება არ დასრულდება ისეთი წარმატებით, როგორი მოლოდინიც იყო, ან სრულიად წარუმატებელი აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე უნდა არსებობდეს ლოგიკური სტანდარტი, დაცვის მექანიზმი ხელმძღვანელთათვის, რათა მათ არ შეიკავონ თავი სარისკო გადაწყვეტილების მიღებისაგან, ვინაიდან ეს შეაფერხებს სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობას, გაზრდის პარტნიორთა ხარჯებს⁵⁵⁸ და უარყოფით ზეგავლენს მოახდენს ფინანსურ ნაწილშიც.

ზოგადად, სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელის საქმიანობა განუსაზღვრელად დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. სწორედ, გადაწყვეტილების თავისუფლად მიღების პირობიდან გამომდინარეობს ეს რისკები (და არა მხოლოდ) და არასასოდეს არის შესაძლებელი წინასწარ დადგინდეს ზუსტი შედეგები⁵⁵⁹ ამათუ იმ ბიზნესს ინიციატივისა.⁵⁶⁰ როგორც პროფესორები ბეინბრიჯი და ჰენდერსონი წერენ, „რისკი და შემოსავალი განუყოფელია. პირი ვერ მიაღწევს მაღალ შემოსავლებს დიდ რისკზე

⁵⁵⁷ ლუთერი, მ., სააქაციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა, II ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი, 2003, 25.

⁵⁵⁸ Aman, M. T., Cost-Benefit Analysis of the Business Judgement Rule: A Critique in Light of the Financial Meltdown, Albany Law Review, volume 74, N1, 2011, 4, < <https://www.albanylawreview.org/article/69537-cost-benefit-analysis-of-the-business-judgment-rule-a-critique-in-light-of-the-financial-meltdown> >.

⁵⁵⁹ ლუთერი, მ., სააქაციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა, II ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი, 2003, 21.

⁵⁶⁰ მაისურაძე, დ., სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მაგალითზე), საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი I, თბილისი, 2011, 140.

წასვლის გარეშე“.⁵⁶¹ BJR-ის ინსტიტუტი ამ რისკის სამართლიანად შემცირებას ცდილობს, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული და მომავალი ხელმძღვანელი პირები არ მოინდომებენ ამ საქმიანობას მიჰყონ ხელი,⁵⁶² რაც შედეგობრივად დააზარალებს ბიზნესს სექტორს, რომელსაც კვალიფიციური კადრები მოაკლდება. კიდევ ერთხელ, აქ არ არის საუბარი სწორ და არასწორ გადაწყვეტილებებზე, ასეთი ცნება უბრალოდ არ არსებობს ბიზნესში. საუბარია გადაწყვეტილებაზე, რომელიც, როგორც ახალი კანონის ჩანაწერი განმარტავს, შესაძლოა იყოს რისკიანი, მაგრამ ხელმძღვანელი პირი გონივრულად ვარაუდობდა, „რომ იგი სამეწარმეო გადაწყვეტილებას საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, სამეწარმეო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე იღებდა“⁵⁶³.

ესეც რომ არ იყოს, ხელმძღვანელებს „საბაზრო მექანიზმები, კერძოდ, კაპიტალის ბაზარი და კორპორაციული კონტროლის ბაზარი, უკვე უზრუნველყოფს ზრუნვის საკმარისი სტიმულირებით“.⁵⁶⁴ როგორც მარტინ ლუთერი განმარტავს, „შრომითი პოტენციალის ასამოქმედებლად ოდითგანვე ორი ელემენტი არსებობს: შაქარი და მათრახი, ე.ი. ღირსეული ანაზღაურება და პასუხისმგებლობის დაკისრების რისკი“⁵⁶⁵. დღეს კორპორაციულ მენეჯერებს სოლიდური ანაზღაურება აქვთ სწორედ მაღალი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა მათი მხრიდან რეპუტაციის შელახვა განზარხი ქმედებით. თუმცა რა თქმა უნდა ეს უკანასკნელიც ვერ იქნება აბსოლუტურად გამორიცხული. შესაბამისად, მათ მიერ მიღებული გონივრული გადაწყვეტილებისათვის, საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, ინტერესთა კონფლიქტისა და გაუმართლებელი რისკის გარეშე, არ უნდა გახდეს პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ამ მიზანს

⁵⁶¹ Bainbridge, S., Henderson, T. M., *Limited Liability, A Legal and Economic Analysis*, Edward Eldar publishing, UK, USA, 2016, 47. ასევე იხ.: Ronald J. Gilson, *Value Creation by Business Lawyers: Legal Skills and Asset Pricing*, Yale Law Journal, N97, 1984, 239, 313.

⁵⁶² Aman, M. T., *Cost-Benefit Analysis of the Business Judgement Rule: A Critique in Light of the Financial Melt-down*, Albany Law Review, volume 74, N1, 2011, 3, < <https://www.albanylawreview.org/article/69537-cost-benefit-analysis-of-the-business-judgment-rule-a-critique-in-light-of-the-financial-meltdown> >.

⁵⁶³ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 51, პუნქტი 1.

⁵⁶⁴ Aman, M. T., *Cost-Benefit Analysis of the Business Judgement Rule: A Critique in Light of the Financial Melt-down*, Albany Law Review, volume 74, N1, 2011, 3, < <https://www.albanylawreview.org/article/69537-cost-benefit-analysis-of-the-business-judgment-rule-a-critique-in-light-of-the-financial-meltdown> >.

⁵⁶⁵ ლუთერი, მ., სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა, II ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი, 2003, 13.

ემსახურება ახალ კანონში შეტანილი ცვლილება, რომელიც გერმანული სს-სა და შპს-ს მარეგულირებელი აქტების გავლენას უნდა განიცდიდეს.

როგორც ითქვა, მართალია BJR-ი ამერიკის სამოსამართლო სამართლის ქმნილებაა, რომელიც მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე მრავალი ქვეყნის და მათ შორის, კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებშიც მოხდა მისი იმპლემენტირება, თუმცა ის დღემდე არაა კოდიფიცირებული თავად ამერიკაში. ამისგან განსხვავებით, გერმანიაში სს-ის⁵⁶⁶ და შპს-ის⁵⁶⁷ მომწესრიგებელი სპეციალური კანონები განსაზღვრავენ გულმოდგინე ხელმძღვანელის ცნებას და მის პასუხისმგებლობას ავიწროვებენ სწორედ სამეწარმეო გადაწყვეტილების განსჯის წესით.

5.2.de lege, ახალი რედაქცია და მისი ხარვეზები

მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის მიხედვით, ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხი დგება მათ მიერ კეთისლდისიერების - გულმოდგინე ხელმძღვანელის მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში. თუმცა პრობლემა დგას შემდეგში: რა ხდება როდესაც ხელმძღვანელი პირის პირადი აქტივი არ არის საკმარისი ზიანის ასანაზღაურებლად ან/და მისი ქმედებით დაზარალდა მესამე პირი? მოქმედი კანონის მიხედვით საწარმოს პარტნიორს შეუძლია დერივაციული სარჩელი⁵⁶⁸ აღძრას დირექტორის წინააღმდეგ საზოგადოების სასარგებლოდ და საზოგადოების მოთხოვნიდან გამომდინარე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დიახ, მაგრამ აქტივის უკმარისობის გამო რეალურად გადაწყვეტილება პარტნიორთა სასიკეთოდ რომც დადგეს აღსულების პრაქტიკული შესაძლობლობა უბრალოდ არ იარსებებს.

ახლა მეორე შემთხვევა, როდესაც დაზარალებული მესამე პირია. ხელმძღვანელი მოქმედებს საზოგადოების სახელით, მისი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობებშიც და ლოგიკურია მესამე პირს მოთხოვნის დაყენების უფლება უნდა ჰქონდეს უშუალოდ კომპანიის მიმართ. თუმცა თუ ხელმძღვანელის განზრახი ან

⁵⁶⁶ გერმანიის კანონი სააქციო საზოგადოების შესახებ, AktienGesellschaft (AG) § 93.

⁵⁶⁷ გერმანიის კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ, Gesellschaft mit beschränkter Haftung (GmbH), §43.

⁵⁶⁸ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 147 და 222.

გაუფრთხილებელი არაკანონიერი ქმედებით დადგა ზიანი, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს კრედიტორი მესამე პირისთვის აირჩიოს მოპასუხე ან ორივე მათგანის სოლიდარული და პირადი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს. ქართულ რეალობაში სამწუხაროდ ხშირად არის შემთხვევები როდესაც არც კომპანიაა საკმარისად კაპიტალიზირებული და არც ხელმძღვანელის პირადი აქტივი თამაშობს რაიმე როლს ზიანის ანაზღაურებაში. შედეგად ვიღებთ სასამართლო გადაწყვეტილების ფარატინა ფურცელს. მეტიც, კიდევ უფრო რთულ სიატუაციაში, როდესაც მმართველი ორგანოს რომელმე წევრი, იქნება ეს სამეთვალყურეო საბჭო, ბორდი, ან სხვა, კომპანიის ფარგლებში შექმნილი ორგანო, ან თუნდაც უბრალოდ ერთ-ერთი „წარმომადგენელი“ კომპანიისა, რომელიც წესდებით განსაზღვრულ მოვალეობებს არ ასრულებს, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობაშია კომპანიასთან და მოქმედებს მისი სახელით კონკრეტული დავალებების შესასრულებლად (ამ დავალებათა და ვალდებულებათა მოცულობას ამ ჭრილში მნიშვნელობა არ აქვს). ასეთი პირების მოქმედების შედეგად დამდგარი ზიანი პირდაპირია, სამოქალაქო კოდექსის დელიქტის ნორმის საფუძველზე. მოთხოვნის ავტორი, მესამე პირი აღძრავს სარჩელს დელიქტის ჩამდენის წინააღმდეგ, რაზეც კომპანიას პასუხისმგებლობის ტარების ვალდებულება არ აქვს, ვინაიდან მოქმედების განმახორციელებელი გასცდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა საზღვრებს რამაც გამოიწვია დელიქტი. მესამე პირი რჩება სავარაუდოდ გადახდისუუნარო მოვალის წინაშე. ვინაიდან ახალი კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი პარტნიორთა და კრედიტორთა დაცვის მექანიზმების შემუშავება და სრულყოფაა, ხო არ უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ნორმა ამ კუთხით?! კონკრეტულად, წარმოებული დელიქტური პასუხისმგებლობა?! ან სხვაგვარად მკაცრი პასუხისმგებლობა?!

5.3. რეკომენდაციები

იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნეს რეფორმის მიზანი მიღწეული, კონკრეტულად კი მოხდეს კრედიტორთა დაცვის მექანიზმების სრულყოფილი ჩამოყალიბება, წინა თავებში განხილული ინსტიტუტის - მკაცრი პასუხისმგებლობის დანერგვა კორპორაციულ ურთიერთობებში მეტად გაამყარებდა კრედიტორთა უსაფრთხოებას. პირველ რიგში აუცილებლად უნდა ღინიშნოს, რომ ნებისმიერი სამართლის სისტემა,

იქნება ეს საერთო სამართლისა თუ კერძო სამართლის ქვეყნები, პასუხისმგებლობას აფუძნებენ ბრალზე, რაც ცალსახად სამართლიანი და ლოგიკურია.⁵⁶⁹ მაშასადამე, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ხდება დელიქტის ჩამდენი პირის მიერ. ანალოგიური მიდგომის გამზიარებელია როგორც გერმანული სამოქალაქო კოდექსი⁵⁷⁰, ასევე ამერიკული, ინგლისური და ფრანგული კოდექსებიც. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში, გაჩნდა მოსაზრება დაზარალებულთათვის კომპენსაციის მიღების მაქსიმალური უზრუნველყოფისათვის, სამართალმა ისინი უნდა აღჭურვონ საშუალებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არა მხოლოდ დელიქტის ჩამდენი პირის მიმართ წარადგინონ, არამედ მისი ხელმძღვანელი პირის მიმართაც. ამერიკაში ამას მკაცრ პასუხისმგებლობას, გერმანიაში ნაწარმოებ, მეორად დელიქტურ პასუხისმგებლობას უწოდებენ, იმ განსხვავებით რომ, ამერიკაში მას ბრალზე დაფუძნებულ პასუხისმგებლობას არ უწოდებენ⁵⁷¹, ხოლო გერმანიაში, სადაც „არ არსებობს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე“⁵⁷², ბრალის ნაწილს ავრცელებენ ხელმძღვანელ პირზე, რომელმაც ვერ გამოიჩინა საკმარისი ცოდნა, გულისხმიერება დაქვემდებარებული პირის დასანიშნად (დელიქტის ჩამდენი). გერმანულ სამოქალაქო კოდექსში 31-ე და 831-ე პარაგრაფები, დელიქტურ ნორმათა ტანდემში, შესაძლებლობას აძლევენ კრედიტორს თავად განსაზღვროს მოპასუხე მხარე.

ანალოგიურად, ეროვნული კანონმდებლობის პირობებში, წევრთა ბრალეული მოქმედებისათვის გაერთიანებათა პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის არსებობის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა დელიქტის დამაფუძნებელ ნორმასთან ტანდემში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენება არა მხოლოდ ბრალის ჩამდენი პირის მიმართ ყოფილიყო შესაძლებელი, არამედ მისი ხელმძღვანელის, დამსაქმებლის, უშუალო უფროსის მიმართაც, რაც ერთი-ორად გაზრდიდა კრედიტორის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ამასთან ასეთი ჩანაწერი წაახალისებდა ხელმძღვანელთა მხრიდან მეტ სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც საჯარო საზოგადოების, ასევე დასაქმებულთა მიმართებით.

⁵⁶⁹ Giliker, P., *Vicarious Liability in Tort: a Comparative Perspective*, Cambridge University press, 2010, 2.

⁵⁷⁰ BGB §223.

⁵⁷¹ Keating, G. C., *The Theory of Enterprise Liability and Common Law Strict Liability*, *Vanderbilt Law Review*, volume 54, issue 3, 4-2001, 1285-1292.

⁵⁷² Zimmermann, H., *Roman Law, Contemporary Law, European Law: The Civilian Tradition Today*, Oxford University Press, 2001, 114.

კითხვას, თუ სად და რა ფორმულირებით უნდა ჩამოყალიბდეს ნორმა, შესაძლოა ისევ გერმანუკი მიდგომით გაეცეს პასუხის. ვინაიდან ნორმის შინაარსი შესაძლებელია გავრცელებულ იქნეს როგორც კომერციულ ასევე არაკომერციულ იურიდიულ პირებზე, ალბათ ამიტომ ჩათვალა საჭირო გერმანელმა კონმდებელმა, 31-ე პარაგრაფის სამოქალაქო კოდექსის იურიდიული პირების ნაწილში მოეთავსებინა. ეროვნული კანონმდებლობა მსგავსჩანაწერს არ ითვალისწინებს, თუ არ ჩავთვლით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლს, რომელზეც შეიძლება ითქვას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლები ამისამართებს, კონკრეტულად ეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. მართალია ეს ჩანაწერი პასუხობს მდკ-ს არსს, თუმცა არ ვრცელდება კერძო პირებზე, აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნება ახალი ჩანაწერის გაკეთება სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში იურიდიული პირების თავში, ვინაიდან მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მხოლოდ კომერციული იურიდიული პირების რეგულირებას მოიცავს, ამიტომ უსამართლო იქნება მკაცრი ანდა მეორადი დელიქტური ვალდებულების მხოლოდ მეწარმე სუბიექტებზე გავრცელება.

VII. დასკვნა

ნაშრომში განხილულია კომერცილი იურიდიული პირის, კერძოდ კაპიტალური ტიპის საზოგადოების მნიშვნელოვანი ელემენტი - შეზღუდული პასუხისმგებლობა, როგორც სოციალურ-ფილოსოფიურ, ასევე სამართლებრივ ჭრილში. წარმოჩენილია ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების ისტორიული მხარე მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. მიმოხილულია შეზღუდული პასუხისმგებლობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პოზიციები, რაც დღემდე წარმოადგენს განხილვისა და კამათის საგანს. როგორც ოდითგანვე ივარაუდებოდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობისა და დადებითი იმპაქტის მიუხედავად, შესაძლოა მას მოჰყოლოდა რიგი გაუთვალისწინებელი და უსამართლო შედეგები, როგორც შიდა-საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ასევე ზოგადად საჯარო საზოგადოებისათვის. სწორედ ამ უსამართლობის აღკვეთისა და პრევენციის მექანიზმად მოევლინა სამართლებრივ სივრცეში გამჭოლი პასუხისმგებლობის საგამონაკლისო ღონისძიება, რომელიც

მჭიდროდ არის დაკავშირებული კორპორაციული პიროვნულობისა და მისი წევრების განცალკევებულობის კონცეფციასთან.

მომდევნო თავები კონკრეტულად ამ საგამონაკლისო დოქტრინის, გამჭოლი პასუხისმგებლობის არსისა და სამართლებრივი საფუძვლების შედარებით სამართლებრივ პერსპექტივას დაეთმო, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მრავალი მეცნიერის მოსაზრება გამჭოლი პასუხისმგებლობის, როგორც არათანმიმდევრული, სადავო და ბუნდოვანი ინსტიტუტის არსი. თუმცა, მიუხედავად ბუნდოვანებისა, დღესდღეობით მრავალი ქვეყნის სამოსამართლო პრაქტიკა და სამართლებრივი აქტი მოიცავს გამჭოლი პასუხისმგებლობას და თანხმდება მისი გამოყენების აუცილებლობაზე, როგორც საგამონაკლისო, მაგრამ გარდაუვალ მექანიზმზე რიგ შემთხვევებში სამართლიანობის აღსადგენად თუ შესანარჩუნებლად. წარმოჩენილ იქნა აქტუალური სამართლებრივი საფუძვლები გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისათვის მიმდინარე სამათალწარმოებაში, მათ შორის ამერიკის სამართალში ჩამოყალიბებული ალტერ ეგოსა და ინსტრუმენტალობის თეორია და კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ შეუძლებელია უნიფიცირებული, საერთო სტანდარტის ჩამოყალიბება ამ მიმართულებით და აუცილებელია სასამართლომ ყოველი საქმის ფარგლებში ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით მიიღოს ეს უკიდურესი გადაწყვეტილება, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართლის სხვა ნორმა-რეგულაცია უძლურია აღადგინოს ობიექტური სამართლიანობა.

პირადი პასუხისმგებლობის პრობლემური საკითხები ასევე წარმოჩინდა კორპორაციულ ჯგუფებში, სადაც განსაკუთრებით მშობელ-შვილობილ კომპანიათა კონტექსტში იჩენს თავს დომინაციისა და აშკარა კონტროლის პრობლემა. თუმცაღა ამ ნაწილში ეროვნული პრაქტიკა ნაკლებად არის ჩამოყალიბებული, რაც სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის დიდი საკორპორაციო ჯგუფების, კონცერნების სიმწირით არის განპირობებული.

ამავდროულად, პატნიორის/აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის პარალელურად განხილულ იქნა ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის პრობლემა, რომელიც გარდა ფიდუციურ მოვალეობათა დარღვევის სამართლებრივი საფუძვლებისა, შესაძლოა პასუხისმგებელი იქნეს მათ მიერ არასაკმარისად კომპეტენტური პირის კონკრეტულ პოზიციაზე დანიშნისათვის, ამ უკანასკნელის მიერ ზიანის გამოწვევის

შემთხვევაში, რაც მეორადი დელიქტური ვალდებულების სახელწოდებით იქნა წარმოდგენილი. ეს მიდგომა აორმაგებს დაზარალებულის, კრედიტორის, უნებლიე კრედიტორის შანსებს მიიღოს სამართლიანი კომპენსაცია, არა მხოლოდ უშუალოდ ბრალის მქონე პირისაგან, არამედ მისი ხელმძღვანელისაგან და კიდევ უფრო ფართო სურათის შემთხვევაში, სამეწარმეო საზოგადოებისაგან. ეს უკანასკნელნი კი თავის მხრივ რეგრესის წესით ანაზღაურების ლეგიტიმური უფლებით ისარგებლებენ.

მეორადი დელიქტური ვალდებულების კვალდაკვალ ნაშრომში განხილულია პასუხისმგებელი კორპორაციული ოფიცრის დოქტრინა, რომელიც პასუხისმგებლობის დაკისრებას გულისმობს კორპორაციულ მენეჯერებზე მათ სუბორდინირებულ პირთა გადაცდომისათვის.⁵⁷³ ეს მიდგომა, მსგავსად მეორადი დელიქტური ვალდებულებისა, მკაცრი პასუხისმგებლობის დოქტრინის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს,⁵⁷⁴ რაც „power to prevent“, ე.ი. პრევენციის გატარების შესაძლებლობის პრინციპითაა განპირობებული.

ბოლოს კი წარმოდგენილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში გათვალისწინებული პირადი პასუხისმგებლობის, ამ შემთხვევაში გამჭოლი პასუხისმგებლობის კანონისმიერი საფუძვლები და ამასთან, კანონის სიახლე სამეწარმეო გადაწყვეტილების განსჯის წესთან მიმართებით. რეკომენდაციის სახით კი შემოთავაზებულ იქნა, მენეჯერულ პოზიციაზე, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელ პირთა მიმართ პასუხისმგებლობის გამკაცრების წინადადებები, რაც თავსებადობაში უნდა მოდიოდეს ეროვნული კანონმდებლობის, როგორც ევროპულ რეგულაციებთან დაახლოების კუთხით, ასევე რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზნის - კრედიტორთა დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბების მხრივ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი სასამართლო სისტემა მაინც გულგრილია გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენების მიმართ, ან არსებობს შიში, არ გასცდეს ყოველივე სამართლიანობის ჩარჩოებს. მიუხედავად 2014-2015 წლის პრეცედენტული გადაწყვეტილებებისა ამ მიმართულებით, და არსებობს ეჭვი, დოქტრინის საერთო სისტემის არ არსებობის პირობებში, მომჩივანთა

⁵⁷³ Block, J.B., Voisin, N.A., The Responsible Corporate Officer Doctrine - Can You Go to Jail For What you Don't Do?, Northwestern School of Law of Lewis and Clark College, 1992, 3.

⁵⁷⁴ Hustis, Gotanda, "The responsible Corporate Officer: designated Felon or Legal Fiction?", 1994, 171.

უმრავლესობას უარი ეთქვა გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებაზე, ასევე ზემდგომ ინსტანციებშიც. თუმცა, დღევანდელი სწრაფად განვითარებადი და ცვლადი ეკონომიკის, მათ შორის კაპიტალური ბაზრის მომძლავრების პირობებში, არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი მრავალფეროვანი პრაქტიკის შექმნისა, რისთვისაც ბოლო პერიოდში გერმანიაში ჩამოყალიბებული მიდგომები გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების თვალსაზრისით გამართლებული იქნება.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი, 24/12/1998

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22/07/1999

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, 02/08/2021

ქართულენოვანი ლიტერატურა

ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2018, 701-702, 821-827.

ალადაშვილი, გ., დისერტაცია თემაზე: ალტერ ეგოს დოქტრინის გავლენა თანამედროვე კაპიტალური საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, სამართლებრივ კონსტრუქციაზე, ხელმძღვანელი ი. ბურდული, 2021, 172-179, 200-205.

ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, თბილისი, ტომი I, 2010, 152.

ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, თბილისი, ტომი III, 2015.

ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბ., 2009, 236-247, 254, 266-269.

ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ., თოხაძე, ა., ზუბიტაშვილი, ნ., ალადაშვილი, გ., ეგნატაშვილი, დ., მაღრაძე, გ., საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო, მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2023, 20.

ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ., სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალიზაციის სამართლებრივი რეგულირება, მერიდიანი, თბილისი, 2023, 123-124.

ბურდული, ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, გვ.236-247.

ზოიძე, ბ., მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციულ საზოგადოებებში (საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით), წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 65-83, 128-208.

ზუბიტაშვილი, ნ., დისერტაცია თემაზე: პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, ხელმძღვანელი ი. ბურდული, 2016, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nona_zubitashvili.pdf>, [12.07.2024].

ლუთერი, მ., სააქაციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა, II ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი, 2003, 13, 21-25, 34.

მაისურაძე, დ., სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მაგალითზე), საკორპორაციო სამართლის კრებული, ტომი I, თბილისი, 2011, 116, 121, 140.

მალრაძე, გ., მეწარმე სუბიექტის დირექტორის/ხელმძღვანელისა და პარტნიორის/აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხისათვის, თსუ სამართლის ჟურნალი N1, რედ. . ბურდული, 2017, 144-166.

ნოლაიდელი, ვ., ხელმძღვანელ პირთა კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის შესაბამისად, უპირატესად ზრუნვის მოვალეობის კონტექსტში), საკორპორაციო სამართლის კრებული IV, მერიდიანი, 2023, 224.

ოხანაშვილი, ა., იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სამართლის ჟურნალი №2, რედ. ზოიძე, ბ., 2009, 185.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, სამართალი, თბილისი, 2001, 400-401.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების (სუსგ) №ას-1307-1245-2014 მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1338-1376-2014, 23.

ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 202-219.

ხარაიშვილი, ა., გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში, თსუ სამართლის ჟურნალი №2, 2017, 141.

ხიტირი, ბ., კორპორაციული მართვის თეორიები: სამართლებრივი ანალიზი, თსუ სამართლის ჟურნალი, №2, 2017, 189.

სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/36-7, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=43>>, [12.07.2024].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/378, საქართველოს პარლამენტი ვალერი გელაშვილის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის გადაწყვეტილება №1/2/37.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-899-1185-09.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/543.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n78-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>>, [12.07.2024].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1158-1104-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1722-2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-556-202.

უცხოენოვანი ნორმატიული მასალა

Strafgesetzbuch, 15/05/1871

Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung, 20/04/1892

Bürgerliches Gesetzbuch, 18/08/1896

Handelsgesetzbuch, 10/05/1897

Delaware General Corporate Law, 1899

Economic Offenses Act of 1949 (Gesetz zur Vereinfachung des Wirtschaftsstrafrechts)

Gesetz zur Vereinfachung des Wirtschaftsstrafrechts, 09/07/1954

AktienGesellschaft, 06/09/1965

Insolvency Code of Germany, 05/10/1994

Company Law Directive 2017/1132/EU

Directive (EU) 2017/1132 of the European Parliament and of the Council of 14/06/2017

Verbandssanktionengesetz (კანონპროექტი)

Adam, L., Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court Descision in Prest v Petrodel Resources Ltd Leads us Nowhere, The King's Student Law Review, Vol. 5, No. 2, 2014, 68-69-71-72-73-74-77-78.

Allahverdiyev, S., Othman, M., “Verbandssanktionengesetz” — Corporate Liability for Germany?, Cambridge University Press, German Law Journal, 2022, 637-638-640.

Allen, N. B., Reverse Piercing of Corporate Veil: The Straightforward Path to Justice, St. Jones Law Revieuw, Volume 85, Number 3, 2011, 1152, 1157-1159.

Allen, W.T., Kraakman, R., Commentraies and Cases on the Law of Business Organization, Wolters Kluwer, USA, 2016, 77-78,122-132.

Aman, M. T., Cost-Benefit Analysis of the Business Judgement Rule: A Critique in Light of the Financial Meltdown, Albany Law Review, volume 74, N1, 2011, 3-4, < <https://www.albanylawreview.org/article/69537-cost-benefit-analysis-of-the-business-judgment-rule-a-critique-in-light-of-the-financial-meltdown> >, [11.07.2024].

American Law Institute, Restatement (Third) of Torts: Appointment of Liability (2006), American Law Institute Publishers, II volume, §15.

Anderson, H., Creditors Rights of Recovery: Economic Theory, Corporate Jurisprudence and the Role of Fairness, 2007, 3-10.

Anderson, Helen, Creditors Rights of Recovery: Economic Theory, Corporate Jurisprudence and the Role of Fairness, 2007, 3-6.

Antunes, J.E., Liability of Corporate Groups, Autonomy and Control in Parent-Subsidiary Relationships in US, German and EU Law an International and Comparative Perspective, Kluwer Law and Taxation Publishers, Deventer, 1994, 219, 223-224,237-258.

Austin, R.P., Ramsey, I.M., Ford's Principles of Corporations Law, Butterworths, Australia, 2010, 115-116, 899-900.

Backer, L. C., Comparative Corporate Law, Cases and Materials, Carolina Academic Press, Durham, North Carolina, 2002, 324, 384-386, 981-997.

Bainbridge S.M., Abolishing LLC Veil Piercing, University of Illinois Law Review, University Press, Illinois, 2005, 2-8, 16, 38, 79-80.

Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Elgar publishing, UK, USA, 2016, 2, 15-19, 302-303.

Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Elgar publishing, UK, USA, 2016, 279-280; Blumberg, Ph. I., The Law of Corporate Groups: Procedural Law, Connecticut University Law Review, 1983, 3.

Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Elgar publishing, UK, USA, 2016, 47.

Bainbridge, S., Henderson, T. M., Limited Liability, A Legal and Economic Analysis, Edward Elgar publishing, UK, USA, 2016, 5-9, 13-24, 88-107, 126-128, 260-279, 302-303.

Balouziyeh, J. M.B., A Legal Guide to United States Business Organizations, The Law of Partnerships, Corporations and Limited Liability Companies, Springer, Heidelberg, second edition, 2013, 100-101.

Beever, Allan, Rediscovering the Law of Negligence, Oxford Hart Publishing, 2007;

[Bendremer, F.J., Delaware LLCs and Corporate Veil Piercing: Limited Liability has its Limitations, Fordham Journal of Corporate and Financial Law, Vol. 10, Issue 2, 2005, 387-393; <https://ir.lawnet.fordham.edu/jcfl/vol10/iss2/4>, \[11.07.2024\].](https://ir.lawnet.fordham.edu/jcfl/vol10/iss2/4)

Block, J.B., Voisin, N.A., The Responsible Corporate Officer Doctrine - Can You Go to Jail For What you Don't Do?, Northwestern School of Law of Lewis and Clark College, 1992, 3-5, 16.

Blumberg, I.Ph., Strasser, A.K., Georgakopoulos, L.N., Gouvin, J.E., Blumberg on Corporate Groups, 2005.

Blumberg, P.I., *Multinational Challenge to Corporation Law, The Search of New Corporate Personality*, Oxford University Press, New York, 1993, 65-66, 139-149, 161-163.

Blumberg, P.I., *The Transformation of Modern Corporate Law: The Law of Corporate Groups*, *Connecticut Law Review*, 2005, 605-607, 613.

Blumberg, Ph. I., "Limited Liability and Corporate Groups", *Connecticut University, School of Law*, 1986, 575, 591-595.

Bonfield, L., *American Law and the American Legal System in a Nutshell*, West Academic Publishing, USA, 2021, 7-10, 234, 241-241.

Chao, L., "Veil Piercing in Under American, German, and Taiwanese Company Law", *Institute for European Integration, Hamburg*, 2021, 23-29, 35-36, 90.

Chapman R.A., *Ethics in Public Service for the New Millennium*, in: Chapman R.A. (ed.), *Ethics in Public Service for the New Millennium*, Ashgate Pub Ltd, Burlington, 2000, 217, 218.

Chatman, C. N., *Corporate Family Matters*, in *UC Irvine Law Review*, volume 12, issue 1, 2021, 5, <https://scholarship.law.uci.edu/ucilr/vol12/iss1/5?utm_source=scholarship.law.uci.edu%2Fucilr%2Fvol12%2Fiss1%2F5&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages>, [11.07.2024].

Cooper, J. A., *Unlimited Shareholder Liability through a Procedural Lens*, *Harvard Law Review*, Volume 106, N 2, 1992, 387.

Crowe, J., *Does Control Make a Difference? The Moral Foundations of Shareholder Liability for Corporate Wrongs*, *The modern Law Review*, Volume 75, N 2, 2012, 159-160-171.

Davies, M., *An Introduction to the Structure and Sources of American Law*, <https://www.nyc.gov/html/conflicts/downloads/pdf2/municipal_ethics_laws_ny_state/introduction_to_american_law.pdf>, [11.07.2024].

Davies, P.L., Worthington, S., *Principles of Modern Company Law*, Thomson Reuters (Professionals) UK Limited, 2016, 35.

Dignam, A., Canruh, D., Into Reverse: Redesigning Veil Piercing, Queen Mary Law Research, Paper No. 401, 2023, 23-24.

Easterbrook, F., Fischel, D., Limited Liability and the Corporation, 52 University of *Chicago Law Review*, 1985, 101-102, 110-112.

Eisenberg, M. A., Megasubsidiaries: The Effect of Corporate Structure on Corporate Control, Harvard Law Review, volume 84, N7, 1971, 1578.

Farnsworth, A. E., The Introduction to the Legal System of the United States, 3rd edition, Oceana Publications Inc, New York, 1997, 61-64.

Ferzan, K.K., Probing the Depth of Responsible Corporate Officer's Duty, Criminal Law and Philosophy, Forthcoming, 2017, 5; <<https://ssrn.com/abstract=2985467>>, [11.07.2024].

Fleckner, A., Company Law, online resource, 2009, <https://max-eup2012.mpipriv.de/index.php/Company_Law#2._Terminology>, [11.07.2024].

Gevurtz, F.A., Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, Pacific McGeorge School of Law, Business Organizations Law Review, 1997, 858-859, 864.

Giliker, P., Vicarious Liability in Tort, A Comparative Perspective, Cambridge University Press, 2010, 1, 11, 30-31, 46-50.

Gilson, R., J., Value Creation by Business Lawyers: Legal Skills and Asset Pricing, Yale Law Journal, N97, 1984, 239, 313.

Glynn, T. P., Beyond "Unlimiting" Shareholder Liability: Vicarious Tort Liability for Corporate Officers, Vanderbilt Law Review, Vol. 57, Issue 2, 2004, 356.

Gotanda, H., The responsible Corporate Officer: designated Felon or Legal Fiction?, 1994, 171.

Greenfield, K., The Failure of Corporate Law, Fundamental Flaws and Progressive Possibilities, the University of Chicago Press, 2006, 107-109.

Grützner, Th., Momsen, C., Menne, J., Draft Bill on German Corporate Sanctions Act, Compliance Elliance Journal, volume 5, N 2, 2019, 26.

Haar, B., Piercing the Corporate Veil and Shareholders' Product and Environmental Liability in American Law as Remedies for Capital Market Failures – New Developments and Implications for European and German Law after “Centros”, European Business Organization Law Review 2, 2000, 327-328.

Hackney, P. W., Benson, G.T., Shareholder Liability for Inadequate Capital, University of Pittsburg Law Review, 1982, 837, 841;

Hannigan, B., Wedded to Solomon: Evasion, Concealment and Confusion on Piercing the Veil of the One-man Company, Irish Jurist, New Series, Vol. 50, 2013, 18, 23-28; 35-39.

Hansmann, H., Kraakman, R., Toward Unlimited Shareholder Liability in Corporate Torts, The Yale Law Journal Company, Inc., vol. 100, N7, 1991, 1800 და 1806, 1879-1934.

Heinitz, E., Empfiehlt es sich, die Strafbarkeit juristischer Personen gesetzlich vorzusehen? Gutachten für den 40. Deutschen Juristentag, 1 VERHANDLUNGEN DES VIERZIGSTEN DEUTSCHEN JURISTENTAGES, (Ständige Deputation des Deutschen Juristentages ed.), 1953, 65, 67.

Herman, E. S., “Corporate Control, Corporate Power”, The Economic Journal, Volume 92, N 365, 1981, 26; <<https://www.jstor.org/journal/economicj>>, [11.07.2024].

Hofmann, K., Wang, J., Tan, CH.-H., Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspective, 2019, 170-181.

Huss, R. J., Revamping Veil Piercing for All Limited Liability Entities: Forcing the Common Law Doctrine into the Statutory Age, Heinonline, 2002, 110; <<https://ssrn.com/abstract=1014432>>, [11.07.2024].

Kindelr, P., Lieder, J., European Corporate Law, International and European Business Law by Schulz/Lehmann, BECK/HART/NOMOS, 2021, 229.

Krendl, C.S., Krendle, J.R., Piercing the Corporate Veil: Focusing the Inquiry, Denver Law Review, Volume 55, Issue 1, 1978, 43.

Kuntz, T., Asset Partitioning, Limited Liability and Veil Piercing: Review Essay on Bainbridge/Henderson, Limited Liability, 2018, 441-443, 445; <<https://link.springer.com/article/10.1007/s40804-018-0108-4>>, [11.07.2024].

Kutz, Christopher. Complicity: Ethics and Law for a Collective Age. Cambridge: Cambridge University Press, 2000, 204-253.

Lever, Jeremy, F., Larouche, Pierre, Gerven, Woltter Van, Tort Law: Ius Commune Casebooks for the Common Law of Europe, Hart Publishing, 2001, 488.

Lee, P.W., The Enigma of Veil-Piercing, Singapore Management University, 2015, 2-3.

Loewenstein, M. J., Veil Piercing to Non-Owners: A Practical and Theoretical Inquiry, 41 Seton Hall Law Review, 2011, 850.

Malmendier, U., „Societas“, University of California, Berkeley, 2009.

Markesinis, B.A., The German Law of Obligations, The law of Torts, volume II, Clarendon Press- Oxford, 1997, 677-686.

Matheson, J.H., The Modern Law of Corporate Groups: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil in the Parent Subsidiary Context, 87 North Carolina Law Review, 2009, 1093-1119.

Mendelson, N., A Control-Based Approach to Shareholder Liability for Corporate Torts, 102 Columbia Law Review, 2002 1203-1207, 1273.

Mousourakis, G., Fundamentals of Roman Private Law, Springer, 2012, 34.

Mujih, E., Piercing the Corporate Veil: Where is the Reverse Gear?, London Metropolitan University, 2016, 2-7, 10-18.

Pargendler, M., The New Corporate Law of Corporate Groups, working paper, ECGI, 2023, 2, 36; <http://ssrn.com/abstract_id=4412997>, [11.07.2024].

Peter B. Oh, Veil Piercing, Legal Studies Research Paper Series, Working Paper No. 2010-06, Pittsburgh, Pennsylvania, 2010, 85, 91-92.

- Pryor, J.H., *The Origins of the Commenda Contract*, The University of Chicago Press on behalf of the Medieval Academy of America, Vol. 52, No. 1, 1977, 5.
- Reimann, M., Zimmermann, R., *The Oxford Handbook of Comparative Company Law*, New York, 2006, 1167.
- Richardson, M., *The Helter Skelter Application of the Reverse Piercing Doctrine*, 79 *University of Cincinnati Law Review*, 2011, 1605-1615.
- Rosengarten, J., Burmeister, F., Klein, M., *Mergers and Acquisitions in Germany*, C.H. BECK, München, 2016, 20-21.
- Roth, G. H, Kindler, P., *The Spirit of Corporate Law, Core Principles of Corporate Law in Continental Europe*, C.H. Beck, Munich, 2013, 32-40, 56-67.
- Sagasser, J., Oest, I., *Draft Bill on Corporate Criminal Liability in Germany: The “Association Sanctions Act”*, Commeo LLP, Rechtsanwälte und Notar, 2020, 1-2.
- Silverman, D.S., *Piercing the Corporate Veil: Delaware Law*, 2003 <https://www.marylandbusinesslitigationlawyerblog.com/piercing_the_corporate_veil_de/>, [11.07.2024].
- Strasser, A.K., *Piercing the Veil in Corporate Groups*, *Connecticut Law Review*, volume 37, N3, 2005, 648.
- Tan, C.H., Wang, J., Hofmann, Ch., *Piercing the Corporate Veil: Historical, Theoretical and Comparative Perspectives*, *Barkley Business Law Journal*, volume 16, issue 1, 2019, 140.
- The American Law Institute, *Restatement of the Law Third, Restatement of the Law Agency*, volume 1, American Law Institute Publishers, 2006, 17-20, 371.
- Thomas, R.S., Giudici, P., Varottil, U., *Research Handbook on Shareholder Inspection Rights, A comparative Perspective*, Edward Edgar Publishing, Cheltenham, UK, 2023, 121-122, 130-131.
- Thompson R.B., *Piercing the Corporate Veil: An Empirical Study*, *Cornell Law Review*, 1991, 1036-1039, 1044-1058.

Thompson R.B., Piercing The Veil Within Corporate Groups: Corporate Shareholders as Mere Investors, Cornell Law Review, Lincoln, 1999, 379-390.

Thompson, R.B., Piercing the Veil: Is the Common Law the Problem?, Connecticut Law Review, vol 27, issue 3, 2005, 631.

Tsertsvadze L., Duties of Directors, According US (State Delaware) Corporate Law and Corporate Law of Georgia (Comparative Analysis), 2011, 31-32.

Upadhyay, N., Piercing the Corporate Veil: An Analysis of Lord Sumption's Attempt to Avail a Troubled Doctrine, Auckland University Law review, Vol. 21, 2015, 119.

Ventoruzzo, M., Conac, P.H., Goto, G., Mock, S., Notari, M., Reisberg, A., Comparative Company Law, Amrican Casebook Series, West Academic Publishing, 2015, 40, 151-166, 186-187, 206.

Wiedemann, H., Group of Companies in European Laws: The German Experience with the Laß of Affiliated Enterprises, Cologne, 1982, 22-38.

Windbichler, Ch., Bachmann, G., "Gesellschaftsrecht", 2024, 30.

Wirth, G, Arnorl, M., Morshauser, R., Car, S., Greene, M., "Corporate Law in Germany", 2017, 23-24, 202- 213.

Witting, Ch. A., Liability of Corporate Groups and Networks, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 3-6, 47-54, 69-110, 270-282, 287-305, 339-349, 397-398, 404-407.

Wormser, I.M., Disregard of the Corporate Fiction and Allied Corporation Problems, Baker, Voorhis and Company, New York, 1929, 2-3, 6-13, 78-79.

Wormser, I.M., Private Corporations, St. Paul, West Publishing Co., 1916, 26.

Wormser, M., Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, vol.12, N6, 498-499.

Zhen Qu, Ch., Bjorn, A., Lowering of the corporate veil in Germany: a case note on BGH 16 July 2007 (Trihotel), Oxford University Comparative Law Forum, 2008; <Oxford University Comparative Law Forum>, [15.08.2024].

Zimmermann, H., Roman Law, Contemporary Law, European Law: The Civilian Tradition Today, Oxford University Press, 2001, 73, 114, 123-126, 176.

უცხოენოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები

Atlas Maritime Co SA v Avalon Maritime Ltd (N1) [1991], 4 ALL ER 769, 779G

Berkey v. Third Avenue Railway Co. [1926] 44 N.Y. 84, 155 N.E. 58

Bremer Vulkan, The Federal Supreme Court of Germany, BGH, case, [2001], BGH NJW 2001, 3622 (“Bremer Vulkan”); BGH ZIP 2002, 1578 (“KBV”), Urteil des II. Zivilsenats vom 17.9.2001 - II ZR 178/99

Cascade Energy and Metals Corp. v. Banks (10th Cir.) [1990] 896 F.2d 1557, 1576-1577

Castleberry v. Branscum, 721 S.W.2d 270 (Tex. [1987]

Feszczyszyn v. General Motors Corp [1998] 248 AD 2d 939 (NY)

Green v Freeman, [2013] 749 S.E. 2d 262, 271 (N.Y.)

Joe A. CASTLEBERRY, Petitioner, v. Byron BRANSCUM [1987] et al., Respondents, Supreme Court of Texas, Jan 14

Kingston Dry Dock Co. v Lake Champlain Transportation Co 31 F.2d 265 (2d Cir. [1929]

Michael v. Alestree [1675] 2 Lev 173; 83 ER 504

Philips v Englewood Post No 332 Veterans of Foreign Wars of the U.S. Inc. 139 P. 3d 639, 641, Colorado [2006]

Prest v Petrodel [2013], UKSC 34

Regal Hastings Ltd v Gulliver [1942] 1 All E.R. 378 HL

Ritter v. BJC Barnes Jewish Christian Health Systems [1999] 987 SW 2d 377 (Mo App ED

Salomon v Salomon [1897], A.C. 22 HL.

Swift v. Smith, Dicon and Co., 65 Md. 428, 434, [1886]; The Bellona Company's Case, Md. 442 [1831]

Trihotel (Bundesgerichtshof (BGH), II ZR 3/04, [Jul. 16, 2007], Neue Juristische Wochenschrift (NJW) 2789

United States v. Dotterweich [1943] 320 U.S. 277

United States v. Park [1975] 421 U.S. 658, 673-74

United States v. Powell, 379 U.S. 48 [1964]

Urban v, American Legion Post [2005] 184 NW 2d 153 (Minn App)

VTB Capital Plc v Nutritek International Corp. [2013] UKSC 5, [2013] 2 AC 337)

W.G. Platts Inc v Platts, 298 P. 2d 1107 (Wash. [1956]

Wittenberg v. Gallagher, [2001] WL 34048121 (Ariz.Ct.App.)

Zaist v. Olson, [1967] 154 Conn. 563, 227 A. 2d 552\

ელექტრონული ბმულები:

<https://www.gesetze-im-internet.de/>

<https://matsne.gov.ge/>

<https://info.parliament.ge/>

<https://papers.ssrn.com/>

<https://onlinelibrary.wiley.com/>

<https://www.cambridge.org/>

[German Law Journal](#)

<https://law.justia.com/>

<https://gba.ge/>

<https://ezb.ur.de/>

<https://delcode.delaware.go>

<https://www.academia.edu/>

<https://curia.europa.eu/>

<http://press.tsu.edu.ge/>

<https://old.tsu.ge/>

<https://www.juris.de/>

<https://www.beck-online.beck.de/>

<https://www.law.justia.com/>

<https://www.fortune.com/>

<https://www.law.cornell.edu/>

<https://www.prg.supremecourt.ge/>

<https://courts.delaware.gov/opinions/>

<https://www.bailii.org/uk/cases/>